პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 აპრილი პარასკევი 2013
№085 (14 001) ფასი 80 თეთრი

## ფიფიამ და კოკაიამ ბოდიში უნდა მოიხადონ!

დინამო თბილისის პრეზიდენტს გორის დილაც პასუხობს



2

## ვინ როგორ დაწყვილდებიან?




დღეს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის ნახევარფინალური წყვილები გაირკვევა

## ევროპალიგის ნახევარფინალისტები

## ჩელსი, ფენერბაჰჩე, ბაზელი, ბენფიკა




5

## დინამოში ვრჩები

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან




4

## იმედი არის!

გიორგი ონიანი დაბრუნდება, სტადიონების უსაფრთხოება კი მისახედია



3

## ქალი და მარათონი...

რატომ ურჩიეს ESPN-ის ჟურნალისტს საქართველოში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის გარეშე ჩამოსვლა?



12

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● გამოხმაურება

# ვანო ხორგუაშვილი: კოკაიამ და ფიფიამ ბოდიში უნდა მოიხადონ

**ურთიერთბრალდებები, პირდაპირ თუ ირიბად დადანაშაულება მაქინაციებში - ქართულ კლუბებს შორის ასეთი რალაცები ბოლო დროს გახშირდა. რამდენიმე დღის წინ „ლელოში" „დინამო თბილისის" პრეზიდენტის, რომან ფიფიას ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელმაც არაერთ თემაზე ისაუბრა, მათ შორის გორის „დილაზეც". ამ ყოველივესთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება „დილამაც" მოისურვა. ჩვენი რესპონდენტი „დილას" სპორტული დირექტორი ვანო ხორგუაშვილი გახლავთ. ის 90-იან წლებში „დილას" თავდამსხმელი იყო, მცირე ხნით თბილისის „დინამოშიც" თამაშობდა, ერთი სიტყვით, საფეხბურთო სამყაროში მას ყველა იცნობს. მაშ ასე, „ლელოს" კითხვებს ხორგუაშვილი პასუხობს..**

**- ჯერ „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ გააკეთა თქვენი კლუბისთვის არასასიამოვნო განცხადება: „დილა" -"ზესტაფონის" შედეგი გაუქმდეს და გორის „დილას" ქმედებები პროკურატურამ გამოიძიოსო. მერე კი „დინამო თბილისის" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ილაპარაკა „დილაზე"- როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ეს ყველაფერი?**

- „დილამ" შარშან მოიგო საქართველოს თასი, რიგიანად ითამაშა ევროპა ლიგაზე, ახლაც მოწინავეთა შორისაა და ჩემპიონობისთვის იბრძვის - არიან ადამიანები, რომელთაც ეს ყველაფერი არ სიამოვნებთ. შარშან „დილა" ევროპა ლიგის ჯგუფში რომ ვერ მოხვდა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ „დინამომ" და „ზესტაფონმა" უარი თქვეს ჩვენი მატჩების გადატანაზე, არადა „დილა" რომ ევროპა ლიგის ჯგუფში გასულიყო, ეს ხომ მთლიანად ქართული საკლუბო ფეხბურთის წარმატებაც იქნებოდა. რაც შეეხება კონკრეტულად „ზესტაფონის" პრეზიდენტის განცხადებას, შეგვიძლია ყველაფერი სამსჯავროზე გამოვიტანოთ -ნახოს ყველამ „დილა" - „ზესტაფონის" მატჩის ჩანაწერი, რომელიც 2:1 მოვიგეთ და მერე ვილაპარაკოთ. დინამოელთა პრეზიდენტის ინტერვიუს რაც შეეხება, ამასწინანდელი „ტორპედო" - „დინამო" ერთხელაც ნახოს ყველამ და დასკვნები მერე გამოვიტანოთ. მიგვაჩნია, რომ რადგან საფეხბურთო ოჯახი გვქვია, რალაც საკითხების მოგვარება ჩვენ თვითონაც შეგვიძლია, მაგრამ თუ მაინცდამაინც პროკურატურა გახდება საჭირო, მზად ვართ სამართალდამცავებთან თანამშრომლობისთვისაც.

**- კონკრეტულად რას მოითხოვთ?**

- მოვითხოვთ, რომ „ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია დაისაჯოს იმ ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით, რომლიც ფეხბურთის ფედერაციას აქვს შემუშავებული, დაჯარიმდეს და ბოდიშიც მოგვიხადოს. „დინამოს" ყოფილმა მწვრთნელმა ალექს გარსიამ თუ გადაიხადა ჯარიმა მსაჯების მისამართით არაკორექტული განცხადების გამო, კოკაია ვინ არის, რომ პასუხი არ მოეთხოვოს?

**- რალაც მიზეზი ხომ უნდა იყოს? კოკაია და ფიფია არაფრის გამო ხომ არ გააკეთებდნენ განცხადებას?**

- კოკაიას და ფიფიას ერთი რამ ამოძრავებთ - მათ საერთო ბიზნესი, საერთო ინტერესები აქვთ და გორის „დილას" მსგავსი გუნდის წარმატება ხელს არ აძლევთ.

**- გორის „დილას" მსგავსი გუნდი - რას გულისხმობთ?**

- ჩვენ ხომ საბიუჯეტო გუნდი ვართ და დაფინანსების წყაროც შესაბამისი გვაქვს.

**- ფაქტია, რომ სახელმწიფო ეხმარება „დილას" და სხვა რეგიონების საფეხბურთო გუნდებს. კერძო კლუბებს კი სახელმწიფოსგან ფაქტობრივად არანაირი დახმარება და წახალისება არ აქვთ...**

- რა თქმა უნდა, იმის წინაალმდეგი არ ვართ, რომ კერძო კლუბებს ხელშეწყობა ჰქონდეთ სახელმწიფოსგან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ფიფიას და კოკაიას, შესაბამისად რუსთავსა და ზესტაფონში, გადაეცათ მძლავრი ქარხნები და ეს არ არის დახმარება სახელმწიფოსგან? თუ „დილასაც" გადასცემენ ასეთ ქარხანას, ისიც თვითონ შეინახავს საკუთარ თავს.

**- ამონარიდი ფიფიას ინტერვიუდან: "ტოტალიზატორების პროგრამიდან მაინცდამაინც „დილას" მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის მატჩების ამოლებას ფედერაციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს. ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით?**

- გორის „დილას" არანაირი კავშირი არ აქვს ტოტალიზატორებთან. ფიფიამ ბევრი რამ გააკეთა „დინამოსთვის" ინფრასტრუქტურის მხრივ, მაგრამ რაც შეეხება სპორტულ მხარეს, ასეთი შესაძლებლობების მქონე კლუბის გუნდს გაცილებით უკეთესი შედეგი უნდა ჰქონდეს, „დინამოსთვის" სირცხვილია ის შედეგები, რაც ბოლო პერიოდში ჰქონდა და ალბათ აქედან გამომდინარეობს ის არაეთიკური კამპანია, რაც „დინამოს" პრეზიდენტმა წამოიწყო ჩვენ მიმართ. ტოტალიზატორებს რაც შეეხება, „დინამო" - „გურიას" სათასო მატჩიც იყო ამოლებული. ჩვენ ერთ რამეს ვითხოვთ - ფიფიამ ამ ყველაფრის გამო ბოდიში მოიხადოს. „დინამოს" ალორძინება და პროგრესი კი ნამდვილად არ გვალიზიანებს, „დინამო" ისეთი კლუბია, უკეთესი გუნდის ყოლას რომ იმსახურებს და ფიფიამ საკუთარი გუნდის მდგომარეობა იმას უნდა მოჰკითხოს, ვისაც უჯერებს. ფიფიას ინტერვიუ, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა „ლელოში", ფიფიას ერთ-ერთი მრჩეველის აზრებს უფრო ჰგავს, ვიდრე თვითონ ფიფიას პოზიციას.

**- "ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ - ყოველივე ამას განა რაიმე კომენტარი სჭირდება?" - ესეც ფიფიას ამ ინტერვიუდანაა ამოლებული და როგორ ფიქრობთ, ფიფია „დილას" ფეხბურთელ გიგა ბეჭვაიას გულისხმობდა?**

- ამნისტირებულ ფეხბურთელებს რაც შეეხება, კაცს იმის მორალი უნდა ჰქონდეს, ადამიანს რომ აპატიებენ და ნდობას გამოუცხადებენ, მერე მას წარსული ალარ უნდა გაახსენოს.

**- როცა კულუარებში „დილას" რეპუტაციაზე საუბრობენ, დასამალი არ უნდა იყოს, რომ მამუკა ჯულელსაც ახსენებენ - ამაზე რას იტყოდით?**

- ჯულელი „დილას" დირექტორატის წევრი გახლდათ, იანვრიდან კი დატოვა ჩვენი კლუბი და მასთან ახლა მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. ქართველი ლეგიონერების ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნება, მწვრთნელის, გიორგი დარასელიას ჩამოყვანა, ახალგაზრდა ფეხბურთელების - გვალიას, ილურიძის, გორელიშვილის - ალმოჩენა... ამდენად, ვფიქრობ, ჯულელს ქართული ფეხბურთისთვის იმაზე ბევრად მეტი აქვს გაკეთებული, ვიდრე იმ ადამიანებს, ვინც მასზე აუგს ამბობს.



ვანო ხორგუაშვილი

**დავით თავართქილაძე**

● ფიფას რეიტინგი



საფრანგეთთან მატჩის შემდეგ რეიტინგში დავქვეითდით

# ყველა მეტოქემ გაგვისწრო, სომხეთმაც ჩამოგვიტოვა

ფიფასა და "კოკა კოლას" მორიგ ერთობლივ სანაკრებო რეიტინგში საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა – საფრანგეთში წაგებული 1:3-ის შემდეგ ერთბაშად 22 საფეხურით დაქვეითდა და დღეისთვის 91-ე პოზიციაზეა. შედეგად მივილეთ ის, რომ პირველად მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყების დღიდან, საქართველოს ნაკრებს ჯგუფის ყველა მეტოქე უსწრებს. იმედია, ანალოგიურ სურათს არ მივილებთ ჩვენი ჯგუფის საბოლოო სატურნირო ცხრილშიც.

ფინეთს, რომელიც 82-ე პოზიციამდე ალზევდა, ჩვენი გადასწრების საშუალება ესპანეთში მილწეულმა ფრემ მისცა. ბელარუსი 62-ედან 69-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, საფრანგეთი მე-17-ედან მე-18-ეზე დაეშვა, ხოლო ესპანეთი რეიტინგს კვლავ ლიდერობს.

ცნობისთვის, ჩვენზე ერთი პუნქტით მალლა სომხეთია...

რეიტინგის საუკეთესო სამეული უცვლელია. ხაზგასასმელია ხორვატიის წარმატება, რომელმაც მე-9-ედან მე-4 საფეხურამდე აინაცვლა. ბრაზილია კი კიდევ ერთი საფეხურით დაქვეითდა. პენტაკამპეონთა მორიგი ანტირეკორდი მე-19 ადგილია.

**ზედა ოცეული ასე გამოიყურება:**

1. ესპანეთი
2. გერმანია
3. არგენტინა
4. ხორვატია
5. პორტუგალია
6. კოლუმბია
7. ინგლისი
8. იტალია
9. ჰოლანდია
10. ეკვადორი
11. რუსეთი
12. კოტდივუარი
13. საბერძნეთი
14. მექსიკა
15. შვეიცარია
16. ბელგია
17. ურუგვაი
18. საფრანგეთი
19. ბრაზილია
20. დანია

...91. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მსაჯთა საფიხვნო

# ფანიაშვილი გადადგა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელმა **ლევან ფანიაშვილმა** თანამდებობა დატოვა. მან ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ახსნა.

თუმცა იგი სფფ-ში მოღვაწეობას გააგრძელებს და იქ მსაჯობის განვითარების პროგრამის მენეჯერი იქნება. ალნიშნული პროგრამა საქართველოში უეფას რეკომენდაციით ამოქმედდება და მიზნად ახალგაზრდა მსაჯების უკეთ მომზადებას ისახავს.

ჯერჯერობით, უცნობია, ვინ დაიკავებს სამსაჯო განყოფილების უფროსის თანამდებობას.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლევან ფანიაშვილი

ინტერვიუ

# გურიას აღზევების მოლოდინში

## თემურ ლორია: ბაზა რომ გვქონდეს, შემოსავალიც გაგვიჩნდება

თემურ ლორიას გაწვრთნილმა ლანჩხუთის "გურიამ" სასწაულები მოახდინა: ზესტაფონში გამართულ მერვედფინალის ორმატჩიან რაუნდში სენსაცია გამოაცხო და ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ "ზესტაფონს" აჯობა (0:1, 3:2).

გურულები 1/4-ფინალშიც ახლოს იყვნენ მიზანთან. 0:0 დასრულებული პირველი საშინაო მატჩის შემდეგ, საპასუხო შეხვედრაში თბილისის "დინამოს" 82-ე წუთზე ანგარიში გაუთანაბრეს, რაც ნახევარფინალში გასასვლელად ჰყოფნიდათ.

თუმცა, მატჩის ბოლოს გიორგი ძაძამიას ბავშვურმა შეცდომამ, საბოლოოდ, ლანჩხუთელები თასიდან გამოაგდო (2:3), მაგრამ "გურიამ" სოლიდური და სასიამოვნო გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. 23 ტურის შემდეგ, ლანჩხუთელები პირველი ლიგის A ჯგუფში 59 ქულით ლიდერობენ, უშუალო მდევარ "სასკოს" 6 ქულით უსწრებენ და უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის რეალური კანდიდატები არიან.

"დინამოსთან" დრამატული მატჩის შემდეგ, "გურიას" მთავარ მწვრთნელს თემურ ლორიას ინტერვიუ ჩამოვართვით.


თემურ ლორია

**- მიუხედავად წაგებისა, კარგი გუნდი ჩამოგიყალიბებიათ – "გურია" აზრიან, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს.**

- ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ნორმალური სამუშაო პირობები გვაქვს და გუნდის შენებისა და საკმაოდ კარგი შემადგენლობის შეკრების საშუალება მოგვეცა.

**- ანუ, ფინანსური პრობლემები მოგვარებული გაქვთ?**

- რაიონის ხელმძღვანელობა გვერდში გვიდგას და პირველი ლიგის კვალობაზე, ყველა ფინანსურ პრობლემას გვიგვარებს. თანაც, ჩვენი რაიონის დეპუტატი "გურიას" ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე თემურ ჩხაიძეა და ცხადია, ის გუნდს განსაკუთრებულად მზრუნველობს. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

**- გუნდში ბევრი გამოცდილი მოთამაშეა: თოდუა, გოგობერიშვილი, შალამბერიძე, შენგელია, კაკალაძე, კვერენჩხილაძე, დარჩიძე, მაისაშვილი...**

- შემადგენლობა მართლაც ამ ნიშნით დავაკომპლექტეთ, რადგან პირველი ლიგა სპეციფიკური ტურნირია და გამოცდილება ბევრს ნიშნავს. ამავე დროს, სათადარიგო სკამი გავზარდეთ.

**- "ზესტაფონთან" და "დინამოსთან" თამამად ითამაშეთ.**

- ვერ მოგატყუებთ, რომ თასის ასაღებად ვიბრძოდით. ამას არავინ დაიჯერებს, მაგრამ ჩვენი სურვილი იყო, ღირსეულად გვეთამაშა და მიხარია, ეს რომ შევძელით. რომ იცოდეთ, "დინამოსთან" პირველი მატჩიც კარგი სანახავი იყო და, მარცხის მიუხედავად, "ზესტაფონთან" პირველი დაპირისპირებაც.

**- "დინამოსთან" მატჩის შემდეგ თქვენი გუნდის მეკარეს რა უთხარით?**

- ძაძამია მომხდარს ისე განიცდიდა, რომ გასახდელში ყველა ერთად ვამშვიდებდით. ასეთი რამ მაღალი დონის მეკარეებსაც მოსვლიათ. უპირველესად, იმას დავუფასებ, რამდენიმე სახიფათო მომენტი რომ განმუხტა, ამ ერთი გოლით კი ხაზს არ გადავუსვამთ. პირიქით, გავამხნევებთ და გვერდში დავუდგებით. ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი უპირველესი ამოცანა უმაღლეს ლიგაში გადასვლაა და მიზანთან საკმაოდ ახლოს ვართ. მთავარია, მდევართან უპირატესობა შევინარჩუნოთ. უმაღლეს ლიგაში ადგილის მოსაპოვებლად კი მნიშვნელოვანი მატჩები ჯერ კიდევ გველის.

**- მდევარს საკმაოდ დიდი უპირატესობით უსწრებთ და გადასვლა ჯერ კიდევ გაეჭვებთ?**

- შარშანაც ახლოს ვიყავით მიზანთან, მაგრამ ბოლო მომენტში "ვიტ ჯორჯიასთან" დავმარცხდით. ასე რომ, თავი ქუდში მაშინ გვექნება, როდესაც უმაღლესში ადგილს ოფიციალურად გავიფორმებთ. პირველ ადგილზე ყოფნა და თასზე ნაჩვენები კარგი თამაში იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ დარჩენილ ტურებში კონცენტრაცია დავკარგოთ.

**- "გურიას" უდიდესი პრობლემა იყო სტაბილური დაფინანსების წყაროს არარსებობა, რის გამოც კლუბი გავერანდა. ახლა რაიონი გეხმარებათ, მაგრამ მომდევნო სეზონებშიც ასე გაგრძელდება? საერთოდაც, უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს დააკმყოფილებთ ფინანსურად და ინფრასტრუქტურით?**

- სტადიონზე საფარი ფეხბურთის ფედერაციამ დააგო და ის უმაღლესი ხარისხისაა. ტრიბუნის მშენებლობა რაიონს ევალებოდა. ერთ მხარეს მშენებლობა შეჩერებულია, მაგრამ, საკითხი გამგეობაში მალე მოგვარდება. ფედერაციამ საჩუქრად 3 ათასი ინდივიდუალური სკამი გადმოგვცა და მალე დავაგებთ. გარდა ამისა, უნდა მოწესრიგდეს გასახდელები, საშხაპეები, ლოჟები და ა.შ.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროს, გამგეობა მუშაობს, უკრაინიდან სპონსორი რომ ჩამოიყვანოს. ჯერ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იმედია, უმაღლესში გადასვლის შემთხვევაში, ეს საკითხი მოგვარდეს. ამასთანავე, ლაპარაკია სახელმწიფო პროგრამის ეგიდით გუნდების დაფინანსებაზეც და იმედია, ეს "გურიასაც" შეეხება.

არის ლაპარაკი, რომ გუნდის ბალანსზე დაბრუნდეს გრიგოლეთის ბაზა. კლუბს ეს "ოქრო" რომ ჰქონდეს, მერე სპონსორის მოძებნა გაცილებით გაგვიადვილდებოდა.

**- წლებია, ამ იმედით ხართ, მაგრამ საკითხს საშველი ვერა და ვერ დაადგა.**

- იმედი მაქვს, საკითხს ახლა მაინც მოევლება, რადგან ჩვენმა დეპუტატმა თემურ ჩხაიძემ კარგად იცის, გუნდი და ბაზა განუყოფელი რომ იყო და ასე უნდა იყოს მომავალშიც. მერე ეს ბაზა, შესაძლოა, გუნდისთვის შემოსავლის წყარო გახდეს.

**- თუ საიდუმლო არ არის, ახლა რამდენია "გურიას" ბიუჯეტი?**

- 400 ათასი ლარი. ალბათ, უმაღლესში მეტი დაგვჭირდება და იმ მეტის მიღებასაც ვიმედოვნებთ, უმაღლეს ლიგას ღირსეულად რომ დავუბრუნდეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრავმის შემდეგ


გიორგი ონიანი

## ონიანი დაბრუნდება

საქართველოს თასის მეოთხედფინალურ მატჩში, რომელშიც ერთმანეთს ბოლნისის "სიონი" და ქუთაისის "ტორპედო" ხვდებოდნენ, სტუმართა მცველმა **გიორგი ონიანმა** მძიმე ტრავმა მიიღო – გარკვეული ხნით გონება დაკარგა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც გავარკვიეთ, მან ხერხემალი დაიზიანა და სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმებმა მალევე დაასკვნეს, რომ მის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ გაჩნდა კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, შეძლებდა თუ არა 29 წლის ონიანი საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას.

საბედნიეროდ, ძლეისთვის ალარც საამისო საშიშროება არსებობს, თუმცა უახლოეს პერიოდში გიორგის მოედანზე დაბრუნება გამორიცხულია. მას ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი ესაჭიროება, თამაშს კი საუკეთესო შემთხვევაში, ექვს თვეში გააგრძელებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ონიანი, რომელიც "ტორპედოს" დაცვის ერთ-ერთი ლიდერია, ამ უსიამოვნო პერიოდს მაქსიმალურად მოკლე ვადაში დასძლევს და კვლავ ძველ დონეზე ათამაშდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რამდენადაა დაცული ჩვენს სტადიონებზე უსაფრთხოების ნორმები?

საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში ბოლნისის "სიონმა" ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" "ტორპედოს" უმასპინძლა. შეხვედრა სტუმართათვის ყველანაირად უიღბლო გამოდგა: **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილებმა 0:2 წააგეს და გათამაშებას გამოეთიშნენ. გარდა ამისა, ქუთაისელებს ჯერ **ვალერი ბოლქვაძე** დაუშავდათ, შემდეგ — **ვაჟა ტაბატაძე**. მაგრამ ამასაც ვინ ჩივის: დამატებულ მე-4 წუთზე ქუთაისელთა ცენტრალურმა მცველმა **გიორგი ონიანმა** ბოლომდე იბრძოლა, ბურთი კუთხურზე რომ არ გადასულიყო და მოედნიდან ორიოდე მეტრის მოშორებით რკინის ბოძს შეეჯახა.

ექიმებმა ონიანს დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სასწრაფოდ პირველ კლინიკურ საავადმყოფოში (ე.წ. "არამიანცი") გააქანეს. მას მძიმე დიაგნოზი დაუსვეს – კისრის მე-4 და მე-5 მალების მოტეხილობა. საბედნიეროდ, დაზიანებული არ აღმოჩნდა ზურგის ტვინი.

გუშინ იქვე, გიორგის ურთულესი ოპერაცია წარმატებით ჩაუტარეს და ყველაზე დიდი საფრთხე, რომ ონიანი ველარ ითამაშებდა, გამოირიცხა.

ძნელი სათქმელია, ბაზის ნაცვლად, მატჩი სხვა სტადიონზე რომ გამართულიყო, შესაძლებელი იყო თუ არა ამ საშინელი ამბის თავიდან აცილება. მაგრამ კითხვა იბადება, დაცულია თუ არა ჩვენს სტადიონებზე უსაფრთხოების ნორმები, შემოვლებული დამცავი ბადეები იყო თუ არა მოედნიდან სტანდარტის მიხედვით დაშორებული? "ლელომ" მოიპოვა უეფას ბოლო მოთხოვნები, სადაც მითითებულია რეკომენდებული მანძილები მოედნის ფარგლებსა და მყარ (მზიდ) კედლებს შორის: გვერდითი ხაზებიდან – 6 მეტრი, კუთხურის ხაზებიდან – 7,5 მეტრი. აქვე გეტყვით, რომ სარეკლამო დაფები მყარ კედლად არ ითვლება.

ჩვენ არავის დადანაშაულება და ამით სპეკულაცია არ გვსურს, ეს უზნეობა იქნება. მაგრამ ამის შემდეგ მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავარია ადამიანი და მისი ჯანმრთელობა. ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერზე თვალი რომ დახუჭოს და უსაფრთხოების ნორმების დაცვა არ მოითხოვოს, ქართული არენების ხელმძღვანელებმა ეს საკუთარი ინიციატივით უნდა გააკეთონ, მოთამაშეები, მაყურებლები და სტადიონზე მისული ადამიანები მაქსიმალურად დაცულნი რომ იყვნენ. უეფას ამის მძიმე გამოცდილებები აქვს და მოთხოვნებს უსაგნოდ არ იგონებს – ლიცენზირებისას სიმკაცრე აუცილებელიც არის.

და თუ რომელიმე სტადიონი ამ ნორმებს ვერ პასუხობს, იქ თამაში უნდა აკრძალონ მანამ, სანამ ყველა მოთხოვნას მაქსიმალურად არ დააკმაყოფილებს. ეს ისევ და ისევ ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვით უნდა იყოს განპირობებული.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ონიანს უთამაშია თბილისის "ლოკომოტივში", ბათუმის "დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", იენის "კარლ ცაისში", "ზესტაფონში", გორის "დილაში", ქუთაისის "ტორპედოში" კი 2012 წელს ჩაირიცხა. იყო ეროვნული ნაკრების კანდიდატი და რამდენჯერმე შეკრებაზე მიიწვიეს. სხვათა შორის, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში "დილასთან" მოგებული მატჩის შემდეგ, "ლელომ" ონიანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ფეხბურთი იქით იყოს: ვისაც გიორგისთან ერთხელ მაინც ჰქონია შეხება, დაგვეთანხმება, რომ ის გამორჩეული ადამიანია. ცხადია, მკურნალობას დიდი დრო დასჭირდება, ჯერ უცნობია, როდის გამოჯანმრთელდება და მოედანს როდის დაუბრუნდება. მაგრამ იმედია, ეს მალე მოხდება.

**მერაბ მამულაშვილი**




UEFA Venue Criteria

8. Playing pitch dimensions of 105 x 68m. The pitch must be in excellent condition, be equipped with an excellent drainage system and have a smooth playing surface. The pitch must be of natural grass.

9. Recommended distances between the playing field boundaries and the retaining wall.
   i. Sidelines – 6m
   ii. Goal lines – 7.5m

რეკომენდირებული მანძილები მოედნის ფარგლებსა და მყარ/მზიდ კედელს შორის.
   i. გვერდითი ხაზებიდან - 6 მეტრი
   ii. კუთხურის ხაზებიდან - 7.5 მეტრი

10. Sufficient, easily accessible space must be made available around the field of play for advertising boards and event activities.
11. The interior of the stadium must be entirely fence-free.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

## გიორგი მერებაშვილი:
# ჯერჯერობით, დინამოში ვრჩები



გიორგი მერებაშვილს გააქვს გოლი გურიას კარში

ფოტო: www.fcdinamo.ge

**სერბეთის** "ვოივოდიანადან" თბილისის "დინამოში" დაბრუნებულ გიორგი მერებაშვილს გუნდის ლიდერის სტატუსის აღსადგენად გარკვეული დრო დასჭირდა. მაგრამ ახლა ისევ "დინამოს" ერთ-ერთი სული და გულია. დუშან უჰრინის უჩვეულო დავალებებსაც შეეგუა და მეტოქეთა დაცვას ძველებურად ანიოკებს. რომ არა მერებაშვილის კარგი თამაში და "დუბლი", არავინ იცის, თასის მეოთხედფინალში თბილისის "დინამო" დასძლევდა თუ არა ლანჩხუთის "გურიას" ბარიერს.

გიორგი მერებაშვილს ბოლო სათასო მატჩზეც ველაპარაკეთ და ჩემპიონატზეც.

**- ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო, უმაღლესი და პირველი ლიგის ლიდერების მატჩი დაძაბული რომ გამოდგა.**

- ჩემპიონატში "გურიას" მსგავსი ბევრი მეტოქე რომ გვყავდეს, ეს "დინამოსაც" დიდ სამსახურს გაუწევდა და მთლიანად ტურნირსაც. ჩემდა გასაოცრად, "გურიამ" კარგად ითამაშა. ბევრი ცნობილი მოთამაშე არ ჰყავთ, მაგრამ ნიჭიერი და გამოცდილი ფეხბურთელებისგან მშვენიერი, მებრძოლი და შეკრული გუნდი დაუკომპლექტებიათ.

საპასუხო მატჩის წინ ეს აღარ გამკვირვებია, მაგრამ ლანჩხუთში რომ ჩავედით და პირველი ლიგის გუნდმა ბრძოლა გაგვიმართა, გამიკვირდა და თან მესიამოვნა. ფეხბურთელი ბრძოლაში იზრდება და არა - გასეირნებაში.

დასაწყისშივე გატანილმა 2-მა გოლმა ცუდი სამსახური გაგვიწია და მერე მოვდუნდით. ვაღიარებ, რომ საბოლოოდ, აშკარად გაგვიმართლა. რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და შესაძლოა, ველარც გაგვეტანა. თუმცა, თამაში მაინც მოსაგები იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ქარს გავატანეთ.

**- ჩემპიონატის 26-ე ტურში "დინამოსთვის" მნიშვნელოვანი ამბები მოხდა – თქვენ "ჩიხურას" მოუგეთ, კონკურენტი "დილა" კი "ტორპედომ" დაამარცხა.**

- ყველაფერი საჩვენოდ აეწყო, მაგრამ ისევ "დინამოს" დამსახურებაა, კონკურენტები რომ ჩამოვიტოვეთ. საჩხერელებთან მძიმე მატჩი გველოდა, ეს ყველამ ვიცოდით, განსაკუთრებული მობილიზებით ვითამაშეთ და დიდი ანგარიშით ამიტომაც მოვიგეთ.

**- ხომ არ მიიჩნევ, რომ ჩემპიონობის ბედი, ფაქტობრივად, სწორედ ამ ტურში გადაწყდა?**

- ასე არ ვფიქრობ, რადგან ჩემპიონატში ვითარება ისე დაიძაბა, რომ 6 ტურით ადრე მხოლოდ 4-ქულიანი უპირატესობა საკმარისი ვერ იქნება. არც ერთი ჩვენგანი არ მიიჩნევს, რომ საქმე გაკეთებულია. ან როგორ უნდა ჩავთვალოთ, როდესაც ორი მატჩი დაგვრჩა "ზესტაფონთან", გასვლაზე "ზუგდიდთან", "ჩიხურასთან" და "დილასთან", შინ კი – "ტორპედოსთან"?! ძალიან მძიმე მატჩები გველის. გადამწყვეტი გორში "დილასთან" შეხვედრა იქნება. თუმცა, 4-ქულიანი უპირატესობა ბევრს ნიშნავს, სხვაობა უნდა შევინარჩუნოთ და საქმე ჩემპიონობამდე მივიყვანოთ.

**- "ტორპედოსთან" და "ჩიხურასთან" აბსოლუტურად სხვადასხვა თამაშები აჩვენეთ. ქუთაისში ვერ მოიგეთ, მაგრამ კარგი და სწრაფად ითამაშეთ, საჩხერელებთან კი შენელებული კადრები ვიხილეთ.**

- ყველა შეხვედრას ერთ ტემპში ვერც ერთი გუნდი ვერ ჩაატარებს. ამიტომ ეს არ გაგიკვირდეთ. თამაშის ტემპი მეტოქეზეც არის დამოკიდებული. ჩემი აზრით, გია გეგუჩაძის "ტორპედო" საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს. ამანაც განაპირობა, ორივე გუნდს გახსნილი და სწრაფი თამაში რომ გამოგვივიდა. "ჩიხურას" ფეხბურთელები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ფავორიტები მაინც ჩვენ ვიყავით. მათ კი კონტრშეტევაზე ითამაშეს და აქედან გამომდინარე, მაღალი ტემპი ვერ იქნებოდა.

**- ამ კუთხით, სერბეთის ჩემპიონატი ბევრად გჯობია?**

- დიახ, რადგან იქ შემტევ ფეხბურთს გაცილებით მეტი გუნდი აჩვენებს.

**- თავდასხმაში თამაში შენი ოცნება გახდა. დიდი ხნის პაუზის შემდეგ, დუშან უჰრინმა ჩვეულ პოზიციაზე "ჩიხურასთან" გათამაშა.**

- მწვრთნელის გადაწყვეტილებამ ძალიან გამახარა, მომენატრა თავდასხმელობა. მგონია, რომ ჩემი თამაშით მწვრთნელიც არ დარჩებოდა უკმაყოფილო.

**- "დინამოში" თუ რჩები?**

- გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და ჯერ მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობ. მაგრამ ხვალ რა იქნება, ნამდვილად ვერ გეტყვით. ფეხბურთელის ცხოვრება ისეთია, შეიძლება, ხვალ დაუგეგმავად ახალ კლუბში აღმოჩნდე. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კი, ალბათ, "დინამოში" დავრჩები.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ახალი გუნდის დებიუტი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელიც 1996 წელს დაბადებული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. შეგახსენებთ, **გიორგი დევდარიანის** მიერ გაწვრთნილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდამდე მიაღწია.

საქმეში კი უკვე ჩაერთო 17-წლამდელთა შემდეგი თაობა, რომელიც შემოდგომაზე ელიტრაუნდის შესარჩევ მატჩებს თბილისში ითამაშებს. გუნდს სათავეში **ნოდარ აკობია** უდგას.

საქართველოს ნაკრები ბულგარეთის ოთხთა ტურნირისთვის ემზადება, სადაც ჩვენი გუნდი 16 აპრილს გაემგზავრება. აკობიამ ფეხბურთელები სასტუმრო "ბატესტაში" შეკრიბა, ვარჯიშები კი სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ტარდება.

სფფ-ის ვებგვერდზე სანაკრებო შემადგენლობა გამოქვეყნდა:

მეკარეები: **ბექა ქურდაძე** (საბურთალო), **გიორგი კულუა** (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები: **რატი კაკიაშვილი, ცოტნე ნადარაია, რუსლან ბედიევი, გუგა თვარაძე** (ყველა - საბურთალო), **ნიკა კევლიშვილი** (ლოკომოტივი, თბილისი), **გიორგი სადლობელაშვილი** (დინამო, თბილისი);

ნახევარმცველები: **ვასილ კაციტაძე** (დინამო, თბილისი), **გიორგი კიკნაძე, ირაკლი კამლაძე** (ორივე - ლოკომოტივი, თბილისი), **ნიკა ქორიძე** (35-ე სკოლა), **ლადო მამუჩიშვილი, ირაკლი ბიძინაშვილი** (ორივე - საბურთალო), **შერმადინ ართმელაძე** (მუქურა, ქობულეთი), **გიორგი ბერიძე** (ჩიხურა, საჩხერე), ნიკა **ლაშხია** (ბაია, ზუგდიდი);

თავდამსხმელები: **ბექა მიქელთაძე** (ზესტაფონი), **გურამ გოშთელიანი, დათო წოწონავა** (ორივე - საბურთალო), **გიორგი არაბიძე, გიორგი ღვინაშვილი** (ორივე - ლოკომოტივი, თბილისი), **გიორგი ჯობავა** („ოსერი", საფრანგეთი).

**ტურნირის განრიგი ასეთია**

**17 აპრილი**

**ბულგარეთი-კვიპროსი**

**თურქეთი-საქართველო**

*(სტადიონი „ორიზარი". დასაწყისი 19:00)*

**18 აპრილი**

**ბულგარეთი-საქართველო**

*(სტადიონი „ბერკუტი". დასაწყისი 16:30)*

**თურქეთი-კვიპროსი**

**20 აპრილი**

**ბულგარეთი-თურქეთი**

**კვიპროსი-საქართველო**

*(სტადიონი „ორიზარი". დასაწყისი 13:00)*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი.



# იბერია ამჯერად დამარცხდა

საქართველოს ჩემპიონმა უეფას თასის ოთხთა ფინალისთვის მზადების უცხოური ეტაპი დაასრულა. "იბერია სტარი" ბაქოში ოთხი დღით იმყოფებოდა, რათა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფუტსალის კლუბთან, ნახჭევნის "არაზთან" სპარინგებში სათამაშო ტონუსი შეენარჩუნებინა, მწვრთნელს, **სერჟიო ზენატის** კი გუნდის დადებით და უარყოფით მხარეებზე წარმოდგენა შეჰქმნოდა.

პირველ შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონმა 3:1 გაიმარჯვა, გუშინ კი გუნდები ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდნენ. ამჯერად "არაზმა" იმარჯვა – 5:2. "იბერია" თბილისში დღეს დაბრუნდება და ოთხთა ფინალისთვის მზადებას გააგრძელებს.

თემას ეროვნული ჩემპიონატით გავაგრძელებთ. მესამე ტურის გადადებულ შეხვედრაში (რაც თსუ-ში მცირეხნიანი ფინანსური პრობლემებით იყო გამოწვეული) თსუ-მ ენერგეტიკული კომპანიის გუნდი GIEC დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა. თავი გამოიჩინა **შოთა ჭანუყვაძემ**, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 12 | 12 | 0 | 0 | 99-18 | 36 |
| 2. თსუ | 10 | 8 | 0 | 2 | 65-24 | 24 |
| 3. სოკარი | 11 | 6 | 0 | 5 | 68-36 | 18 |
| 4. თელასი | 9 | 6 | 0 | 3 | 46-25 | 18 |
| 5. GIEC | 14 | 2 | 0 | 12 | 38-94 | 6 |
| 6. ბურჯი | 12 | 0 | 0 | 12 | 21-140 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გიორგი ტიკურიშვილი ("სოკარი") | 22 |
| ფუსტე ("იბერია სტარი") | 20 |
| აუგუსტო ("იბერია სტარი") | 15 |

**მერაბ მამულაშვილი**

**პირველი ლიგა, XXIV ტური**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სულორი – დინამო | 0:1 |
| რაჭა – სქური | 2:1 |
| ბეთლემი – მეშახტე | 2:1 |
| იმერეთი – სტუ | 3:2 |
| ჭიათურა – გაგრა | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 23 | 19 | 2 | 2 | 63-14 | 59 |
| 2. სასკო | 23 | 17 | 2 | 4 | 68-22 | 53 |
| 3. დინამო-2 | 24 | 15 | 4 | 5 | 70-34 | 49 |
| 4. გაგრა | 24 | 14 | 3 | 7 | 45-25 | 45 |
| 5. სტუ | 24 | 10 | 2 | 12 | 52-57 | 32 |
| 6. მეშახტე | 24 | 8 | 6 | 10 | 27-48 | 30 |
| 7. ბეთლემი | 24 | 9 | 2 | 13 | 29-54 | 29 |
| 8. იმერეთი | 24 | 8 | 5 | 11 | 26-34 | 29 |
| 9. სქური | 24 | 7 | 7 | 10 | 25-38 | 28 |
| 10. ჭიათურა | 24 | 5 | 6 | 13 | 22-40 | 21 |
| 11. სულორი | 24 | 4 | 4 | 16 | 20-54 | 16 |
| 12. რაჭა | 24 | 4 | 3 | 17 | 25-52 | 15 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მერცხალი – სამგურალი | 0:0 |
| ჩხერიმელა – კოლხეთი (ხ) | 2:1 |
| ლიახვი – სამტრედია | 1:1 |
| ადელი – ლოკომოტივი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 20 | 17 | 2 | 1 | 55-8 | 53 |
| 2. შუქურა | 21 | 14 | 3 | 4 | 42-16 | 45 |
| 3. კოლხეთი | 22 | 13 | 2 | 7 | 30-23 | 41 |
| 4. ლოკომოტივი | 22 | 12 | 5 | 5 | 55-25 | 41 |
| 5. სამტრედია | 22 | 12 | 3 | 7 | 37-28 | 39 |
| 6. სამგურალი | 22 | 10 | 7 | 5 | 44-31 | 37 |
| 7. ალგეთი | 21 | 7 | 3 | 11 | 31-39 | 24 |
| 8. მერცხალი | 22 | 3 | 8 | 11 | 27-38 | 17 |
| 9. ლიახვი | 22 | 3 | 6 | 13 | 21-51 | 15 |
| 10. ჩხერიმელა | 22 | 4 | 1 | 17 | 23-66 | 13 |
| 11. ადელი | 22 | 4 | 0 | 18 | 24-64 | 12 |

**II ლიგა, აღმოსავლეთი ზონა**

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| აფხაზეთი/ნ. დინამო – საქ. უნივ. | 0:6 |
| გაგრა-2 – სპარტაკი-2 | 3:1 |
| ივერია – დუშეთი | 3:0 |
| იბერია – ლაგოდეხი | 3:1 |
| ალგეთი XXI – იუსი ბესტი | 0:1 |
| ქართლი-2011 – ფარავანი | 8:0 |
| აბული – ლიახვი-2 | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი | 17 | 16 | 1 | 0 | 66-7 | 49 |
| 2. იუსი ბესტი | 18 | 13 | 3 | 2 | 57-15 | 42 |
| 3. ივერია | 18 | 13 | 1 | 4 | 56-30 | 40 |
| 4. საქ. უნივერს. | 18 | 12 | 2 | 4 | 49-25 | 38 |
| 5. სპარტაკი-2 | 18 | 10 | 1 | 7 | 44-29 | 31 |
| 6. დუშეთი | 17 | 9 | 3 | 5 | 39-24 | 30 |
| 7. გაგრა-2 | 17 | 9 | 1 | 7 | 54-40 | 28 |
| 8. ლიახვი-2 | 18 | 5 | 3 | 10 | 23-34 | 18 |
| 9. აბული | 16 | 4 | 6 | 6 | 22-32 | 18 |
| 10. ლაგოდეხი | 18 | 4 | 1 | 13 | 30-57 | 13 |
| 11. იბერია | 17 | 4 | 1 | 12 | 33-62 | 13 |
| 12. ალგეთი | 17 | 4 | 0 | 13 | 21-40 | 12 |
| 13. ნ. დინამო | 17 | 4 | 0 | 13 | 21-75 | 12 |
| 14. ფარავანი | 16 | 2 | 1 | 13 | 15-60 | 7 |

**ჭაბუკთა ლიგა, XXI ტური**

**1995/96 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია – დინამო (ბთ) | 1:0 |
| კოლხეთი (ფ) – ლოკომოტივი | 0:7 |
| მერანი – ტორპედო | 3:3 |
| ჩიხურა – საბურთალო | 0:2 |
| ზესტაფონი – სიონი | 3:0 |
| ბაია – დინამო (თბ) | 1:6 |
| დილა – მეტალურგი | 2:0 |
| ზუგდიდი – 35-ე ს.ს. | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 21 | 16 | 2 | 3 | 56-19 | 50 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 15 | 4 | 2 | 49-16 | 49 |
| 3. ლოკომოტივი | 21 | 13 | 4 | 4 | 57-20 | 43 |
| 4. დილა | 20 | 13 | 3 | 4 | 38-21 | 42 |
| 5. საბურთალო | 19 | 12 | 1 | 6 | 42-26 | 37 |
| 6. დინამო (თბ) | 21 | 11 | 2 | 8 | 54-32 | 35 |
| 7. ზუგდიდი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-40 | 33 |
| 8. ტორპედო | 21 | 9 | 6 | 6 | 44-27 | 33 |
| 9. ზესტაფონი | 21 | 9 | 4 | 8 | 32-33 | 31 |
| 10. ბაია | 20 | 5 | 6 | 9 | 32-49 | 21 |
| 11. დინამო (ბთ) | 21 | 5 | 5 | 11 | 19-31 | 20 |
| 12. სიონი | 21 | 5 | 4 | 12 | 22-33 | 19 |
| 13. კოლხეთი | 21 | 4 | 7 | 10 | 16-43 | 19 |
| 14. 35-ე ს.ს. | 21 | 5 | 2 | 14 | 23-41 | 17 |
| 15. ჩიხურა | 21 | 2 | 4 | 15 | 17-63 | 10 |
| 16. მერანი | 21 | 1 | 5 | 15 | 23-61 | 8 |

**1997–98 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| დილა – მეტალურგი | 1:0 |
| ბაია – დინამო (თბ) | 0:3 |
| ზესტაფონი – სიონი | 3:0 |
| ჩიხურა – საბურთალო | 0:8 |
| მერანი – ტორპედო | 0:5 |
| კოლხეთი (ფ) – ლოკომოტივი | 0:5 |
| ვიტ ჯორჯია – დინამო (ბთ) | 6:0 |
| ზუგდიდი – 35-ე ს.ს. | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 211 | 17 | 2 | 2 | 92-15 | 53 |
| 2. ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 80-17 | 53 |
| 3. საბურთალო | 20 | 16 | 4 | 0 | 102-8 | 52 |
| 4. ბაია | 20 | 12 | 4 | 4 | 43-16 | 40 |
| 5. 35-ე ს.ს. | 21 | 11 | 3 | 7 | 35-16 | 36 |
| 6. დილა | 21 | 11 | 2 | 8 | 29-23 | 35 |
| 7. მეტალურგი | 21 | 11 | 1 | 9 | 30-28 | 34 |
| 8. ტორპედო | 21 | 10 | 4 | 7 | 38-29 | 34 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 3 | 8 | 31-21 | 33 |
| 10. ზესტაფონი | 21 | 9 | 2 | 10 | 29-55 | 29 |
| 11. კოლხეთი (ფ) | 21 | 6 | 4 | 11 | 15-34 | 22 |
| 12. მერანი | 21 | 4 | 6 | 11 | 23-34 | 18 |
| 13. დინამო (ბთ) | 21 | 5 | 1 | 15 | 12-58 | 16 |
| 14. ზუგდიდი | 21 | 4 | 4 | 13 | 13-47 | 16 |
| 15. ჩიხურა | 21 | 0 | 4 | 17 | 8-85 | 4 |
| 16. სიონი | 21 | 0 | 2 | 19 | 7-101 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# სენსაციების გარეშე

## ინგლისს მხოლოდ ჩელსი დარჩა

**რუბინი–ჩელსი 3:2 (1:3)**

**გოლები:** 0:1 ტორესი (5), 1:1 მარკანო (51), 1:2 მოიზესი (55), 2:2 კარადენიზი (62), 3:2 ნატხო (75-პენ.).

**რუბინი (4-4-1-1):** რიჟიკოვი - კუზმინი (46. კალეშინი), მარკანო, ნავასი, ანსალდი - კარადენიზი, ორბაისი (66. დიადიუნი), ნატხო, კასაევი (72. რიაზანცევი) - ერემენკო - რონდონი.

**ჩელსი (4-4-1-1):** ჩეხი - ასპილიკუეტა, ტერი, დავიდ ლუისი, პაულო ფერეირა - მოზესი, რამირესი (60. ობი მიკელი), აკე, ბენაიუნი (77. ოსკარი) - ლამპარდი (90. ივანოვიჩი) - ტორესი.

**გაფრთხილება:** მარკანო (რუბინი).

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 8-6; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 20-8(7-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 25 000

**ბაზელი–ტოტენჰემი 2:2 პენ. 4:1 (2:2)**

**გოლები:** 0:1 დემპსი (23), 1:1 სალა (27), 2:1 დრაგოვიჩი (27), 2:2 დემპსი (82).

**ბაზელი (4-5-1):** ზომერი - დეგენი, შერი, დრაგოვიჩი, პაკ ჯუ ჰო - სალა (111. ა. ფრაი), ელ ნენი, ფ. ფრაი, დი (59. დიაზი), შტოკერი (70. შტეინჰოფერი) - შტრელერი.

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ფრიდელი - უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ნოტონი (79. ასუ-ეკოტო) - დემბელე (59. ქეროლი), პარკერი (77. ჰადლსტოუნი) - ჰოლტბი, დემპსი, სიგურდსონი - ადებაიორი.

**გაფრთხილება:** შტოგერი, დი, ელ ნენი, შტრელერი - დოუსონი, ნოტონი, უოლკერი, დემპსი, დემბელე.

**გაძევება:** ვერტონგენი (90. ტოტენჰემი).

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 14-14(7-9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 38 000

**ლაციო–ფენერბაჰჩე 1:1 (0:2)**

**გოლები:** 1:0 ლულიჩი (60), 1:1 ერკინი (73).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - ბიავა (56. კლოზე), სიანი, ცანა, რადუ - კანდრევა, ლედესმა, ერნანესი, ედერსონი (73. ფლოკარი), ლულიჩი - კოზაკი (77. როცი).

**ფენერბაჰჩე (4-3-2-1):** დემირელი - გიონული, იობო, ქორქმაზი, ციგლერი - მეირელეში, ბარონი (73. უკანი), შაჰინი - კუიტი, ერქინი (87. კრასიჩი) - ვებო (80. თოფუზი).

**გაფრთხილება:** ლულიჩი, კოზაკი, კლოზე - ციგლერი, ერქინი, ბარონი.

**კუთხური:** 13-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 15-2(7-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 0

**ნიუკასლი–ბენფიკა 1:1 (1:3)**

**გოლები:** 1:0 სისე (71), 1:1 სალვიო (90).

**ნიუკასლი (4-4-1-1):** კრული - სიმპსონი, ვილიამსონი, იანგა-მბივა, აიდარა (67. მარვე) - სისოკო, ანიტა (62. ბენ არფა), ბიგირიმანა (46. შოლა ამეობი), გუტიერესი - კაბაი - სისე.

**ბენფიკა (4-5-1):** არტურ მორაეში - ანდრე ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, მელგარეჟო - ჯონი (76. როდრიგო), სალვიო (90. ჟარდელი), მატიჩი, პერესი, გაიტანი - ლიმა (72. კარდოსო).

**გაფრთხილება:** იანგა-მბივა, ვილიამსონი, კაბაი, სისე - არტურ მორაეში, პერესი, ანდრე ალმეიდა.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 10-12(5-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 52 000


ლონდონის „ჩელსიმ“ ყაზანის „რუბინთან“ წააგო, მაგრამ ნახევარფინალში მაინც გავიდა

ევროპალიგის მეოთხედფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩები მთლიანობაში ლოგიკურად დასრულდა და სენსაცია არ მომხდარა. მართალია, „ტოტენჰემი“ გამოეთიშა გათამაშებას, მაგრამ პირველი მატჩის შემდეგ, ფავორიტი სწორედაც რომ „ბაზელი“ გახლდათ.

„ლაციოს“ და „ნიუკასლს“ პირველი მატჩები ორ-ბურთიანი ფორით ჰქონდათ წაგებული და ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ამ ფორის აღმოფხვრას შეძლებდნენ. ასეც მოხდა - იტალიელებმა გაიბრძოლეს თურქებთან, მეორე ტაიმის შუაწელს ერთი ბურთი გაქვითეს კიდეც, მაგრამ მალევე, საპასუხო მიიღეს და ყველა კითხვას გაეცა პასუხი. იგივე სცენარი იყო „სენტ ჯეიმს პარკზეც“, სადაც „ნიუკასლმა“ გახსნა ანგარიში, მეორე გოლის გასატანად შემართულმა კი აქეთ გაუშვა და მომდევნო ეტაპზე „ბენფიკა“ გავიდა.

პირველი მატჩი, ორ-ბურთიანი უპირატესობით ჰქონდა მოგებული „ჩელსისაც“ და ყაზანში ლონდონური გუნდი მშვიდად ჩავიდა. განმეორებითი შეხვედრა „რუბინმა“ 3:2 მოიგო, მაგრამ ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს - ბრიტანელთა წარმატება ერთი წუთითაც არ დამდგარა ეჭქვეშ, რადგან „არისტოკრატები“ ორჯერ იგებდნენ და შესაბამისად, „რუბინს“ მხოლოდ 5 გოლის გატანა თუ უშველიდა. მოკლედ, ანგარიში კი გამოვიდა საბრძოლო, მაგრამ მთლიანობაში, „ჩელსიმ“ მაინც იოლად გაიკვლია გზა.

ყველაზე დაძაბული „ბაზელის“ და „ტოტენჰემის“ დაპირისპირება გამოდგა - მეორე მატჩიც, პირველის მსგავსად 2:2 დასრულდა და თამაში დამატებით დროში გადავიდა. იქ უკვე გუნდებს აღარ გაურისკავთ, ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ და შედეგად, საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა. „საფეხბურთო ლატარეაში“ შვეიცარიელებს გაუმართლათ და მომდევნო ეტაპზეც ისინი იასპარეზებენ.

**ლაშა წიკლაური**

# შეჩერებული და წარმატებული ბიზნესი



8 აპრილს, ბიზნესმენმა ცეზარ ჩოჩელმა ჟურნალისტებისთვის მედიატური მოაწყო, რომლის ფარგლებშიც სამი საწარმო, რკინა-ცემენტის ქარხანა „შპალი“, ყველასთვის საყვარელი საკონდიტრო ნაწარმი „ბარამბოსა“ და ლუდი „ზედაზენის“ ქარხანა დავათვალიერეთ.

პირველ რიგში, რკინა-ცემენტის ქარხანა „შპალი“ მოვინახულეთ, სადაც ბიზნესმენის თქმით, მუშაობა შეჩერებული იყო. ცეზარ ჩოჩელმა ქარხნის ძველი და ახალი ფოტოები დაგვათვალიერებინა, „სანამ ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდოდა, ასეთი იყო ქარხანა. ჩვენ კი, აქაურობა ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ ვილაცას არ უნდა ბიზნესის ეს სფერო საქართველოში განვითარდეს და სხვადასხვა მიზეზებით მუდმივად გვეშლებოდა ხელი... ახლა 100 ათასამდე შპალი აწყვია ეზოში. ქარხანაში ინახება 10 ათასი ელექტრობოძი, რაც ნიშნავს, რომ ქარხანა პარალიზებულია და ეს რამდენიმე მილიონიან ზარალს უდრის... ჯერ იმ 75-ტომიან ბრალდებას უნდა გავეცნო, რომელიც ჩემს წინააღმდეგ არის შედგენილი და შემდეგ უნდა გავაგრძელო მუშაობა. არასდროს, არც ერთი ხელისუფლების ლობი არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ბიზნესს თავისუფალი გარემო სჭირდება და იმედია, საქართველოში ოდესმე დადგება ეს დრო“ — განაცხადა ცეზარ ჩოჩელმა ჟურნალისტებთან საუბარში და ბოლო დროს მისი ბიზნესში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

შემდგომ ჯერი ყველასთვის ჩაყვარელი ტკბილეულის ქარხნის „ბარამბოს“ დათვალიერებაზე მიდგა, მაღალტექნოლოგიურ საწარმოში მხოლოდ ჰიგიენის განსაკუთრებული ნორმების დაცვის შემდეგ შეგვიშვეს. შენობაში ათასგვარი ტკბილეულის სურნელი ტრიალებდა. ცნობისმოყვარე ჟურნალისტები თავად შევესწარით უგემრიელესი შოკოლადის ფილებად ჩამოსხმისა და შეფუთვის პროცესს.

იქიდან კი საგურამოში, „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ გამართულ ლუდი „ხევსურულის“ პრეზენტაციაზე გავემართეთ. ღონისძიება ძალიან მხიარულ და საინტერესო ვითარებაში მიმდინარეობდა. ლუდსახარშ „ზედაზენის“ ეზოში შეკრებილი საზოგადოება იქვე მომზადებულ ხინკალს, მწვადსა და იქვე ჩამოსხმულ ახალ ლუდს აჭაშნიკებდა... საგურამოს სუფთა ჰაერი ტრადიციული კერძების სასიამოვნო სურნელით იყო გაჯერებული. „ხევსურულის“ პრეზენტაცია გაცოცხლებული ხევსურული ტრადიციებით მიმდინარეობდა. „ქართული ლუდის კომპანია“ ბაზარზე ერთი წლის არსებობას აღნიშნავდა.

ლუდის დალოცვა, ხევისბერი, ხევსურები და ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ლექსები და სიმღერები, განსაკუთრებულ პეწს სძენდნენ საღამოს. ხევისბერ ბეწინურ არაბულის მიერ აკანკალებული ხელებით ნამწყალობევნ ახალ ლუდსა და მელოდიასავით ტკბილად წაკითხულ ლოცვას ემოციის გარეშე არ ჩაუვლია...

„საქართველოს ლუდის კომპანიამ“ გაითავისა თავისი ფუნქცია, შექმნას საამაყო ქართული პროდუქცია. ჩვენ გავითავისეთ პასუხისმგებლობა, რომ უნდა შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ეროვნული ტრადიციები. შევქმნათ ახალი, ქართული, ტრადიციული ლუდი ბრენდით, — „ხევსურული“. ჩვენ ვთანამშრომლობდით ცნობილ ქართველ ეთნოგრაფებთან და გამოვკითხეთ მემატიანეები, უხუცესი ხევისბერები, რათა ინფორმაცია შეგვეჯერებინა და ლუდის თანამედროვე წარმოების პროფესიონალებისთვის კონკრეტული დავალება მიგვეცა, - შეექმნათ საუკუნეების წიაღში ხევსურეთის მთებში განვითარებული ტრადიციული ლუდის თანამედროვე ანალოგი. მათი ხანგრძლივი შრომის შედეგად შეიქმნა შედარებით მუქი ფერის, მდიდარი არომატისა და განსაკუთრებულად სავსე გემოს მქონე ლუდი — „ხევსურული“. მის დასამზადებლად გამოყენებულია სამი ძვირფასი სახეობის გერმანული ალაოს უნიკალური კუპაჟი/ნარევი. ჩვენ არ ვლალატობთ მიდგომას და პროდუქციის შესაქმნელად მაღალი ხარისხის ნედლეულს, ზედაზნის უგემრიელეს და ნატურალურ წყალს ვიყენებთ, რომელსაც მაღალტექნოლოგიურ საწარმოში, ლუდის პროფესიონალების საამაყო გუნდის დახმარებით, განუმეორებელი გემოს მქონე ლუდად ვაქცევთ“ — გვითხრეს „ქართული ლუდის კომპანიაში“.

**ლალი პაპასკირი**

®



# უცხოური ფეხბური

## დოსიე



| | |
|---|---|
| სახელი | გარი |
| გვარი | კეჰილი |
| დაიბადა: | 19.12.85 |
| **საკლუბო კარიერა:** | |
| ასტონ ვილა | 2004/2008 |
| ბარნლი (იჯარა) | 2004/2005 |
| შეფილდ თონ (იჯარა) | 2007/2008 |
| ბოლტონი | 2008/2012 |
| ჩელსი | 2012-დან |
| **ინგლისის ნაკრები** | |
| 2010-დან. 14 თამაში | |
| **ტიტულები:** | |
| ასოციაციის თასი | 2011/12 |
| ჩემპიონთა ლიგა | 2011/12 |

ვარსკვლავი

# გარი კეჰილი: მოედნიდან ვალმოხდილი უნდა გახვიდე

**გარი კეჰილი** „ჩელსიში" 2012 წლის იანვარში „ბოლტონიდან" გადავიდა. მას შემდეგ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა, მაგრამ 27 წლის ცენტრალური მცველი იმდენად იოლად შეეგუა ლონდონელებს, რომ მის გარეშე გუნდის წარმოდგენა უკვე ძალიან ჭირს. ფეხბურთელი ამჟამად ტრავმას მკურნალობს, თუმცა გარიმ „ჩელსის" საკლუბო ჟურნალთან ინტერვიუსთვის მაინც მოიცალა. ლონდონელთა უკანახაზელი საინტერესო თემებზე მსჯელობს:

- ვფიქრობ, ბოლო წლებში მსოფლიოს საუკეთესო მცველების თამაშმა დაადასტურა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, წინასწარ განჭვრიტო მოვლენათა განვითარება და საფრთხე ასე აიცილო თავიდან. უნდა იგრძნო მომენტი, როცა მეტოქე დარტყმას აპირებს, სწორი პოზიცია დაიკავო და დაბლოკო. წინათგრძნობა და ინსტინქტი ასეთ დროს დიდ როლს თამაშობს. მე მაგალითად უკვე კარგად ვიცი, კონკრეტულ დროს სად უნდა ვიდგე, რადგან ფეხბურთს უკვე ძალიან დიდი ხანია ვთამაშობ. მოედანზე ბევრი ფიქრი არ ვარგა, რადგან არასოდეს იცი, როგორ განვითარდება მოვლენები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძლიერ ფეხბურთელებს ეთამაშები.

რაც უფრო მაღალ დონეზე თამაშობ, შენგან ყოველთვის უფრო მეტს ელიან, ვიდრე იქამდე ითხოვდნენ. ამაზე პირადი მაგალითით შემიძლია ვიმსჯელო, რადგან მახსოვს, რას ითხოვდნენ ჩემგან ჩემპიონშიპში და რას ითხოვენ ნაკრებში თამაშისას. უმაღლეს დონეზე ასპარეზობისას ვალდებული ხარ, ყველაფერი მოასწრო. არა მხოლოდ თავდაცვა, შეტევაშიც უნდა მიეხმარო შენს გუნდს და ბურთის ართმევაშიც მიიღო მონაწილეობა.

ერთ-ერთი მთავარი სხვაობა „ბოლტონსა" და „ჩელსის" შორის, ის არის, თუ რა დონეზე შეგიძლია საკუთარი თავის გამოცდა. თამაშს შენი თავი მთლიანად უნდა მიუძღვნა და მომართული იყო. როცა ისეთ ფეხბურთელს ეთამაშები, რომელზეც ყველანი აღმატებულ ტონში ლაპარაკობენ, შენთვის ეს შესაძლოა დამატებითი მოტივაცია იყოს. ამ დროს გინდა, რაც შეიძლება ცოტა შანსი მისცე მეტოქეს. ასეთ ფეხბურთელებზე ამბობენ, რომ ისინი უმაღლესი კლასისანი არიან. ამ დროს მაქსიმალურად მობილიზებული ხდები და ყველაფერს აჩვენებ, რაც შეგიძლია. როცა შენი გუნდი თამაშს მშრალად ასრულებს, აცნობიერებ, რომ მეტოქეს მაქსიმალურად ეფექტურად ეთამაშე ან საერთოდ შანსი არ მიეცი. ეს უზარმაზარ სიამოვნებას გგვრის. ყოველთვის მინდა, მოედნიდან ისე გავდიოდე, რომ შესრულებული მისიის განცდა თან მიმყვებოდეს.



გარი კეჰილი

არსენალი



არსენ ვენგერი

# მეთოფეთა აზიური ტურნე

2013/14 წლების სეზონისთვის მოსამზადებლად „არსენალი" ხანგრძლივ აზიურ ტურნეში გაემგზავრება. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „მეთოფეთა" ორი მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია. Saitama Summer Cup-ის ეგიდით, 22 ივლისს ლონდონელები „ურავა რედ დაიმონდს" შეხვდებიან, 26-ში - „ნაგოია გრამპუს ეითსს". იაპონიამდე **არსენ ვენგერის** შეგირდები ინდონეზიას ეწვევიან, სადაც ჯაკარტაში 13 ან 14 ივლისს 90-ათასიან „გელორა ბუნგ კარნოზე" პირველ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ, ოღონდ ვისთან, ცნობილი ჯერ არ არის. თამაშის გარდა ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების პირისპირ შეხვედრაც არის დაგეგმილი. ინდონეზიაში „არსენალი" უკანასკნელად 1983 წელს იმყოფებოდა, რაც შეეხება იაპონიას, ლონდონელები ამ ქვეყანას 2011 და 2012 წლებშიც სტუმრობდნენ. *„მოხარული ვარ, რომ იაპონიაში ვბრუნდები, ქვეყანაში, სადაც დაუვიწყარი ორი წელიწადი გავატარე, იქამდე, ვიდრე „არსენალში" დავინიშნებოდი. ვიცი, თუ რამხელა მხარდაჭერა აქვს „ნაგოიას" საკუთარ „ტოიოტა არენაზე" ან „ურავას". ჩემპიონატის თამაშების დროს ამ გუნდების თამაშებზე ზღვა ხალხი დადის. ამის მიუხედავად, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი იაპონელი გულშემატკივრები თბილ დახვედრას მოგვიწყობენ,"* - განაცხადა **არსენ ვენგერმა.**

### ხუთი მილიონი სოშოს

Goal.com-ის ინფორმაციით, „არსენალმა" საფრანგეთის ლიგა 1-ის „სოშოს" 22 წლის მარჯვენა მცველ **სებასტიენ კორშიაში** 5 მილიონი ევრო შესთავაზა, რის შემდეგაც მხარეები სატრანსფერო თანხაზე იოლად შეთანხმდნენ. ახალგაზრდა ფრანგი „ემირიტსზე" თანამემამულე **ბაკარი სანიას** შემცვლელად განიხილება, ვინც სეზონის დასრულების შემდეგ კარიერას ალბათ „პარი სენ-ჟერმენში" განაგრძობს. თებერვალში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კორშიას გადაბირებას ზაფხულზე მიუნხენის „ბაიერნი" შეეცდებოდა. მიუნხენელებს ის **ფილიპ ლამის** დუბლიორად სჭირდებოდათ. სიმართლე ითქვას, სებასტიენს არც ლონდონში აქვს გარანტირებული ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მას სასტარტოსთვის ბრძოლა **კარლ ჯენკინსონთან** მოუწევს.

პორტსმუთი

# პორტსმუთი... ფანების საკუთრებაში გადადის

„პორტსმუთი" ინგლისური ფეხბურთის გრანდად დიდი ხნის წინ მიიჩნეოდა. „პომპებს" ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ორჯერ - 1949 და 1950 წლებში აქვთ მოგებული. უკანასკნელი დიდი გამარჯვება კი 2008 წლის 17 მაისით თარიღდება, როცა ჰემპშირელებმა **ჰარი რედნაპის** ხელმძღვანელობითა და **ნვანკვო კანუს** ერთადერთი გოლის წყალობით ასოციაციის თასზე ფინალში „კარდიფს" სძლიეს (გზად „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერ იუნაიტედს" მოუგეს 1:0). ამ პერიოდისთვის სამხრეთელებს უკვე სერიოზული ფინანსური პრობლემები აწუხებდათ, რის გამოც იმავე წლის 25 ოქტომბერს რედნაპმა პოსტი დატოვა. კლუბი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ რეალურად არც ერთ ახალ მესაკუთრეს ორგანიზაციის განვითარების კონკრეტული გეგმა არ ჰქონია. **არკადი გაიდამაკის** ნაცვლად „პორტსმუთი" ჯერ ვინმე **სულეიმან ალ-ფაჰიმმა** იყიდა, შემდეგ ასევე ნაკლებად ცნობილმა საქმოსანმა **ალი ალ ფარაჯიმ.** 2010 წლის მარტი ისტორიაში ყველაზე მძიმე გამოდგა. სასამართლომ გადამხდელუუნარიანობის არქონის გამო „პორტსმუთს" დროებითი მმართველი დაუნიშნა, რაც საფეხბურთო ასოციაციის წესებით ავტომატურად ნიშნავდა, რომ კლუბს ჩემპიონატში მოპოვებული 10 ქულა დააკლდა. 2010 წლის აგვისტოში „პორტსმუთი" კიდევ ერთი ინვესტორის ხელში გადავიდა. **ბარლამ ჩაინრაიმ** მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ მას ამხელა ვალების დასაფარი სახსრები არ გააჩნდა. რამდენიმე დღის წინ კლუბს ბიზნესმენები **ვლადიმირ ანტონოვი, რომან დუბოვი** და **კრის ეკერი** ფლობდნენ. აქედან პირველი ინგლისის პოლიციამ 2012 წლის გაზაფხულზე განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მიტაცების ბრალდების გამო ლიტვის სასამართლოს თხოვნის საფუძველზე დააკავა. ოთხშაბათს ლიგა ერთის აუტსაიდერად ქცეულმა კლუბმა მესაკუთრე კიდევ ერთხელ შეიცვალა. ამჯერად აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანია PST (Pompey Supporters Trust) გახდა, რომელიც, როგორ სახელიდან ხვდებით, გუნდის გულშემატკივართა და მხარდამჭერთა გაერთიანებას წარმოადგენს. 3 მილიონ გირვანქა სტერლინგად კლუბის გასხვისებაზე შეთანხმება იოლად შედგა, რაც შეეხება სტადიონ „ფრეტონ პარკს", „გარდიანის" ცნობით, მთავარი პრობლემა სწორედ ეს იყო და მოლაპარაკებების პროცესი სწორედ ამის გამო გაიწელა. *„როგორც იქნა ყველაფერი ცუდი დამთავრდა. ახლა ჩვენ უკვე შეგვეძლება „პორტსმუთის" ხელახალ აღორძინებაზე ვიფიქროთ,"* - აცხადებს PST-ის დირექტორი **ეშლი ბრაუნი.** ახალ მესაკუთრეებს უზარმაზარი სამუშაო ელით წინ. კლუბს საგადასახადო დავალიანების გარდა კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვაც მოუწევთ.




„პორტსმუთის" ახალ მესაკუთრეებს მთავარი საფიქრალი ამის შემდეგ ელით

ამბები

### ჰანტი ზაფხულზე გადაწყვეტს



ბრემენის „ვერდერის" 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **აარონ ჰანტმა** „მუსიკოსებს" თანამშრომლობის გაგრძელებაზე გადაკვრით უარი უთხრა. ფეხბურთელეს მოქმედი კონტრაქტი 2014 წლის ივნისში უმთავრდება. შესაბამისად, ბუნდესლიგელებს ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვება მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი წლის შემდეგ აარონი „ვეზერშტადიონს" უფასოდ დატოვებს. *„საკმაოდ ამბიციური ვარ იმისთვის, რომ 26 წლისას ევროთასებზე თამაშის პრეტენზია მქონდეს. შესაძლოა, ზაფხულზევე წავიდე სხვაგან და თუნდაც რომელიმე წამყვან ჩემპიონატში მოვსინჯო ჩემი ძალები. „ვერდერში" ბედნიერი ვარ, მაგრამ კონტრაქტის გამო ნერვიულობის საფუძველს ვერ ვხედავ. დავაკვირდები, რა გეგმები ექნება კლუბს ზაფხულის სატრანსფერო კამპანიის დროს. საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ,"* - აცხადებს ფეხბურთელი. მიმდინარე სეზონში ინგლისური ფესვების მქონე ფეხბურთელის ანგარიშზე 24 თამაშში 10 გოლი და 5 საგოლე გადაცემაა.

### გიოტცემ ინგლისელები მოხიბლა

„დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **მარიომ გიოტცემ** საფეხბურთო სამყაროს ასაკთან შედარებით დალევინებული თამაშით თავი რამდენიმე წელიწადია გააცნო. მასზე ნადირობა სადებიუტო სეზონის შემდეგვე დაიწყო. რურელები მარიოს ტრანსფერთან დაკავშირებულ ყველა შეთავაზებაზე აქამდე უარზე იყვნენ. „კიკერის" ცნობით, ამ ზაფხულს გიოტცეს გადაბირებას „არსენალი" და „მანჩესტერ სიტი" შეეცდებიან. მართალია, ფეხბურთელს „ბორუსიასთან" მოქმედი კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს, მაგრამ მას კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა წინასწარ აქვს განსაზღვრული. ასე რომ, თუკი ამ თანხას ვინმე გადაიხდის და წასვლას მარიოც მოინდომებს, გერმანიის ექსჩემპიონი ველარაფერს გააწყობს.

### იუნაიტედი იწვევს

Goal.com-ის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედს" „უიგანიდან" 22 წლის **ჯეიმს მაკარტის** შეძენა სურს. ირლანდიელი ნახევარმცველის კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდეა ძალაში. „ათლეტები" მას 6,5 მილიონ ფუნტად აფასებენ. ცხადია, მაკარტის უნდა ესმოდეს, რომ „ოლდ ტრეფორდზე" მას მხოლოდ სათადარიგო ფეხბურთელის როლი თუ ერგება. ვნახოთ, დათანხმდება თუ არა ის „ეშმაკების" წინადადებას.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

პრემიერლიგა

# ინგლისი ცვლილებებისთვის ემზადება

მიმდინარე წლის თებერვალში ინგლისის პროფესიული ლიგის წევრი კლუბები შეთანხმდნენ, რომ ფინანსური ფეარ პლეის წესები უნდა შემოეღოთ. ორი თვის წინ კენჭისყრაში მონაწილე 20 კლუბიდან 13-მა თანხმობა განაცხადა, 6-მა შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა („ფულჰემი", „ვესტ ბრომვიჩი", „მანჩესტერ სიტი", „ასტონ ვილა", „სუონსი", „საუთჰემპტონი"), მხოლოდ „რედინგმა" არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. იდეის მოწინააღმდეგეებმა გუშინდელ შეხვედრამდე კიდევ ერთხელ გამართეს თავიანთი დახურული შეხვედრა, სადაც დათქვეს, რომ წესების შემოღების შემთხვევაში ისინი გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებენ. ახალი კანონის თანახმად დაწესდება სახელფასო ჭერი და დადგენილ ნორმაზე მეტი საბიუჯეტო კრიზისის შემთხვევაში კლუბებს ჩემპიონატში ქულები დააკლდებათ.

გუშინ პრემიერლიგაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა. პროფესიულმა ლიგამ გოლის ფიქსაციის სისტემა Hawk Eye-ის („ქორის თვალი") დანერგვა საბოლოოდ გადაწყვიტა. ამრიგად, ინგლისის პრემიერლიგა პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი გახდა მსოფლიოში, რომლის ორგანიზატორებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გადაწყვიტეს. „ქორის თვალზე" საავტორო უფლებებს იაპონური კომპანია „სონი" ფლობს. სისტემა მატჩის არბიტრს ბურთის მიერ ხაზის გადაკვეთის შემდეგ ზუსტად ერთ წამში უგზავნის სიგნალს. საბოლოო გადაწყვეტილება, ჩათვლის თუ არა საეჭვო გოლს, ამის შემდეგაც, ცხადია, არბიტრზე იქნება დამოკიდებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები



კევინ კიგანი

## კიგანი მანჩინის მხარს უჭერს

**კევინ კიგანი** „მანჩესტერ სიტიში" 2001/2005 წლებში მუშაობდა. 2002 წელს სწორედ მან დააბრუნა გუნდი ინგლისური ფეხბურთის ელიტაში და იმის გათვალისწინებით, რომ მაშინ „ქალაქელებს" ფული ქრონიკულად არ ჰქონდათ, არც პრემიერლიგაში შეურცხვენია თავი: 2003 წელი მე-8 ადგილი, 2004 - მე-16, 2005 წლის 11 მარტს მან XXIX ტურში „ბოლტონთან" წაგების შემდეგ პოსტი საკუთარი ნებით დატოვა. სეზონი გუნდმა **სტიუარტ პირსმა** ხელმძღვანელობით ჩაამთავრა. „სიტი" საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავიდა. *„სპორტის არც ერთ სახეობაში შეკითხვაც კი არ დაისმებოდა, უნდა დარჩეს თუ არა მთავარი მწვრთნელი პოსტზე, ვინც გუნდში მოვიდა და 30-წლიანი პაუზის შემდეგ მას პირველი ოქროს მედლები მოუტანა. რობერტო მანჩინის გაშვებაზე მსჯელობა უბრალოდ სასაცილოა. მას ბრალად სდებენ, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში სუსტად ითამაშა. თუმცა ამ ხალხს ავიწყდება, რომ ამ ტურნირში ვერც „ჩელსი" ბრწყინავდა და ვერც „მანჩესტერ იუნაიტედი,"* - განაცხადა კოლეგის მხარდასაჭერად კიგანმა.



სამი ხედირა

## მოურინიო ხედირას ჩელსიში წაიყვანს

გერმანული „ბილდის" ცნობით, იმ შემთხვევაში, თუკი **ჟოზე მოურინიო** „ჩელსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნება, 50 წლის პორტუგალიელი ლონდონურ კლუბს პირველ რიგში **სამი ხედირას** ყიდვას მოსთხოვს. გულშემატკივარს ალბათ ახსოვს, რომ 2010 წელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების შემდეგ სამი პირველი იყო, ვინც „განსაკუთრებულმა" შეიძინა. მაშინ გულშემატკივართა ფართო წრისთვის ჯერ კიდევ უცნობ ფეხბურთელში მან 14 მილიონი ევრო გადაიხადა. გაზეთები ხედირას გარდა, მოურინიოს ზენიტელი **ჰალკის** ტრანსფერით დაინტერესებაზეც ბევრს წერენ.

## დეჟაგა სეზონის ბოლომდე

„ფულჰემისა" და ირანის ნაკრების 26 წლის მარჯვენა ნახევარმცველმა **აშკან დეჟაგამ** მუხლის ჯვარედინი მყესების უმძიმესი ტრავმა მიიღო და ცხადია, მისთვის სეზონი უკვე დასრულებულია. უახლოეს დღეებში მას ოპერაცია ელის. გამოჯანმრთელების სავარაუდო თარიღს ექიმები მხოლოდ ამის შემდეგ იტყვიან. როგორც წესი, მსგავსი დაზიანების შემდეგ მოედანზე დასაბრუნებლად ფეხბურთელებს 5-6 თვე სჭირდებათ ხოლმე.

**ლევან ბიბილაშვილი**



აშკან დეჟაგა

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXXI ტურის წინ

12 აპრილი

**ბეტისი-სევილია**

დისკვალიფიკაცია: ნავარო (სევ)
ტრავმა: ვილარჩაო, მარიო - ტროხოვსკი, კამპანია

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 | +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 31 თამაში: +7=13-11, (29-40)**

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*

*შენიშვნა: ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95-33 | 78 |
| 2. რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77-29 | 65 |
| 3. ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51-25 | 62 |
| 4. სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-39 | 51 |
| 5. ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 44-42 | 49 |
| 6. მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43-32 | 47 |
| 7. ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 8. ვალეკანო | 30 | 14 | 2 | 14 | 40-49 | 44 |
| 9. ხეტაფე | 30 | 12 | 8 | 10 | 38-44 | 44 |
| 10. სევილია | 30 | 12 | 5 | 13 | 45-42 | 41 |
| 11. ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35-46 | 40 |
| 12. ესპანიოლი | 30 | 10 | 9 | 11 | 37-39 | 39 |
| 13. ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33-51 | 35 |
| 14. ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 38-43 | 35 |
| 15. ოსასუნა | 30 | 8 | 7 | 15 | 26-35 | 31 |
| 16. გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-45 | 28 |
| 17. სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28-46 | 27 |
| 18. დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38-63 | 26 |
| 19. სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29-45 | 24 |
| 20. მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32-63 | 24 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXIX ტურის წინ

12 აპრილი

**ფრაიბურგი-ჰანოვერი 22:30**

**ტრავმა:** იოჰანეს ფლუმი, მარკო ტერაცინო, მუნირ ბუზიანი, სებასტიან ფრაისი – სამუელ რედლინგერი, მარიო ეგიმანი, ფელიპე, იანიკ შულცე, ლეონ ანდრეასენი, დენიზ აიჩიჩეკი, ველინგტონ ფრანსა, ნიკო გისელმანი, შაბოლტ პუშტი, საშა შიუნემანი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 11 თამაში: +2=4-5 (13-21)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 28 | 24 | 3 | 1 | 79-13 | 75 |
| 2. დორტმუნდი | 28 | 16 | 7 | 5 | 66-34 | 55 |
| 3. ლევერკუზენი | 28 | 14 | 7 | 7 | 51-36 | 49 |
| 4. შალკე | 28 | 13 | 6 | 9 | 48-43 | 45 |
| 5. ფრაიბურგი | 28 | 11 | 9 | 8 | 36-33 | 42 |
| 6. აინტრახტი | 28 | 12 | 6 | 10 | 42-40 | 42 |
| 7. გლადბახი | 28 | 10 | 11 | 7 | 36-37 | 41 |
| 8. მაინცი | 28 | 10 | 9 | 9 | 35-32 | 39 |
| 9. ჰანოვერი | 28 | 11 | 5 | 12 | 49-46 | 38 |
| 10. ნიურნბერგი | 28 | 9 | 11 | 8 | 33-35 | 38 |
| 11. ჰამბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 32-44 | 38 |
| 12. ვოლფსბურგი | 28 | 8 | 9 | 11 | 33-43 | 33 |
| 13. შტუტგარტი | 28 | 9 | 6 | 13 | 29-46 | 33 |
| 14. ვერდერი | 28 | 8 | 7 | 13 | 43-54 | 31 |
| 15. ფორტუნა | 28 | 7 | 8 | 13 | 33-43 | 29 |
| 16. აუგსბურგი | 28 | 5 | 9 | 14 | 25-44 | 24 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 5 | 17 | 33-52 | 23 |
| 18. ფიურტი | 28 | 2 | 9 | 17 | 18-46 | 15 |

**ბომბარდირები:** 21 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 18 - კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი); 13 - ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 12 - იბიშევიჩი (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი).

## საფრანგეთი

### ლიგა 1. XXXII ტურის წინ

12 აპრილი

**ვალანსიენი-სტ. ეტიენი 22:30**

ბოლო 6 თამაში

+0=3-3 | +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 57 თამაში: +12=13-32 (49:105)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 31 | 19 | 7 | 5 | 56-20 | 64 |
| 2. მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36-32 | 57 |
| 3. სტ. ეტიენი | 31 | 14 | 11 | 6 | 51-25 | 53 |
| 4. ლიონი | 31 | 15 | 8 | 8 | 49-33 | 53 |
| 5. ლილი | 31 | 14 | 10 | 7 | 48-31 | 52 |
| 6. ნიცა | 31 | 14 | 9 | 8 | 45-37 | 51 |
| 7. მონპელიე | 31 | 14 | 6 | 11 | 47-37 | 48 |
| 8. ლორიანი | 31 | 11 | 11 | 9 | 48-50 | 44 |
| 9. ბორდო | 31 | 10 | 13 | 8 | 29-26 | 43 |
| 10. რენი | 31 | 12 | 6 | 13 | 41-43 | 42 |
| 11. ტულუზი | 31 | 10 | 11 | 10 | 39-38 | 41 |
| 12. ბასტია | 31 | 11 | 6 | 14 | 42-56 | 39 |
| 13. ვალანსიენი | 31 | 9 | 9 | 13 | 41-48 | 36 |
| 14. აიაჩო | 31 | 8 | 12 | 11 | 32-40 | 34 |
| 15. რეიმსი | 31 | 8 | 10 | 13 | 29-37 | 34 |
| 16. სოშო | 31 | 8 | 8 | 15 | 32-47 | 32 |
| 17. ევიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 34-44 | 31 |
| 18. ნანსი | 31 | 7 | 9 | 15 | 29-47 | 30 |
| 19. ბრესტი | 31 | 8 | 5 | 18 | 29-48 | 29 |
| 20. ტრუა | 31 | 4 | 13 | 14 | 36-54 | 25 |

შენიშვნა: „აიაჩოს" - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 26 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 13 - ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 12 - ალიადიერი (ლორიანი).

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

# უგოლო დერბი

### V ჯგუფი. VI ტური

**კორინთიანსი-სან ხოსე 3:0**

**გოლები:** 1:0 რომარინიო (26), 2:0 გერერო (60), 3:0 ედენილსონი (90).
**გაძევება:** ტორდოია (45. სან ხოსე)

**ტიხუანა-მილიონარიოსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფ. მარტინესი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-2 | 13 |
| 2. ტიხუანა | 6 | 4 | 1 | 1 | 8-4 | 13 |
| 3. სან ხოსე | 6 | 1 | 2 | 3 | 5-11 | 5 |
| 4. მილიონარიოსი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-8 | 3 |

### VI ჯგუფი. V ტური

**რეალ გარს.-სერო პორტენიო 5:1**

**გოლები:** 1:0 ო. გამარა (9), 1:1 რ. ნანი (13), 2:1 მონტესი (37), 3:1 ვ. ფერეირა (73), 4:1 ფ. რამოსი (77), 5:1 ო. გამარა (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტა ფე | 5 | 3 | 2 | 0 | 7-4 | 11 |
| 2. რეალ გარს. | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 3. დეპ. ტოლიმა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| 4. სერო პორტენიო | 5 | 0 | 0 | 5 | 3-11 | 0 |

### VIII ჯგუფი. V ტური

**გრემიო-ფლუმინენსე 0:0**

**გაძევება:** კრისი (45. გრემიო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 5 | 2 | 2 | 1 | 4-5 | 8 |
| 2. გრემიო | 5 | 2 | 1 | 2 | 9-5 | 7 |
| 3. უაჩიპატო | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 4. კარაკასი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-11 | 6 |

**ბომბარდირები:** 5 - ბ. როდრიგესი (უაჩიპატო); 4 - ბარეირო (ოლიმპია), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე), გერერო (კორინთიანსი).

დღის მთავარი მატჩი პორტუ ალეგრიში გაიმართა. „გრემიომ" „ფლუმინენსეს" უმასპინძლა და მშვიდობიანად დაშორდა. ამ გუნდების ჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება და არის შანსი, რომ ორივე ბრაზილიური კლუბი ჯგუფში ჩარჩეს. განსაკუთრებით რთული მატჩი **ვანდერლეი ლუშემბურგოს** „გრემიოს" ელის, რომელიც სტუმრად „უაჩიპატოს" უნდა შეხვდეს, „ფლუ" კი „კარაკასს" უმასპინძლებს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც ეყოფა.

**აბელ ბრაგას** „ფლუმინენსე" ბრაზილიურ დერბის საკმაოდ სერიოზული დანაკლისით შეხვდა - გუნდს **ფრედი, დეკუ, უოლასი, ტიაგო ნევეში** და **ველინგტონ ნემი** აკლდა. **მარსელო მორენო** და **ელანო** ვერ ეხმარებოდნენ „გრემიოს", თუმცა სტუმართა დანაკლისთან შედარებით, ეს რა მოსატანია...

ამ გუნდებს, აქამდე 58 შეხვედრა ჰქონდათ გამართული, რომელთაგანაც 25 „გრემიოს" ჰქონდა მოგებული, 19 კი „ფლუს". გუშინ გუნდებმა მე-15 ფრე ითამაშეს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესად საყაიმო ანგარიში ერთ გუნდს აძლევს ხელს, მეორეს კი არა. „გრემიო" მოსაგებად იყო მომართული, მაგრამ მასპინძლებისთვის სიტუაცია 45-ე წუთზე გართულდა, როდესაც ვეტერანმა **კრისმა** წითელი ბარათი მიიღო. 10 კაცით დარჩენილმა მასპინძელმა მეტოქის გატეხა ვერ შეძლო და საბოლოოდ, მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო „რეალ გარსილასომ" - პერუელებმა წყალწაღებული „სერო პორტენიო" გაანადგურეს და ჯგუფში მეორე ადგილზე გადავიდნენ. უკანასკნელ ტურში „გარსილასო" უმოტივაციო „სანტა ფეს" ეთამაშება (სტუმრად) და მერვედფინალში გასასვლელად ფრეც ეყოფა. პერუელთა კონკურენტი, კიდევ ერთი კოლუმბიური გუნდი „დეპორტეს ტოლიმა", პარაგვაის ეწვევა და უქულო „სერო პორტენიოს" დაუპირისპირდება. „ტოლიმას" მდგომარეობა თითქმის უიმედოა - მან თავისი მატჩი უნდა მოიგოს და ასევე, უმოტივაციო თანამემამულეების იმედი უნდა ჰქონდეს.

ასპარეზობა დაასრულეს მე-5 ჯგუფის მონაწილეებმა, სადაც ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო გარკვეული. „კორინთიანსმა" და „ტიხუანამ" ბოლო ტურის მატჩებიც მოიგეს და პირველ-მეორე ადგილი გაინაწილეს. „ტიხუანამ" საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსი გაინალდა, შესაბამისად ეს მექსიკური კლუბი, მერვედფინალში ყველაზე უარესი შედეგის მქონე პირველადგილოსანს შეხვდება.

როგორც უკვე მიხვდით, მომდევნო ეტაპის კენჭისყრა არ იქნება - გუნდები პირდაპირ, მარტივი პრინციპით დაწყვილდებიან: ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდებიდან საუკეთესო შედეგის მქონე, ყველაზე ცუდი შედეგის მქონე მეორეადგილოსანს შეხვდება და ასე შემდეგ.

**ტატო ბაციკაძე**



„კორინთიანსმა" ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ფრე ბარსელონას სასარგებლოდ

## მესი(ა) რომ არა...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონა" და „ბაიერნი" ნახევარფინალში გავიდნენ, თუმცა ამ ორმა გუნდმა რადიკალურად განსხვავებული გზა გაიარა - თუ „ბაიერნის" საგზურს არაფერი დამუქრებია და მიუნხენელებმა ტურინშიც განსაკუთრებული ნერვიულობის გარეშე იმარჯვეს, კატალონიელებს საკმაოდ გაუჭირდათ და „ბარსას" ქომაგებმაც ინერვიულეს.

„პარი სენ ჟერმენმა" ფავორიტად მიჩნეულ მასპინძელს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და საბოლოოდ, ისე გავარდა, რომ „ბარსასთან" ერთი მატჩიც არ წაუგია. ცოტა მეტი იღბალი და ვინ იცის, იქნებ ნახევარფინალში ერთი ფრანგული გუნდიც გასულიყო...

**ბარსელონა-პსჟ 1:1**

**გოლები:** 0:1 პასტორე (50), 1:1 პედრო (71).

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, ადრიანო (62. ბარტრა), ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა - პედრო, ფაბრეგასი (62. მესი), ვილია (84. სონგი).

**პარი სენ ჟერმენი** (4-4-2): სირიგუ - ჟალე (88. ვან დერ ვილი), ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ლუკას მოურა, ვერატი (83. ბექჰემი), ტიაგო მოტა, პასტორე - ლავეცი (81. გამეირო), იბრაჰიმოვიჩი.

**გაფრთხილება:** ადრიანო - ლავეცი, ტიაგო სილვა, ბექჰემი.

**მაყურებელი:** 96 022

### რეაქციები

**ჟორდი როურა** (ბარსელონას მეორე მწვრთნელი):

„ძალიან რთული მატჩი გამოდგა, რადგან ჩვენ საკმაოდ ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით. მართალია, ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭირო კლასი და ოსტატობა აღმოგვაჩნდა. ყველანი ძალიან ბედნიერები და ამაყები ვართ".

**კარლო ანჩელოტი** (პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი): *„ძალიან დამწუხრებული, მაგრამ ამავე დროს ამაყი ვარ. გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ბოლომდე ვიბრძოლეთ, მეტოქეს არაფერი დავუთმეთ და საკმაოდ კარგადაც ვითამაშეთ. ძირითადად თავს ვიცავდით, მაგრამ როდესაც ბურთს ვეუფლებოდით, კარგ შეტევებსაც ვახორციელებდით. საბოლოო ჯამში, იმედგაცრუებული ვარ, რადგან მეტის მიღწევაც შეგვეძლო".*

**პედრო** (ბარსელონა): *„ძალიან ბედნიერები ვართ. ანგარიშის გათანაბრებას და მომდევნო ეტაპზე გასვლას აშკარად ვიმსახურებდით. „პარი სენ ჟერმენი" შესანიშნავი გუნდია, რომელმაც დღეს ძალიან კარგად ითამაშა. მატჩის დასაწყისში ჩვეული რიტმის პოვნა გაგვიჭირდა, რის გამოც თავიდან პრობლემები შეგვექმნა".*

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა): *„პსჟ ბრწყინვალე გუნდია - მათ ძალიან ძლიერი, ტექნიკურად სრულყოფილი ფეხბურთელები ჰყავთ. ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა, რადგან ისეთი გუნდის წინააღმდეგ თამაში, როგორიც არის „პარი სენ ჟერმენი", იოლი გასეირნება გამორიცხულია. ჩვენი მოლოდინი გამართლდა, მაგრამ საბედნიეროდ, დასახულ მიზანს მივაღწიეთ".*



მესის შემოსვლის შემდეგ ბარსელონამ ანგარიში მალევე გაათანაბრა

### შემადგენლობები

„ბარსელონას" სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა. კატალონიელებს **კარლეს პუიოლი** და **ხავიერ მასკერანო** არ ჰყავდათ, რის გამოც დაცვის ცენტრში ასპარეზობამ **ადრიანოს** მოუწია. მთავარი პრობლემა კი **ლეო მესის** ჯანმრთელობა იყო - არგენტინელი ბოლომდე მზად არ გახლდათ და ის სათადარიგო სკამზე აღმოჩნდა.

**კარლო ანჩელოტის** ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავდა, ერთადერთი მოთამაშე, ვინც გუნდს ვერ დაეხმარა, **ბლეზ მატუიდი** იყო - პირველი მატჩის ერთ-ერთმა გმირმა, პარიზულ შეხვედრაში, ლიგაში მესამე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებული გახლდათ.

ორივე გუნდმა ტრადიციული ტაქტიკა და განლაგება აირჩია. „ბარსელონას" 4-3-3-ს ანჩელოტიმ 4-4-2 დაუპირისპირა. კატალონიელებს ნახევარდაცვაში **ბუსკეტსი-ჩავი-ინიესტას** ტრიო მოქმედებდა, ცენტრფორვარდად **დავიდ ვილია** მოგვევლინა, ვისაც უკნიდან **ფაბრეგასი**, მარცხენა ფლანგიდან კი **პედრო** ეხმარებოდნენ. ტრადიციულად, მარჯვენა ფლანგი მთლიანად **დანი ალვეშს** ჰქონდა ჩაბარებული.

პარიზელთა ნახევარდაცვის ცენტრში **მარკო ვერატი** და ყოფილი კატალონიელი, **ტიაგო მოტა** მოქმედებდნენ, მარჯვნივ **ლუკას მოურა** იყო, მარცხნივ კი **ხავიერ პასტორე**. დანი ალვეშის შეტევებში ხშირი ჩართვების გამო, კატალონიელთა დაცვის მარჯვენა ფლანგი არაერთხელ ჩავარდა. ერთ-ერთ ასეთ ჩავარდნას, ხავიერ პასტორეს გოლიც მოჰყვა.

**გმირი**

**ლიონელ მესი (ბარსელონა)**

მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ჯანმრთელი არ იყო და ხშირად სირბილსაც ერიდებოდა, მატჩის გმირად მაინც ლეო მესი უნდა გამოვაცხადოთ. არგენტინელის შემოსვლამდე კატალონიელებს მომენტების შექმნა უჭირდათ. როდესაც „ლა პულგა" მინდორზე გამოვიდა, მასპინძლები უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ და ჩვეულად შეუტიეს. მართალია, გოლი პედრომ გაიტანა, ხოლო საგოლე პასი დავიდ ვილიამ გააკეთა, მაგრამ ამ გოლში ყველაზე დიდი როლი მაინც მესის მიუძღვის, ვინც გარშემო რამდენიმე მეტოქე შემოიკრიბა და ვილიას შესანიშნავი პასი გაუკეთა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ **ვიქტორ ვალდესის** დამაჯერებელი თამაში. „ბარსას" კიპერმა პირველ ტაიმში რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. პასტორეს გოლის მომენტში ბურთს ფეხი კი წაარტყა, მაგრამ გუნდის გადარჩენა ველარ შეძლო.

**ანტიგმირი**

**სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)**

განსაკუთრებით ცუდად არავის უთამაშია, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელის არადამაჯერებელი ასპარეზობის აღნიშვნა ნამდვილად შეიძლება. გაცილებით მეტს ველოდით ფაბრეგასისგან, ვინც შაბათს ჰეთ თრიქი შეასრულა და კარგ განწყობაზე უნდა ყოფილიყო - სესკი პირველ ტაიმში კი აქტიურობდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი ჰქონდა.

ცუდი მატჩი ჩაატარა **ესეკილ ლავეციმ**, რომელიც მუდამ აქტიურია და ბევრს მოძრაობს. არგენტინელ ფორვარდს პირველ ტაიმში ერთი რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ მარცხენა ფეხის ნაცვლად, დარტყმა მარჯვენით გადაწყვიტა და ვალდესს ბურთის მოგერიების საშუალება მისცა.

ძალიან ინერტული იყო სერხიო ბუსკეტსი, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა წააგო. შეცდომები ჰქონდა ადრიანოს, მაგრამ მას საპატიო მიზეზი აქვს - ბრაზილიელი ხომ მისთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშობდა.

### მსაჯი

ამ გუნდების პირველი მატჩისგან განსხვავებით, არბიტრს სერიოზული შეცდომები არ დაუშვია. საბოლოო ჯამში, **ბიორნ კუიპერსმა** და მისმა ბრიგადამ დამაჯერებლად იმსაჯეს და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს.

### მწვრთნელები

კარლო ანჩელოტიმ ძალიან თამამი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდი შეტევაზე მომართა. მართალია, „ბარსელონა" ბურთს უფრო ხშირად ფლობდა, მაგრამ „პარი სენ ჟერმენი" უფრო სახიფათოდ უტევდა. პარიზელებმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იაქტიურეს, როდესაც კონტრშეტევებზე ორი მომენტი შექმნეს, თუმცა ლავეციმ და მოგვიანებით ლუკას მოურამ გატანა ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმის დებიუტში, ასევე კონტრშეტევაზე გატანილი გოლის შემდეგ, იტალიელმა საკუთარი გუნდი დაცვაზე გადააწყო. მესის გამოსვლამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ არგენტინელის ერთი გააქტიურება საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ „ბარსელონას" საჭირო გოლი გაეტანა.

**გამეიროს, ბექჰემის** და **ვან დერ ვილის** გამოყვანას დიდი შედეგი არ მოუტანია. პარიზელებმა კატალონიელები კი ანერვიულეს, მაგრამ საგოლე მომენტი ველარ შექმნეს.

**ტიტო ვილანოვაზე** სათქმელი ბევრი არაფერია, კატალონიელთა მწვრთნელს განსაკუთრებული არაფერი მოუფიქრებია.

### დასკვნა

ორი მატჩის ჯამში პარიზელებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. ოდნავ მეტი გამართლება და მომდევნო ეტაპზე კარლო ანჩელოტის გუნდი გავიდოდა. ასეა თუ ისე, „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ზედიზედ მეექვსედ გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-ს კატალონიელებთან ერთი მატჩიც არ წაუგია, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გზას უფრო ძლიერი გუნდი აგრძელებს.

პსჟ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბია, რომელსაც ჯერ კიდევ სჭირდება დრო იმისთვის, რომ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდეს.

# ბაიერნი ჰეთ თრიქისთვის ბრძოლას აგრძელებს

**იუვენტუსი-ბაიერნი 0:2**

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (64), 0:2 პისარო (90).

**იუვენტუსი** (3-5-2): ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - პადოინი (69. ისლა), პოგბა, პირლო, მარკიზიო (79. ჯაკერინი), ასამოა - კვალიარელა (66. მატრი), ვუჩინიჩი.

**ბაიერნი** (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი (35. ჟ. ბოატენგი), დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი, მიულერი, რიბერი (80. ლუის გუსტავო) - მანჯუკიჩი (83. პისარო).

**გაფრთხილება:** ბონუჩი - მანჯუკიჩი.

**მაყურებელი:** 40 823

### რეაქციები

**ანტონიო კონტე** („იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი): *„წაგება არავის უყვარს, მაგრამ ის ღირსეულად უნდა მიიღო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აშკარად შენზე ძლიერ გუნდს ხვდები. მათ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფინალში ორჯერ ითამაშეს, ამიტომ წინასწარ ვიცოდით, რომ ჩვენ შორის დიდი სხვაობა იქნებოდა".*

**იუპ ჰაინკესი** („ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი): *„პირველი 20 წუთის განმავლობაში ბურთს ხშირად ვკარგავდით და შეტევაშიც ნორმალურად არაფერი გამოგვდიოდა. ნელ-ნელა უპირატესობას დავეუფლეთ და მეორე ტაიმში შეხვედრას უკვე ჩვენ ვაკონტროლებდით. საბოლოო ჯამში, აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ".*

**თომას მიულერი** (ბაიერნი): *„შესაძლოა, დღეს ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, როგორც ერთი კვირის წინ, მაგრამ როდესაც ტურინში 2:0-ს იგებ, ეს ნიშნავს, რომ არც ისე ცუდად იასპარეზე. ჩვენ საკმაოდ კარგად ვთამაშობთ და კარგი შედეგებიც გვაქვს, ჯერჯერობით ყველაფერი იდეალურად არის".*

**მარიო მანჯუკიჩი** (ბაიერნი): *„ვიცოდით, რომ რთული შეხვედრა გველოდა, ამიტომ კონცენტრაციის პრობლემა არ გვქონია. მინიმუმ ერთი გოლის გატანა გვსურდა და ეს მოვახერხეთ, რის შემდეგაც უფრო თავისუფლად ავთამაშდით. ყველაფერს მოვიგებთ თუ არა? რატომაც არა. ვფიქრობ, საკმარისად ძლიერები ვართ იმისთვის, რომ ყველა ტურნირზე ვიმარჯვოთ".*

**გმირი**

**მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი)**

კარგი მატჩი ჩაატარა **ბასტიან შვაინშტაიგერმა**, ვინც პრაქტიკულად ორი საგოლე პასი მიითვალა - **პისაროს** მან გაატანინა და პირველი გოლის დროსაც საჯარიმოში სწორედ „შვაინიმ" ჩააწოდა.

აქტიური იყო **არიენ რობენიც**, რომელიც საკუთარ ფლანგზე ბევრს მოძრაობდა, თუმცა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მაინც **მარიო მანჯუკიჩი** უნდა დავასახელოთ - ხორვატმა 64-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც ორმატჩიანი დუელის ბედი გადაწყვიტა, რადგან გასაგები გახდა, რომ დარჩენილ 25 წუთში „იუვე" 4 გოლის გამტანი არ იყო.



მარიო მანჯუკიჩი ნახევარფინალის პირველ მატჩს გამოტოვებს

**ანტიგმირი**

**მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი)**

კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელის უარყოფითად გამორჩევა რთულია, რადგან „იუვენტუსიდან" ბევრმა ვერ ითამაშა ჩვეულ დონეზე. მათ შორის იყო **მირკო ვუჩინიჩიც** - ჩერნოგორიელი ხშირად ცდებოდა, ერთ ეპიზოდში კი, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, საჯარიმოში ბურთის უკეთესად გაჩერება მართებდა და მერე ვინ იცის, იქნებ „იუვეს" „ქამბექიც" დაწყებულიყო...

### დასკვნა

**ანტონიო კონტეს** დავესესხებით და ორი მატჩის ჯამში გამოჩნდა, რომ გუნდებს შორის სხვაობა აშკარად არის. „იუვე" ბოლო წლებში მოძლიერდა და ალბათ, კიდევ მოუმატებს, მაგრამ ამ ეტაპზე „ბაიერნი" მასზე ძლიერი გუნდია. საბოლოო შედეგი, შესაძლოა, ძალთა რეალურ თანაფარდობას არ ასახავს, მაგრამ გერმანული კლუბი რომ უფრო ძლიერია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, **ანდრეა პირლოს** 21-ე წუთზე დანიშნული სახიფათო ჯარიმა უკეთ რომ შეესრულებინა, არავინ იცის, რა მოხდებოდა.

პირველი ტაიმის 20-25 წუთი ტურინელები მეტოქეს სჯობდნენ, მაგრამ 180-წუთიან დაპირისპირებაში, 25, თუნდაც 40 წუთის უკეთ ჩატარება საკმარისი რომ არ არის, გუშინაც დამტკიცდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# პაბლო ოსვალდო რომადან ტოტენჰემში მიდის


პაბლო დანიელ ოსვალდო

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, **პაბლო დანიელ ოსვალდო** „რომას" დატოვებს და კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებს. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოსვალდოს უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება ლონდონის „ტოტენჰემთან" და ამ მიზნით, ის ინგლისის დედაქალაქშიც იყო ჩასული. 27 წლის ოსვალდოს დისკვალიფიკაცია აქვს, გასულ უქმეებზე თამაში არ შეეძლო და რომაული დერბისთვის ტრიბუნიდან თვალის მიდევნებას, მეგობარ გოგოსთან ერთად ლონდონში გამგზავრება ამჯობინა. თავად ოსვალდო „ტოტენჰემთან" მოლაპარაკებას უარყოფს, თუმცა მისი „რომადან" აბარგების შანსი რომ დიდია, ამას ადასტურებს:

*„ყველაფერი ზაფხულში გაირკვევა და იქამდე რთულია დასკვნების გამოტანა. არ დავმალავ, რომ ჩემი წასვლის ალბათობა დიდია, მაგრამ გადაჭრით ჯერ მაინც ვერაფერს ვიტყვით. ლონდონში მართლაც ვიყავი, მაგრამ არა იმიტომ, რომ „ტოტენჰემის" მესვეურებთან მოლაპარაკება გამემართა. ამისთვის აგენტები არიან და სულაც არაა საჭირო, მოლაპარაკებისთვის ქალაქიდან ქალაქში პირადად ვიფრინო. მით უმეტეს, ლონდონიდან ჯერ არავინ შემხმიანებია და „ტოტენჰემთანაც" არავითარი მოლაპარაკება არ არსებობს. ვიცი, რომ გარკვეული ინტერესი არის, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

## ველა მარადიულ ქალაქში?

ამასობაში, „რომასთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქური კლუბის მესვეურები **კარლოს ველას** ტრანსფერზე აპირებენ მუშაობას. 24 წლის ველა „რეალ სოსიედადის" ღირსებას იცავს, ბრწყინვალედ ასპარეზობს და მისით კიდევ არაერთი გუნდია დაინტერესებული, მათ შორის, ლონდონის „არსენალი", სადაც ის ადრეულ წლებში ასპარეზობდა. მექსიკელის სატრანსფერო ღირებულება 15 მილიონი ევროა და ამბობენ, რომ „რომას" მესვეურები ამ თანხის გადასახდელად მზად არიან. სატრანსფერო თემებზე „გაძეტა დელო სპორტს" „ჯალოროსის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელი **ჯეიმს პალოტა** ესაუბრა:

*„ზაფხულში გუნდის გაძლიერებას ვაპირებთ, მაგრამ დღეს კონკრეტულ გვარებზე საუბარი გამიჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც კი არ ვიცით, ვინ იქნება გუნდის მთავარი მწვრთნელი მომდევნო სეზონში. პირადად მე, აურელიო ანდრეაცოლის ვენდობი, მაგრამ გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭომ უნდა მიიღოს. სულ უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ, ამიტომ, მწვრთნელის საკითხი სულაც არ არის გაკვეული. შესაბამისად, ტრანსფერებზე საუბარი ნაადრევია".*

**ლაშა წიკლაური**

მილანი

# რობინიოს სამშობლოში არ ეჩქარება

## ელ შაარავი: ვიცით, როგორ დავამარცხოთ ნაპოლი

მიმდინარე სეზონში, **რობინიოს** პრაქტიკულად არ უწევს თამაში და რაც დრო გადის, სათადარიგო სკამზეც უფრო მყარად იკიდებს ფეხს. „მილანში" ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო ბალოტელის** და **ჯამპაოლო პაცინის** კონკურენციაა, ფლანგებზე კი აქცენტი **სტეფან ელ შაარავიზე**, **მბაიე ნიანგსა** და **კევინ პრინს ბოატენგზე** კეთდება. მოკლედ, 29 წლის ბრაზილიელი ოფსაიდშია დარჩენილი და რა გასაკვირია, რომ იტალიურ სპორტულ პრესაში, მისი ლომბარდიიდან აბარგების შესახებ აქტიურად საუბრობენ. მით უმეტეს, „რობინიოს" მშობლიური „ფლამენგო" ეპატიჟება, სადაც თვითონაც სურს კარიერის დასრულება. ერთი სიტყვით, თითქოს ზაფხულში რობინიო „მილანს" უნდა გამოეთხოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს, მაგრამ მოულოდნელად, თავად ფეხბურთელმა სხვა განზრახვა გააცხადა:

*„ბრაზილიაში აუცილებლად დავბრუნდები, მაგრამ იქამდე მინიმუმ წელიწად-ნახევარია. „მილანთან" კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე მაკავშირებს და მის გაწყვეტას ნამდვილად არ ვაპირებ. „როსონერიში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მინდა, აქ კიდევ ერთი სეზონი დავრჩე. ისეთ ასაკში ნამდვილად არ ვარ, რომ კარიერის დასრულებაზე ვიფიქრო და შესაბამისად, ბრაზილიაში დაბრუნების თემა დღეს არცთუ აქტუალურია. ღრმად მწამს, რომ „მილანი" მომდევნო სეზონშიც ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს, იქ კი თავის გამოჩენის დიდი სურვილი მაქვს. მართალია, იშვიათად ვხვდები ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ, რომ ვითარება მალე უკეთესობისკენ შეიცვლება. მასიმილიანო ალეგრის ვენდობი, ვიცი, რომ მონდომებას არ დამიკარგავს".*

ამ უქმეებზე, სერია A-ს ეგიდით „მილანისა" და „ნაპოლის" მატჩი გაიმართება, რომელიც აქედანვე დიდ ინტერესს იწვევს. ნეაპოლელები ლომბარდიელებს მთელი ოთხი ქულით უსწრებენ და თუ არ დამარცხდნენ „სან სიროზე", მეორე ადგილის მოსაპოვებლად უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ. შეგახსენებთ, რომ მეორე ადგილი ჩემპიონთა ლიგის საგზურს საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე იძლევა. თავის მხრივ, „მილანს" მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, რათა კონკურენტს კუდზე დააჯდეს და მიზნისთვის ბრძოლა გააგრძელოს. მოახლოებულ მატჩზე კომენტარი „როსონერის" ერთ-ერთმა ლიდერმა, 20 წლის სტეფან ელ შაარავიმ გააკეთა:

*„იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც ფლორენციაში მოხდა... „ფიორენტინას" ორი ბურთის სხვაობით ვუგებდით და ფორა კაცნაკლულ მეტოქესთან გავანიავეთ. ასეთი თამაშის შემდეგ, შეიძლება რწმენაც კი შეგერყეს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვემუქრება. საბრძოლველად ვართ განწყობილნი და სამი ქულის მოსაპოვებლად ყველაფერს გავიღებთ. „ნაპოლის" საიმედო დაცვა, მობილური ნახევარდაცვა და სახიფათო თავდასხმა ჰყავს, რაც საკუთარ თავზეც არაერთხელ გამომიცდია. თუ წარმატების მიღწევა გვსურს, თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ და როგორ ვაჯობოთ ძლიერ მეტოქეს".*

**ლაშა წიკლაური**


რობინიო

ამბები


ტომაზო როკი

## ინტერში ქალიც როკია და კაციც

„ინტერის" იმედი და მთავარი დამრტყმელი ძალა, 35 წლის **ტომაზო როკი** კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და აცხადებს, რომ გულშემატკივართა გასახარად ყველაფერს გააკეთებს. „ნერაძურის" აღარც **ანტონიო კასანო** ჰყავს, რომელსაც სიღრმიდან შეეძლო იერიშების წარმართვა და აღარც **დიეგო მილიტო**, რომელიც უფრო დამგვირგვინებელია – აღარც **როდრიგო პალასიო**, რომელსაც ერთიც შეუძლია და მეორეც და ისე გამოვიდა, რომ ეს ყველაფერი როკიმ უნდა აიღოს საკუთარ თავზე... მოკლედ, დღეს „ინტერში" ქალიც ტომაზოა და კაციც, რასაც ყველაზე უკეთ თვითონ ხვდება:

*„ძალიან სამწუხაროა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში როდრიგო პალასიო და ანტონიო კასანო დაშავდნენ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ისინი ღირსეულად შევცვალო და „ინტერს" წარმატების მიღწევაში დავეხმარო. ამ რეალობით, გუნდში ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ვარ და შესაბამისად, გოლების გატანა ისე მევალება, როგორც არასდროს. მართალია, 25 წლის აღარ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ პასუხისმგებლობის აღება შემიძლია. მომდევნო შეხვედრა „კალიარისთან" გვაქვს, ალბათ უკნიდან რიკი ალვარესი და ფრესი გუარინი დამეხმარებიან – ამ თამაშში სამი ქულის მოპოვება აუცილებელია".*

## ვიოლა ვივიანოს გამოსყიდვას ეცდება


ემილიანო ვივიანო

ბოლო პერიოდში, **ემილიანო ვივიანომ** ბევრი იმოგზაურა და საბოლოოდ, „ფიორენტინაში" დამკვიდრდა. 27 წლის კიპერმა „ბოლონიაში" ასპარეზობით გაითქვა სახელი, რის შემდეგაც „ინტერში" დიდი იმედებით გადაბარგდა... თუმცა, მილანურ გრანდში **ჟულიო სეზარს** ვერაფერი დააკლო და ტრანსფერზე დააყენეს. ვივიანო „პალერმომ" გამოისყიდა და იჯარის წესით „ფიორენტინაში" გაუშვა. თავიდან, ემილიანოს ფლორენციაშიც გაუჭირდა და კიდევ ერთი ბრაზილიელი კიპერის, **ნეტოს** რეზერვისტად იქცა, თუმცა შემდეგ მოუმატა და ძირითადში ამოჰყო თავი. ბოლო პერიოდში, ვივიანო შესანიშნავად ირჯება და იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ტოსკანელები მის გამოსყიდვას აპირებენ - ამ მიმართულებით კი მოლაპარაკებაც დაწყებული ყოფილა...

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „პალერმო" ვივიანოს სანაცვლოდ 7.5 მილიონ ევროს ითხოვს, ფლორენციელებს კი ფასის დაგდება უნდათ. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, თუ სიცილიელები 5 მილიონს დათანხმდებიან, გარიგება უპრობლემოდ შედგება. თავად ვივიანო ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ მხოლოდ სეზონის დარჩენილ ნაწილზე და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაზეა კონცენტრირებული.

**ლაშა წიკლაური**

## კაკა შეიძლება ფენერბაჰჩეში გადავიდეს

მადრიდის „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველით „ფენერბაჰჩე" დაინტერესდა, თურქულ კლუბს 30 წლის **კაკას** გადაყვანა სურს. ესპანური მედიის ინფორმაციით, ამის წინააღმდეგი არც „რეალის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესია**.

მოგეხსენებათ, როცა „რეალი" სტამბოლს სტუმრობდა „გალათასარაისთან" მატჩის გასამართავად, პერესი გუნდს გაჰყვა. იქ ფლორენტინო „ფენერის" პრეზიდენტ **აზიზ ილდირიმს** შეხვდა და კაკას ტრანსფერის თაობაზეც ისაუბრეს. ინიციატორი თურქი იყო, თუმცა არც „რეალის" პრეზიდენტია წინააღმდეგი, რომ შედგეს ბრაზილიელის გადასვლა თურქეთში.

ასევე შეიძლება „ფენერბაჰჩეში" აღმოჩნდეს **რიკარდო კარვალიო**. თურქული გუნდი ცენტრალურ მცველს ეძებს და პერესმა პორტუგალიელს, რომელიც ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდება, რეკომენდაცია გაუწია.

## მესის ტრავმა არ გართულებია

გუშინ „ბარსელონას" ექიმებმა 25 წლის **ლეო მესის** ტესტირება ჩაატარეს და მას ტრავმაზე რეციდივი ვერ აღმოუჩინეს. საქმე იმაშია, რომ ლიონელი მთლად ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში „პარი სენ-ჟერმენის" წინააღმდეგ **ტიტო ვილანოვა** იძულებული იყო არგენტინელი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში.

საბედნიეროდ, ამის გამო ლეო მესის ტრავმა არ გამიზეზებია. ითამაშებს თუ არა, ლეო მომავალ ტურში, უახლოეს დღეებში გადაწყდება.

## სესკმა შვილს ლია დაარქვა

10 აპრილს, როცა „ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა, **სესკ ფაბრეგასს** პირველი შვილი შეეძინა. სესკმა და მისმა გელფრენდმა **დანიელა სემაანმა** 11 აპრილს „ტვიტერზე" დაწერეს სამ ენაზე: *„გუშინ ჩვენს ცხოვრებაში უბედნიერესი დღე იყო. დაიბადა ლია ფაბრეგას სემაანი".*

„პარი სენ ჟერმენთან" მატჩში ფაბრეგასი ლეო მესიმ შეცვალა და რამდენიმე წუთში ლიაც დაიბადა.

შეგახსენებთ, რომ არცთუ დიდი ხანია, რაც შვილები შეეძინათ სესკის თანაგუნდელებს: **ვალდესს, მესის, ვილიას, პედროს და პიკეს**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ხუთი ტური მოილიეს



ბელა ხოტენაშვილი

დუბაიში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი ექვსი ქართველი დიდოსტატის მონაწილეობით. გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. 4 მოჭადრაკეს 4-4 ქულა ჰქონდა. გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი) და სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) დაზავდნენ. ალექსანდრ რახმანოვმა (რუსეთი) იან ელვესტი (აშშ) დაამარცხა და 5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა.

ქართველთაგან **ბელა ხოტენაშვილმა, კონსტანტინე შანავამ** და **მაკა ფურცელაძემ**, შესაბამისად, ხულიოს დე რამოსს (ფილიპინები), შარდულ გაგარუს და არავინდ რამს (ორივე-ინდოეთი) სძლიეს, **მიხეილ მჭედლიშვილი** დიფტეინ გოშს (ინდოეთი) დაუზავდა, **ლევან ფანცულაია** და **სოფიკო ხუხაშვილი** ვლადიმერ აკოფიანთან (სომხეთი) და ადჰიბანთან (ინდოეთი) დამარცხდნენ.

ხუთი ტურის შემდეგ: რახმანოვი-5, აკოფიანი, ვოლკოვი, სარგისიანი, რომაინ ედუარდსი (საფრანგეთი), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) - 4,5-4,5... ხოტენაშვილი-4, შანავა, ფანცულაია, მჭედლიშვილი-3,5-3,5, ხუხაშვილი, ფურცელაძე-3-3 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა

# ერთეულებში ლუკა ღაღანიძის იმედად

ხორვატიულ პორეცში მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობაზე სამი დღეა, ახალგაზრდები ეპაექრებიან ერთმანეთს. დაშნაში, როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრების წევრმა **მარია ზაკირჩენკომ** 87-ე ადგილი დაიკავა. გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ტატიანა გუდკოვა (რუსეთი), 2. აურინე მალო (საფრანგეთი), 3. ისაბელ დი ტელა (არგენტინა), კატრინა ლენისი (ესტონეთი). **ირაკლი ფანცხავამ** ჯგუფში ორი შეხვედრა მოიგო, სამი წააგო, პლეი ოფში აბდულჰადი ალაიმს (კუვეიტი) აჯობა - 15:12, მერე კი მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ ანდრეა სანტარელის დანებდა 2:15 და 59-ე ადგილით დაკმაყოფილდა. მისი თანაგუნდელი **მიქაელ მიქაელიანი** პლეი ოფში კორეელ ჰვანგთან მარცხის შემდეგ 93-ე იყო. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. დონდონ სუნი (ჩინეთი), 2. იულენ პერეირა (ესპანეთი), 3. სემეონ მა (კორეა), ანდრეა სანტარელი (იტალია).

რაპირაში ორი წარმომადგენელი გვყავდა. **არჩილ უგულავას** ჯგუფში მოკრძალებული შედეგი ჰქონდა - ვენესუელელ ვიქტორ ლეონსა (5:4) და მექსიკელ ალბერტო ხოსე პელეტიერს (5:2) აჯობა, სამი შეხვედრა კი დათმო, პლეი ოფში ესპანელ გუილერმო დელბერგს ვერ გაუმკლავდა (9:15) და შეჯიბრებას გამოეთიშა. **ლუკა ღაღანიძემ**, რომელიც კადეტებშიც ცდიდა ძალებს და 32-ე იყო, ჯგუფში ექვსიდან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო. სძლია ლოვრო ბაჩოვნიკს (სლოვენია, 5:3), უან ჩენს (ტაივანი, 5:0), დმიტრი კოსაჩოვს (ყაზახეთი, 5:2), სიმონ კოზლოვსკის (პოლონეთი, 5:3), ილია სიტოვს (ლატვია, 5:2) და მხოლოდ გერმანელი ნიკლას უფტრიგის წინააღმდეგობა ვერ დასძლია - 2:5. პლეი ოფში ღაღანიძემ ანდრეი პოდშივალოვს (უკრაინა) დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:7. მეთექვსმეტედფინალში თურქ ტევფიკ ბუსაკ ბაბაოღლუს დაუპირისპირდება.

დღესვე გუნდური ორთაბრძოლებიც დაიწყება. ქართველი მოხმალავე ვაჟები პირველ წრეში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს გაუწევენ მეტოქეობას. წარმატების შემთხვევაში დიდ ბრიტანეთსა და უკრაინას შორის უძლიერესთან გაარკვევენ ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი. ძიუდო

# კახეთის რჩეული კადეტები

კადეტთა შორის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოასპარეზეთა გამოსავლენად კახეთის რეგიონული პირველობა გურჯაანის სპორტული კომპლექსში ჩატარდა. ტურნირში თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ყვარლის და საგარეჯოს 150 სპორტსმენი მონაწილეობდა. ტატამზე, სამწუხაროდ, მხოლოდ სიღნაღელი სპორტსმენები არ გამოჩენილან.



**კვარცხლბეკი**

**46 კგ.** 1. ლაშა ბექაური (გურჯაანი), 2. უშანგი ქიტესაშვილი (ახმეტა), 3.ოთარ გურაშვილი (ლაგოდეხი), 3.ნიკია კობაიძე (დედოფლისწყარო).

**50 კგ.** 1. ლაშა მღებრიშვილი (გურჯაანი), 2. გიორგი სუხაშვილი (ახმეტა), 3.ნიკა ზვიადაური (დედოფლისწყარო), 3. დავით ოჯახიშვილი (ლაგოდეხი).

**55 კგ.** 1. ელგუჯა ორკოდაშვილი (თელავი), 2. გიორგი ბოლღაშვილი (ყვარელი), 3. ვალერი ვალაშვილი (ახმეტა), 3. გიორგი მუმლაძე (ლაგოდეხი).

**60 კგ.** 1. გიორგი სუხოშვილი, 2. ბაჩანა სარქისაშვილი (ორივე - ახმეტა), 3. გაგა მახნიაშვილი (თელავი), 3. ნიკა ბურდული (დედოფლისწყარო).

**66 კგ.** 1. ნიკა ლაბაძე (ლაგოდეხი), 2. ალეკო ღორთლიშვილი, 3. ავთო ბეზარაშვილი (ორივე - გურჯაანი), 3. თამაზ კირაკოზაშვილი (საგარეჯო).

**73 კგ.** 1. იმედა გოგოლაძე (ლაგოდეხი), 2. ლევან ძიბელაშვილი (გურჯაანი) 3. გიორგი შუბითიძე (ლაგოდეხი), 3. გიორგი შათირიშვილი (ახმეტა).

**81 კგ.** 1. სოსო ბაზიერაშვილი (გურჯაანი), 2. პაატა მარტიაშვილი, 3. ვახტანგ ბოტკოველი (ორივე - თელავი), 3. ელდარ ჯიქიძე (საგარეჯო).

**+81 კგ.** 1. გიორგი არავაძე (გურჯაანი), 2. გიორგი კვიცაშვილი (ახმეტა), 3.ვალერი ლონდრიშვილი (გურჯაანი), 3. ალექსი მუსტოიანი (თელავი).

გუნდური პირველი ადგილი ნილად ხვდა გურჯაანის ნაკრებს (მწვრთნელი **გელა დალაქიშვილი**).

გურჯაანში გაიმართება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიც 12-13-14 აპრილს.

**ლელა ხეჩოშვილი**

ინტერვიუ ვლადიმერ გეგეშიძესთან

# მთელი კვირა გონებით ისევ იმ ფინალს ვჭიდაობდი

**თბილისში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე ქართველ-ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს ვლადიმერ გეგეშიძე (84) იდგა, ოქროს მედლამდე მას სულ რაღაც ნახევარი წუთი აშორებდა. მთავარი იყო, რუსთა ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ ალექსეი მიშინთან თავი წარმატებით დაეცვა, მაგრამ მეტოქის გამოცდილებამ აჯობა მის სურვილს. ეს ოქრო ვერ იქნებოდა იმ დანაკლისის საზღაური, რაც ოლიმპიადაზე მიაყენეს, როცა ჯერ ნახევარფინალში არ ჩანდა მთლად პატიოსანი ბრძოლა რუსთა მომავალ ჩემპიონ ალან ხუგაევთან, მაგრამ ეს კიდევ არაფერია ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მომხდართან შედარებით, როცა მედალი, ფაქტობრივად, კისრიდან ჩამოხსნეს. თუმცა ჯერ კიდევ მაშინ დამტკიცდა, რომ გეგეშიძეს ნებისმიერ ტურნირზე შეუძლია უმაღლესი შედეგისთვის ბრძოლა, რაც ევროპირველობამაც დაადასტურა. სასიხარულოა, რომ ეს ბიჭი ზედიზედ მეორე პირველხარისხოვან შეჯიბრებას შეხვდა ჩინებულ ფორმაში, თუმცა ვგონებ, ახლა, ოლიმპიადაზე კიდევ უფრო უკეთ იყო მომზადებული, განსაკუთრებით – ფიზიკურად. წინამდებარე ინტერვიუში მას ძირითადად საევროპო შთაბეჭდილებებზე ვესაუბრეთ.**

**- ალბათ, ბოლომდე კმაყოფილი არ იქნებით შედეგით, თუმცა ევროპული ვერცხლი ნამდვილად არაა ცუდი...**

- უკმაყოფილო იმდენად ვარ, რომ შეგიძლია და საკუთარი შეცდომით ვერ აკეთებ მაქსიმუმს, თორემ ორ პერიოდში დამაჯერებლად რომ მოეგო, გული იმდენად არ დამწყდებოდა. ვიფიქრებდი, მაჯობა და ვერაფერს ვიზამდი-მეთქი, მაგრამ ბოლოს ისე წაიყვანა ჭიდაობა, მე შევცდი. არ მეგონა, იმ მომენტში რამეს თუ გამიკეთებდა. ალექსეი მიშინს პირველად 2010 წელს შევხვდი ბაქოში. თითები მქონდა ნატკენი, მაგრამ მსოფლიოს წინ სტარტისთვის მაინც წამიყვანეს. მაშინ ორ პერიოდში მომიგო, მას შემდეგ ბევრგან ვეჭიდავე, მაგრამ თავს არ ვიმართლებ და, ასეთ ფორმაში არასოდეს ყოფილა. აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე ირანელმა სამან ტახმასიბიმ ყველა შეხვედრა მოუგო, მაგრამ ახლა მიშინმა მასაც თავისუფლად აჯობა, ხორვატ ბოზო სტარკევიჩსაც და სხვებსაც.

**- თქვენი შეცდომა რაში მდგომარეობდა – იჩქარეთ თუ ზედმეტად თავდაჯერებული იყავით იმ მომენტში?**

უფრო ზედმეტი თავდაჯერება, იყო, ვერ გამიკეთებს ამას-მეთქი. ჩოქბჯენშიც ამიტომ ჩავდექი, მაგრამ საშუალებაც მივეცი, თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. მან მესამე პერიოდის დასაწყისიდანვე იცოდა, მთელი დრო ძიძგილაობაში გავიდოდა და საქმე ჩოქბჯენამდე მივიდოდა. მისი გამოცდილების კაცმა ისიც სწორად გათვალა, რომ ქვევით ჩავდგებოდი და ზევიდან არ მივიდოდი. მესამე პერიოდში უკვე მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ შევეცდინე და დავეტრიალებინე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

**- ახლა ხომ არ ნანობთ, რომ ჩოქბჯენში ჩადექით და შეტევა არ აირჩიეთ?**

- იქ რა მოხდებოდა, წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ მგონია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ორივე დაღლილები ვიყავით, თან მეორე პერიოდში ვერ დამატრიალა და ვიფიქრე, საქმე ზედმეტად რატომ უნდა გავართულომეთქი. ზუსტად ამ შეცდომაზე დამიჭირა – სტარტი მივეცი თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

**- საინტერესოა, ევროპის პირველობამდე რა იგეგმებოდა? თქვენი წონა ხომ ერთ-ერთი უძლიერესი იყო იმ ჩემპიონატზე.**

- ჩემპიონობას ვგეგმავდით, რატომაც არა! სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დამაკლდა, თუმცა, იმედია, მომავალში გამოვასწორებთ. ამ ტურნირისთვის წვრთნა მიდიოდა იდეალურად, რაც გამოჩნდა კიდეც - მედლები ისეთებმა მოვიპოვეთ, რომლებიც უპირველეს ლიდერებად არ მივიჩნეოდით. ასეთები უფრო მანუჩარ ცხადაია და რევაზ ლაშხი იყვნენ, მაგრამ ახალი ხალხი გამოვჩნდით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლაშხი და ლაშა გოგიტაძე წესების ცვლილებას შეეწირნენ. წესებში რეფორმები ერთი დღით ადრე შეიტანეს და მხოლოდ წინა დღეს გვითხრეს. მსაჯებიც ისე იყვნენ დაშინებულნი, ყველაფერზე აფრთხილებდნენ. ლაშხს ეუბნებოდნენ, ხელი არ გათიშო, მაჯა არ დაუკავოო, რაც მისი კოზირია - ამ ძიძგილაობით ღლის მეტოქეს. კიდევ კარგი, მეორე დღეს გამოსწორდა მდგომარეობა, თორემ იქნებ ჩვენთანაც სხვანაირად ყოფილიყო ყველაფერი.

**- ფიზიკურად გამორჩეულად კარგად იყავით მომზადებული. ეტყობა, ამაზე საგანგებოდ ვარჯიშობდით.**

- კი, დამატებითი ვარჯიშები მქონდა. მწვრთნელებთან ერთად თავი გადავდე საამისოდ. მგონი, გუნდში მატებაა – ოლიმპიადაზეც კარგი დონე იყო, ახლა კიდევ უფრო გაუმჯობესებული, ვარჯიშები გაგრძელდება, ვფიქრობ – მწვრთნელთა ამ ჯგუფთან ერთად და ასე მგონია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქრო იქნება. არ ვიცი, ვინ მოიპოვებს, მაგრამ მგონია, რომ გუნდი ნაღდად ექნება ოქრო.

**- ფინალამდე სერიოზული წინააღმდეგობა არ გქონიათ და იგრძნობოდა, რომ ყველაფერი დასახული გეგმით მიდიოდა.**

- მანამ მოვლენები მართლაც გეგმის მისედვით წარიმართა, ისე, როგორც დამიგეგმეს. საერთოდ, მეტოქეებით წილისყრის დღეს არ ვინტერესდები, მხოლოდ მეორე დღეს მეუბნებიან ამას – რაც უნდა სუსტი იყოს, მაინც გეფიქრება და მირჩევნია, დილით მითხრან. მწვრთნელებიც ასე იქცევიან და მეუბნებიან, ვის ვხვდები და ვინაა ჩემს ბადეში. ამ ჩემპიონატზეც მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია და პირადი მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი ყოველი შეხვედრის წინ მიგეგმავდნენ საჭიდაო გეგმას, რაც ფინალამდე კარგად შევასრულე, იქ კი ცოტა დავაკელი.

**- საინტერესოა, მაინც რა დავალება მოგცეს მწვრთნელებმა მიშინთან?**

- უნდა გამეკეთებინა ჩემი ტრიალი მჭიდრო შეკვრიდან. მეც მეგონა, რომ რაც სხვებთან გამომივიდა, ამასთანაც გავაკეთებდი.

**- საინტერესოა მწვრთნელთა პოზიცია... თუნდაც იმ კუთხით, მომავალში რის ხარჯზე უნდა მოუგოთ მიშინს, რომელიც უკვე მადაზე მოვიდა და 34 წლის ასაკში აცხადებს, რომ მზადაა, შემოდგომაზე მეორედ მოიგოს მსოფლიოს პირველობა.**

- მიშინი იქნებ ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ ჯერ წავიდეს მსოფლიოზე - რუსეთის ნაკრების მწვრთნელები აცხადებდნენ, მიშინმა რომც მოიგოს ევროპის პირველობა, თუ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალან ხუგაევმა ისურვა მსოფლიოზე გამოსვლა, იმას დავაყენებთო. მიშინს თუ შევხვდი, მთავარი ამოცანა იქნება, ჩემი ტრიალი გავუკეთო და არ მივცე სტარტი. მომავალში სხვანაირად მივუდგები მას და დაცვაში უკეთ მოვემზადები - ის მარჯვნიდან ატრიალებს, რასაც სხვანაირი დახვედრა უნდა. მწვრთნელები ამაზეც მესაუბრნენ. ამ ფინალამდეც კი დამარიგეს, მაგრამ ცოტა არ დავუჯერესავით, რადგან არ მეგონა, თუ გამიკეთებდა. მომავალში იმასაც გავითვალისწინებ, რომ შეკვრა არ უნდა მივცე - მე ველოდები, აბა, თუ დამატრიალებს-მეთქი, მიშინი კი ხან ჩაიკეტება და ხუთიოდე წამს ამაში იგებს, ხან - ცოცავს და ერთი ხუთს ამით იგებს, მე კი 20 წამი მრჩება შეტევისთვის. მომავალში არც შეკვრას დავანებებ, ცოტა კიდეც უნდა იცოცო, იეშმაკო და ასე. გამოცდილი ხალხი ასე იქცევა. ამასთან, მსოფლიოს პირველობისთვის ტექნიკურ არსენალს კიდევ უფრო მეტად გავამდიდრებ და სიურპრიზებს შევთავაზებთ. მაგალითად – დგომში.

**- თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ამ ტურნირზე მიშინმა ფინალამდე ჩოქბჯენში სამჯერ წარმატებით დაიცვა თავი.**

- ფიზიკურად ძალიან ძლიერია და როგორც მახსოვს, ჩოქბჯენში ილეთი არ გაუშვია. კიდევ ვიმეორებ – თავს არ ვიმართლებ მასთან წაგების გამო, მაგრამ უდავოდ მაღალი დონის მოჭიდავეა, ძალიან მგრძნობიარე.

**- თქვით, რომ აწონის დღეს მეტოქის ვინაობით არ ინტერესდები. დავიჯერო, არ ნერვიულობთ, არ გაინტერესებთ, ვის ხვდებით?**

- ინტერესი დიდია, როგორ არა, მაგრამ უკვე მივეჩვიე ამას და არ ვნერვიულობ. აწონისას ვცდილობ, პირველი ავიწონო და სწრაფად მოვდივარ. სპორტსმენისთვის მთავარია, კარგად დაიძინო და მერე ვინც გინდა, ის შეგხვდეს. მწვრთნელებმაც იციან ეს და არ მეუბნებიან. დილით ავდგები, გავისეირნებ და მერე ვიგებ, ვინაა პირველი და ასე შემდეგ... ერთხელ ლევან თედიაშვილმა თქვა, არც ჩემპიონობაზე არ უნდა იფიქრო და არც იმაზე, პირველს ვის ხვდები, მეორეს და მესამეს, ყველასთან მოგებაზე უნდა იფიქრო და მაშინ ჩემპიონიც ხარ, თორემ თითო შეხვედრაზე თუ იდარდე, არაფერი გამოვაო.

**- საინტერესოა, ოჯახში როგორ შეგიფასეს ევროპაზე გამოსვლა – მამამ, უფროსმა ძმამ, რომლებიც ყოფილი მოჭიდავეები არიან და დიდი ამაგიც აქვთ თქვენზე?**



- მეორე პერიოდში რომ ვერ დამატრიალა, ყველას ეგონა, დამატებითშიც ვერაფერს მოახერხებდა. ჩემმა ძმამ მითხრა, ჩოქბჯენამდე რომ მიხვედით, შვებით ამოვისუნთქეო. ძმამ მაინც გამამხნევა, პირველი მედალია, სტარტისთვის კარგიაო. მამა, როგორც წესი, ტურნირამდე ახლაც ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ ფინალის შემდეგ გარეგნულად თავი მშვიდად ეჭირა. ეტყობა, მე მიფრთხილდებოდა, რადგან ისეთ დღეში ვიყავი, მთელი კვირა გონებით ისევ იმ ფინალს ვჭიდაობდი და იმას ვფიქრობდი, ასე უნდა დამეცვა, ისე უნდა მოვქცეულიყავი-მეთქი...

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების საიუბილეო 65 წელს ულოცავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერან ფალავანს **ემზარ მორგოშიას.**

ნიჩბოსნობა

# მინგეჩაურში პრეზიდენტის თასზე

**საქართველოს 16 ნიჩბოსანი მონაწილეობდა მინგეჩაურში „პრეზიდენტის თასზე“ საერთაშორისო რეგატაში. საპრიზო ადგილებისთვის სამ ასაკობრივ ჯგუფში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ.**

აკადემიურ ნიჩბოსნობაში 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის **ფარნაოზ კაპანაძემ** (მცხეთა) ერთადგილიანი ნავით 1000 მეტრზე ოქროს მედალი მოიპოვა. მანვე ნოდარ მარტოლეკთან ერთად ორადგილიანი ნავით 2000 მეტრზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ამავე დისტანციაზე 17 წლის **არჩილ ბაიაშვილმა** (მცხეთა) და გიორგი კანთელაძემ (ქუთაისი) 18 წლიანებში მეორე ადგილი დაიკავეს - 0,1 წამით ჩამორჩნენ მასპინძლებს - როიალ მამედოვსა და ბაბეკ აბასოვს. პეტრე ქავთარაძემ, გიორგი კუჭავამ, გელა ქოიავამ და ნიკოლოზ ქავთარაძემ ოთხადგილიანი ნავით, ასევე, ვერცხლის მედალი დაიმსახურეს 2000 მეტრზე 18-წლიანებში. ამავე ასაკში ერთადგილიანი ნავით ორი პირველი ადგილი დაიკავა არჩილ ბაიაშვილმა, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე-მესამე ადგილებზე გასული როიალ მამედოვი და ელმინ იმამვერდიევი. მე-4 ადგილი გიორგი კანთელაძეს ერგო.



ზაზა ნადირაძე

23-წლიანებში იასპარეზა 15 წლის მცხეთელმა **ანი გვილავამ**. ერთადგილიანი ნავით 2000 მეტრზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველ ნიჩბოსანს 7-8 წლით უფროსმა რუსებმა - იანა კულიგინამ და ირინა რემეზოვამ აჯობეს.

საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვიტალი გრძელიშვილმა** გვითხრა, რომ მცხეთელი ნიჩბოსნები - ანი გვილავა და არჩილ ბაიაშვილი, საერთაშორისო ტურნირების გარდა, ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაშიც გამოცდიან ძალებს: 24-28 მაისს მინსკში 18-წლამდელთა ევროპის პირველობაზე გამოვლენ, მერე კი ლიტვაში, ამავე ასაკში, მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებენ. ამ ტურნირზე 2014 წლის ჭაბუკთა ოლიმპიური თამაშების საგზურებიც გათამაშდება და ქართველ ნიჩბოსნებსაც ორმაგი მოტივაცია ექნებათ.

მინგეჩაურში 23-წლამდელ კანოისტთა ასპარეზობაში ორი მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრების წევრმა **ზაზა ნადირაძემ** (მცხეთა). 200 მეტრზე მან პირველი ადგილი დაიკავა - მინგეჩაურელები ანატოლი მელნიკი და ტარას მატვიშჩუკი ჩამოიტოვა, აი, 500 მეტრზე კი ჩვენებურს ორივე მეტოქემ აჯობა და მე-3 ადგილს დასჯერდა.

სამი მედლით გაიმდიდრა პირადი კოლექცია თბილისელმა **გიორგი ელბაქიძემ:** ერთადგილიანი ბაიდარათი 18-წლიანებში 500 მეტრზე პირველი იყო, 200 მეტრზე - მეორე (თურქმა საფა კოსემ აჯობა), ხოლო 1000 მეტრზე მესამე ადგილს დასჯერდა, დუშელმა **გიორგი შაბურიშვილმა** 18-წლიანებში ერთადგილიანი კანოეთი ორი ბრინჯაო (200 და 500 მ) დაისაკუთრა. ორჯერვე მინგეჩაურელებმა - ალექსეი კუპინმა და ნიკიტა საბლინმა აჯობეს.

**ვაჟა დანელია**

*ავტორის ფოტო*

რეგიონი. კიკბოქსინგი



# დებიუტანტები პრიზიორები გახდნენ

კიკბოქსინგს კახეთშიც მრავალი მიმდევარი ჰყავს, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურჯაანის სპორტსკოლასთან არსებულ ჯგუფში მოვარჯიშეთა მიღწევები. კავკასიის წლევანდელ ჩემპიონატშიც სწორედ მათ ისახელეს თავი - 7 სპორტსმენიდან 3 მეორე პრიზიორი გახდა: 15 წლის **გიგი მანიჟაშვილი,** მისი კბილა **მინდია გოდელაშვილი** და 16 წლის **მირანდა ჭიჭიკაშვილი.** მწვრთნელი **რამაზ მანგოშვილი** ამბობს, რომ შედეგით კმაყოფილია, რადგან ჯგუფი მეორე წელიწადია, რაც ვარჯიშობს და ეს მათთვის პირველი სერიოზული გამოცდა იყო.

ჩემპიონატში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ სპორტსმენები სომხეთიდან აზერბაიჯანიდან და ინგუშეთიდან.

**ლელა ხეჩოშვილი**

თავდადება

# მამა ანდრია – მამაცი ღვთისმსახური და სპორტსმენი

1993 წლის 5 ივლისს, სოხუმიდან 15 კილომეტრში ულამაზეს სოფელ კამანში უდიდესი წმინდანის იოანე ოქროპირის სახელობის კამანის ტაძრის ახლოს აფხაზმა და დაქირავებულმა „ბოევიკებმა“ დახვრიტეს ამ ტაძრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი მამა ანდრია (ერისკაცობაში პაატა ყურაშვილი).



როდესაც ტაძარში „ბოევიკები“ შეცვივდნენ, იკითხეს - ეს მიწა ქართველებისაა თუ აფხაზებისო. მამა ანდრიამ უპასუხა - მიწა ღვთისააო! ამის თქმა იყო და მოძალადეებმა ტყვია დაახალეს თავში. რუსი მეომრები გაოცებულნი დარჩნენ ანდრიას მამაცობით.

უმანკო ღვთისმსახური, მამა ანდრია იგივე პაატა ყურაშვილი, თავის დროზე სპორტსმენი იყო. ის ბალდადში დაიბადა. იქ ეზიარა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას მწვრთნელ თეიმურაზ ვაშაყმაძესთან. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობის მრავალგზის პრიზიორი იყო. მეტიც შეეძლო მაგრამ აჭარაში სხალთის მამათა მონასტერში ყოფნის და მოლოცვის შემდეგ არქიმანდრიტ დანიელის ხელდასმით იწყებს მსახურებას მღვდელ-მონაზვნად და სპორტში მეცადინეობაც აქ მთავრდება.

მამა ანდრიამ აფხაზეთის ომის დროს არაერთი ხეიბარი გადაარჩინა და ტაძარში შეიფარა. სვანებით დასახლებულ კამანში მაღლობზე მდებარე წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი ერთადერთი ეკლესია იყო, მაშინ აფხაზეთში ქართულად რომ ატარებდა წირვა-ლოცვას.

კამანის წმ. იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი აფხაზეთის ომამდე ალადგინა დიდებულმა აფხაზმა კაცმა იური ანუამ, რომელმაც არ მიატოვა მშობლიური სოფელი და სალოცავი. იგი მამა ანდრიასთან ერთად დახვდა ტაძარში მოძალადეებს. იური ანუა სასტიკად აწამეს და ისიც მოკლეს.

ამბობენ, რომ იური და მამა ანდრია ერთმანეთთან ახლოს არიან დაკრძალულები.

ვინც მამა ანდრია დახვრიტა, მან თურმე რამდენიმე დღეში მარჯვენა ხელი და ფეხი დაკარგა, მერე გარდაიცვალა კიდეც...

წმ. იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარში ტყვეობაში მყოფმა იური ანუას შვილმა მანანამ, მამა ანდრიას სიკვდილის შემდეგ მისი სამოსი ჩაიცვა. ის მონაზონი ეგონათ და ასე გადაურჩა სიკვდილს...

ღვთისმსახური და სპორტსმენი მამა ანდრია (პაატა ყურაშვილი) 27 წლის ასაკში შეეწირა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლას.

ჭიდაობაში არაერთი მემორიალური ტურნირი იმართება. მამაცი წმინდანის, პაატა ყურაშვილის მემორიალიც თუ შეემატება ამ ტურნირებს, ვფიქრობთ, მადლიანი საქმე იქნება.

**გაბრიელ ბარჯაძე**

**ლელოს სტაჟიანმა ავტორმა და მეგობარმა ვალერიან როგავამ სამწუხარო ამბავი გვაცნობა მოსკოვიდან - 77 წლისა სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა „ლელოს“ ვეტერანი ჟურნალისტი, ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სსრკ პირველობებისა და ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი, სპორტის ოსტატი**

**ბორის კამენსკი**

**„ლელოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

წყალბურთი

# 20 გუნდი 8 საგზურისთვის იბრძოლებს

წლეულს 8-15 სექტემბერს მალტა ჭაბუკ წყალბურთელთა ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეჯიბრების დასკვნით რაუნდში მოსახვედრად ემზადება საქართველოს ნაკრები, რომელიც კონტინენტის 19 გუნდთან ერთად 9 მაისიდან შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

ჩვენი ბიჭები **B ჯგუფში** სლოვაკებთან, გერმანელებთან, მოლდოველებთან და ჰოლანდიელებთან ერთად იბრძოლებენ. ამ ჯგუფის პაექრობებს თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზი უმასპინძლებს.

დანარჩენები:

**A ჯგუფი** (გორჟოვი, პოლონეთი): საფრანგეთი, ბელარუსი, პოლონეთი, ირლანდია, ისრაელი.

**C ჯგუფი** (სტამბოლი, თურქეთი): რუსეთი, ბულგარეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია.

**D ჯგუფი** (ვიდნო, ჩერნოგორია): ჩერნოგორია, სლოვენია, უკრაინა, ჩეხეთი, ბელგია.

თითოეული ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე 2-2 საუკეთესო გავა. 8 გუნდს კი უკვე დაბევებული აქვს მედლებისთვის ბრძოლის უფლება: იტალიას, სერბეთს, ხორვატიას, ესპანეთს, უნგრეთს, საბერძნეთსა და რუმინეთს - შარშანწინდელი ევროპის პირველობიდან, მალტას - როგორც მასპინძელს.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (გიორგი გაბადაძე, ანდრია ბითაძე, რევაზ იმნაიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ბექა ჭოლოკავა, ირაკლი რაზმაძე, ზუკა ჩიკვაიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, დათო რევია, ირაკლი მარგველაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ლევან მოსეშვილი, ლუკა ჯანჯღავა) მთავარი მწვრთნელის — იოვან პოპოვიჩისა და მწვრთნელ ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით ამჟამად სერბეთში გადის ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას. იქვე ამხანაგურ შეხვედრებსაც გამართავს. ჩვენი ბიჭები 26-28 აპრილს „ოლიმპიკში“ ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ნოდარ გვახარიას თასზე ისრაელის, ჩეხეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლებს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**



კარატე






# 50 მედალი მსოფლიოს ჩემპიონატიდან, ორიც – ოფენ ამერიკიდან

ამერიკაში გამართული „ოფენ ამერიკის“ შემდეგ საქართველოს კარატეს ეროვნულმა ნაკრებმა თურქეთში იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩვენებიდან ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ ღია ჩემპიონატზე **დავით სვანაძე** ოქროს მედალს დაეუფლა, **ედუარდ საგრუნოვი** კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

„ამ წარმატების შემდეგ მეტად მოტივირებული იყო ჩვენი ნაკრები, რამაც თურქეთში საკმაოდ დიდი წარმატება განაპირობა. სტამბოლში გაიმართულ შოტოკანის მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატში 64 ქვეყნის 3000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები 110 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. სამაგალითოდ ორგანიზებული ეს ჩემპიონატი ჭეშმარიტად მაღალი რანგის ოსტატთა მონაწილეობამ დაამშვენა. ჩვენმა ნაკრებმა თავი აქაც ისახელა და საბოლოო ჯამში 11 ოქროს, 12 ვერცხლის და 27 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ 12-13 წლიანებში ჭაბუკთა შორის, მეორე ადგილი გვერგო +18 წლიანებში, მესამე ადგილებს დავჯერდით 14-15 წლის გოგონებსა და 16-17 წლის ვაჟებს შორის“, - განაცხადა თურქეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, **კახა ბასილიამ.**

თურქეთიდან დაბრუნებული ნაკრები გუშინ, რუსეთის ქალაქ ტიუმენში გაემგზავრა WKF-ის „პრემიერ ლიგაზე“ და იმედია, იქიდანაც თავაწეულები დაბრუნდებიან სამშობლოში.

დაბოლოს წარმოგიდგენთ თურქეთის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებულებს. ესენია: **ჰენრი ვეკუა, ირაკლი ტყებუჩავა, გოგიტა არქანია, რუდიკ საგრუნოვი, საბა ცაავა, ალექსი ტყვაცირია, ცოტნე სორდია, სალომე ლაშხია, ვალერიანე სიორდია, ნიკა კოხრეიძე, ლუკა ხვედელიანი.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**

*საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი*



# რეპეტიცია ივენთ ჰოლში ევროპის წინ

ფილარმონიის „ივენთ ჰოლში" საქართველოს ყველა კუთხის 200-მდე მკლავჭიდელი ჩაება ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც ქვეყნის ნაკრების კანდიდატები უნდა დაესახელებინა. საქმე ის არის, რომ 5-13 მაისს ლიტვა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს და საქართველო ამ შეჯიბრებაზე კონკურენტუნარიანი ნაკრებით წარდგება.

„ივენთ ჰოლში" განსაკუთრებით საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონმა გენადი კვიკვინიამ იყოჩალა - სამი ოქროს მედალი მოიპოვა: მარჯვენა მკლავით, ცაციათი და აბსოლუტურშიც ყველას აჯობა.

ეროვნული ჩემპიონატი იმდენად დაძაბულად წარიმართა, რომ, კვიკვინიას გარდა, ჩემპიონთაგან ორი ოქროს მედალი ვერავინ მოიპოვა.

### კვარცხლბეკი

**მემარჯვენეები. 60კგ** 1. ალექსი ფრენუაშვილი (მარტყოფი), 2. ლაშა კახელაშვილი (თბილისი), 3. გელა არაბული (ახმეტა)

**65კგ.** 1. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 2. ლევან ჯანანაშვილი (კასპი), 3. ნიკა მალლაფერიძე (ქუთაისი)

**70კგ 1.** ალეკო აბუთიძე (ქუთაისი), 2. კობა მამამთავრიშვილი (წყნეთი), 3. ოთარ თავართქილაძე (ბათუმი)

**75კგ 1.** ზაზა თაბაგარი (ჭიათურა), 2. ჯაბა გეთიაშვილი (თბილისი), 3. გიორგი თვალაშვილი (თბილისი)

**80კგ. 1.** ნიკო მათიაშვილი (მარტყოფი), 2. რეზო რუხაძე (რუსთავი), 3. დავით სამუშია (ზუგდიდი)

**90კგ 1.** არსენ შოშიაშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი დემეტრაშვილი (თბილისი), 3. ლევან ბერძენიშვილი (თბილისი)

**100კგ 1.** საჩო გახარია (თბილისი), 2. ვანო კბილაშვილი (თბილისი). 3. არჩილ თედორაძე (ქუთაისი)

**110კგ 1. გენადი** კვიკვინია (აჭარა). 2. ვასო დაუთაშვილი (თბილისი), 3. ლევან საგინაშვილი (თბილისი)

**+ 110კგ.** 1. რეზო ლუტიძე (თბილისი), 2. მალხაზ ხვედელიძე (რუსთავი), 3. აბო რეხვიაშვილი (რუსთავი)

**მემარცხენეები. 60კგ.** 1. გელა არაბული, 2. ლაშა კახელაშვილი, 3. შალვა გაბისიანი (თბილისი)

**65კგ. 1.** ვილენ გაბრავა (ხობი), 2. ნიკა მალლაფერიძე, 3. უჩა ტყეშელაშვილი (ქუთაისი)

**70კგ.** 1. კობა მამამთავრიშვილი, 2. ოთარ თავართქილაძე, 3. გოგიტა ხიმშიაშვილი (აჭარა)

**75** კგ. 1. ჯაბა გეთიაშვილი, 2. ზაზა თაბაგარი, 3. ილია აბუთაშვილი (თბილისი)

**80კგ. 1.** გიორგი ალბუთაშვილი, 2. გიორგი უბილავა (ორივე - თბილისი), 3. მერაბ კაკაბაძე (აჭარა)

**90** კგ, 1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი) ლევან ბერძენიშვილი, 3. არტაკ კობელიანი (ნინოწმინდა)

**100** კგ. 1. გურამ ფაშურიშვილი (თიანეთი), 2. საჩო გახარია, 3. არჩილ თედორაძე

**+110** კგ. 1. გენადი კვიკვინია, 2. ლევან საგინაშვილი (თბილისი), 3. აბო რეხვიაშვილი (რუსთავი)

**აბსოლუტური.** 1. გენადი კვიკვინია, 2. რეზო ლუტიძე, 3. ზაზა თაბაგარი

**ვაჟა დანელია**

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

# რატომ ურჩიეს ESPN-ის ჟურნალისტს საქართველოში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის გარეშე ჩამოსვლა?

## ქალი და მარათონი...

„ტაიმლაინში" არაერთხელ შემოგვითავაზებია უცხოელი ჟურნალისტებისა თუ მწერლების მოსაზრებანი საქართველოსა და ჩვენი სპორტის შესახებ. საინტერესოდ დაემთხვა, რომ სწორედ გუშინ საშუალება მომეცა (საქართველოში ამერიკის საელჩოს წარმომადგენელთა დახმარებით) შევხვედროდი თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფ ჯეინ მაკმანუსს. იგი ESPN-ისა და „ნიუ იორკ პოსტის" მიმომხილველია.

როგორც ყველა უცხოელი, ისიც მეტად მოხიბლული ჩანდა აქაურობით.

- საუცხოო შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. საქართველო მეტად საინტერესო ქვეყანაა. სხვა ყველაფერთან ერთად მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უგემრიელესი სამზარეულო გაქვთ. მომეწონა ხაჭაპური, ლობიო, ლობიანი, ყველიანი ხინკალი... ამ ყველაფერს განსაკუთრებულ გემოს ის მატებს, რომ ოჯახურადაა დამზადებული და გულით მორთმეული.

**- საქართველოს შესახებ ჩამოსვლის წინ რა ინფორმაციას ფლობდით?**

- შევისწავლე გეოგრაფია და ისტორია, უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდელით დამთავრებული. თქვენი ქვეყნის შესახებ დავეკითხე მეგობარს, რომელიც საქართველოს აქამდე სტუმრობდა. ასევე დავეკონტაქტე ჩემს ყოფილ ქართველ სტუდენტს (კოლუმბიის უნივერსიტეტიდან). მირჩიეს, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი არ ჩამეცვა. ალბათ მიხვდით, რატომაც... გზების გამო.

**- ქართველ სპორტსმენებზე თუ დაგიწერიათ რამე?**

- ქართველი მოჭადრაკე ქალები საერთაშორისო სარბიელზე ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან. კარგი ნაკრებები გყავთ. ასევე ტანმოვარჯიშეებზე მაქვს კარგი წარმოდგენა. „დისნეის" ტურნირზე დავესწარი ახალგაზრდა ქართველ ქალ ფეხბურთელთა თამაშს. საერთოდ, ძალიან მაინტერესებს ქალთა სპორტი. ეს არც უნდა გაგიკვირდეთ, რადგან მეც კალათბურთელი ვიყავი.

**- სხვათა შორის, საქართველოში ქალი სპორტსმენების რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ვაჟებისა.**

- არ გეგონოთ, ასეთი პრეცედენტი მხოლოდ თქვენს ქვეყანაშია, ათეულობით წლის წინათ აშშ-შიც ასეთივე სიტუაცია იყო. მაგალითად, დედაჩემის ახალგაზრდობაში ამბობდნენ, თითქოს მარათონის მორბენალი ქალი შვილს ვერ გააჩენდა... ცხადია, ეს ასე არ არის. მას მერე ამერიკაში შესაბამისმა სტრუქტურებმა სწორი მიმართულებით განავითარეს ქალთა სპორტი, რათა ვაჟთა სპორტისთვის გაეთანაბრებინათ. დღეს უამრავი ქალი ცხოვრობს ჯანსაღი ცხოვრებით.

**- ათწლეულების განმავლობაში სპორტი საქართველოში ეროვნულობის ხაზგასმისა და საქართველოს სახელის საერთაშორისო სარბიელზე გატანის საშუალება იყო. მოკლედ თუ შეძლებთ გვითხრათ, რას ნიშნავს სპორტი ამერიკელებისთვის?**

- მთელი მსოფლიოს მასშტაბით ის დიდი ბიზნესია. ამერიკაში სპორტი უამრავ ადამიანს აერთიანებს, აკავშირებს. ერთ მაგალითს მოვიყვან: აშშ-ში ტელეშოუები (პოლიტიკური, გასართობი...) მეტად პოპულარულია. სტატისტიკის მიხედვით კი, ყველაზე მეტი მაყურებელი ამერიკული ფეხბურთისადმი მიძღვნილ შოუს ჰყავს.

**- აღნიშნეთ, რომ კალათბურთელი ბრძანდებოდით. ESPN-ზე აშუქებთ ჩოგბურთს, ფეხბურთს... კალათბურთზე არ წერთ. რატომ?**

- შესაძლოა უკეთესიცაა, რომ სპორტის იმ სახეობაზე არ ვწერ, რომელთანაც ყველაზე ახლოს ვარ. მოგეხსენებათ, ჟურნალისტი ემოციებს არ უნდა აჰყვეს, რათა ობიექტურობა შეინარჩუნოს. ზოგიერთი მატჩის ყურებისას, შესაძლოა თამაშში შეიჭრა... თუმცა 1998 წელს ჩემი პირველი სტატია სწორედ კალათბურთს ეძღვნებოდა, კოლეჯების ლიგის მატჩზე ვიყავი და კარგად მახსოვს ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელს ვუთხარი: „ვორკაუტზე" ვარ, სწორედ ამ პირველ სტატიაზეა დამოკიდებული ჩემი მომავალი კარიერა-მეთქი. რადგანაც მას მერე სპორტულ ჟურნალისტად ვმუშაობ, ე.ი. სადებიუტო პუბლიკაცია კარგი გამოვიდა.

**- 1998 წელი ახსენეთ. მაშინ ქართველი ჟურნალისტები პუბლიკაციებს კალმით ვქმნიდით. თქვენც მოგიწიათ საწერი კალმიდან კომპიუტერის კლავიატურაზე გადასვლამ?**

- არა. 1998 წელს სპეციალურ მოწყობილობაზე ვწერდი, რომლის სახელი არ მახსოვს, პეიჯერს მოგაგონებდათ, თუმცა უფრო დიდი იყო. კარგად მახსოვს, ეკრანზე მხოლოდ ხუთი სტრიქონი ჩანდა, დანარჩენს ეს მოწყობილობა მეხსიერებაში ინახავდა. 1999 წლიდან კი საკუთარ ლეპტოპზე ვმუშაობ.

**- გაზეთ „ნიუ იორკ პოსტიდან" ტიმ ბონტამპსის არაერთი სტატია მაქვს წაკითხული. ალბათ, მიხვდებით, რატომაც...**

- გასაგებია. ტიმი კალათბურთზე წერს, NBA-ში კი სადღეისოდ ორი ქართველი თამაშობს, ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია. ტიმი ჩემი მეგობარია, საქართველოშიც მომწერა მესიჯი.

**- „ბრუკლინში" თორნიკე შენგელიას თამაშიც ნანახი გექნებათ.**

- სამწუხაროდ, „ნეთსის" თამაშებზე სიარულს ვერ ვახერხებ, რადგან სპორტის სხვა სახეობები მაბარია. დასვენებებისას კი კალათბურთზე წასვლას ნამდვილად არ ვესწრაფვი, რადგან ვცდილობ, მთლიანად გამოვეთიშო სპორტს და ოჯახთან ერთად დავისვენო.

**- სპორტსმენთაგან ვის მიიჩნევთ საუკეთესოდ?**

- სერენა უილიამსი სამაგალითოა. ვისურვებდი, ჩემი შვილები მას დამსგავსებოდნენ მიზანსწრაფულობითა და შრომისმოყვარეობით. ვიდრე სერენა ტრავმას მიიღებდა, იგი უძლეველი იყო, არაერთი ტიტული მოიგო. თუმცა, რადგან სპორტსმენთაგან უილიამსს გამოვარჩევ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტატიების წერისასაც მას ვქომაგობ. თუ საჭიროა, სერენასაც ვაკრიტიკებ.

**- ბოლოს, რას ურჩევდით ახალგაზრდა სპორტულ ჟურნალისტებს?**

- მეტ აკურატულობასა და სამართლიანობას. ჟურნალისტმა თავად უნდა შეიქმნას იმიჯი, რომლის დაცვაც სწორედ მასსა და მის ნაშრომებზეა დამოკიდებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჯეინ მაკმანუსი

● საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ეს უნდა გენახათ!

## ზედიზედ მეორედ: სოხუმი ახალგაზრდებში საუკეთესოა

### ფინალი

11 აპრილი, სპორტის სამინისტროს დარბაზი

**სოხუმი–ოლიმპი 74:60**

**19:9, 13:15, 16:19, 26:17**

**სოხუმი:** გაგნიძე (6ქ, 5მ), მეგენეიშვილი (9ქ, 5ფ), გაფრინდაშვილი (2ქ, 3ჩ), ტყაბლაძე, ჯინჭარაძე (31ქ, 13მ, 3ჩ), გოლეთიანი, მუიუნიექსი (3ქ), ბულიავა (19ქ, 9მ, 5პ, 4ჩ), არაბული (4ქ, 7მ, 5ფ).

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე (8მ), ნადირაძე (5ქ, 5მ), იაშვილი, გოგოძე (10ქ, 5მ, 3ჩ), იაკობიძე, ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (6ქ, 12მ), ლობჟანიძე (24ქ, 11მ), მიქელაძე (15ქ, 5მ, 4ჩ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

**სერია მოიგო „სოხუმმა" - 2:0**

### III ადგილი

11 აპრილი, სპორტის სამინისტროს დარბაზი

**შსს აკადემია–რუსთავი 87:72**

**20:14, 23:19, 17:21, 27:18**

**შსს აკადემია:** რევაზ როგავა (3პ), გორდულაძე, ჟორჟოლიანი (6ქ, 3ჩ), ლოლიშვილი (3ქ, 9მ), რეზო როგავა (9მ), მირზიაშვილი (10ქ, 5მ), პულუზაშვილი (16ქ, 8მ, 5დ), დ. როგავა (22ქ), კვანტალიანი (8ქ, 5მ, 4პ), მაჭავარიანი (10ქ), გუგეშაშვილი (3ქ, 4პ), მოშიაშვილი (9ქ, 4პ).

**რუსთავი:** ჩიჩუა (2ქ, 3პ), ლორთქიფანიძე (12ქ), დვალი (12ქ), ურიდია (11ქ, 8მ, 3ჩ, 3დ), ნარჩომაშვილი, რეხვიაშვილი (12ქ, 13მ, 3პ), ტაბალუა (9ქ, 10მ, 4პ), ხატიაშვილი (14ქ, 6მ).

გუშინ სპორტის სამინისტროს დარბაზში იმაზე მეტო ქომაგი შეიკრიბა, ვიდრე არენა იტევს. 20-წლამდელთა ფინალური სერიის გადამწყვეტი მატჩი გულშემატკივრის სიუხვემ კიდევ უფრო სანახაობრივი გახადა. თუმცა თავად კალათბურთელებმაც ისეთი შეხვედრა გვიჩვენეს, უმაღლესი ლიგის ზოგიერთ მატჩს რომ შეშურდება.

კალათბურთში ყველა შეტევას კალათთან მივყავართ. ეს ყველამ კარგად იცის, თუმცა შეხვედრის მონაწილეები მაქსიმალურად ცდილობდნენ კალათისკენ სავალი გზა შეემოკლებინათ და იერიშებისთვისაც ნაკლები დრო დაეხარჯათ. შედეგად, სწრაფი და შეტევაზე ორიენტირებული კალათბურთი ვიხილეთ. მაშინაც კი, როცა სირენამდე 2 წუთით ადრე „სოხუმი" 10 ქულით დაწინაურდა, ტემპი არ დავარდნილა...

არადა, მესამე პერიოდში მოედანი სოხუმელთა სასტარტო გამთამაშებელმა **მეგენეიშვილმა** რომ დატოვა (ხუთი ფოლის გამო), „ოლიმპმა" **მიქელაძისა** და **ლობჟანიძის** კარგი თამაშის წყალობით სიტუაცია გამოასწორა და თითქოს გარდატეხაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სოხუმელებმა მეტოქეს ამის საშუალება არ მისცეს.

**ბულიავა** და **ჯინჭარაძე** თამაშს საკუთარ თავზე იღებდნენ და დამაგვირგვინებელ ფაზაში როგორც გამოიყურებოდნენ, მათი მონაგარიდანაც ჩანს. პირველმა 19 ქულა ჩააგდო, მეორემ 31 ქულას 13 მოხსნა მიამატა. შესაბამისად მატჩის საუკეთესო კალათბურთელი კახა ჯინჭარაძე გახდა და რაჟიკო დარბაიძის სახელობის თასი გადაეცა. გუნდის კაპიტან ბულიავას კი ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ერგო. არაფერი გვითქვამს მუჟნიექსზე, არაბულსა და სხვებზე, რომლებსაც ნაკლებად ეფექტური სტატისტიკა ჰქონდათ, მაგრამ არანაკლები წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში.

„სოხუმმა", რომელსაც **თემურ კანკია** და **ლიკა ქაჯაია** წვრთნიან, ფინალურ სერიაში 2:0 იმარჯვა და ზედიზედ მეორედ მოიგო 20-წლამდელთა ჩემპიონატი.

მესამე ადგილისთვის მატჩი „შსს აკადემიამ" „რუსთავს" მოუგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ინტერვიუ ვიქტორ დიდებულიძესთან

# ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს

**საფრანგეთში ქართველი მორაგბეების მასობრივი მიგრაცია გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. საქართველოს უძველესი სარაგბო გუნდის, თბილისის „ყოჩების“ აღზრდილი ვიქტორ დიდებულიძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ფრანგულ სარაგბო სივრცეში გზის გაკვალვა სცადა. საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა, რომელმაც თავის კარიერაში მსოფლიოს თასის ორ გათამაშებაში გამოსვლა მოასწრო, 1999 წელს მოისხა ლეგიონერის „მანტია“. სამი კლუბის გამოცვლის შემდეგ, ვიქტორი პარიზის გარეუბნის გუნდ „მასიში“ დამკვიდრდა და იქვე სამწვრთნელო კარიერას მიჰყო ხელი. საგულისხმოა, რომ სარაგბო კლუბი „მასი“ 1971 წელს დაარსდა. ამავე წელს თბილისში ვიქტორ დიდებულიძე დაიბადა. საფრანგეთში მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მწვრთნელობა რამდენიმე ქართველმა მორაგბემ მოინდომა, თუმცა მათ შორის ყველაზე წარმატებული ვიქტორ დიდებულიძეა, რომლის ხელმძღვანელობითაც „მასიმ“ სამწლიანი ეპოპეის შემდეგ, ელიტურ მეორე დივიზიონში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. დიდებულიძეს საფრანგეთში დავუკავშირდით და კლუბში მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.**


ვიქტორ დიდებულიძე (მარჯვნივ) და საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ფილიპ სენტ-ანდრე

### დოსიე
### ვიქტორ დიდებულიძე

**დაიბადა:** 04.11.1971 წელი

**კარიერა**

თბილისის „ყოჩები“
„ტარბი“ - 1999-2000
„ნიმი“ - 2001-2002
„კანი“ - 2003-2004
„მასი“ - 2005-2007

**მწვრთნელი:** 2008 წლიდან (მასი).

**ნაკრებში:** 45 კეპი, 4 ლელო (20 ქულა).

2003 და 2007 წლების მსოფლიოს თასის მონაწილე

- სამწვრთნელო ასპარეზზე ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. „მასის“ 2008 წლიდან ვხელმძღვანელობ. შარშან, ბევრი ბრძოლისა და მრავალი იმედგაცრუების შემდეგ, მაინც შევძელით ფედერალ 1 დივიზიონიდან ელიტურ მეორე დივიზიონში გადასვლა. ამჟამად, მართალია, ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ჯერ დაკარგული არაფერია. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. დანებებას არ ვაპირებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ და, ვნახოთ, რა გამოვა.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ კლუბში მუშაობის პარალელურად, სამწვრთნელო კურსებსაც ინტენსიურად გადიოდით. ამჟამად სწავლის რა ეტაპზე ხართ?**

- სამწვრთნელო სკოლას ზაფხულში ვამთავრებ. თუ გამოცდებს წარმატებით ჩავაბარებ, უმაღლესი ხარისხის დიპლომს მივიღებ. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლება მექნება ეროვნული ნაკრებისა და ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდების მთავარი მწვრთნელი გავხდე. აქამდე ყველა საფეხური გავიარე და ვფიქრობ, გამოცდის ჩაბარება არ უნდა გამიჭირდეს.

**- „მასიში“ მთავარი მწვრთნელი ხართ?**

- არა, გუნდს ორნი ვხელმძღვანელობთ, მე და ჟან-ფრედერიკ დუბუა. ის უკანახაზის მწვრთნელია, მე შერკინებას ვავარჯიშებ. ამასთან ერთად, „მასის“ სარაგბო სკოლის მწვრთნელებიც ვართ. ჩვენთან მუშაობდა ასევე ოლივიე მანე, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ მან იმედები ვერ გაამართლა და მომავალი წლიდან ორნი დავრჩებით.

**- გუნდს საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგას. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ მეორე დივიზიონში ადგილის შენარჩუნებას?**

- ამისთვის კლუბი მზად არის. თუ ვერ შევძელით მეორე დივიზიონში დარჩენა, ვეცდებით ძირითადი ბირთვი - 25-30 პროფესიონალი მორაგბე შევინარჩუნოთ და მომავალი სეზონიდან ისევ ელიტაში დაბრუნებისთვის ვიბრძოლოთ.

**- შარშან, ექვსი ერის გათამაშების მსვლელობისას, საფრანგეთის ნაკრებმა „მასისთან“ ერთობლივი წვრთნები გამართა...**

- მაშინ ფედერალ 1-ში ანუ სამოყვარულო დივიზიონში ვიყავით. საფრანგეთის ნაკრებს პროფესიულ გუნდებთან ერთად ვარჯიშის უფლება არ აქვს. იმ დროს ისე მოხდა, რომ ვლიდერობდით, შერკინება სხვებთან შედარებით უკეთესი გვყავდა, ამას დაუმატეთ ისიც, რომ ნაკრების შერკინების მწვრთნელი იანიკ ბრუ და ჩვენი უკანა ხაზის მწვრთნელი ჟან-ფრედერიკ დუბუა ყოფილი თანაგუნდელები არიან. ერთმანეთს კარგად იცნობენ და ამანაც განაპირობა ის, რომ საფრანგეთის ნაკრები ბაზაზე გვეწვია.

**- „მასიში“ ქართველი მორაგბეები ყოველთვის მრავლად იყვნენ. ისიც კარგად გვახსოვს, 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებისას, ქალაქ ლანსში ნამიბიის ნაკრებთან მატჩის დროს „მასის“ გულშემატკივრები რა გულმხურვალედ გვქომაგობდნენ. ამჟამად გუნდში რამდენი ქართველი მორაგბეა?**

- დღეს „მასის“ ღირსებას სამი ქართველი იცავს. პირველხაზელი დავით აშვეთია და მესამეხაზელი შალვა სუთიაშვილი ძირითადი გუნდის მოთამაშეები არიან. კიდევ ერთი პირველხაზელი, შერკინების კვაჭი არჩილ კობაური სათადარიგო გუნდში ასპარეზობს. მეორე დივიზიონში თუ დავრჩით, გვინდა ორი ან სამი ახალგაზრდა ქართველი მორაგბის დამატება - ისეთების, მომავალში რომ გამოგვადგებიან.

**- თუ მეორე დივიზიონში ვერ დარჩით ქართველ მორაგბეებს გუნდის დატოვება მოუწევთ?**

- არა, რატომ? ჩვენ გვინდა, რომ ისინი გუნდში დარჩნენ. აშვეთია ასაკით ოდნავ დიდია და, ალბათ, „მასიში“ დარჩება. სუთიაშვილი შედარებით ახალგაზრდაა და უკეთესი გუნდის პოვნის მეტი შანსი აქვს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მესამე ხაზში საფრანგეთში დიდი კონკურენციაა. მოკლედ, მისი გადასაწყვეტი იქნება - დარჩება თუ არა. ჩვენ მომავლის გუნდი გვინდა ავაშენოთ და მასში შალვასაც მოვიაზრებთ.

**- სხვა კლუბებიდან არ გქონიათ შემოთავაზება? თუ „მასის“ ერთგულებას აპირებთ?**

- შემოთავაზება მქონდა, მაგრამ აქ სტაბილური მდგომარეობაა და ამ ეტაპზე დარჩენა გადავწყვიტე. ვნახოთ, ჯერ დიპლომი ავიღო, მერე უკვე სხვა, უფრო მაღალი დონის გუნდებზეც შესაძლებელი იქნება ფიქრი.

**- მცირე ხნით თქვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, ტიმ ლეინის ასისტენტიც იყავით...**

- ნაკრების წარმატებებს შორიდან ვადევნებ თვალს. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს და ნაკრების ამჟამინდელი თავკაციც თავისებურად ამზადებს გუნდს. რაიმე კრიტიკული რომ თქვა, შიგნით მიმდინარე მოვლენებს უნდა იცნობდე, ამიტომ არაფერს ვიტყვი. ერთი სიტყვით, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.



მეტოქე



გრემ ჰენრი

# არგენტინამ ჰენრი შეინარჩუნა

საქართველოს ნაკრები ივნისში, თბილისში გასამართი ტურნირის შემდეგ, არგენტინაში გაემგზავრება და „პუმებთან“ ტესტმატჩს გამართავს. მასპინძლები მანამ ინგლისის ნაკრებს ორჯერ გაეჯიბრებიან. ისევე როგორც შარშან, ამ შეხვედრებისთვის არგენტინის ნაკრებს **სანტიაგო ფელანთან** ერთად „ოლ ბლექსის“ ყოფილი თავკაცი **გრემ ჰენრი** მოამზადებს.

„პუმების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჰენრის დარიგებები ოთხი ერის გათამაშების მატჩებში შესანიშნავად გამოიყენეს.

*„2013 წელს, ოთხი ერის გათამაშება კიდევ უფრო დაძაბული, სერიოზული ტურნირი იქნება, რაც არგენტინის ნაკრებისთვის დამატებით პრობლემას შექმნის. სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია და ავსტრალია შარშანდელთან შედარებით, წლეულს, ბევრად ძლიერები იქნებიან.*

*ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გუნდს მაღალი დონის სპეციალისტი გრემ ჰენრი დაეხმარება. დიდია მისი წვლილი ჩვენი ნაკრების შარშანდელ წარმატებებში.*

*სამწუხაროა, რომ ოთხი ერის წლევანდელი გათამაშების შემდეგ, ნაკრები მთავარმა მწვრთნელმა სანტიაგო ფელანმა უნდა დატოვოს. მან გადაწყვიტა, თანამდებობიდან ოჯახური პრობლემების გამო გადადგეს. ჩვენ მის დაყოლიებას ვცდილობთ, რადგან ფელანთან პრეტენზია არ გვაქვს“,* - თქვა არგენტინის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ლუის კასტილომ.**

ტესტები


ჰეინკე მეიერი

# აფრიკა მზადებას შეუდგა

სამხრეთ აფრიკის ნაკრები ივნისის ტესტებისთვის მზადებას იწყებს. „ბოკეს“ თავკაცმა **ჰეინკე მეიერმა** პირველ სამდღიან საწვრთნელ შეკრებაზე 36 მორაგბეს უხმო.

სამხრეთაფრიკელები ივნისში იტალიის, შოტლანდიისა და სამოას ნაკრებებს უმასპინძლებენ. მეიერმა გაფართობულ შემადგენლობაში რამდენიმე დებიუტანტს უხმო.

*„აუცილებელია მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება. ამიტომაც, ძალიან რთულია საუკეთესოების მხოლოდ 36 მორაგბიდან შერჩევა, მით უფრო, რომ საკმარისად არიან ისეთები, რომლებიც დიდ რაგბის თამაშობენ*

*გაფართოებულ შემადგენლობაში რამდენიმე ახალი მოთამაშეა: პიტერსტეპ დუ ტია, იან სერფონტეინი და რობერტ ებერსონი ჯერ კიდევ შარშან სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობდნენ. მათ წლეულს სხვებზე მეტად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.*

*მოთამაშეების ეს ჯგუფი სულაც არ არის ნაკრების საბოლოო ვარიანტი. არიან სხვა მორაგბეებიც, რომლებმაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მათ მომდევნო შეკრებაზე გამოვიძახებ.“* - თქვა „ბოკეს“ თავკაცმა მეიერმა.

ამჯერად, ტრავმების გამო გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ **ანდრეას ბეკერი** და **იაკო ტაუტე.** აღსანიშნავია, რომ მეიერმა უცხოეთში მოთამაშე სამხრეთაფრიკელების გამოძახებაც გადაწყვიტა. ესენი არიან: ბრაიან ჰაბანა, მორნი სტეინი **და** ივანდერ კრუხერი.

**სამხრეთ აფრიკა**

**შერკინება:** ტენდაი მთავარირა, იანი დუ პლესი, ფრანს მალერბე, კონი ოსტჰუიზენი, პეტ კილიერსი, ადრიან სტრაუსი, ბისმარკ დუ პლესი, ჩილიბოი რელეპელე, ებენ ესტებესი, ფლიპ ფან დერ მერვე, იუანდერ კრუხერი, პიტერსტეპ დუ ტუა, ფრანკო ფან დერ მერვე, სიია კოლისი, მარსელ კუცია, ვილემ ალბერტსი, არნო ბოთა, დუეინ ვერმიულენი, პიერ სპისი, რაიან კანკოვსკი.

**უკანა ხაზი:** იანო ვერმაკი, ფრანუსა ჰუგარი, პატრიკ ლამბიე, მორნი სტეინი, ელტონ იანტისი, იან დე ფილიერსი, ფრანსუა სტეინი, იან დე იონგი, იან სერფონტეინი, რობერტ ებერსონი, ბრაიან ჰაბანა, რაიმონდ რუილი, ჯეი პი პიტერსენი, ბიონ ბესონი, ზან კირხნერი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სოჭის ამბავი მაისში გადაწყდება


უეინ გრეტცკი

დღეს, ნიუ იორკში გაიმართება სამმხრივი შეხვედრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ჰოკეის ეროვნული ლიგისა და ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებს შორის. განსახილველი თემა იქნება NHL-ის მოთამაშეების მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

ამ შეხვედრაზე კონკრეტული გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, რადგან მხარეებს ბევრი საკითხი აქვთ განსახილველი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა - მოთამაშეთა დაზღვევა ოლიმპიადის დროს ტრავმის მიღების შემთხვევაში, აგრეთვე გადაფრენებისა და ოლიმპიადაზე ცხოვრება. როგორც ვარაუდობენ, ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეების ოლიმპიადაზე მონაწილეობის საკითხზე გადაწყვეტილებას მაისში გამოაცხადებენ.

ამასობაში, ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტმა, ლეგენდარულმა **უეინ გრეტცკიმ** განაცხადა, რომ ჩრდილოამერიკული ნაკრებები სოჭის ოლიმპიადაზე საუკეთესო შემადგენლობებით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

*„1972 წლის შემდეგ არ გაგვიგზავნია რუსეთში ჩვენი საუკეთესო ჰოკეისტები. ვფიქრობ, იქაური გულშემატკივრები იმსახურებენ საუკეთესო კანადელი და ამერიკელი მოთამაშეებისა და უმაღლესი დონის ჰოკეის ხილვას.*

*შესაძლოა, სოჭი გახდეს ბოლო ოლიმპიადა NHL-ის მოთამაშეთა მონაწილეობით, რადგან 2018 წელს, ზამთრის ოლიმპიადა კორეაში გაიმართება. ბევრი დრო დაიხარჯება ფრენაზე, NHL-ის სეზონი ორი კვირით შეწყდება... ეს ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული.*

*შესაძლოა, ვცდები, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, სოჭში ბოლოჯერ ვნახოთ NHL-ის მოთამაშეები ზამთრის ოლიმპიადაზე“*, - არცთუ სახარბიელო პროგნოზს აკეთებს ყველა დროის უდიადესი ჰოკეისტი.

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 4:5**

0:3, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 გ. კემპბელი-3 (იაგრი-15, მარჩანდი-17), 0:2 პეი-8 (პევერლი-10), 0:3 გ. კემპბელი-4 (ფერენსი-7, პევერლი-11), 0:4 ხარა-7 (კრეიჩი-22, იაგრი-16), 1:4 ელიაში-11 (სალივანი-8), 2:4 ზეიჯაკი-6, 3:4 გრინი-4 (ენრიკე-5, ბერნიე-6), 3:5 სეგუინი-13 (პეი-6, საიდენბერგი-12), 4:5 დ'აგოსტინი-2 (ზუბრუსი-5, ჟიდლიცკი-13).

**რეინჯერსი-ტორონტო 3:2 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კესელი-13, 1:1 პაგელინი-9 (მაკდონაჰი-11, სტეპანი-20), 2:1 მაკდონაჰი-4 (ბრასარი-15, პაგელინი-11), 2:2 კესელი-14 (ვან რიმსდიკი-12).
**ბულიტები გაიტანეს:** ცუკარელო (რეინჯერსი).

**კალგარი-ვანკუვერი 1:4**

1:1, 0:0, 0:3

**გოლები:** 1:0 გლენკროსი-15 (რაინჰარტი-1, სტემპნიაკი-20), 1:1 ბაროუზი-12 (გარისონი-7, ჰ. სედინი-26), 1:2 ლაპიერი-3 (ებეტი-4), 1:3 რეიმონდი-10 (ჰამჰუისი-16, კესლერი-5), 1:4 დ. სედინი-11 (ჰ. სედინი-27, კესლერი-6).

**ედმონტონი-ფინიქსი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 გორდონი-4 (მოსი-15, კლინკჰამერი-5), 0:2 ვერმეტი-9, 1:2 იაკუპოვი-10 (რ. სმიტი-8, ჰორკოფი-3), 1:3 მოსი-5 (გორდონი-9).

**ანაჰაიმი-კოლორადო 1:4**

0:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. მიტჩელი-10 (დუშენი-22, პარენტო-23), 0:2 ლანდესკოგი-8 (ზენონი-5), 0:3 დუშენი-16 (ბერი-8, პარენტო-24), 1:3 სელიანე-11 (პალმიერი-8, ბოშემენი-17), 1:4 მაკგინი-8 (დერ გულიკი-2).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ყ-პიტსბურგი* | 40 | 30 | 10 | 0 | 60 |
| 2. ბოსტონი* | 39 | 26 | 9 | 4 | 56 |
| 3. ვაშინგტონი* | 40 | 21 | 17 | 2 | 44 |
| 4. მონრეალი | 39 | 25 | 9 | 5 | 55 |
| 5. ტორონტო | 40 | 22 | 13 | 5 | 49 |
| 6. ოტავა | 39 | 19 | 14 | 6 | 44 |
| 7. აილენდერსი | 40 | 20 | 16 | 4 | 44 |
| 8. რეინჯერსი | 40 | 20 | 16 | 4 | 44 |
| 9. ვინიპეგი | 41 | 20 | 19 | 2 | 42 |
| 10. ნიუ ჯერსი | 40 | 15 | 15 | 10 | 40 |
| 11. ბაფალო | 40 | 16 | 18 | 6 | 38 |
| 12. ფილადელფია | 39 | 17 | 19 | 3 | 37 |
| 13. ტამპა ბეი | 39 | 17 | 20 | 2 | 36 |
| 14. კაროლინა | 39 | 16 | 21 | 2 | 34 |
| 15. ფლორიდა | 39 | 13 | 20 | 6 | 32 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ო-წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-ჩიკაგო* | 39 | 30 | 5 | 4 | 64 |
| 2. ანაჰაიმი* | 41 | 27 | 9 | 5 | 59 |
| 3. ვანკუვერი* | 40 | 23 | 11 | 6 | 52 |
| 4. ლოს ანჯელესი | 40 | 22 | 14 | 4 | 48 |
| 5. სან ხოსე | 39 | 20 | 12 | 7 | 47 |
| 6. სტ. ლუისი | 38 | 22 | 14 | 2 | 46 |
| 7. მინესოტა | 39 | 22 | 15 | 2 | 46 |
| 8. დეტროიტი | 39 | 19 | 15 | 5 | 43 |
| 9. ფინიქსი | 40 | 18 | 16 | 6 | 42 |
| 10. დალასი | 39 | 19 | 17 | 3 | 41 |
| 11. კოლამბუსი | 40 | 17 | 16 | 7 | 41 |
| 12. ედმონტონი | 40 | 16 | 17 | 7 | 39 |
| 13. ნეშვილი | 41 | 15 | 18 | 8 | 38 |
| 14. კალგარი | 39 | 14 | 21 | 4 | 32 |
| 15. კოლორადო | 40 | 13 | 22 | 5 | 31 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 56 (15+41) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 50 (26+24) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 49 (9+40) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 46 (20+26) |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 46 (20+26) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 44 (26+18) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 43 (13+30) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 44 (6+36) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 42 (24+18) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 42 (16+26) |

**გოლი**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 26 |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 26 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 24 |
| ჯეფ კარტერი (ლ-ანჯ) | 23 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 20 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 20 |
| პასკალ დუპუი (პიტ) | 19 |
| ჯონათან ტეივზი (ჩიკ) | 19 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 18 |

**პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 41 |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 40 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 36 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 30 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 28 |
| ტეილორ ჰოლი (ედმ) | 28 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 27 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 27 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 27 |

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიტი ჩემპიონია...

## ...ოღონდ ჯერ რეგულარულის

„მაიამი ჰიტი“ ნებისმიერი შემადგენლობით ახერხებს მეტოქეთა დამარცხებას. გუშინ, ჩემპიონი **ჯეიმსის, უეიდის, ბოშისა** და **ჰასლემის** გარეშე გავიდა „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ სათამაშოდ და მაინც მოგებული დარჩა. თან, ფლორიდელებმა ორი საკლუბო რეკორდი დაამყარეს - რეგულარულში მოგებათა რაოდენობით (62) და მატჩში შესრულებული სამქულიანების რიცხვით (41). ეს ბოლო მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, როგორ შეძლო „მაიამიმ“ ალნიშნული მატჩის მოგება. სულ ჩემპიონებმა 33 ტყორცნა მოათავსეს კალათში, აქედან 17 შორეული იყო და მხოლოდ 16 - ახლო და საშუალო დისტანციიდან. სამქულიანების შესრულებისას ყველაზე სახიფათო იყვნენ **ლუისი, ბატიე, მილერი** და **ჩელმერსი** (ისინი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდნენ და ერთად 29-დან 15 სამქულიანი გამოიყენეს), ფარქვეშ კი ყველაზე მეტი ხიფათი **რეი ალენისგან** მოდიოდა. NBA-ის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერს შორეული ტყორცნები არ წაუვიდა (შვიდიდან ერთი), ამიტომაც ვეტერანმა ახალგაზრდობა გაიხსენა და ფარქვეშ შესვლებზე გადავიდა, საიდანაც დააგროვა კიდეც თავისი ქულების უდიდესი ნაწილი. სწორედ მეოთხე მეოთხედში ალენის აქტიურობის (10 ქულა, 3 პასი) წყალობით შეძლო „ჰიტმა“ მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა, რითაც პლეი ოფის ყველა სერიაში (მათ შორის, ფინალურში) გაინაღდა საკუთარი მოედნის უპირატესობა.

■ ■ ■

„პორტლენდის“ მშობლიურ არენაზე („როუზ გარდენი“) რეკორდი დამყარდა. იქაურ მოედანზე არავის არასდროს დაუგროვებია 47 ქულა. პირველმა ეს „ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** გააკეთა, რომელიც ვერაფრით ურიგდება იმ აზრს, რომ შეიძლება პლეი ოფი მისი გუნდის გარეშე ჩატარდეს.

კობიმ 48 წუთი შეუცვლელად ითამაშა. პირველ ტაიმში „ლეიკერსს“ გაუჭირდა და დიდი შესვენებისთვის რვა ქულით ჩამორჩა - 61:69. მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი შეიცვალა. „ლეიკერსმა“ გააგრძელა ტყორცნების დამაჯერებლად რეალიზაცია (59 პროცენტი თამაშიდან, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია), მისმა მეტოქემ კი ამ მხრივ, სერიოზულად მოუკლო (მხოლოდ 29 პროცენტი მეორე ტაიმში). მიუხედავად ამისა, მეოთხე მეოთხედში **ლილარდი** და კომპანია ხუთქულიან უპირატესობას ფლობდა, თუმცა მისი შენარჩუნება ვერ მოახერხა. ბრაიანტმა და **გასოლმა** 16:5 გაქცევა მოაწყვეს, რომელიც კობის მიერ ერთ შეტევაში აღებული ოთხი ქულით დასრულდა.

„ლეიკერსს“ სამი მატჩი დარჩა ჩასატარებელი რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე და ის ერთი მოგებით უსწრებს პლეი ოფის მერვე საგზურისთვის ბრძოლაში „იუტა ჯაზს“. კალიფორნიელებისთვის კარგი ამბავი ის არის, დღეს, „გოლდენ სტეიტთან“ მატჩისთვის მოედანზე დაბრუნებას გეგმავს **სტივ ნეში**.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ კონკურენტთა დარჩენილ მატჩებს რეგულარულში:

**ლეიკერსი**

13 აპრილი. ლეიკერსი-გ. სტეიტი
15 აპრილი. ლეიკერსი-სან ანტონიო
18 აპრილი. ლეიკერსი-ჰიუსტონი

**იუტა**

13 აპრილი. იუტა-მინესოტა
16 აპრილი. მინესოტა-იუტა
18 აპრილი. მემფისი-იუტა

**დალასი-ფინიქსი 91:102**

21:28, 30:33, 20:20, 20:21

**დ:** მერიონი (22+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (21+8 მოხსნა), კარტერი (18+6 მოხსნა).
**ფ:** დრაგიჩი (21+13 პასი), დადლი (18), ტაკერი (17+10 მოხსნა), ჯონსონი (17), მარკიფ მორისი (12+7 მოხსნა), სკოლა (11+15 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**საკრამენტო-ნიუ ორლეანი 121:110**

35:28, 30:20, 30:25, 26:37

**ს:** სალმონსი (22), ტომპსონი (20+8 მოხსნა), თორნტონი (20+5 მოხსნა), ევანსი (15), კაზინსი (11+5 პასი).
**ნ-ო:** გორდონი (23+7 პასი), ლოპესი (30+5 მოხსნა), რობერტსი (20+6 მოხსნა+5 პასი), ჰენრი (15), დევისი (13+10 მოხსნა).

**პორტლენდი-ლეიკერსი 106:113**

41:33, 28:28, 21:27, 16:25

**პ:** ლილარდი (38+9 პასი+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (17+16 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბებიტი (12+5 მოხსნა).
**ლ:** ბრაიანტი (47+8 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება+3 ჩაჭრა), პ. გასოლი (23+9 პასი+7 მოხსნა), ჰოვარდი (20+10 მოხსნა+3 დაფარება).

**დენვერი-სან ანტონიო 96:86**

11:18, 27:19, 31:26, 27:23

**დ:** ჩენდლერი (29+8 მოხსნა), ბრიუერი (28), იგუოდალა (12+13 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა), მილერი (12+5 პასი), კუფოსი (2+10 მოხსნა), მაკგი (2+10 მოხსნა+4 დაფარება).
**ს-ა:** დანკანი (17), ნილი (17), ბლერი (12+5 მოხსნა), სპლიტერი (10), გრინი (10), ლეონარდი (8+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი-მინესოტა 111:95**

26:20, 32:26, 30:26, 23:23

**კ:** გრიფინი (19+8 მოხსნა+7 პასი), პოლი (19+11 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), გრინი (15), ბარნსი (14+7 მოხსნა), კროუფორდი (11), ბატლერი (10), ჯორდანი (10+5 დაფარება), ოდომი (2+13 მოხსნა).
**მ:** პეკოვიჩი (20+5 მოხსნა), უილიამსი (13+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), შვედი (12), ბარეა (12), რიდნური (11).

**ფილადელფია-ატლანტა 101:124**

27:29, 24:30, 22:34, 28:31

**ფ:** ტ. იანგი (28+8 მოხსნა), ნ. იანგი (19), რაიტი (15), ჰოლიდეი (12+5 მოხსნა).
**ა:** სმიტი (28+12 მოხსნა), ჯენკინსი (21+6 პასი), სკოტი (17+8 მოხსნა), ჰორფორდი (16+9 მოხსნა), ტიგი (13+11 პასი).

**ვაშინგტონი-მაიამი 98:103**

22:25, 28:21, 22:23, 26:34

**ვ:** პრაისი (23), უოლი (17+11 პასი+9 მოხსნა), ნენე (13), უებსტერი (12+4 ჩაჭრა).
**მ:** ალენი (23+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლუისი (17+5 მოხსნა), ბატიე (15), მილერი (14+8 მოხსნა), ჩელმერსი (13+8 პასი).

**ორლანდო-მილუოკი 113:103 (ო)**

30:16, 18:29, 22:21, 25:29, 18:8

**ო:** ვუჩევიჩი (30+20 მოხსნა+5 პასი), ჰარისი (30+19 მოხსნა+5 პასი), ლემბი (16), უდრიხი (13+11 პასი).
**მ:** ელისი (21+11 პასი+7 მოხსნა), ჰენსონი (17+25 მოხსნა+7 დაფარება), დანლივი (17+6 მოხსნა+6 პასი), რედიკი (16), დენიელსი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-დეტროიტი 104:111**

24:28, 25:25, 26:21, 29:37

**კ:** ირვინგი (27+9 პასი), ტომპსონი (19+8 მოხსნა), უეიტერსი (11).
**დ:** დრამონდი (29+11 მოხსნა), მონრო (23+8 მოხსნა), სტაკი (18+7 პასი), ბაინუმი (16).

**ბოსტონი-ბრუკლინი 93:101**

21:22, 22:31, 26:26, 24:22

**ბოს:** პირსი (23), გარნეტი (11+8 მოხსნა), გრინი (11), ბასი (10).
**ბრუკ:** უილიამსი (29+12 პასი), ლოპესი (21), ჯონსონი (20), ევანსი (1+14 მოხსნა).

● ევროლიგა. 1/4 ფინალი

# მასპინძლები მძლავრობენ


რუდი ფერნანდესი

ევროლიგაზე დასრულდა მეოთხედფინალური სერიების პირველი მატჩები. ოთხივე წყვილში მასპინძლებმა გაიმარჯვეს და წაიყვანეს სერიაში ანგარიში. მეორე მატჩებშიც მასპინძლებად მოგებული გუნდები მოგვევლინებიან.

პლეი ოფის საწყისი შეხვედრების საუკეთესო მოთამაშედ მადრიდის „რეალის“ მცველი **რუდი ფერნანდესი** დასახელდა, - იტყობინება ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი.

„რეალმა“ ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა - 26 ქულით დაამარცხა ისრაელის „მაკაბი“ და ამ მოგებაში ესპანეთის ნაკრების მცველმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. მის ანგარიშზე იყო 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა. ფერნანდესის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 22 ქულა შეადგინა.

პლეი ოფის პირველი მატჩების საუკეთესო ხუთ მოთამაშეს შორის ასევე მოხვდნენ: **ნენად კრსტიჩი** (ცსკა), **გიორგოს პრინტეცისი** („ოლიმპიაკოსი“), **სემიჰ ერდენი, ქერიმ გიონლუმი** („ეფესი“).

**ცსკა-კახა ლაბორალი 89:78**

26:19, 24:16, 23:23, 16:20

**ც:** უიმსი (19), ტეოდოშიჩი (17+5 პასი), კრსტიჩი (16+5 მოხსნა), კაუნი (16).
**კ-ლ:** კაზერი (17), ნოჩიონი (16+9 მოხსნა), ლამპე (12+5 მოხსნა), მ. ბიელიცა (10+4 პასი).

**ოლიმპიაკოსი-ეფესი 67:62**

17:15, 16:17, 17:14, 17:16

**ო:** პრინტეცისი (26).
**ე:** გიონლუმი (17+5 მოხსნა), ლუკასი (10+6 პასი).

**რეალი-მაკაბი 79:53**

14:23, 24:4, 21:16, 20:10

**რ:** ფერნანდესი (15+6 მოხსნა), მიროტიჩი (14), როდრიგესი (10+10 პასი+5 მოხსნა).
**მ:** ჯეიმსი (9+6 მოხსნა+3 დაფარება), პიკმენი (9), ქანერ-მედლი (9).

● ამბები

**კალათბურთი**

## ადელმანი წასვლაზე დაფიქრდა

ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის ცნობით, „მინესოტას“ მთავარი მწვრთნელი **რიკ ადელმანი** მიმდინარე სეზონის შემდეგ აპირებს კარიერის დასრულებას.

ადელმანის კონტრაქტი კიდევ ორი წელია ძალაში, მაგრამ მწვრთნელი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება დატოვოს თავისი პოსტი ამ ზაფხულს, თუ მისი მეუღლე ვერ მოაგვარებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

## ბლერს ციხე ემუქრება

სერიოზული პრობლემები შეექმნა „სან ანტონიო სპურსის“ ცენტრს **დეჟუან ბლერს**. მას აღგილობრივი საიუველირო მაღაზიის ვალი აქვს, რომელიც 30 ათასს დოლარს უტოლდება. კალათბურთელმა ამ მაღაზიაში 2010 წელს შეიძინა კრედიტით სამკაული და დღემდე არ გადაუხდია მისი საფასური და წლების განმავლობაში დარიცხული პროცენტი.

საქმის გარჩევისას გაირკვა, რომ კრედიტი არა კალათბურთელზე, არამედ მის კლუბზე გაფორმდა, ასე რომ, „სპურსიც“ გახდება სასამართლო პროცესის მონაწილე. თუ ბლერი კვლავაც უარი იტყვის სასამართლოში გამოცხადებაზე, მას პატიმრობა არ ასცდება.

**მძლეოსნობა**

## შანხაიში ვარსკვლავები იკრიბებიან

ქოკიით ხტომაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსი **ელენა ისინბაევა** ჩინეთის ქალაქ შანხაიში, ბრილიანტის ლიგის ეტაპზე აპირებს გამოსვლას. ასევე, ამ ეტაპზე მონაწილეობა დაადასტურეს მძლეოსნობის სხვა ვარსკვლავებმა: ბარიერულ სპრინტში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა, ამერიკელმა **ერაის მერიტმა**, 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, იამაიკელმა **იოჰან ბლეიკმა**, ოლიმპიადის ჩემპიონმა შუბის ტყორცნაში **კეშორნ უოლკოტმა**.

**ჩოგბურთი**

## მარეი ხორვატიასთან ითამაშებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ბრიტანელმა **ენდი მარეიმ** განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს დევისის თასის მომდევნო შეხვედრაში, რომელიც 13-15 სექტემბერს გაიმართება. თუ მარეი დანაპირებს შეასრულებს, ეს იქნება მისი პირველი გამოჩენა დევისის თასზე 2011 წლის შემდეგ.

სექტემბერში ბრიტანეთის ნაკრები ხორვატიას უნდა შეხვდეს. ეს იქნება მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელი პლეი ოფის მატჩი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი

# მონტე კარლო დარიბდება

## გრუნტის პირველ მასტერსზე ფერერი და ფედერერი არ ითამაშებენ

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ესპანელი **დავიდ ფერერი** ვერ შეძლებს გრუნტის სეზონის პირველ მასტერსში მონაწილეობის მიღებას. ეს ტურნირი მონტე კარლოში გაიმართება.

31 წლის ჩოგბურთელმა ბარძაყის ტრავმა ჯერ კიდევ მაიამის მასტერსის დროს მიიღო და დაზიანების დროულად განკურნება ვერ შეძლო, - იტყობინება ესპანური გამოცემა „მარკა". ძირითად ბადეში ესპანელის ადგილს ხორვატია **ივან დოდიგი** დაიკავებს.

შესაბამისად, ახლა, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ATP-ის რეიტინგის ტოპ-ხუთეულიდან მონაკოში მხოლოდ ორ მოთამაშეს ვიხილავთ - ბრიტანელ **ენდი მარეის** (მე-2 ნომერი) და ესპანელ **რაფაელ ნადალს** (5), რომელიც ტურნირის მოქმედი ჩემპიონია. ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მონტე კარლოში პირველი ნომრის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გამოსვლა, რომელმაც ფეხის ტრავმა დევისის თასზე მიიღო, რაც შეეხება შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** (3), ის ტურნირს პირადი მოსაზრებებით ტოვებს.



დავიდ ფერერი

ამასობაში, მონაკოს მასტერსის რვაგზის ჩემპიონმა **რაფაელ ნადალმა** უკვე დაიწყო მზადება მომავალი ტურნირისთვის და ჟურნალისტებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უამბო.

*„დაძაბული საწვრთნელი სესიის შემდეგ ვიგრძენი, რომ მუხლი იმაზე მეტად მტკიოდა, ვიდრე ველოდი. ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს მდგომარეობაში შეინიშნება დადებითი დინამიკა. წინ მაქვს ტურნირები მონტე კარლოსა და ბარსელონაში. იმის შესახებ, თუ სად ვითამაშებ მონაკოს შემდეგ, პასუხის გაცემა ჯერ არ შემიძლია.*

*მეცხრე გამარჯვება მონტე კარლოში? ყოველთვის მოგება არ გამოდის. წელს, ჩემს აქტივშია გამარჯვებები აკაპულკოში, სან პაულუსა და ინდიან უელსში. თავიდანვე შემიძლია გითხრათ, რომ ბრაზილიაში გამოსვლის დროს, თავს გაცილებით ცუდად ვგრძნობდი, თუმცა იქიდან მოყოლებული ძალიან მოვუმატე, განსაკუთრებით კორტზე გადაადგილებისა და მოკლე გარბენების მხრივ"*, - ამბობს ნადალი.

შეგახსენებთ, რომ მონტე კარლოს ტურნირი 14-21 აპრილს გაიმართება.

● მძლეოსნობა

# პისტორიუსი არ უნდა დაიჩაგროს



ოსკარ პისტორიუსი

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია უარს ვერ ეტყვის **ოსკარ პისტორიუსს** მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ამის შესახებ განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა **ლამინ დიაკმა**.

სამხრეთაფრიკელი მორბენალი-ამპუტანტი დადანაშაულებულია თავისი მეგობრის - **რივა სტენკამპის** მკვლელობაში. ექვსგზის პარალიმპიურმა ჩემპიონმა და 2012 წლის ოლიმპიადის მონაწილემ აპრილში ვარჯიშების განახლების გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა ჯერჯერობით ღიად რჩება ოსკარის მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი თუნდაც იმიტომ, რომ უცნობია - შეძლებს თუ არა ის ტურნირის სტარტისთვის ფორმის აკრეფას.

*„ყველასთვის ცხადია, რომ ოსკარს ახლა რთული პერიოდი უდგას ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, ადამიანურად ის ძალიან განიცდის მომხდარს და მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაუძლოს ამ გამოცდას.*

*მისი მხრიდან არასწორი საქციელი იქნება, თუ მთელ ყურადღებას ტურნირზე გადაიტანს. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ტურნირებში მონაწილეობა, კვალიფიკაციის გავლა... ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები. დაე, ეს ისტორია თავისთავად დაიწეროს. არ შეგვიძლია საბოლოო გადაწყვეტილებაზე საუბარი, რადგან ჯერ არ არის გამოტანილი საბოლოო განაჩენი. პისტორიუსი ამბობს, რომ ის უდანაშაულოა და ინციდენტი საბედისწერო შეცდომის გამო მოხდა. თუ ასეა, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია მას ავუკრძალოთ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება იმის გამო, რომ შეყვარებული მოკლა"*, - ამბობს ლამინ დიაკი.

წელს, მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში 10-18 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება.

● ავტოსპორტი

# კიმი გაურკვევლობაშია

## რობერ კუბიცაამ: შეიძლება ფორმულაში ველარ დავბრუნდე

„ლოტუსის" ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** არ გამორიცხა, რომ ამ სეზონის შემდეგ დაასრულებს კარიერას ფორმულა 1-ში.

წლევანდელი ჩემპიონატის შემდეგ, 33 წლის ავტომრბოლს კონტრაქტი ეწურება „ლოტუსთან", სადაც კიმი 2012 წლიდან გამოდის. ასევე შეგახსენებთ, რომ რაიკონენის მიმართ ინტერესს გამოთქვამს „რედ ბული". ამ გუნდის მფლობელმა **დიტერ მატეშიცმა** გასულ კვირას განაცხადა, რომ ფინელი მომავალი სეზონისთვის ავსტრიულ საჯინიბოში მოხვედრის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრება.

*„მე არ მაქვს კონტრაქტი მომავალი წლისთვის, შესაბამისად, არ გამაჩნია გეგმები*, - ამბობს რაიკონენი სააგენტო AP-სთან კომენტარში. - *შესაძლოა, გავაგრძელო კარიერა ფორმულა 1-ში, მაგრამ ამის დარწმუნებით თქმა არ შეიძლება".*

■ ■ ■

პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** აღიარა, რომ, შესაძლოა, აღარ დაბრუნდეს ფორმულა 1-ში. პოლონელმა, რომელიც ჯერ ისევ გადის აღდგენით კურსს 2011 წელს მომხდარი საშინელი ავარიის შემდეგ, მარტში განაცხადა, რომ 2013 წლის სეზონს „სიტროენში" გაატარებს და WRC-ისა და ERC-ის რალის ჩემპიონატების ეტაპებში მიიღებს მონაწილეობას. ამავდროულად, კუბიცამ ხაზი გაუსვა იმას, რომ კვლავინდებურად იმედოვნებს მთავარ სარბოლო სერიაში დაბრუნებას.

*„როცა მთელი ცხოვრება მუშაობ იმისთვის, რომ ფორმულა 1-ში მოხვდე, ისრულებ ოცნებას და შემდეგ, ერთ დღეში ყველაფერი უარესობისკენ იცვლება - ეს უდიდესი დარტყმაა. რა თქმა უნდა, ფორმულა 1-ში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, მოხდება თუ არა ეს ოდესმე.*

*არსებობს რალაცები, რისი კონტროლიც არ შემიძლია, და ეს არის მთავარი პრობლემა. ვფიქრობ, რალი დამეხმარება სპორტში დაბრუნებაში და ეს, რა თქმა უნდა, ჩემს განწყობაზე დადებითად იმოქმედებს"*, - აცხადებს პოლონელი პილოტი.




კიმი რაიკონენი

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-ტამუორტი | 3:0 |
| დარტფორდი-ბრენტრი | 0:0 |
| ნიუპორტი-მაკლსფილდი | 4:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ცსკა-ლუდოგორეცი | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 65:66 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ტრაქტორი-დინამო (მ) | 3:1 |
| **დანია** | |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 2:1 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-სტავანგერი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ზვოლენი | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ფრიბურგი | 1:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| ჟემლია-ლააკსონენი | 7:6, 6:1 |
| ვოლანდრი-კლიჟანი | 4:6, 6:7 |
| ჰაასე-დე სხეპერი | 6:2, 6:7, 6:3 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| ლორენცი-ჩიპოლა | 7:6, 6:1 |
| ვერდასკო-რამირეს იდალგო | 3:6, 2:6 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| ბერტენსი-ვინჩი | 6:2, 3:6, 4:6 |
| ბეგუ-კადანტუ | 6:4, 3:6, 4:6 |
| კრეიბასი-პეერი | 1:6, 3:6 |
| კვიტოვა-მინელა | 7:5, 6:2 |

● TV პროგრამა

**12 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაზელი-ტოტენჰემი.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლაციო-ფენერბახჩე.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიუკასლი-ბენფიკა.
**16:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. რუბინი-ჩელსი.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:30** ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ფრაიბურგი-ჰანოვერი (LIVE).
**00:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-რეალი.
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-საუთჰემპტონი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ტულონი-ლესტერი.
**19:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1992-93 წელი.
**19:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
**21:45** NBA ACTION.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-ეფესი. II მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
**17:15** სპორტ-NEWS.
**17:45** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-რივერ პლეიტი.
**19:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მაიამი.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 19 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 5 | 18 | (წვიმა) |
| ბათუმი | 6 | 16 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 7 | 17 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 4 | 16 | (წვიმა) |
| გორი | 3 | 17 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 19 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 18 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -3 | 8 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -1 | 12 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 2 | 16 | (წვიმა) |
| მესტია | 2 | 10 | (წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1682 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6518 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3489 |

● ამბები

**კრივი**

### 37 წლის ჰოპკინსი ისევ იჩხუბებს

პროფესიულ კრივში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი, ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსი**, რომელსაც მომავალი წლის იანვარში 48 წელი შეუსრულდება, თავის მომდევნო ბრძოლას ამა წლის ზაფხულში ჩაატარებს. მისი მეტოქე იქნება გერმანელი **კარო მურატი**, ხოლო ბრძოლაში გათამაშდება ნახევრადმძიმე წონაში IBF-ის საჩემპიონო ქამარი, რომელიც ჰოპკინსის საკუთრება გახლავთ.

ბრძოლის გამართვის თარიღია ივლისი ან აგვისტო, ხოლო ჩატარების ადგილი შეიძლება იყოს ბრუკლინი ან ატლანტიკ-სიტი.

*„ამჟამად, ამ ბრძოლის გარდა, უკეთესი ვარიანტი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ტიტულის დათმობა არ მემუქრება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ბიჭს დავამარცხებ, სუპერბრძოლის ჩატარების საშუალება მომეცემა"*, - განაცხადა ჰოპკინსმა.

მურატმა პროფესიულ რინგზე 27 ბრძოლა ჩაატარა და აქედან 25 მოიგო (15 - ნოკაუტით). ჰოპკინსის ანგარიშზეა 53 მოგება (35 - ნოკაუტით), 6 ნაგება და 2 ფრე.

**ჩოგბურთი**

### ერთი კვირაც ვერ გაძლო

საფრანგეთის პირველმა ნომერმა **მარიონ ბარტოლიმ** შეწყვიტა თანამშრომლობა თავის მწვრთნელთან **ჟერარ ბრემონთან**. აღსანიშნავია, რომ მათი საქმიანი ურთიერთობა გასულ კვირას დაიწყო, საერთოდ კი ბრემონი ბარტოლის რიგით მესამე მწვრთნელი იყო ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში. პირველი გახლდათ მამამისი **ვალტერ ბარტოლი**, მეორე - ყოფილი ჩეხი ჩოგბურთელი **იანა ნოვოტნა**.

როგორც იტყობინებიან, ბრემონთან ურთიერთობის განწყვეტის მიზეზი ის იყო, რომ მწვრთნელს არ მოეწონა მის მუშაობაში ბარტოლის მამის აქტიური ჩარევა.

სხვათა შორის, გუშინ გახდა ცნობილი, რომ მარიონის ოფიციალურ მწვრთნელად კვლავ ვალტერ ბარტოლი გამოცხადდა, თუმცა ფრანგი ჩოგბურთელის გუნდი მეორე მწვრთნელსაც ეძებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# მათი გზები საბოლოოდ გაიყარა

## რედ ბულში პილოტთა კონფლიქტმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია

როგორც ჩანს, „რედ ბულის" პილოტებს შორის კონფლიქტი ახალ ფაზაში შევიდა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** განაცხადა, რომ **მარკ უებერი** არ იმსახურებდა მალაიზიაში გამარჯვებას.

*„ასეთი სიტუაცია კვლავ რომ წარმოიშვას, მე, ალბათ, იმავეს გავაკეთებდი, - ამბობს გერმანელი პილოტი. - უებერი არ იმსახურებდა მალაიზიაში მოგებას. დიახ, ჩვენ შორის არსებობს კონფლიქტი, მაგრამ მე სიტუაციას ობიექტურად ვაფასებ. უებერი არასოდეს მეხმარებოდა და რატომ ელოდება ჩემგან სხვაგვარ რეაქციას?! მიმაჩნია, რომ ადრე იყო მომენტები, როცა მას შეეძლო მეტი სარგებლობა მოეტანა გუნდისთვის".*

მარკ უებერს მიაჩნია, რომ ამ მომენტისთვის გუნდის მთავარი ამოცანაა - არ დაუშვას მსგავსი ისტორიის გამეორება, რასაც მალაიზიაში ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, ავსტრალიელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მასსა და სებასტიან ფეტელს შორის ურთიერთობაში დაძაბულობა შეინიშნება.

*„ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩემსა და ფეტელს შორის ურთიერთობა დაიძაბა, - განაცხადა უებერმა. - ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თითოეული მხოლოდ საკუთარ გამოსვლაზე იქნება კონცენტრირებული. ჩემი აზრით, ეს ამ ეტაპზე ოპტიმალური არჩევანია. მალაიზიაში უხერხული სიტუაცია შეიქმნა და გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს".*

სხვათა შორის, „რედ ბულის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადაუხადოს ფეტელს პრემიალური თანხა - 955 ათასი ევრო მალაიზიის გრანპრის მოგებისთვის. გუნდმა ამ გადაწყვეტილების მიღება იმ სკანდალური სიტუაციის გამო გადადო, რომელიც სეპანგის რბოლის დროს შეიქმნა. შეგახსენებთ, რომ ფეტელმა იგნორირება გაუკეთა ბოქსებიდან ბრძანებას, ეკონომრეჟიმზე არ გადაიყვანა ძრავა და გაუსწრო პირველ ადგილზე მყოფ მარკ უებერს.

### კონფლიქტების TOP10

აქვე გთავაზობთ ფორმულა 1-ის ისტორიაში, თანაგუნდელებს შორის ათი ყველაზე გახმაურებული კონფლიქტის ისტორიას.

10. კიმი რაიკონენი vs ხუან პაბლო მონტოია (მაკლარენი)

კოლუმბიელი არასოდეს ყოფილა გუნდური მოთამაშე, რის გამოც მისი გუნდი ბევრ მნიშვნელოვან ქულასა თუ მოგებას კარგავდა. მას არ აეწყო ურთიერთობა თანაგუნდელ **კიმი რაიკონენთან**. მათი კონფლიქტის კულმინაცია გახდა ფინელის ტრასიდან გადაგდება აშშ-ის გრაპრის პირველ მოსახვევში. ამის შემდეგ, კოლუმბიელმა დაკარგა ადგილი "მაკლარენში", რაიკონენი კი გუნდიდან სეზონის ბოლოს წავიდა.

### 9. ლუის ჰემილტონი VS ფერნანდო ალონსო (მაკლარენი)

გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ ექვსი წლის წინანდელი მოვლენები, როცა **ფერნანდო ალონსო** "მაკლარენში" გადავიდა იმ იმედით, რომ ულაპარაკო პირველი ნომერი გახდებოდა, მაგრამ გუნდი მთლიანად დებიუტანტ **ლუის ჰემილტონზე** მუშაობდა. მათი არაჯანსაღი კონკურენციის ნათელი ეპიზოდი იყო ალონსოს მხრიდან ჰემილტონის ბლოკირება უნგრეთის გრანპრის კვალიფიკაციისას, ხოლო სეზონის ბოლოს, მათ შორის შუღლის მიზეზით, ორივე პილოტმა გარანტირებული ტიტული კიმი რაიკონენს გადაულოცა. ერთი სეზონის შემდეგ, ალონსომ დატოვა "მაკლარენი".


სენა და პროსტი

### 8. ალენ პროსტი VS ნაიჯელ მენსელი (ფერარი)

1990 წელს, "ფერარიში" სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო. **პროსტს** მიაჩნდა, რომ **მენსელს** უკეთესი ბოლიდი ჰყავდა, ვიდრე მას, რამაც ბევრი უსიამოვნო ეპიზოდი წარმოშვა. "ფერარისთვის" საბედნიეროდ, ეს კონფლიქტი გუნდის ბოქსებს არ გასცდენია.

### 7. მიხაელ შუმახერი VS ედი ირვაინი (ფერარი)

თავიდან ამ წყვილში ყველაფერი კარგად მიდიოდა: **ირვაინი** აშკარა მეორე ნომერი იყო და ამ როლს თავად დათანხმდა, მაგრამ, როცა **შუმახერმა** ფეხი მოიტეხა და ირლანდიელს ტიტულის შანსი გაუჩნდა, ყველაფერი შეიცვალა. თავდაპირველად, მიხაელი გახდა "საუკეთესო მეორე ნომერი ისტორიაში", შემდეგ კი ისე გამოვიდა, რომ გუნდმა, რომელმაც დიდი ფული ჩადო გერმანელში, პრაქტიკულად საკუთარი მონდომებით არ მოაგებინა ტიტული ირვაინს. ამბობენ, რომ ამაში მონაწილეობა მიიღეს თავად მიხაელმა და **როს ბრაუნმა**.

### 6. ჟილ ვილნევი VS დიდიე პირონი (ფერარი)

ძველ, რომანტიკულ დროში გუნდური ტაქტიკის შესახებ არაფერი იცოდნენ და პილოტები მხოლოდ საკუთარი თავისთვის იბრძოდნენ. **პირონისა** და **ვილნევს** შორის კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც დიდიემ გამარჯვება "მოჰპარა" ჟილს სან მარინოს გრანპრიზე, ორი კვირის შემდეგ კი ეს დაპირისპირება დასრულდა - ვილნევი დაიღუპა იმ დროს, როცა კვალიფიკაციაში თანაგუნდელის დროის გაუმჯობესებას ცდილობდა.

### 5. მარიო ანდრეტი VS კარლოს როიტემანი (ლოტუსი)

ამ წყვილმა ერთად მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა. პილოტები თავიდანვე ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. 1979 წელს, მთელი სეზონის განმავლობაში სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ **როიტემანი** "უილიამსიდან" წავიდა.

### 4. იოჰან მასი VS ჯეიმს ჰანტი (მაკლარენი)

მათ შორის მტრობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა სხვადასხვა გუნდში გამოდიოდნენ. 1976 წელს, მონაკოში **მასმა** ფაქტობრივად "გადაუარა" **ჰანტის** ბოლიდს. ეს უკანასკნელი, იმის ნაცვლად, რომ ბოქსებში წასულიყო, თავის დამტვრეულ ბოლიდთან დარჩა და მუშტებს იქნევდა ყოველ ჯერზე, როცა მასი გვერდით ჩაუვლიდა. მომდევნო წელს, ისინი თანაგუნდელები გახდნენ და მათ შორის ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, მტრული იყო. კონფლიქტი საჯაროდ 1977 წელს, კანადის გრანპრის დროს გამომზეურდა. მასი არ აპირებდა ლიდერობის დათმობას უფრო სწრაფი ჰანტისთვის, რომელიც უბრალოდ შეეჯახა თანაგუნდელს, რითაც გუნდს დუბლის შესრულების შანსი მოუსპო.

### 3. ნაიჯელ მენსელი VS ნელსონ პიკე (უილიამსი)

სერ **ფრენკ უილიამსი** არასოდეს ეპირფერებოდა თავის პილოტებს. 1986 წელს, ამ ორმა დიადმა პილოტმა აბსოლუტურად ერთნაირი და რაც მთავარია, ჩემპიონატში საუკეთესო მანქანა მიიღო, მაგრამ პირადმა შუღლმა ორივეს შეუშალა ხელი, რითაც ჩემპიონის ტიტული ალენ პროსტს ერგო, რომელმაც მეორედ გაიფორმა ჩემპიონობა.

### 2. მარკ უებერი VS სებასტიან ფეტელი (რედ ბული)

ღია კონფლიქტი "რედ ბულში" ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, როცა ფეტელმა თურქეთის გრანპრიზე ბრძოლას გამოთიშა უებერი, გუნდმა კი დუბლის შესრულების შანსი დაკარგა. ამის შემდეგ, "რედ ბულში" არაერთხელ დაიჭირეს გერმანელის მხარე, რის გამოც უებერი წყობიდან გამოდიოდა. მალაიზიაში კონფლიქტმა ახალი ძალით იჩინა თავი...

### 1. ალენ პროსტი VS აირტონ სენა (მაკლარენი)

ეს უდიადესი პილოტები ერთმანეთში დაპირისპირების დროსაც კი განსაკუთრებულები იყვნენ. მათ კონფლიქტებზე, უთანხმოებასა თუ მეგობრობაზე ლეგენდები დადის. აქ თბილი სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ პროსტი, რომელიც არაერთხელ ყოფილა უებერის მსგავს სიტუაციაში, მაგრამ ყოველ შიდა კონფლიქტს გამარჯვებებით პასუხობდა. ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი 1989 წელს მოხდა, როცა პროსტმა ტრასიდან გადააგდო **სენა** იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. სტიუარდები ბრაზილიელის ბოლიდს მიაწვნენ და სენა ტრასაზე დააბრუნეს. აირტონმა რბოლის მოგებაც კი შეძლო, მაგრამ მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს. ამის შემდეგ, **რონ დენისი** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით ცდილობდა თავისი ერთ-ერთი პილოტისთვის ტიტულის ჩამორთმევას და მეორისთვის გადაცემას, მაგრამ ფიასკო განიცადა - პროსტი სამგზის ჩემპიონი გახდა და "ფერარიში" წავიდა.

**გია თვალაბეიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 აპრილი **შაბათი** 2013
№086 (14 002) ფასი 80 თეთრი


10

# დღეს ლელოს 79 წელი შეუსრულდა

## რაულის ბრინჯაოს ლოგიკა: 165+205=III



9

# აი წყვილები

## დანარჩენი თავად განსაჯეთ

*საქართველოს თასი*

მეტალურგი (რუსთავი) – დინამო (თბილისი)
ჩიხურა (საჩხერე) – სიონი (ბოლნისი)


2


2

## ფაქტები, ან ბოდიში

*ინტერვიუ მიხეილ ყაველაშვილთან*



*ექსკლუზიური ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან*

3 აპრილს საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ აქილევსის მყესის ოპერაცია გაიკეთა. ექიმებმა სარეაბილიტაციოდ 6 თვე დაუდგინეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 212 სმ სიმაღლის ცენტრს NBA-ის პლეი ოფებისა და ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს.

გუშინ ზაზას ატლანტაში დავუკავშირდი და პირველ რიგში, ოპერაციის შედეგზე ვკითხე.

# ოპერაცია 90-ის ნაცვლად 45 წუთს გაგრძელდა

## რა დროს წაიღებს რეაბილიტაცია?

- ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ტრავმირებულ ადგილას ექიმებს უფრო იოლი სიტუაცია დახვდათ, ვიდრე წინასწარ ვარაუდობდნენ. შესაბამისად, საათნახევრის ნაცვლად ოპერაციამ 45 წუთს გასტანა. საავადმყოფოდანაც მეორე დღეს გამომწერეს, რასაც არ ველოდით.

**- იქნებ დააკონკრეტო, რა სახის დაზიანება იყო...**

- არ ვიცი, გაზეთში როგორ დაიწერება, ან ღირს თუ არა ამაზე ლაპარაკი... ექიმებს მყესი გაწყვეტილი ეგონათ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ძვალზე იყო წანაზარდი, რამაც მყესი ძვალს დააშორა და სითხე ჩაგდა. ოპერაცია საჭირო იყო, ექიმებმა ყველა საჭირო პროცედურა ჩაატარეს და მითხრეს, რომ ექვსი თვის შემდეგ სრული დატვირთვით შემეძლება ვარჯიში.

**- რადგან ტრავმა ისეთი სირთულისა არ აღმოჩნდა, როგორიც თავიდან ივარაუდებოდა, სარეაბილიტაციო ვადა მცირედით მაინც არ შეიკვეცა?**

*პასუხი წაიკითხეთ მე-16 გვერდზე*



## ერთიც და ნახევარფინალია

ევროლიგაზე მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩშიც მოიგო **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა" (71:53) და „ეფესთან" 2:0 დაწინაურდა. მესამე შეხვედრა თურქეთში გაიმართება და მოგების შემთხვევაში ბერძნები ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებენ.

შერმადინმა 11 წუთში 1 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.


2

# ჩემპიონი და საჩემპიონო ზესტაფონში


11

**დედაქალაქელ და პერიფერიელებად სპორტსმენების დაყოფა მთლად მართებულად არ მიმაჩნია, რადგან საბოლოოდ დასაოსტატებლად ყველა მაინც თბილისში იყრის თავს.**

## საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXVII ტურის წინათქმა

**14.04. ივანწმინდა 16:00**
**ჩიხურა-დილა**
ურთიერთშეხვედრები:
4 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. ბურ. 4-10
პირველი ეტაპი: 3:2 (ს) 0:2 (შ)

**14.04. ქუთაისი. ტორპედო. 18:00**
**ტორპედო-ზუგდიდი**
ურთიერთშეხვედრები:
10 მატჩი, 5 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება. ბურ. 10-6
პირველი ეტაპი: 1:0 (შ) 1:2 (ს)

**14.04. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00**
**ზესტაფონი-დინამო (თბ)**
ურთიერთშეხვედრები:
27 მატჩი, 8 მოგება, 6 ფრე, 13 წაგება. ბურ. 25-34
პირველი ეტაპი: 1:2 (ს) 2:1 (შ)
პირდაპირი რეპორტაჟი I არხზე

I-VI ადგილები

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 26 | 18 | 6 | 2 | 70 | 20 | 60 | 14 | 13 | 1 | 0 | 49 | 11 | 40 | 12 | 5 | 5 | 2 | 21 | 9 | 20 |
| 2 | დილა | 26 | 18 | 2 | 6 | 45 | 18 | 56 | 14 | 9 | 0 | 5 | 27 | 12 | 27 | 12 | 9 | 2 | 1 | 18 | 6 | 29 |
| 3 | ტორპედო | 26 | 15 | 6 | 5 | 44 | 20 | 51 | 13 | 9 | 3 | 1 | 26 | 8 | 30 | 13 | 6 | 3 | 4 | 18 | 12 | 21 |
| 4 | ჩიხურა | 26 | 15 | 5 | 6 | 39 | 25 | 50 | 12 | 9 | 2 | 1 | 19 | 5 | 29 | 14 | 6 | 3 | 5 | 20 | 20 | 21 |
| 5 | ზესტაფონი | 26 | 11 | 6 | 9 | 31 | 23 | 39 | 12 | 6 | 3 | 3 | 11 | 7 | 21 | 14 | 5 | 3 | 6 | 20 | 16 | 18 |
| 6 | ზუგდიდი | 26 | 10 | 6 | 10 | 28 | 38 | 36 | 13 | 8 | 3 | 2 | 20 | 13 | 27 | 13 | 2 | 3 | 8 | 8 | 25 | 9 |

VII-XII ადგილები

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 7 | მეტალურგი | 26 | 11 | 6 | 9 | 26 | 29 | 39 | 14 | 6 | 4 | 4 | 15 | 15 | 22 | 12 | 5 | 2 | 5 | 11 | 14 | 17 |
| 8 | მერანი | 26 | 8 | 3 | 15 | 26 | 39 | 27 | 14 | 7 | 1 | 6 | 18 | 15 | 22 | 12 | 1 | 2 | 9 | 8 | 24 | 5 |
| 9 | დინამო (ბთ) | 26 | 6 | 5 | 15 | 27 | 48 | 23 | 12 | 3 | 1 | 8 | 13 | 21 | 10 | 14 | 3 | 4 | 7 | 14 | 27 | 13 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 26 | 5 | 7 | 14 | 17 | 38 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 9 | 17 | 8 | 13 | 4 | 2 | 7 | 8 | 21 | 14 |
| 11 | სიონი | 26 | 5 | 7 | 14 | 17 | 41 | 22 | 12 | 1 | 5 | 6 | 5 | 19 | 8 | 14 | 4 | 2 | 8 | 12 | 22 | 14 |
| 12 | კოლხეთი | 26 | 2 | 5 | 19 | 15 | 46 | 11 | 13 | 1 | 4 | 8 | 9 | 21 | 7 | 13 | 1 | 1 | 11 | 6 | 25 | 4 |

**14.04. მცხეთა. მცხეთა პარკი. 16:00**
**ვიტ ჯორჯია-კოლხეთი**
ურთიერთშეხვედრები:
31 მატჩი, 13 მოგება, 7 ფრე, 11 წაგება. ბურ. 42-26
პირველი ეტაპი: 2:0 (შ) 1:1 (ს)

**14.04. თბილისი. ბასა. 16:00**
**სიონი-მერანი**
ურთიერთშეხვედრები:
4 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. ბურ. 2-5
პირველი ეტაპი: 0:1 (ს) 2:0 (შ)

**14.04. ქობულეთი. ჩელე არენა 16:00**
**დინამო (ბთ)-მეტალურგი**
ურთიერთშეხვედრები:
6 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 6 წაგება. ბურ. 3-10
პირველი ეტაპი: 0:2 (შ) 1:2 (ს)
პირდაპირი რეპორტაჟი აჭარის ტელევიზიით

# ცენტრალური მატჩების სიმრავლე



თასის ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვნენ და უკვე დაწყვილდნენ კიდეც, ჩემპიონატი კი გრძელდება და მთავარ შეკითხვებზე აქ პასუხი ჯერაც გასაცემია. რასაკვირველია, ყველაზე დიდ ინტერესს საჩემპიონო რბოლა იწვევს. თბილისის "დინამო" გორის "დილას" ოთხქულიანი უპირატესობით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ტური ლიდერს ვერ შეცვლის, სამაგიეროდ, სულაც არ არის გამორიცხული, ქულათა სხვაობა შეიცვალოს.

ძალიან ახლო წარსულში "ზესტაფონისა" და "დინამოს" ურთიერთშეხვედრებში საქართველოს ჩემპიონის ბედი ირკვეოდა, ახლა კი ტიტულისთვის მხოლოდ დედაქალაქელები იბრძვიან. ამ გარემოების მიუხედავად, ფეროელებს პრინციპულ მეტოქესთან მატჩისთვის მოტივაცია არ უნდა აკლდეთ. მიმდინარე სეზონში "ზესტაფონმა" შინ ერთხელ უკვე სძლია "დინამოს" და საინტერესოა, როგორ დასრულდება ზეგინდელი შეხვედრა. "დინამო" დღეს "ზესტაფონზე" უკეთესი გუნდია, მასპინძლებს კი ზურგს საკუთარი ტრიბუნები და ფსიქოლოგიური წნეხის არქონა გაუმაგრებთ.

საქართველოს თასიდან გავარდნის შემდეგ "ტორპედოსთვის" თითოეული ქულა კიდევ უფრო ფასეული ხდება. მესამე ადგილზე მყოფი იმერლები მეოთხეადგილოსან "ჩიხურას" ერთადერთი ქულით უსწრებენ და ბუნებრივია, ზუგდიდელთა ძლევა მართებთ. ჩემპიონატის ფორმატიდან გამომდინარე, "ზუგდიდისთვის" ამ სეზონში დარჩენილი ყველა მატჩი სრული ფორმალობაა.

თასის მეოთხედფინალში "ჩიხურამ" "დილას" ორივე შეხვედრა მოუგო, რამაც იმის მოლოდინი გააჩინა, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გორელები საჩხერლებთან დაპირისპირებაში ექვს ქულას მოიპოვებენ. ვნახოთ...

"ვიტ ჯორჯია" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლას მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებული **ზურაბ ბერიძის** ხელმძღვანელობით აგრძელებს. ერთი შეხედვით, ვიტელები ფოთელებთან ბრძოლაში ფავორიტები არიან, მაგრამ პროგნოზის გაკეთებას აზრი არ აქვს, რადგანაც აუტსაიდერმა "კოლხეთმა" ბოლო სამ მატჩში შვიდი ქულა მოაგროვა. ამის მიუხედავად, ზღვისპირელებს უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი, პრაქტიკულად, აღარ აქვთ.

ნამდვილი "ექვსქულიანი" შეხვედრა გაიმართება "სიონსა" და "მერანს" შორის. თასის ნახევარფინალში გასულ ბოლნისელებს ჩემპიონატში საქმე მძიმედ აქვთ და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. თავის მხრივ, არც მარტვილელებს აქვთ თავი ქუდში. იმის მიუხედავად, რომ დღეისთვის **მალხაზ ჟვანიას** გუნდი ქვედა ექვსეულში მეორე ადგილზეა და გასავარდნ ზონას ხუთი ქულით უსწრებს, "მერანს" მოდუნების უფლება არ აქვს და მხოლოდ საშინაო წარმატებების იმედად ვერ იქნება.

უცნაურად და ალოგიკურად გვეჩვენება, "ტორპედოს" მცველ **გიორგი ონიანის** მძიმე ტრავმის შემდეგ ასეთი რანგის შეხვედრა კვლავ "ბასაზე" რომ იმართება...

ბათუმის "დინამო" სახიფათო ზონას მხოლოდ ერთი ქულით არის დაშორებული და შესაბამისად, "მეტალურგის" ძლევა სჭირდება. **გიორგი ყიფიანის** გუნდმა წინა ტურში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამართლიანი თამაშის მიმდევარია და მხოლოდ სათასო შეხვედრებზე არ ფიქრობს, ასე რომ, ამ მატჩში ერთმანეთის წინააღმდეგ ორი მებრძოლი გუნდი წარდგება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ინტერვიუ

# მიხეილ ყაველაშვილი: ფედერაციამ ან სახელმწიფოს ჩარევის ფაქტები დადოს, ან ბოდიში მოიხადოს

"ლელოს" "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მიხეილ ყაველაშვილი ესაუბრა - რიგგარეშე ყრილობაზე, ბავშვთა ფეხბურთზე, უეფაში გაგზავნილ ანონიმურ წერილებზე...

**- ფედერაციასთან დაპირისპირებული ძალები კვლავ გააქტიურდით. მაგრამ რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას როგორ აპირებთ, როდესაც ზვიად სიჭინავა გადადგომას არ აპირებს და უეფაც მათ მხარეზეა?**

- ახლახან რევაზ არველაძის განცხადებამ, "ყველამ იცის, რომ არჩევნები არ იყო", ყველაფერს ფარდა ახადა. უსამართლო არჩევნებს უკვე ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი აღიარებს. კარგია, ყველაფერი ზედაპირზე რომ ამოდის, ნელ-ნელა აღიარებამდე მივდივართ და ბოლოს შევთანხმდებით - სამართლიანობის აღდგენა სწორედ აქედან დავიწყოთ და ობიექტური არჩევნები ჩავატაროთ.

ჩვენ არანაირი საიდუმლო გეგმები არ გვაქვს. სამართლიანობას მარტივი გაგება აქვს – უნდა დასრულდეს ნიჰილიზმის ეპოქა და ყველაფერი ხალხმა გადაწყვიტოს და არა ვიწრო ჯგუფებმა. ცვლილებებზეც უეფა, ფიფა ან სხვა ვინმე კი არ უნდა მიგვითითებდეს, ეს ჩვენი შინაგანი სურვილი უნდა იყოს.

**- ლელთ ლუნიას სიტყვები დღესაც არანაკლებ აქტუალურია.**

- რეზო არველაძემ სურკისის სიტყვები მოიხმო, სფფ-ს ხელმძღვანელობა არჩეულია და 2015 წლამდე, ანუ ვადის დასრულებამდე უნდა დარჩესო. სურკისი დასაფასებელი ფიგურაა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ქართველი გულშემატკივრის აზრი. 2007 წელს ნემსაძე რომ გადააყენეს, უეფას რომელიმე წარმომადგენელმა პრეტენზია გამოთქვა? იქნებ, სწორედ ეს რჩევაა ჩვენს საქმეებში ჩარევა? წესდებაში წერია: რიგგარეშე არჩევნების გამართვა შესაძლებელია, თუ 7 სუბიექტი ამის შესახებ სფფ-ს ალმასკომს მიმართავს და მათ თხოვნას დააკმაყოფილებენ, ან თუ ამას ალმასკომის 10 წევრი მიემხრობა.

სფფ-ს გენერალური მდივანი არჩევნებში დარღვევებს აღიარებს, ვეტერანი ფეხბურთელები უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამენ და თუ ამის შემდეგ ფედერაციის სუბიექტებმა რიგგარეშე არჩევნები მოითხოვეს, ეს დარღვევა იქნება? ასეთ შემთხვევაში, პროცესი რომ შევაჩეროთ და პროტესტი ავკრძალოთ, ეს უფრო არ იქნება ძალადობა?

სურკისი საპატივცემლო პიროვნებაა, მაგრამ შვეიცარიაში მატერიალურად და გავლენით ძლიერ პიროვნებებთან ორჯერ მოგებული სასამართლო პროცესი მახსენდება. "გრასჰოპერის" გენერალური მდივანი ფიფაში ნამუშევარი კაცი იყო და ნემსაძეს ფულს არ უხდიდა. ეტყობა, იფიქრა, საბჭოელიაო და შესაშინებლად უთხრა, ბლატერის ძმაკაცი ვარო. არ ვიცოდით, რა გვექნა. ბოლოს ადვოკატს დავუკავშირდით და გაოცებული იყო, რა ბლატერი, რისი ფიფა-უეფა, კლინტონის ძმაკაციც რომ იყოს, კონტრაქტის პირობები უნდა შეასრულოსო. დაურეკა "გრასჰოპერის" გენერალურ მდივანს, რომელიც ადვოკატის გაგონებაზე ისე შეშინდა, ფული სამ დღეში ჩარიცხა.

პირადადაც მქონია ფულის დაგვიანების და გადაუხდელობის შემთხვევები, ასეთები ფეხბურთში ხშირად ხდება, მაგრამ კაი დედის შვილი იყო, კონტრაქტის პირობები არ შეასრულებინა.

ევროპაში კანონის წინაშე ყველა ერთია. ამიტომ მიკვირს, ფედერაციის გენერალური მდივანი სურკისის პოზიციას ასე საჯაროდ რომ აჟღერებს, 2015 წლს არჩევნებს არ გვირჩევსო. ჯერ ისაა გასარკვევი, უეფას რა ინფორმაცია მიაწოდეს და რაც მიაწოდეს, იყო კი მართალი?

**- ნემსაძე რომ პოსტიდან ჩამოაშორეს, ამაზე ფიფა-უეფაში თვალები რატომ დახუჭეს?**

- იმიტომ, რომ ფორმალურად ყველაფერი კანონის შესაბამისად გააფორმეს, თავად ნემსაძემ ფიფა-უეფაში არ იჩივლა და ფიფასა და უეფას დელეგატებმა საქმე ჩაფარცხეს. ნემსაძეს ყველაფერი რომ ეთქვა, ეს საქმე არავის შერჩებოდა. ახლა პირიქით ხდება, თავის დასაცავად, ისევ ამ უპასუხისმგებლო ფედერაციიდან უეფა-ფიფას ცრუ, ანონიმურ ინფორმაციებს აწვდიან, რომ სახელმწიფო მათ საქმიანობაში ჩარევას აპირებს და შესაძლოა, ძალით გადაგვაყენონო.

**- ამის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციებს ფლობთ?**

- უბრალოდ, ლოგიკურია, რომ ტყუილუბრალოდ უეფას წარმომადგენელი ასეთ რეაგირებას არ მოახდენდა. მაგრამ ამას რეალური საფუძველი არ გააჩნია, რადგან ბიძინა ივანიშვილი და "ქართული ოცნება" ფედერაციაში თავისი კანდიდატურის მიყვანას არ ცდილობენ და გამოდის, მცდარი ინფორმაციების საფუძველზე, შეურაცხყოფას გვაყენებენ და ჩვენს საქმეებში ერევიან. ეს ამბავი რომ გასკდეს, რეზონანსული საქმე იქნება.

ან რა ნამუსით აწვდიან ინფორმაციებს, როდესაც კონკრეტული ფაქტები ბუნებაში არ არსებობს? "ჩვენი ფეხბურთის" ყოფილმა წევრმა, სპორტის ამჟამინდელმა მინისტრმა სიჭინავას ადამიანურად რომ მიუთითა, სინდისში ჩაიხედეო, ესაა ჩარევა, თუ ნაცმოძრაობის ზეწოლისგან გათავისუფლებულ გარემოში ფედერაციას აქტიურად რომ ვაკრიტიკებთ?! წარსულს ვერ წავშლით და ყიფიანმა ის კითხვა დაუსვა, რაც ყველა გულშემატკივარს ებადება და საფუძველსმოკლებული არ არის, არველაძის აღიარებამაც დაადასტურა. რა არის აქ საკითხავი? იქნებ, ფედერაციის თავკაცებს სურთ, რომ არავინ აკრიტიკოს და პოსტებზე 100 წელი დარჩნენ?

**- კი მაგრამ, დღევანდელ პოლიტიზებულ გარემოში სამართლიანი არჩევნების გარანტია გვაქვს?**

- და ამის წინააღმდეგი ვინ შეიძლება იყოს? თუ ვაღიარებთ, რომ უსამართლობა მოხდა, ხვალ სამართლიანობის აღდგენის საკითხი დადგება. თუ ჩარევა ვაღიაროთ და არაფერი გამოვასწოროთ? ეს აბსურდია! ამიტომაც არ უნდა დაველოდოთ 2015 წელს!

**- "ჩვენი ფეხბურთი" და "ქომაგთა ლიგა" რიგგარეშე არჩევნებს როგორ მიაღწევთ?**

- ჩვენ ფედერაციის სუბიექტები არ ვართ და ვერ მოვითხოვთ, მაგრამ სფფ-ს წესდებაში რიგგარეშე არჩევნები დაშვებულია. ანუ ეს პუნქტი კანონიერია და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ? დღეს რომ შეგვიძლია საქმის გამოსწორება, 2015 წელს რატომ დაველოდოთ?

**- სიჭინავას მომხრეები უეფას პრეზიდენტის, მიშელ პლატინის სიტყვებს იშველიებენ, ხელისუფლების ყოველ შეცვლაზე, სფფ-ს ახალი პრეზიდენტი არ უნდა ჰყავდესო.**

- მესმის, რომ ფედერაციაში ხელმძღვანელის ხშირი ცვლა გარედან ცუდად ჩანს. თუმცა, "ნაციონალური მოძრაობის" დროს რიგგარეშე არჩევნები სამჯერ სწორედ ხელისუფლების აშკარა ჩარევით ჩატარდა და ეს ამბავი ვინმემ გააპროტესტა? უეფას ვინმე ეუბნებოდა, რისთვის ჩამოაშორეს ნემსაძე ფედერაციას, რატომ დაიჭირეს დემეტრაძე, რატომ დევნიდნენ კალაძეს ან მე რა მიზეზით ვერ ჩამოვდიოდი? არც მაშინ და არც ახლა ფიფა-უეფაში ზუსტ ინფორმაციას არ აწვდიდნენ. ფარსი ისაა, რომ ფედერაციამ კი არ უნდა დავუბრუნოთ...



მიხეილ ყაველაშვილი (მარცხნივ) და ლევან ყიფიანი

მაგრამ შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში პოზიციები შევაჯეროთ, ან ცალ-ცალკე ვიბრძოლოთ, მაგრამ სამართლიანობის აღდგენაზე ერთ აზრზე ვართ. ახლა კი ფედერაციისგან უნდა მოვითხოვოთ, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ფაქტები გამოაქვეყნონ ან ბოდიში მოიხადონ, სკამების შესანარჩუნებლად ქვეყანას ჩირქს რომ სცხებენ.

ვეტერან ფეხბურთელებთან მათი დამოკიდებულებითაც გამოჩნდა, როგორ "უყვართ" ფეხბურთი და ამიტომ დაიმსახურა სფფ-მ მათი აგრესია. ფედერაცია ნავთობკომპანია ხომ არ არის, დამსახურებული ხალხის გაცილებაზე რომ არ ფიქრობს. ასეთი მატჩების ორგანიზება სწორედ მათი ვალია. კალაძე რომ წავიდა, სფფ-ს რეაქცია კარგად გვახსოვს. გაცილების მატჩებით ფედერაცია პატივისცემას უნდა გამოხატავდეს. გუნდიდან კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი რომ მიდიან, შენთვის ეს სულერთია? მადლობის ნაცვლად, კრიტიკულ წერილს უწერ, ემიჯნები და მერე ამბობ, ეს მე არ გამიკეთებიაო?! მაგრამ წლებია, ფედერაცია ასე უპასუხისმგებლოა და სათავეში ამიტომაც არ უნდა იყვნენ.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ ფეხბურთზე ბავშვები ფულს არ უნდა იხდიდნენ.**

- მიმაჩნია, რომ 12 წლამდე ყველამ უფასოდ უნდა ითამაშოს. დიდი გადასახადების გამო, დღეს ბევრი ბავშვი უფეხბურთოდ დარჩა. თუ ჩვენ მასობრიობა არ გავზარდეთ და ყველა ბავშვს შანსი არ მივეცით, არაფერი გამოვა. თუ როგორ, ამის პასუხი განათლების მინისტრმა გაგვცა – როგორც სკოლებში უნდა დაარიგონ უფასოდ წიგნები, ასეთივე რამ ფეხბურთშიც შესაძლებელია. შვეიცარია უმდიდრესი ქვეყანაა, ხელფასები მინიმუმ 5-10 ათასი ფრანკია და საფეხბურთო სკოლაში წელიწადში მხოლოდ 100 ფრანკს იხდიან. ჩვენს გალატაკებულ ქვეყანაში მშობლებს მასობრივად შეუძლიათ თვეში 50-60 ლარის გადახდა? ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომ მეტი მოთამაშე გვყავდეს და ფეხბურთი ძველებურად მასობრივი გახდეს. გაუგებარია, როდესაც ფედერაციისთვის ეს მთავარი პრობლემა არ არის და საქმის გამოსასწორებლად ვერაფერს აკეთებს.

ჩემი აზრით, ფედერაციის ეგიდით 5-6 ძლიერი, "რეალისა" და "ბარსელონას" დონის აკადემიები უნდა ამოქმედდეს. მსგავსი პროექტი 10 წლის წინ მექსიკაში განახორციელეს და საოცარი შედეგები აქვთ – ოლიმპიადა სწორედ ამ თაობამ მოიგო. ჩემს თვალწინ განხორციელდა შვეიცარიაში ფეხბურთის პროგრამა. საქართველოში რა კეთდება და სად გვაქვს ევროპელთა დარი სკოლები?

უცხოელი მწვრთნელების ჩამოყვანისა და მათში მილიონების გადახდის ნაცვლად, ფული უნდა დახარჯულიყო აკადემიების მშენებლობაში, უცხოელი ინსტრუქტორების ჩამოყვანაში და ა.შ, რადგან საქართველო მდიდარი არ არის და ფეხბურთში თითოეული თეთრიც მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის მწვრთნელს ფეხბურთში ზურაბ ცაგარეიშვილს მამის, ზურაბ (კუკური) ცაგარეიშვილის გარდაცვალების გამო.

*გამოსვენება: 13. IV, 14 საათზე. მისამართი: თბილისი, წყალტუბოს ქუჩა, I კორპ.*

## საქართველოს თასი. წილისყრა

# ევროპული შანსი სამისთვის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში საქართველოს თასის ნახევარფინალის წილისყრა გაიმართა. კლუბების წარმომადგენლებმა აკვარიუმიდან "ქინდერის" ბურთულები ჩემპიონატში სადღეისოდ დაკავებული ადგილების თანმიმდევრობით ამოიღეს. საბოლოოდ, წილისყრა ასეთი შედეგით დასრულდა.

**მეტალურგი (რუსთავი) – დინამო (თბილისი)**

**ჩიხურა (საჩხერე) – სიონი (ბოლნისი)**

პირველი მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 23 აპრილს გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრები – 8 მაისს. მატჩები 16 საათზე დაიწყება.

წილისყრის დაწყებამდე სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** კლუბების წარმომადგენლებს სთხოვა, ფინალის თარიღი ტრადიციული 26 მაისის ნაცვლად, 22 მაისისთვის გადმოეტანათ. ამის მიზეზი ის არის, რომ იმ დღეებში უეფას კონგრესი იმართება და ფედერაციის ხელმძღვანელები მასზე დასასწრებად უნდა გაემგზავრონ.

წილისყრის შედეგები თავად შეგიძლიათ შეაფასოთ, ჩვენის მხრივ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ნახევარფინალისტებიდან მხოლოდ "დინამოს" აქვს იმის გარანტია, რომ ევროთასების საგზურს ჩემპიონატიდან მოიპოვებს. საამისო შანსი "ჩიხურასაც" აქვს, "მეტალურგსა" და "სიონს" კი, რომლებიც უმაღლესი ლიგის ზედა ექვსეულს მიღმა დარჩნენ, ევროსარბიელზე გასასვლელად მხოლოდ და მხოლოდ თასის გათამაშებაღა დარჩათ. ასე რომ, ნახევარფინალისტების უდიდეს მოტივაციაზე ლაპარაკი ზედმეტიც კი არის...

ამ ოთხეულიდან ყველაზე ტიტულოვანი, რა თქმა უნდა, "დინამოა", რომელსაც საქართველოს თასი 9-ჯერ აქვს მოპოვებული. დანარჩენ ნახევარფინალისტებს ეს ჯილდო არასდროს მოუგიათ. "მეტალურგსა" და "სიონს" ფინალში თითოჯერ უთამაშიათ, სადაც ორივე მათგანი სწორედ "დინამოსთან" დამარცხდა. "ჩიხურა" ფინალში აქამდე არასდროს გასულა.

წილისყრის შემდეგ კომენტარებიც გაკეთდა.

**ბუბა ტყავაძე** (თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი): "ნახევარფინალში გასული თითოეული გუნდი დაფასების ღირსია, ამიტომაც ჩვენთვის არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, თუ ვინ იქნებოდა მეტოქე. "მეტალურგი" ღირსეული მოწინააღმდეგეა, მაგრამ მისი დამარცხებისა და ფინალში გასვლისთვის ვიბრძოლებთ".

**ლადო ბურდული** ("სიონის" სპორტული დირექტორი): "ბევრი არც იმას ელოდა, რომ ნახევარფინალამდე მივიდოდით, მაგრამ "ტორპედოსთან" მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში ჩვენი ძალა დავამტკიცეთ. შევეცდებით, მიღწეულზე არ შევჩერდეთ და ეს ეტაპიც გადავლახოთ. მეტოქე ძლიერი გვყავს, მაგრამ წარმატების შანსი "სიონსაც" აქვს. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ვატარებთ".

**გიორგი ყიფიანი** ("მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი): თბილისის "დინამოს" ჩემგან შეფასება არ სჭირდება, ყველამ კარგად ვიცით, რომ ძლიერი გუნდია. მე დღეს ჩემს ფეხბურთელებთან მქონდა საუბარი. ყველა კარგად აცნობიერებს, რა მნიშვნელობა ენიჭება თასს ჩვენთვის. ყველა ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯება და მაქსიმუმს გააკეთებს ფინალში გასასვლელად. ორრაუნდიან ბრძოლაში მე რეალურად მესახება ამ ბარიერის გავლა".

**ლევან ჯანეზაშვილი**



თბილისის დინამოს მეტოქე ბუბა ტყავაძემ გაარკვია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# ყირამალა

## ვითომ გატეხილი ციხე

მღელვარე კვირა გამოდგა, თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები და კიდევ რამდენი რამ.

„დინამო თბილისის" პრეზიდენტის **რომან ფიფიას** ინტერვიუს, რომელიც „ლელოში" გამოქვეყნდა, გორის „დილას" სპორტული დირექტორის, **ვანო ხორგუაშვილის** პასუხი მოჰყვა. ფიფიასგან ბოდიშის მოხდა „ზუგდიდმაც" მოითხოვა. მანამდე „ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** მოითხოვა, „დილას" ქმედებები პროკურატურას გადაეცეს გამოსაძიებლადო...

არ ვიცი, ამ ყველაფერს გაგრძელება ექნება თუ არა, მაგრამ ქართული კლუბები რომ ვერ ახერხებენ საერთო ენის გამოძებნას, ფაქტია.

სკანდალები არ უხდება ჩვენს ჩემპიონატს, რადგან ის ჯერაც სუსტია და აყალმაყალი ყურადღების მიქცევაზე უფრო რეპუტაციაზე იმოქმედებს. ურთიერთობის უნარი კი ალბათ თანდაყოლილიც არის და გამოცდილებასაც მოაქვს.

ქართული ფეხბურთი ყოველთვის ისეთი ციხე იყო, რომელიც შიგნიდან არ ტყდებოდა. დრომ რაღაც-რაღაცები შეცვალა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა - არც ფეხბურთელი, არც მსაჯი, არც მწვრთნელი და არც მოხელე საინტერვიუდ არ იტყვის იმას, რასაც მართლა ფიქრობს და რასაც შინაურულ საუბარში გეტყვის.

ბევრჯერ თქმულა, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთს კალაპოტი სჭირდება, მაგრამ ამისთვის ჯერ ვერავინ მოიცალა. ჩვენი კლუბები სხვას შეჰყურებენ, დამოუკიდებლად ჯერ ვერ ქმნიან პროფესიულ ლიგას და იმ კონცეფციას, რაც საფუძველი გახდება მათი განვითარების და თანაცხოვრების.

## ყირამალა

ფეხბურთი ხშირად დრამას ემსგავსება, ასე იყო „დინამო" - „გურიას" სათასო შეხვედრაში. გურულები ახლოს იყვნენ დიდ სენსაციასთან, მაგრამ მათმა მეკარე **გიორგი ძაძამიამ** ბურთი საკუთარ კარში შეაგდო.

ძაძამიას არაერთხელ დამართნია ხიფათი მოედანზე, ოღონდაც ვერავინ იტყვის, რომ მას როდესმე განზრახ უღალატია საკუთარი გუნდისთვის. ავტოგოლი ვის არ მოსვლია, **კახა კალაძემ** სულაც ორი ბურთი გაიტანა საკუთარ კარში, ოღონდაც ძაძამიას შეცდომას სულ სხვა ფასი დაედო - „გურიას" ნახევარფინალში გასვლა ძალიან ბევრ რაღაცას ყირამალა დააყენებდა.

ყირამალა კი არ გამოვიდა.

ავტოგოლი, განურჩევლად მისი ფასეულობისა, ძალაუნებურად ყოველთვის გვახსენებს **ანდრეს ესკობარს**. კოლუმბიიდან ყველანაირად შორს ვართ და ჩვენთან არასდროს მოხდება ის, რაც იქ მოხდა, ჩვენთან სულ სხვანაირი ამბები ხდება - ფეხბურთში მოსაქმე ხალხი ისე დაიხვეწა, რომ პოლიტიკოსის ოსტატობით ამბობს ტყუილს, ადრე ნამოქმედარ სიბინძურეებს პოლიტიკოსივით აარიდებს თავს და იმავე რაღაცაზე სხვას შეუტევს.

ძაძამიას ავტოგოლი დრამა იყო და მეტი არაფერი - ასე მგონია და თუ ვცდები, ამბავი ადრე თუ გვიან აუცილებლად გასკდება. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი კი „გურიას" ჩაუქობა უნდა იყოს - აბა, ვინლა იტყვის, სტადიონზე იმიტომ აღარ დავდივარ, რომ ფეხბურთი ჩვენთან მკვდარიაო.



## ახალი ფურცელი

ბოლოდროინდელ ამბებს მოჰყვა ის, რომ **ლევან ფანიაშვილი** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელი აღარ არის, ის აწი მსაჯების განვითარების პროგრამის მენეჯერი იქნება.

ამ განყოფილებაში საქმე ახალი ფურცლიდან არ დაწყებულა. არ ვიცი, რა ინფორმაციას აწვდიან ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას**, მაგრამ რახან მსაჯობის თემა ხელახლა გახდა აქტუალური, ეს ძალიან დამაფიქრებელია. მე მაინც მგონია, რომ ზოგჯერ ახალი ფურცელი აუცილებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფედერაციის ამ განყოფილებაში ყველა კადრი შესაცვლელია.

არ უნდა მუშაობდეს ასეთ განყოფილებაში ისეთი ხალხი, ვისზეც ყველამ ყველაფერი იცის. ხშირად უსამართლოდაც გამოულანძღიათ ყოფილი თუ მოქმედი მსაჯები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ დღეს ყველაფერი რიგზეა.

## ეტიკეტი

საფეხბურთო მილეთს სოლიდარობა მაშინღა გაახსენდა, როცა **გიორგი ონიანი** მძიმედ დაშავდა. გუშინ მან ექიმების დახმარებით სიარული შესძლო, თუმცა მდგომარეობა ისეთია, რომ ჯერ ვერავინ ამბობს, ფეხბურთელობისთვის საღ-სალამათი დარჩება თუ არა ქუთაისის „ტორპედოს" მცველი.

არნემის „ვიტესის" პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** სოციალური ქსელის საშუალებათ განცხადება გააკეთა, თანაგრძნობას ვუცხადებ ონიანს და მის ოჯახს, მზად ვარ დაგეხმაროთო.

ჟორდანიას ურთიერთობის ეტიკეტის ცოდნა თანდაყოლილიც აქვს და გამოცდილებითაც მოსდგამს. ქართულ ფეხბურთს ახალი ჟორდანია ნამდვილად არ სჭირდება, თუმცა ჟორდანია ის მაგალითია, ბევრს რომ გამოადგებოდა მისი ცოდნა.

სხვა რა გითხრათ, ხვალ ჩემპიონატის მორიგი ტურია და ახალი ამბებიც მანდ მოხდება.

## ლეგიონერები



ლევან კობიაშვილის ჰერტა ბუნდესლიგას მალე ოფიციალურად დაუბრუნდება

# კობიაშვილი მალე აღზევდება

უკრაინის პრემიერლიგაში "ილიჩევეცმა" გასვლით შეხვედრაში "ვოლინს" 2:0 სძლია. **თორნიკე ოქრიაშვილი** სტუმართა განაცხადშიც არ ყოფილა, **დავით თარგამაძე** კი სათადარიგოობით შემოიფარგლა.

"დნიპრომ" ასევე სტუმრად 2:1 დაამარცხა "ჩერნომორეცი", რაშიც ქართველებს წვლილი არ შეუტანიათ. **ჯაბა კანკავას** გვარი დნეპროპეტროვსკელთა განაცხადში არ ფიგურირებდა, ხოლო მისი თანაგუნდელი **ალექსანდრე კობახიძე** სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ბერლინის "ჰერტამ" პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. მართალია, ვერ მოიგო, მაგრამ დედაქალაქური კლუბისთვის ქულაც შენაძენია. "ჰერტა" სტუმრად "ინგოლშტადტთან" 1:1-ს დასჯერდა, სამწუხაროდ, **ლევან კობიაშვილის** გარეშე, რომელიც გუნდის 18-კაციან განაცხადშიც არ ყოფილა.

"ჰერტა" მეორე ბუნდესლიგას 63 ქულით ლიდერობს და მეორეადგილოსანს, ბრაუნშვაიგის "აინტრახტს" ორი ქულით უსწრებს, მესამეადგილოსან "კაიზერსლაუტერნს" კი – 15-ით.

დანიის სუპერლიგაში "ორჰუსი", რომლის ღირსებასაც სამი ქართველი იცავს, სტუმრად "სილკებორგთან" 1:3 დამარცხდა. როგორც იცით, **მათე ვაწაძე** ტრავმირებულია, ხოლო მისი თანაგუნდელები, **დავით დევდარიანი** და **დავით სხირტლაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. დევდარიანი 38-ე წუთზე შეცვალეს, სხირტლაძემ კი სრულად ითამაშა.

საფრანგეთის ლიგა 2-ში "ლე მანმა" "ისტრს" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. "ლე მანის" კარი **გიორგი მაკარიძემ** დაიცვა.

იტალიის სერია B-ში "ემპოლიმ" გასვლაზე "გროსეტო" 1:0 დაამარცხა. **ლევან მჭედლიძე** "ემპოლის" შემადგენლობაში მე-80 წუთზე გამოჩნდა, მისი თანაგუნდელი **ირაკლი შეყილაძე** კი რეზერვში იყო გამწესებული.

ლევან ჯანეზაშვილი



ლევან მჭედლიძე შეცვლაზე შევიდა

## I ლიგა, XXIV ტური

### A ჯგუფი

**სულორი – დინამო-2 0:1**

09.04. ვანი. „ბრ. ნიკოლეიშვილი". 400 მაყურებელი

0:1 ნ. კვეკვესკირი (59)

სულორი: დ. ხურციძე, გ. ბერიშვილი, ლ. გაბუნია, ა. ქებულაძე (67. თ. ბახტაძე), გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ნოდარ გიორგაძე (86. გ. ნიკოლეიშვილი), შ. ბაბუნაშვილი, გ. ფირანაშვილი. ბ. ბექანია, ბ. სულაბერიძე (67. თ. მაღლაკელიძე)

სათადარიგოები: გ. ბალდავაძე, ო. ჩინჩალაძე, შ. ლვინიანიძე, თ. ძაგნიძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

დინამო-2: ტ. ხაინდრავა, ა. ტვილდიანი, თ. კაკულია, ს. გურეშიძე, ბ. მახარობლიძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. პარუნაშვილი, ბ. რუხაძე (61. ა. სარიშვილი), მ. ჯიშკარიანი (75. ლ. საბაძე), ლ. ჩაფიძე, ბ. ზივზივაძე (46. გ. არახამია)

სათადარიგო: ლ. შოვნაძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: ლ. გაბუნია, გ. ფირანაშვილი; მ. ჯიშკარიანი, ლ. პარუნაშვილი, ს. გურეშიძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**რაჭა – სულორი 2:1**

10.04. თბილისი. „ტორპედო-ავაზა". 100 მაყურებელი

1:0 ლ. შაიშმელაშვილი (7), 1:1 თ. ფურთუხია (52), 2:1 ლ. შაიშმელაშვილი (85)

რაჭა: ლ. ყურაშვილი, ზ. ვარდუაშვილი, ა. ლომსაძე, ი. ვეკუა, ზ. ქაჯაია, ლ. ნეფარიძე (55. თ. კირკიტაძე), ვ. ჭაბუკიანი, ლ. შაიშმელაშვილი (90. ი. ხუნდაძე), გ. ლონლაძე (90. თ. კოხრეიძე), ლ. იაშვილი, გ. მაისაშვილი

სათადარიგოები: გ. მრელაშვილი, ლ. ჭეჟია, გ. ჭინჭარაული

მწვრთნელი: ზ. ჯიბუტი

სქური: ტ. ხარჩილავა, დ. რაფავა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ლარიბაშვილი (46. ლ. გაბუნია), თ. ფურთუხია (80. გ. კვირკვია), ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი

სათადარიგოები: გ. სორდია, ი. ქარდავა, ი, მოლაშხია, ვ. შეროზია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: ა. ლომსაძე, გ. მაისაშვილი, ზ. ქაჯაია; ლ. ბოჯგუა, თ. ფურთუხია

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**იმერეთი – სტუ 3:2**

11.04. ხონი. ცენტრალური. 400 მაყურებელი

1:0 იაკობ დეისაძე (24), 2:0 იაგო დეისაძე (27), 2:1 შ. გვაზავა (32), 2:2 კ. კახაბრიშვილი (59), 3:2 დ. სულაბერიძე (90)

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე (86. დ. სულაბერიძე), გ. ხელაძე (46. გ. მანაგაძე), ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი (62. მ. აშვეთია), იაგო დეისაძე, გ. გენძეხაძე, ბ. ჩხეტიანი, იაკობ დეისაძე.

სათადარიგოები: დ. გოდერიძე, გ. ხვიჩია, თ. ვაშაკიძე, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: გ. ხაზარაძე

სტუ: მ. ძიძიგური (80. მ. ბაბაიანი), ნ. ბიწკინაშვილი (58. ა. გოდუაძე), ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ვაშაკიძე, ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, შ. გვაზავა, გ. არახამია, კ. კახაბრიშვილი (73. დ. კოხრეიძე), ვ. რობაქიძე

სათადარიგოები: ა. ლაცაბიძე, გ. თვალავაძე, მ. გოგატიშვილი

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: იაკობ დეისაძე, გ. გოდერიძე; მ. ძიძიგური, ზ. ჭავჭავაძე, ვ. რობაქიძე, ა. გოდუაძე

გაძევება: იაკობ დეისაძე; ზ. ჭავჭავაძე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**ჭიათურა – გაგრა 0:0**

11.04. ჭიათურა. „თემურ მაღრაძე"

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. ტყებუჩავა, გ. ქირია (88. ნ. სტეფანიშვილი), ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. შალიკაშვილი, ი. სარალიძე (72. მ. ჭკადუა), ლ. კუჭაშვილი, დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია

სათადარიგოები: დ. შეყილაძე, ი. ცერცვაძე, ლ. მაჭარაშვილი, ს. გაბაძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: გ. სანაია

გაგრა: გ. ბეგაშვილი, კ. ზარნაძე, ლ. კალანდაძე, გ. ფალავანდიშვილი, ნ. ხოჯაშვილი, გ. ბ. თურმანიძე, თ. ჯანაშია, ნ. ჭკუასელი, ა. ივანიშვილი (46. ბ. მუმლაძე), ჯ. ჯერემია (40. თ. უიშკარიანი), დ. ვოლკოვი (73. უ. მაგაჯი)

სათადარიგოები: ა. ადამია, ბ. ტეიდი, გ. ერისთავი, ა. კალანდია

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ი. შალიკაშვილი, ი. ტყებუჩავა; კ. ზარნაძე, თ. უიშკარიანი, უ. მაგაჯი

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ბეთლემი – მეშახტე 2:1**

11.04. ქედა. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ვ. გიორგობიანი (59), 1:1 შ. გაგუა (75), 2:1 ი. ნაჭყებია (88)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე, გ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, გ. ბერიძე (74. შ. გაგუა), ი. ნაჭყებია, ე. ერქომაიშვილი. გ. კახიანი, ი. ბარამიძე, გ. გოგიტიძე. ი. ბოლქვაძე (62. დ. ჯალაღანია)

სათადარიგოები: გ. ქობალია, ჯ. გიორგაძე, ვ. რუხაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

მეშახტე: ი. კუჭუხიძე, გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, გ. ჯულელი (86. გ. ხეცურიანი), ვ. გიორგაშვილი, მ. ჟღენტი, ო. გიორგობიანი (90. ბ. კოლუაშვილი)

სათადარიგოები: ბ. ჯიშიაშვილი, ნ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: ე. ერქომაიშვილი, დ. ჯალაღანია; ი. კილაძე, ო. გიორგობიანი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 23 | 19 | 2 | 2 | 63-14 | 59 |
| 2. სასკო | 23 | 17 | 2 | 4 | 68-22 | 53 |
| 3. დინამო-2 | 24 | 15 | 4 | 5 | 70-34 | 49 |
| 4. გაგრა | 24 | 14 | 3 | 7 | 45-25 | 45 |
| 5. სტუ | 24 | 10 | 2 | 12 | 52-57 | 32 |
| 6. მეშახტე | 24 | 8 | 6 | 10 | 27-48 | 30 |
| 7. ბეთლემი | 24 | 9 | 2 | 13 | 29-54 | 29 |
| 8. იმერეთი | 24 | 8 | 5 | 11 | 26-34 | 29 |
| 9. სქური | 24 | 7 | 7 | 10 | 25-38 | 28 |
| 10. ჭიათურა | 24 | 5 | 6 | 13 | 22-40 | 21 |
| 11. სულორი | 24 | 4 | 4 | 16 | 20-54 | 16 |
| 12. რაჭა | 24 | 4 | 3 | 17 | 25-52 | 15 |

**მომდევნო ტური**

**14 აპრილი**

სასკო – რაჭა
დინამო-2 – გურია

**15 აპრილი**

გაგრა – სულორი
სტუ – ჭიათურა
მეშახტე – იმერეთი
სქური – ბეთლემი

### B ჯგუფი

**ჩხერიმელა – კოლხეთი 2:1**

10.04. ხარაგაული. „სოსო აბაშიძე". 300 მაყურებელი

0:1 ლ. ჯიქიძე (34), 1:1 ჯ. ავალიშვილი (55), 2:1 ი, გვეტაძე (80)

ჩხერიმელა: დ. ოდიშარია, ი. გვეტაძე, გ. ლობჟანიძე, დ. ხარჩილავა, გ. მეტრეველი, ვ. აფციაური, დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე (52. დ. ვაშაკიძე), გ. ცუცქირიძე (46. თ. კიკნაძე), ჯ. ავალიშვილი (87. მ. მაკარაშვილი)

სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, ჯ. არევაძე, ნ. ბერაძე, შ. სვანიძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია (32. გ. პაჭკორია), გ. ლომაია (69. თ. ღლონტი), დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, კ. გოგენია, პ. გაბრავა, ლ. მეფიშვილი, ლ. ჯიქიძე, ლ. ქაშიბაძე (75. ვ. ფირცხელავა), ი. გერგაია

სათადარიგოები: კ. ალანია, რ. ჩიტაია, რ. ცობეხია, ლ. ჭურღულია

მწვრთნელი: ლ. ნოდია

გაფრთხილება: გ. მეტრეველი, ი. გვეტაძე; ლ. გოგენია, ი. გერგაია, თ. ღლონტი

გაძევება: გ. მეტრეველი, ი. გერგაია

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ადელი – ლოკომოტივი 1:3**

10.04. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

0:1 დ. დარციმელია (19), 0:2 ე. სულთანიშვილი (70), 1:2 ნ. წულუკიძე (78), 1:3 რ. ჩიტეიშვილი (89)

ადელი: გ. რომანაძე, გ. მამულაძე, ლ. სიხარულიძე, ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე, თ. მჟავანაძე (80. გ. ქოქოლაძე), თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი (46. ნ. წულუკიძე), თ. ხაბელაშვილი (61. თ. გიორგაძე), გ. სირაბიძე, ბ. კახიძე

სათადარიგოები: დ. რუხაია, ი. ლოლობერიძე, კ. ბაგალიშვილი, ზ. კონცელიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი (55. გ. გაბაძე), ნ. ჭანტურია (35. გ. გოროზია), გ. მაკასარაშვილი, რ. ჩიტეიშვილი, ენდიკა ბორდასი, მ. ცინცაძე, ე. სულთანიშვილი, დ. ჯიქია, დ. დარციმელია, ა. მზევაშვილი (70. დ. მიქავა)

სათადარიგოები: ბ. ტყემალაძე, ჯ. ყანჩაშვილი, ლ. კიკაბიძე, თ. მესხი

მწვრთნელი: ხერარდ სარაგოსა

გაფრთხილება: გ. მამულაძე, ლ. სიხარულიძე, ნ. დავითაძე, ბ. ჯუგაშვილი

გაძევება: გ. მამულაძე; გ. მაკასარაშვილი

არბიტრი: დ. სანოძე

**ლიახვი – სამტრედია 1:1**

10.04. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 70 მაყურებელი

0:1 გ. ბოხუა (7), 1:1 ზ. ჭადაშვილი (30)

ლიახვი: ა. ბარნაბიშვილი, გ. მინდორაშვილი, ლ. ქანთარია, მ. ჯიქია, თ. შუბითიძე, ს. ძებისაშვილი (46. მ. კუხალეიშვილი, 87. ი. ჯველაური), დ. ბარნაბიშვილი, ს. ხაზალია, ლ. კომლაძე, ზ. ჭადაშვილი (62. გ. ნონიაშვილი), თ. აზიკური

სათადარიგოები: ა. ქელიხაშვილი, გ. აზნიაშვილი, ნ. ლიპარიშვილი, ო. ცანავა

მწვრთნელი: უ. ქანთარია

სამტრედია: დ. კეკელიძე (46. ნ. ბანძავა), ბ. გედენიძე, ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, ა. დვალიშვილი, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე (46. შ. კერძევაძე), რ. ნინუა, გ. ბოხუა, ნ. ჩიხლაძე (65. თ. კიკაბიძე)

სათადარიგოები: ბ. ახობაძე, გ. ხვედელიძე, გ. რუხაძე, პ. პაპავა

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრხთილება: მ. ჯიქია, თ. შუბითიძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**მერცხალი – სამგურალი 0:0**

10.04. ოზურგეთი. „ცენტრალური". 200 მაყურებელი

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, ზ. ხურციძე, გ. მექვაბიშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, ნ. მაჭავარიანი, ლ. ათუაშვილი (75. ლ. კოტრიკაძე), გ. მალაზონია, გ. ჟღენტი (63. ს. გ. ჩიგოგიძე), ი. ბაჯელიძე

სათადარიგოები: ი. კალაჯიშვილი, ნ. თავბერიძე, ვ. მგელაძე, ვ. ტუტოიანი

მწვრთნელი: ს. გაგუა

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ბ. ბიბილაშვილი, მ. ჩხარტიშვილი, უ. ბანძელაძე, თ. კაპანაძე (71. ზ. კუხალაშვილი), ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე, ლ. ყიფიანი, გ. თევდორაძე (65. ლ. ნავერიანი)

სათადარიგოები: ბ. ხაჭიპერაძე, ხ. უგრეხელიძე, ლ. გორდეზიანი, ნ. ბაბუნიძე, ზ. ჩიხლაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: გ. ხამაშურიძე, ი. მურუსიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 20 | 17 | 2 | 1 | 55-8 | 53 |
| 2. შუქურა | 21 | 14 | 3 | 4 | 42-16 | 45 |
| 3. კოლხეთი | 22 | 13 | 2 | 7 | 30-23 | 41 |
| 4. ლოკომოტივი | 22 | 12 | 5 | 5 | 55-25 | 41 |
| 5. სამტრედია | 22 | 12 | 3 | 7 | 37-28 | 39 |
| 6. სამგურალი | 22 | 10 | 7 | 5 | 44-31 | 37 |
| 7. ალგეთი | 21 | 7 | 3 | 11 | 31-39 | 24 |
| 8. მერცხალი | 22 | 3 | 8 | 11 | 27-38 | 17 |
| 9. ლიახვი | 22 | 3 | 6 | 13 | 21-51 | 15 |
| 10. ჩხერიმელა | 22 | 4 | 1 | 17 | 23-66 | 13 |
| 11. ადელი | 22 | 4 | 0 | 18 | 24-64 | 12 |

**მომდევნო ტური**

**14 აპრილი**

კოლხეთი (ხ) – სპარტაკი
ლოკომოტივი – ჩხერიმელა
სამტრედია – ადელი
ალგეთი – მერცხალი

**15 აპრილი**

სამგურალი – ლიახვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტურის წინ

### 13 აპრილი

**არსენალი-ნორვიჩი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** პერ მერტეზაკერი (არს)

**ტრავმა:** ვასირიკი დიაბი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი - ჯონ რადი, ენდრიუ სერმანი, მარკ ბენი

ბოლო 6 მატჩი

+5=0-1 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 45 თამაში: +19=17-9 (79-47)**

**ასტონ ვილა-ფულჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** სტივ სიდუელი (ფულ)

**ტრავმა:** რიჩარდ დანი, კირან კლარკი, გაბრიელ აგბონლაჰორი, მარკ ოლბრაიტონი, სტილიან პეტროვი, კრის ჰერდი, გარი გარდნერი - მლადენ პეტრიჩი, მოჰამედ დიარა, ეიონგ ენო, ნილ ეტერიჯი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 43 თამაში: +16=15-12 (66-56)**

**ევერტონი-ქუინზ პარკი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბობი ზამორა (ქპრ)

**ტრავმა:** ტონი ჰიბერტი - ენდრიუ ჯონსონი, შონ რაიტ-ფილიპსი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 43 თამაში: +17=11-15 (64-60)**

**რედინგი-ლივერპული 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯიმი კებე, ჰოუპ აკპანი, ჯეისონ რობერტსი - ჯო ალენი, ფაბიო ბორინი, რაჰემ სტერლინგი, მარტინ კელი, ჯონ ფლენაგანი

ბოლო 6 მატჩი

+0=0-6 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +2=1-6 (13-18)**

**საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯეი როდრიგესი, ლუკ შოუ, ჯეისონ პანჩეონი - უინსტონ რიდი, ჯორჯ მაკარტნი, ჯეიმს ტომკინსი, მარკ ნოუბლი, ჯო კოული, დენიელ პოტსი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 57 თამაში: +21=17-19 (79-75)**

### 14 აპრილი

**ნიუკასლი-სანდერლენდი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** კრეიგ გარდნერი (სანდ)

**ტრავმა:** ფაბრისიო კოლოჩინი, დავიდე სანტონი, რაიან ტეილორი, ჩეიკ ტიოტე, მატიო დებუში, სტივენ ტეილორი, ჰარის ვუკჩიჩი - ვეს ბრაუნი, ლი კატერმოული, დევიდ ვონი, ტიტუს ბრამბლი, სტივენ ფლეტჩერი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 113 თამაში: +44=35-34 (185-168)**

**სტოკ სიტი-იუნაიტედი 17:05**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გლენ უელანი, მარკ უილსონი, მეტიუ ეთერინგტონი - ჯონი ევანსი, კრის სმოლინგი, ნემანია ვიდიჩი, ეშლი იანგი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 67 თამაში: +15=21-31 (71-112)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 31 | 25 | 2 | 4 | 71-33 | 77 |
| 2. სიტი | 31 | 19 | 8 | 4 | 57-27 | 65 |
| 3. ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 61-33 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55-40 | 58 |
| 5. არსენალი | 31 | 16 | 8 | 7 | 61-34 | 56 |
| 6. ევერტონი | 31 | 13 | 13 | 5 | 49-37 | 52 |
| 7. ლივერპული | 32 | 13 | 10 | 9 | 59-40 | 49 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 9. სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43-42 | 41 |
| 10. ფულჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 43-47 | 39 |
| 11. საუთჰემპტონი | 32 | 9 | 10 | 13 | 46-53 | 37 |
| 12. ვესტ ჰემი | 31 | 10 | 7 | 14 | 35-44 | 37 |
| 13. ნიუკასლი | 32 | 10 | 6 | 16 | 42-56 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 32 | 7 | 14 | 11 | 30-49 | 35 |
| 15. სტოკ სიტი | 32 | 7 | 13 | 12 | 28-39 | 34 |
| 16. ასტონ ვილა | 32 | 8 | 9 | 15 | 35-59 | 33 |
| 17. სანდერლენდი | 32 | 7 | 10 | 15 | 34-45 | 31 |
| 18. უიგანი | 31 | 8 | 7 | 16 | 37-57 | 31 |
| 19. ქუინზ პარკი | 32 | 4 | 12 | 16 | 29-52 | 24 |
| 20. რედინგი | 32 | 5 | 8 | 19 | 36-63 | 23 |

**ბომბარდირები:** 22 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

### გადადებული მატჩი

**7 მაისი**

უიგანი-სუონსი
სიტი-ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი-ტოტენჰემი

# შეკრეჭილი ტური

## და იტალიელის უმთავრესი მისია

### ოცნება ოთხეულზე

„არსენალს“ სეზონის დარჩენილ ნაწილში ერთადერთი მიზანი აქვს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს. „მეთოფეები“ მიზანთან ძალიან ახლოს არიან. მეტიც, დაკარგული ქულებით ისინი „ტოტენჰემს“ უკვე ალემატებიან. დღეს კი **არსენ ვენგერსა** და კომპანიას კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლიათ. „ნორვიჩი“ ნამდვილად არ არის ის გუნდი, ვისაც „ემირიტსზე“ დიდი შანსი შეიძლება ჰქონდეს. წინა ტურში „ვესტ ბრომვიჩთან“ ლონდონელებმა ცუდად ითამაშეს, მაგრამ მოიგეს. მთავარმა გმირმა **ტომაშ როსიცკიმ** ტრავმა მიიღო. მასპინძლებს ჩეხის გარეშეც ძლიერი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლიათ და თანაც პირველ წრეში წაგების (1:0) გამო შური აქვთ საძიებელი.



ხვალ პაოლო დი კანიოს პრემიერლიგაში მეორე თამაში უწევს. მისდა სამწუხაროდ, ამჯერადაც გასვლაზე

### მოტივაციის ძალა

„ასტონ ვილამ“ კრიზისი საბოლოოდ გადალახა და აუტსაიდერთა შორის ნამდვილად საუკეთესო ფორმაშია. **პოლ ლამბერტის** გუნდმა ყველა უშუალო კონკურენტს კი სძლია, მაგრამ სამშვიდობოს თავი ჯერ ვერ დაიგულა. სხვაობა გასავარდნ ზონასთან სულ რაღაც 2 ქულაა. „ფულჰემმა“ კი თითქმის უწია კრიტიკულ ზღვრად წოდებულ 40 ქულას და შეუძლია აღარ ინერვიულოს. მას გავარდნა არ ემუქრება. ამ გუნდების დაპირისპირებათა ისტორია უხვგოლიან მატჩებს მრავლად ითვლის. ამჯერად გვგონია, რომ მასპინძლები უკანმოუხედავ შეტევებს ვერ გაბედავენ.

### ლივერპული აუტსაიდერების წინააღმდეგ

ყოველი მომდევნო ტური „ქუინზ პარკს“ ჩემპიონშიპთან სულ უფრო აახლოებს. 2002/03 წლების **გლენ როუდერის** „ვესტ ჰემის“ შემდეგ ეს გუნდი ნამდვილად საუკეთესო შემადგენლობას ფლობს, მაგრამ **ჰარი რედნაპმა** ვერაფრით მოახერხა **მარკ ჰიუზის** მიერ პირველ წრეში გაფუჭებული საქმის გამოსწორება. „რეინჯერებს“ დღეს „გუდისონ პარკზე“ ურთულესი დაპირისპირება ელით. „ევერტონს“ თავისი ამბიციები აქვს. „ლურჯები“ ევროთასების საგზურებისთვის ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. თანაც მერსისაიდელებს დისკვალიფიკაცია მოხდილი **მარუან ფელაინი** და **სტივენ პიენაარი** უბრუნდებიან. სტუმრებს კი ამავე მიზეზით **ბობი ზამორა** არ ეყოლებათ.

„რედინგმა“ 2 თებერვალს „სანდერლენდთან“ მოგების (2:1) შემდეგ ზედიზედ 7 თამაში წააგო და ახლა ჩემპიონატის ულაპარაკო აუტსაიდერია. „არისტოკრატებს“ ვერც **ბრაიან მაკდერმოტის** გათავისუფლებამ უშველა და ჯერჯერობით არც **ნაიჯელ ედკინსის** დანიშვნას მოუტანია შედეგი. ყველას ესმის, რომ 6 ტურში 8-ქულიანი ფორის გაბათილება პრაქტიკულად შეუძლებელია. თავის მხრივ ევროთასებზე მეოცნებე „ლივერპულსაც“ თვალსა და ხელს შუა ენურება ამის იმედი და ცხადია, **ბრენდან როჯერსის** შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ, რომ დღესვე არ დაუსვან წერტილი საკუთარ ამბიციებს.

### შურისძიება

პირველ წრეში „ვესტ ჰემმა“ საუკეთესო თამაში „საუთჰემპტონთან“ ჩაატარა (4:1). „წმინდანები“ ახლა სულ სხვა კონდიციებში არიან და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „სენტ მერიზე“ ფავორიტები სწორედ ისინი არიან. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ ევროპელი ბუკმეიკერები. აქ ერთი ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი: „ჩაქუჩები“ წინა ტურშიც აუტსაიდერები იყვნენ „ენფილდზე“, მაგრამ „ლივერპულის“ ზეწოლა ბოლომდე არ შეიმჩნიეს. მასპინძელთა შანსებს მხოლოდ ის თუ ამცირებს, რომ ტრავმის გამო, შესაძლოა, **ჯეი როდრიგესმა** მინდორზე გასვლა ვერ შეძლოს. არადა, **მაურისიო პოჩეტინიოს** მოსვლის შემდეგ 21 წლის ვინგერზე ძალიან ბევრი რამ გახდა დამოკიდებული.

### დი კანიოს კიდევ ერთი განსაცდელი

**პაოლო დი კანიოს** „სანდერლენდი“ დაკარგული ქულების გათვალისწინებით უკვე გასავარდ ზონაშია. „სენტ ჯეიმს პარკზე“ კიდევ ერთი მარცხის შემთხვევაში ის საკუთარი ნებით გაყოფს თავს ყულფში. თანაბარი ქულები და 2 თამაში თადარიგში („მანჩესტერ სიტისთან“ გასვლაზე, „სუონსისთან“ შინ), იმის გათვალისწინებითაც კი, რამდენად რთული შეხვედრები ელის, „უიგანისთვის“ სერიოზული ფსიქოლოგიური უპირატესობა იქნება. 44 წლის იტალიელის პრემიერლიგური დებიუტი „სტემფორდ ბრიჯზე“ შედგა, სტადიონზე, რომელიც ნამდვილად არ არის ამისთვის საოცნებო. „შავ კატებს“ არა უშავდათ. ნესით, მინიმუმ ქულის აღების შანსი მათ ხვალაც უნდა ჰქონდეთ. გამარჯვებაზე ფიქრი ცოტა რთულია, რადგან სტუმრად „კაჭკაჭებთან“ ბოლოს ასეთი რამ 13 წლის წინ მოახერხეს.

ადგილობრივმა პოლიციამ უკვე გაავრცელა მოწოდება გულშემატკივრებისადმი, რომ თავი შეიკავონ სტუმართა დამცინავი და მით უფრო შეურაცხმყოფელი ფაშისტური შეძახილებისგან. მოგეხსენებათ, „შავი კატების“ ახალი დამრიგებელი თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო საზოგადოების განსაკუთრებულ აგრესიას იწვევს. *„არ ვიცი, რატომ უსვამს ხაზს პოლიცია ამ გარემოებას, მაგრამ გარწმუნებთ, თამაშის დროს მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ და შესაბამისად, გულშემატკივართა მიერ შეურაცხყოფა პრობლემას არ შემიქმნის,“* - განაცხადა 44 წლის იტალიელმა.

### დაბოლოს...

„სტოკმა“ ბოლო 10 ტურიდან ერთადერთში იმარჯვა. მსგავსი სერიები გუნდებზე ყოველთვის მძიმედ აისახება. სწორედ ამ ფონზე „ბრიტანია სტედიუმს“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ სტუმრობს. ჩემპიონატის ლიდერები წინა ტურში დერბიში დამარცხდნენ. „ეშმაკებს“ წარმატება გულზე მალამოდ დაედებათ. „უილიამ ჰილი“ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდების მოგებაზე 1,61 ფსონს იძლევა. ცხადია, ფავორიტად ჩვენც „იუნაიტედს“ მივიჩნევთ.



### კაპიტნის ახალი კონტრაქტი

„საუთჰემპტონის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდის 24 წლის კაპიტანმა **ადამ ლალანამ** ახალი კონტრაქტი 2018 წლის ივნისის ბოლომდე გააფორმა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი „წმინდანების“ ბანაკში 12 წლისა მივიდა და მთავარ გუნდში აკადემიიდან მოხვდა. *„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომდევნო ხუთ წელიწადსაც ამ გუნდში გავატარებ. „საუთჰემპტონში“ ბავშვობიდან ვირიცხები და ჩემს მომავალს მხოლოდ აქ ვხედავ,“* - განაცხადა ფეხბურთელმა ხელის მოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

## ამბები

### იანგის სამი თამაში

„მანჩესტერ სიტისთან“ დერბის ბოლო წუთზე „იუნაიტედის“ 27 წლის ნახევარმცველმა **ეშლი იანგმა** ტრავმა მიიღო და გუნდს უახლოეს სამ შეხვედრაში (14 აპრილი „სტოკ სიტი“, 17 - „ვესტ ჰემი“, 22 - „ასტონ ვილა“) ვერ დაეხმარება. „ეშმაკებს“ სწორედ ამ პერიოდში შეუძლიათ ჩემპიონობის განაღდება. ასე რომ, ბედშავი იანგი შესაძლოა სეზონის უმთავრეს სანახაობას გამოაკლდეს.

### რუნი წავა თუ...

ესპანურ წყაროებზე დაყრდნობით „ლელო“ რამდენიმე დღის წინ უკვე წერდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ **რადამელ ფალკაოს** 55 მილიონ ევროდ შეძენა თითქმის გადაწყვეტილი აქვს. ლაპარაკია იმაზეც, რომ პრემიერლიგის ლიდერი ფულს სრულად არ გადაიხდის, ამის სანაცვლოდ კი „როხიბლანკოს“ **ხავიერ ერნანდესს** დაუთმობს. აღნიშნული ტრანსფერი, შესაძლოა, კიდევ უფრო სერიოზული ძვრების საფუძველი გახდეს. ინგლისური პრესის ვარაუდით, ასეთ შემთხვევაში **უეინ რუნი** „იუნაიტედისგან“ ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს, რადგან ის სათადარიგოთა შორის ჯდომასთან შეგუებას არ აპირებს.

### ვეტერანი კიდევ ერთი წლით

**იუსი იასკელაინენმა** „ბოლტონში“ 15 წელიწადი გაატარა და მთელი ამ ხნის განმავლობაში გუნდის ძირითად გოლკიპერად მიიჩნეოდა. 2012 წლის ზაფხულზე ფეხბურთელმა „ვესტ ჰემს“ მიაშურა და „ჩაქუჩების“ კარშიც იოლად მოიპოვა პირველი მეკარის სტატუსი. 37 წლის ფინელს პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთი წუთიც არ გაუცდენია. მან 31-ივე შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა. იასკელაინენი სეზონს უმაღლეს დონეზე ატარებს. დედაქალაქურმა კლუბმა მას გარჯა დაუფასა და ხელშეკრულება 2014 წლამდე გაუგრძელა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



# უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის წინ

## წუხელ:

ფრაიბურგი-ჰანოვერი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 28 | 24 | 3 | 1 | 79-13 | 75 |
| 2. დორტმუნდი | 28 | 16 | 7 | 5 | 66-34 | 55 |
| 3. ლევერკუზენი | 28 | 14 | 7 | 7 | 51-36 | 49 |
| 4. შალკე | 28 | 13 | 6 | 9 | 48-43 | 45 |
| 5. ფრაიბურგი | 29 | 12 | 9 | 8 | 39-34 | 45 |
| 6. აინტრახტი | 28 | 12 | 6 | 10 | 42-40 | 42 |
| 7. გლადბახი | 28 | 10 | 11 | 7 | 36-37 | 41 |
| 8. მაინცი | 28 | 10 | 9 | 9 | 35-32 | 39 |
| 9. ჰანოვერი | 29 | 11 | 5 | 13 | 50-49 | 38 |
| 10. ნიურნბერგი | 28 | 9 | 11 | 8 | 33-35 | 38 |
| 11. ჰამბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 32-44 | 38 |
| 12. ვოლფსბურგი | 28 | 8 | 9 | 11 | 33-43 | 33 |
| 13. შტუტგარტი | 28 | 9 | 6 | 13 | 29-46 | 33 |
| 14. ვერდერი | 28 | 8 | 7 | 13 | 43-54 | 31 |
| 15. ფორტუნა | 28 | 7 | 8 | 13 | 33-43 | 29 |
| 16. აუგსბურგი | 28 | 5 | 9 | 14 | 25-44 | 24 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 5 | 17 | 33-52 | 23 |
| 18. ფიურტი | 28 | 2 | 9 | 17 | 18-46 | 15 |

**ბომბარდირები:** 21 - **რობერტ ლევანდოვსკი** (დორტმუნდი), 18 – **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი), 15 - **მარიო მანჯუკიჩი** (ბაიერნი), 13 - **ალექსანდერ მაიერი** (აინტრახტი), **ადამ ჟალაი** (მაინცი)

# ბუნდესლიგა ნაჩემპიონევს

### 13 აპრილი

**ბაიერნი-ნიურნბერგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლუის გუსტავო (ბაი)
**ტრავმა:** რაედერი, რიდმიულერი, ბადშტუბერი, კროოსი, ვაირაუხი - მარკოსი, შტარკი, გებჰარტი, ჰლუსეკი, ნგანკამი

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0 +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 58 თამაში: +35=12-11 (103-62)

**ფორტუნა-ვერდერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ტეშე (ფორ)
**ტრავმა:** სოარეში, ბოლი, ერატი, გარბუშევსკი, მიულერი, აიდინი – ფანდერი, ვოლფი, რიოკერი, შმიტცი, აიჩიჩეკი, ეკიჩი, ფრიტცი, ჰუნტი, იგნიოვსკი, სტევანოვიჩი, ილდირიმი, ფიულკრუგი, ვურტცი

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 +0=3-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 41 თამაში: +11=11-19 (61-77)

**ფიურტი-დორტმუნდი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ციმერმანი (ფიურ)
**ტრავმა:** ჰეფელე, შტიბერი, ტირალა - ოვომოიელა, ამინი

ბოლო 6 მატჩი

+0=3-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 2 თამაში: +0=0-2 (1-4)

**მაინცი-ჰამბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კარიუსი, შლიკი, ედე, კლასნიჩი - ნოიჰაუსი, ლამი, სოვა, შტენბერგი, ბაისტერი, ილიჩევიჩი, ინგრესო, ნორდგაარდი, შტაინმანი, ბერგი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +3=5-5 (12-14)

### 13 აპრილი

**ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფაგნერი -
**ტრავმა:** დრევესი, კნოხე, პანევიტცი, პერიშიჩი, პილარი - გომესი, აბრაჰამი, კრისი, კონრადი, იაისლე, გრიფო, სასი, შიონი, ვუკჩევიჩი, ვაიზერი, დერდიოკი, ჰერდლინგი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +5=1-3 (22-13)

**შალკე-ლევერკუზენი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ნოიშტედტერი
**ტრავმა:** უნერშტალი, პაპადოპულოსი, აფელაი, ბარნეტა, კლინგენბურგი, პიაციკასი, ფარფანი, ჰუნტელაარი, ობასი - ლომბი, ბიონიში, ბელარაბი, პუში, რაინარტცი

ბოლო 6 მატჩი

+5=0-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 58 თამაში: +15=17-26 (79-99)

### 14 აპრილი

**შტუტგარტი-გლადბახი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვაისი, ბა, დიდავი, კაკაუ, ტორუნი - შტრანცლი, რუპი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 85 თამაში: +36=26-23 (148-109)

**აუგსბურგი-აინტრახტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გელიოსი, იენჩი, ფილპი, კოო, ნებელი, ტიდე - ტრაპი, ამედიკი, დუდა, ჰინი, კემპფი, ვილე, კიტელი

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=0-1 (2-4)

**პირველად ბუნდესლიგის ისტორიაში ქვეყნის ჩემპიონი 6 ტურით ადრე გამოვლინდა. ამ თემაზე ჩვენმა გაზეთმა უკვე იმდენი წერა, რომ დღეს ამით თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა არც მთლად ამ გუნდის უხსენებლად გამოვა საქმე. სეზონის მთავარი ინტრიგა თუ მკვდარია, ეს არ ნიშნავს, რომ ბუნდესლიგამ ინტერესი დაკარგა. გააფთრებული ბრძოლა მიდის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. ძალიან მცირე, მაგრამ ამის შანსი მეშვიდეადგილოსან „გლადბახსაც“ კი აქვს. ისე კი, ფავორიტი აქაც გამოკვეთილია. „შალკემ“ ხელახლა დაიბრუნა თამაშის რიტმი. წყალწაღებულ „ფიურტს“ თუ არ ჩავთვლით, ჯერ არც ცხრილის ფსკერზე გარკვეულა რამე.**

## მეასე გამარჯვების მოლოდინში

„ბაიერნი“ „ნიურნბერგს“ შეხვდება. „რეკორდმაისტერი“ ცოტა დაღლილი უნდა იყოს „იუვენტუსთან“ თამაშის შემდეგ, პლუს ამას ტიტულის მოპოვების შემდეგ ძველებური მოტივაციის შენარჩუნება ძნელია. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ბავარიული დერბია, „ნიურნბერგს“ ექსბაიერნელი **მიხაელ ვაიზინგერი** წვრთნის და ამას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ნიურნბერგი“ ერთადერთია ბუნდესლიგაში, ვინც მომავალ ჩემპიონთან შინ არ დამარცხებულა. **იუპ ჰაინკესის** გუნდს ხომ გასვლაზე 14-დან 13 მოგება აქვს. ბავარიელები სახელოვან მეტოქესთან ტრადიციულად ძალიან კარგად თამაშობენ. დაბოლოს, „ბაიერნს“ „ალიანს არენაზე“ ბუნდესლიგაში 99 მოგება აქვს. დერბიში საიუბილეო მეასე გამარჯვება სიმბოლური იქნება.



იენს კელერის „შალკეს“ შეუძლია, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა უკიდურესობამდე დაძაბოს

## ფერი ფერსაო

დიუსელდორფის „ესპრიტ-არენას“ „ვერდერი“ სტუმრობს. მასპინძლისგან ბუნდესლიგაში ზოგი ამდენსაც არ ელოდა. თუმცა **ნორბერტ მაიერმა** სასწაული შეძლო. „მუსიკოსები“ კი ლამის იმ მდგომარეობაში არიან, კარგი რომ უნდა თქვა ან არაფერი. **თომას შააფმა** და კომპანიამ ბოლო 2 თვეში ერთი თამაშიც ვერ მოიგეს. ისინი გასავარდნ ზონას უკვე სახიფათო მანძილზე მიუახლოვდნენ. „ფორტუნა“ წარმატების შემთხვევაში მეტოქეს ცხრილში ადგილს გაუცვლის.

„ჰამბურგი“ „ბაიერნთან“ კატასტროფულ მარცხამდე (2:9) ევროთასებზე გასვლის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. HSV-ს ამის გაკეთება ახლაც შეუძლია, მაგრამ **ტორსტენ ფინკის** გუნდის უკვე აღარავის სჯერა. ქებას ვერც **თომას ტუხელი** იმსახურებს. FSV არანაკლებ ცუდად თამაშობს. ასე რომ, ორ უსახურ გუნდს შორის უკეთესის გამოვლენა მეტ კომენტარს არ იმსახურებს.

## ყველა გზა ბაიერნთან მიდის

„ჰოფენჰაიმი“ გონს მოვიდა. გუნდმა ბოლო 4 შეხვედრაში 2-ჯერ იმარჯვა, ერთი ფრედ დაასრულა და დასარჩენად მებრძოლთა ბატალიებში ხელახლა ჩაება. „სოფლელებმა“ „მგლებთან“ პირველ წრეში შინ 1:3 დათმეს. დღეს გამარჯვება ძალიან გაჭირდება. „ვოლფსბურგმა“ სეზონი „დაასრულა“. მას არც გავარდნა ემუქრება და ევროთასებზე გასვლის ერთადერთი გზაც გერმანიის თასსა და „ბაიერნზე“ გადის, თანაც შეხვედრა „ალიანს არენაზეა“ დანიშნული.

„ფიურტი“ უკვე მეორე ბუნდესლიგაშია, „დორტმუნდისთვის“ მეორე ადგილის წართმევა კი მის კონკურენტებს (უფრო სწორად, კონკურენტ „ლევერკუზენს“) ძალიან გაუჭირდება. მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალი ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ **იურგენ კლოპმა** შეგირდებზე აქედანვე უნდა იფიქროს და მათ ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. რურელებს ხომ ახლად გამომცხვარი ჩემპიონისგან განსხვავებით გრძელი სკამი არ აქვთ.

## დიდი ჯახი აუფშალკეზე

თუკი XXIX ტურისგან ნეიტრალური მაყურებელი განსაკუთრებულ სანახაობას ელოდება, პირველ რიგში „აუფშალკეზე“ გამართულ თამაშს უნდა უყუროს. ეს ნამდვილად არ არის სიტყვების რახარუხი, რადგან ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში ცხრილში შესაძლოა ვნებები კიდევ უფრო გამძაფრდეს. „ხუმარებმა“ თუ მოიგეს, მესამე ადგილს ერთ ქულამდე მიუახლოვდებიან, რაც „ლევერკუზენს“ უკვე აღარაფრის გარანტიას აღარ აძლევს. **იენს კელერმა** გუნდი საკუთარ თარგზე ბოლომდე მოარგო და მისი წარმატება ნამდვილად არ გაგვაკვირვებს. თუკი **სამი ჰიიპიას** ფეხბურთელებმა იძალეს, ისინი ამით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოიგებენ. რა დევს სასწორზე, ცხადია, ორივე მხარემ მშვენივრად უწყის.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ვარსკვლავები

# ლეოს და რონის ფეხებს უფრთხილდებიან

## ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე მესი არ ითამაშებს, რონალდო – ცოტას



ლა ლიგის მორიგი ორი ტური, რომელიც ისედაც ინტრიგის ნაკლებობას განიცდის, შეიძლება, კიდევ უფრო გაუფერულდეს და ამაში „რეალის“ და „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა და ჩემპიონთა ლიგა იქნება დამნაშავე...

„მარკას“ წყაროს ინფორმაციით, „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა არ აპირებს გარისკოს და ეჭვის ქვეშ დააყენოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯანმრთელობა. ამიტომაც, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებამდე **ლეო მესის** მოედანზე ვერ ვიხილავთ.

„ბარსას“ ექიმები მიიჩნევენ, რომ არგენტინელი ჯერ ბოლომდე მაინც არ გამოჯანმრთელებულა. ამიტომაც საშიშია მისი თამაში ლა ლიგის უახლოეს ტურში.

„სარაგოსას“ წინააღმდეგ მატჩში ლეო 100%-ით არ ითამაშებს. მომდევნო ტურში „ბარსას“ მეტოქე „ლევანტეა“. იმ დროისთვის ლეოს ორთავა კუნთი საბოლოოდ აღდგენილი იქნება, თუმცა **ტიტო ვილანოვა** მას მხოლოდ ბოლო წუთებზე თუ ათამაშებს. თუმცა ყველაფერი მაინც მესიზე იქნება დამოკიდებული. თვითმხილველების მტკიცებით კი ლეოს მდგომარეობა ახლაც შესანიშნავია.

თვითმხილველთა მტკიცებით, არგენტინელი ახლაც ჯანზეა, მაგრამ „ბარსა“ არ გარისკავს.

თუკი „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა იმიტომ „ინახავს“ ლეო მესის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისთვის, რომ არგენტინელს ტრავმა არ გაუმიზეზდეს, „რეალის“ ხელმძღვანელობას **კრიშტიანო რონალდოს** შემთხვევაში, ანალოგიურად მოქცევის მიზეზი არა აქვს.

ამის მიუხედავად, „მარკა“ ამტკიცებს, რომ **ჟოზე მოურინიოც** ტიტო ვილანოვას ანალოგიურად მოიქცევა. პორტუგალიელმა უკვე ჩაიქნია ხელი ლა ლიგაზე და იცის, რომ ტიტულს ყველა ვარიანტში დაკარგავს, სამაგიეროდ „სამეფო კლუბი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია გასული, სადაც დორტმუნდის „ბორუსიას“ ხვდება.

ჟოზეს აღარ სურს გარისკოს თავისი საუკეთესო ფეხბურთელის მდგომარეობით და მომავალ ორ ტურში გამორიცხულია, რონიმ 90-90 წუთი ითამაშოს. ის ალბათ ორივე მატჩში ბოლო წუთებზე შევა, რათა სათამაშო ტონუსი არ დაკარგოს.

თავად რონალდოს რომ კითხოთ, მას შეუცვლელად თამაში სურს, მაგრამ ეს ის საკითხია, რომელზეც აზრს კრიშტიანოს მწვრთნელი არ დაეკითხება.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXXI ტურის წინ

### 13 აპრილი

**ვალიადოლიდი-ხეტაფე 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** სერენო (ვალ)
**ტრავმა:** პერესი (?) - მოია, კოლუნგა, ლოპესი, მანე (?), პედრო ლეონი, ტორესი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +3=3-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 8 თამაში: +2=2-4, (5-5)

**ლევანტე-დეპორტივო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლაურე, პაბლო (?), რიკი (?)

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 | +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +4=1-6, (11-10)

**ესპანიოლი-ვალენსია 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლონგო - რუისი (?)

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +2=3-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 37 თამაში: +15=7-15, (51-54)

**მალაგა-ოსასუნა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბაპტიშტა (?), ტულალანი, გამესი (?), მორალესი - სისი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 23 თამაში: +10=9-4, (38-24)

### 14 აპრილი

**ვალეკანო-სოსიედადი 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტამუდო, როდრი - ილარამენდი (?), პარდო (?), პრიეტო (?), ზურუტუზა, ველა (?)

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 | +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 22 თამაში: +9=5-8, (35-35)

**ატლეტიკო-გრანადა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** სუარესი - სიკეირა
**ტრავმა:** თურანი (?), ტიაგო (?) - ფ. რიკო, იებდა, ბენიტესი

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 | +0=2-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 3 თამაში: +2=1-0, (3-0)

**სარაგოსა-ბარსელონა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** აბრაამი (სარ)
**ტრავმა:** სუკულინი, ალამო, აპონიო (?), ობრადოვიჩი - მასკერანო, მესი (?), პუიოლი

ბოლო 6 მატჩი
+0=3-3 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 39 თამაში: +8=4-27, (48-97)

**ბილბაო-რეალი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ადურისი, დე მარკოსი, გურპეგი, ლაპორტი (ბილ)
**ტრავმა:** გალარეტა, პერესი, ამორებიეტა (?) (ბილ)

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 | +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 41 თამაში: +10=5-26, (40-96)

### 15 აპრილი

**მალიორკა-სელტა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ასპასი (სელ)
**ტრავმა:** ჟ. ვიქტორი, ალვარო, ლოპესი - ტუნიესი, ლიორკა, მალიო, ალვარესი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 19 თამაში: +7=3-9, (25-28)

*შენიშვნა: + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა*
*შენიშვნა: ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან*

ბეტისი-სევილია 3:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95-33 | 78 |
| 2. რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77-29 | 65 |
| 3. ატლეტიკო | 30 | 19 | 5 | 6 | 51-25 | 62 |
| 4. სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55-39 | 51 |
| 5. ვალენსია | 30 | 14 | 7 | 9 | 44-42 | 49 |
| 6. ბეტისი | 31 | 14 | 6 | 11 | 47-46 | 48 |
| 7. მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43-32 | 47 |
| 8. ხეტაფე | 30 | 12 | 8 | 10 | 38-44 | 44 |
| 9. ვალეკანო | 30 | 14 | 2 | 14 | 40-49 | 44 |
| 10. სევილია | 31 | 12 | 6 | 13 | 48-45 | 42 |
| 11. ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35-46 | 40 |
| 12. ესპანიოლი | 30 | 10 | 9 | 11 | 37-39 | 39 |
| 13. ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33-51 | 35 |
| 14. ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 38-43 | 35 |
| 15. ოსასუნა | 30 | 8 | 7 | 15 | 26-35 | 31 |
| 16. გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-45 | 28 |
| 17. სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28-46 | 27 |
| 18. დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38-63 | 26 |
| 19. სელტა | 30 | 6 | 6 | 18 | 29-45 | 24 |
| 20. მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32-63 | 24 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

# ვინ კი არა, როდის

## ბრძოლა ევროთასებისა და ელიტაში დარჩენისთვის


გასარკვევია მხოლოდ როდის გახდება ეს გუნდი ესპანეთის ჩემპიონი

**ამ უქმეებზე** არცთუ გამორჩეული ტურია. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და დარჩენილი 8 ტურის ანალიზს შემოგთავაზებთ. ტექტის ტექნიკურ ნაწილში კი უპრობლემოდ ნახავთ წყვილების, დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული ფეხბურთელების სიას.

შეიძლება ითქვას, რომ რიგით 82-ე ლა ლიგა ფინიშის სწორზე გავიდა. მართალია, ბოლო ტურამდე, რომელიც 1 ივნისს გაიმართება, ჯერ კიდევ დროა, მაგრამ ბევრი რამ გამოიკვეთა, ბევრიც გადაწყდა, მათ შორის გაეცა პასუხი უმთავრეს კითხვას...

### საჩემპიონო რბოლა... საკუთარ თავთან

კითხვა ასე აღარ დგას - ვინ გახდება ლა ლიგის ახალი ჩემპიონი. აქტუალური კითხვა ასეთია - რამდენ ტურში წაართმევს **ტიტო ვილანოვას** „ბარსელონა" **ჟოზე მოურინიოს** „რეალს" მოქმედი ჩემპიონის სტატუსს.

ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურით ადრე „რეალი" „ბარსელონას" 13 ქულით ჩამორჩება. „სამეფო კლუბს" აქვს უპირატესობა, რომელიც ძნელი საფიქრალია, რომ გამოადგეს: თუ ორივე კლუბი ერთნაირი ქულებით დაასრულებს ჩემპიონატს, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის გამო, ჩემპიონი გახდება მადრიდული გრანდი.

უფრო რეალური კი ისაა, რომ „ბარსამ" 4 ტურში გაინაღდოს ტიტული. თუკი ვილანოვას გუნდი მომდევნო 4 მატჩს მოიგებს, ასეც იქნება „კონკურენტის" შედეგის გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში „კამპ ნოუზე" ზეიმს 5 მაისს უნდა ველოდოთ, „ბეტისთან" მატჩის შემდეგ.

შეიძლება ეს უფრო ადრეც მოხდეს, თუ „რეალს" (და „ატლეტიკოს") ფეხი კიდევ დაუცდებათ.

**ბარსელონას დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| სარაგოსა (სტ) | 14 აპრილი |
| ლევანტე (შინ) | 20 აპრილი |
| ბილბაო (სტ) | 28 აპრილი |
| ბეტისი (შინ) | 5 მაისი |
| ატლეტიკო (სტ) | 12 მაისი |
| ვალიადოლიდი (შინ) | 19 მაისი |
| ესპანიოლი (სტ) | 29 მაისი |
| მალაგა (შინ) | 1 ივნისი |

**დასკვნა:**

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონას" მართლაც რთული კალენდარი აქვს (3 რთული გასვლა), მაინც წარმოუდგენელია, რომ ლიდერმა 8 თამაშიდან 4 წააგოს და ერთიც ვერ მოიგოს. „ბარსა" ჩემპიონია 22-ედ, ის 2012 წელს დაკარგულ ტიტულს იბრუნებს.

### საჩემპიონთალიგო ბრძოლა

აქ კი ძალზე საინტერესო ამბებია, თავად „რეალსაც" არ აქვს გარანტირებული ჯერ ოთხეულში მოხვედრა, თუმცა არარეალურია, ჟოზეს შეგირდებმა 16-ქულიანი უპირატესობა (რომელიც მე-5 ადგილზე მყოფ „ვალენსიას" აშორებთ) გაფლანგონ.

ესპანური პრიმერადან ჩემპიონთა ლიგაზე 4 გუნდი გადის: 3 ჯგუფურ ეტაპზე და 1 საკვალიფიკაციო პლეი ოფში. „ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის საგზური უკვე ოფიციალურად აქვს მოპოვებული. საბრძოლველია დარჩენილი სამი ადგილი, რომელთაგან ორი თითქმის გადაწყვეტილია: „რეალს" და „ატლეტიკოს" ერთადერთი ინტრიგა შერჩათ, რომელი დაიკავებს მე-2 ადგილს. ამჟამად „სამეფო კლუბი" 3 ქულით წინაა.

რადგან რეალური ბრძოლა მე-4 ადგილისთვისაა, ჩვენც მხოლოდ მასზე შევჩერდებით. აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: „მალაგა", რომელიც ახლა მე-6 ადგილზეა და ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში სერიოზული კანდიდატი უნდა იყოს, უეფას მიერ მომავალი 4 სეზონი ევროთასებიდან მოკვეთილია. ანდალუსიურმა კლუბმა საჩივარი შეიტანა, რომლის განხილვაც 14 მაისს არის დანიშნული. ასე რომ, ჩვენ „მალაგას" არც ლიგის და არც ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში არ განვიხილავთ.

თეორიულად ამ საგზურისთვის ბრძოლა ლამის ყველას შეუძლია, ვინც გასავარდნ ზონაში არ არის. თქვენი ნებართვით, მხოლოდ რეალურ კანდიდატებზე შევჩერდებით. ესენია: **ფილიპ მონტანიეს** „რეალ სოსიედადი" (მე-4 ადგილი, 51 ქულა), **ერნესტო ვალვერდეს** „ვალენსია" (მე-5, 49) და **პეპე მელის** „ბეტისი" (მე-7, 47). არა გვგონია, ორ მოკრძალებულ მადრიდულ კლუბს, „რაიო ვალეკანოსა" და „ხეტაფეს", ჩვენი სიმპათიის მიუხედავად, რომელიც მათ აშკარად დაიმსახურეს, ამ ბრძოლაში ჩართვის რესურსი ჰქონდეთ. მით უფრო, რომ „რეალ სოსიედადს" ისინი 7-7 ქულით ჩამორჩებიან და ეს 8 ტურში ცოტა არაა.

ლიგის ბოლო საგზურისთვის მებრძოლ სამეულში არაა „მალაგა" (უეფას დისკვალიფიკაცია) და გვიან გამოფხიზლებული „სევილია". აი, „რეალ სოსიედადი" და „ბეტისი" კი ნამდვილი სენსაციები არიან. თუ ვინმეს დაავიწყდა შევახსენებთ, რომ „ბეტისი" მხოლოდ მეორე სეზონია დაბრუნდა ესპანურ ელიტაში , ხოლო „რეალ სოსიედადი" - მესამე.

**სოსიედადის დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| ვალეკანო (სტ) | 14 აპრილი |
| ოსასუნა (სტ) | 21 აპრილი |
| ვალენსია (შინ) | 28 აპრილი |
| ხეტაფე (სტ) | 5 მაისი |
| გრანადა (შინ) | 12 მაისი |
| სევილია (სტ) | 19 მაისი |
| რეალი (შინ) | 29 მაისი |
| დეპორტივო (სტ) | 1 ივნისი |

**ვალენსიას დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი (სტ) | 13 აპრილი |
| მალაგა (შინ) | 21 აპრილი |
| სოსიედადი (სტ) | 28 აპრილი |
| ოსასუნა (შინ) | 5 მაისი |
| ვალეკანო (სტ) | 12 მაისი |
| ხეტაფე (სტ) | 19 მაისი |
| გრანადა (შინ) | 29 მაისი |
| სევილია (სტ) | 1 ივნისი |

**ბეტისის დარჩენილი მატჩები**

| | |
|---|---|
| რეალი (სტ) | 20 აპრილი |
| დეპორტივო (შინ) | 28 აპრილი |
| ბარსელონა (სტ) | 5 მაისი |
| სელტა (შინ) | 12 მაისი |
| მალიორკა (სტ) | 19 მაისი |
| სარაგოსა (შინ) | 29 მაისი |
| ლევანტე (სტ) | 1 ივნისი |

**დასკვნა:**

სხვათა შორის, სამივე გუნდს მძიმე გრაფიკი აქვს. თუმცა ჩვენი აზრით, „ბეტისის" ორი საგარეო შეხვედრა „რეალთან" და „ბარსელონასთან" საკმაო საფუძველს გვიტოვებს, სევილიური კლუბი ლიგის საგზურისთვის ბრძოლას „გამოვრიცხოთ". ბასკურ კლუბს კი ვალენსიურთან 2-ქულიანი უპირატესობის გარდა პლიუსი ურთიერთშეხვედრაა, რომელიც „ანოეტაზე" უნდა გაიმართოს. მოკლედ, ერნესტო ვალვერდეს ბიჭებმა სან სებასტიანში უნდა ივაჟკაცონ, სხვანაირად 10-წლიანი პაუზის შემდეგ „ჩური ურდინს" (თეთრ-ლურჯები ბასკურად) პირველად ვიხილავთ ჩემპიონთა ლიგაზე.

### ევროპალიგისათვის

სამეფო თასის ფინალში ორი მადრიდული კლუბია გასული: „რეალი" და „ატლეტიკო". ძალიან დიდია ალბათობა, რომ ორივე ლიგის საგზურს მოიპოვებს. ასე რომ, ჩემპიონატის მერვეადგილოსანს (!) შესანიშნავი შანსი ეძლევა გაისად ევროთასები დაავემოვნოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ „მალაგას" უეფა არ შეიწყალებს (და ალბათ არც შეიწყალებს) ან ანდალუსიური კლუბი თავისით დაეშვება მე-7 ადგილზე ქვემოთ (ესეც ნაკლებად გვგონია). მოკლედ, „დღევანდელი მდგომარეობით, 44-ქულიანი „ხეტაფე" ევროზონაშია!

ანუ სამი საგზურიდან ერთ-ერთს თუ „ბეტისს" ვუწინასწარმეტყველებთ, მეორეს კი „ვალენსიასა" და „რეალ სოსიედადის" დუელში წაგებულს, რჩება მესამე ვაკანტური პოზიცია, რომლისთვისაც ბრძოლა „ხეტაფეს", „რაიო ვალეკანოს", „სევილიას", „ლევანტეს" და „ესპანიოლს" შეუძლიათ. დიახ, **ხავიერ აგირეს** მისვლამდე, გასავარდნად განწირული ბარსელონური კლუბი შეიძლება ევროპალიგაზე მოხვდეს, „ესპანიოლი" მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება „ხეტაფეს".

**დასკვნა:**

ჩვენი აზრით, სამეული შეიძლება ასეთი იყოს: „ვალენსია", „ბეტისი" და „სევილია".

### ბრძოლა მზის ქვეშ ადგილისთვის

ლა ლიგაში ყოველთვის ცხოველი ბრძოლაა გამართული ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის, რადგან უკეთესი ეკონომიკური სიტუაციის ქვეყნებისგან განსხვავებით, ესპანეთში უმაღლესი ეშელონიდან გავარდნა ნამდვილი ტრაგედიაა. შეიძლება კლუბმა ისეთი დარტყმა მიიღოს, რომ ვერასოდეს ველარ დადგეს ფეხზე.

ლა ლიგიდან სამი ვარდება, თუმცა კანდიდატი 6 გვგონია (ალბათ, „ბილბაო", რომელსაც ჯერ თავი ქუდში არა აქვს, გასავარდნ კანდიდატთა შორის მისათვლელი მაინც არ არის).

დღევანდელი მდგომარეობით, ლა ლიგას ტოვებს ორი გალისიური კლუბი, რომლებიც შარშან დაბრუნდნენ. ასე რომ, ლა ლიგის მოყვარულები გალისიურ დერბის ვკარგავთ და ვარდება „მალიორკა".

გასავარდნ ზონას ერთადერთი ქულით უსწრებს **მანოლო ხიმენესის** „სარაგოსა", ორი ქულით „გრანადა", შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს „ოსასუნას" (+5 ქულა). ექვსივე გუნდის კალენდარს ვერ შემოგთავაზებთ, დიდ ფართობს წაილებს.

აქედან, „გრანადა", „სარაგოსა" და „სელტა" ძალიან ცუდ ფორმაში არიან, არც სხვები ბრწყინავენ, თუ არ ჩავთვლით, „დეპორტივოს", რომელმაც ზედიზედ ბოლო სამი მატჩი მოიგო.

**დასკვნა:**

მიუხედავად იმისა, რომ „დეპორტივოს" საკმაოდ მძიმე კალენდარი აქვს, მაინც გვგონია, რომ გალისიური კლუბი თავს დაიძვრენს. აი, „სელტას" შემთხვევაში კი ცუდი პროგნოზი გვაქვს. „გრანადას", „სარაგოსას" და „მალიორკას" ტრიოდან კი ერთს მოუწევს ბედნიერი ბილეთისთვის ბრძოლა, ორი კი „სელტას" ბედს გაიზიარებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXXII ტურის წინ

## 13 აპრილი

**პესკარა-სიენა** 20.00

**დისკვალიფიკაცია:** რიცო, ბარნასონი - ვიტიელო.
**ტრავმა:** ვეისი, ბალცანო, კოსიჩი, ბოკეტი, ძაური - მატეუ.

ბოლო 6 მატჩი

+0=0-6 | +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +2=3-0, (4-2)

**ატალანტა-ფიორენტინა** 22.45

**დისკვალიფიკაცია:** რაიმონდი, კარმონაკ, ჩიგარინი - ტომოვიჩი.
**ტრავმა:** ბელინი, ბუდანი, მარილუნგო, კაცოლა - პასკუალი, ტონი, მატი ფერნანდესი, სავიჩი, იოვეტიჩი, აგაცი, ვოლსკი, როსი, კამპორეზე.

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 25 თამაში: +5=11-9, (27-39)

## 14 აპრილი

**პალერმო-ბოლონია** 14.30

**ტრავმა:** დოსენა, ერნანდესი, მანტოვანი - პერესი, დიამანტი.

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 11 თამაში: +6=2-3, (21-14)

**კალიარი-ინტერი** 17.00

**დისკვალიფიკაცია:** ნაინგოლანი - სკელოტო.
**ტრავმა:** ავრამოვი, პიზანო - ობი, მუდინგაი, მილიტო, კასტელაცი, კივუ, ნაგატომო, სტანკოვიჩი, პალასიო, კასანო.

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +3=12-16, (34-59)

**კიევო-კატანია** 17.00

**დისკვალიფიკაცია:** იოკიჩი (კიევო).
**ტრავმა:** სპიროპულოსი - შაკა, ალმირონი, რიკიუტი, ტერაჩანო.

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +5=3-4, (15-15)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61-20 | 71 |
| 2. ნაპოლი | 31 | 18 | 8 | 5 | 57-29 | 62 |
| 3. მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 54-33 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 56-39 | 52 |
| 5. ლაციო | 31 | 15 | 6 | 10 | 39-36 | 51 |
| 6. ინტერი | 31 | 15 | 5 | 11 | 49-42 | 50 |
| 7. რომა | 31 | 14 | 6 | 11 | 60-52 | 48 |
| 8. კატანია | 31 | 13 | 7 | 11 | 40-38 | 46 |
| 9. უდინეზე | 31 | 11 | 12 | 8 | 41-39 | 45 |
| 10. პარმა | 31 | 10 | 9 | 12 | 39-39 | 39 |
| 11. კალიარი | 31 | 10 | 9 | 12 | 37-49 | 39 |
| 12. ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41-40 | 37 |
| 13. ატალანტა | 31 | 11 | 6 | 14 | 34-45 | 37 |
| 14. სამპდორია | 31 | 10 | 7 | 14 | 36-38 | 36 |
| 15. ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39-43 | 36 |
| 16. კიევო | 31 | 10 | 5 | 16 | 32-48 | 35 |
| 17. სიენა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-42 | 27 |
| 18. პალერმო | 31 | 5 | 12 | 14 | 28-44 | 27 |
| 19. ჯენოა | 31 | 6 | 9 | 16 | 31-48 | 27 |
| 20. პესკარა | 31 | 6 | 3 | 22 | 22-63 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა - 2, სამპდორია - 1, ტორინო - 1.*

ბომბარდირები: 22 - კავანი (ნაპოლი); 17 - დი ნატალე (უდინეზე); 16 - ელ შაარავი (მილანი); 15 - დენისი (ატალანტა); 13 - პაცინი (მილანი), ლამელა (რომა)

# დიდი ბრძოლა სან სიროზე
## გენუაში კი მთავარი მშვიდობაა



„სტადიო მარასიზე" დიდი ამბავი იქნება

**XXXII ტურში ორი გამორჩეული შეხვედრა გაიმართება: „სან სიროზე" „მილანი" „ნაპოლის" უმასპინძლებს, რომში კი „ლაციო" „იუვენტუსს" დაუხვდება. რომაული მატჩი ორშაბათს შედგება და იქამდე კიდევ შევხვდებით - ამიტომ, ტურის წინასიტყვაობაში მთავარი აქცენტი მილანურ პაექრობაზე გაკეთდება...**

### მეორე ადგილისთვის

„მილანი" და „ნაპოლი" მეორე ადგილისთვის, ანუ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურისთვის იბრძვიან, ყველანაირი საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე და ადვილი მისახვედრია, რომ სასწორზე ბევრი რამ დევს. ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა ისედაც მომქანცველი სეზონის კიდევ უფრო დაგრძელებას და შესაბამისად, შვებულების მოკლებას ნიშნავს, რაც ფეხბურთელებს განსაკუთრებულად არ უყვართ. ამასთან, საკვალიფიკაციო ეტაპზე დაზღვეული არავინაა და ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენის ალბათობაც არსებობს.

მოკლედ, „სან სიროზე" ექვსი ქულისთვის იბრძოლებენ და დანდობა რომ არ იქნება, აქედანვე ცხადია. გამარჯვების შემთხვევაში, „ნაპოლი" შვიდი ქულით ჩამოიტოვებს უახლოეს მდევარს და პრაქტიკულად დაიბევებს მეორე ადგილს, „მილანის" წარმატება კი ამ ორთაბრძოლის უკიდურესად გამწვავების ტოლფასი იქნება.

**მარიო ბალოტელის** სახით, „მილანს" სერიოზული დანაკლისი აქვს... სუპერ-მარიომ ფლორენციელ გულშემატკივრებს შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. მართალია, მილანელები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ, მაგრამ მარიო რომ „ნაპოლის" წინაალმდეგ ვერ გაირჯება, ცხადზე უცხადესია. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელებული **ჯამპაოლო პაცინი** იქნება ძირითად შემადგენლობაში, რომელსაც ფლანგებიდან **კევინ პრინს ბოატენგი** და **სტეფან ელ შაარავი** დაეხმარებიან.

„ნაპოლი" ტრადიციული ტრიოთი შეუტევს **მარეკ ჰამშიკის, გორან პანდევის** და **ედინსონ კავანის** შემადგენლობით, თუმცა ბოლო შეხვედრებში ყველა შემტევზე უკეთ **ბლერიმ ჯემაილი** გამოიყურება... შვეიცარიელი გოლს გოლზე იტანს და მთლიანობაში, ბრწყინვალედ ირჯება. მატჩის წინ **ვალტერ მაცარიმ** საჯაროდ განაცხადა, რომ ნეაპოლიდან აბარგებაზე აღარ ფიქრობს, რამაც შესაძლოა „ნაპოლის" საბრძოლო განწყობაზე დადებითად იმოქმედოს. ორივე გუნდი იმუქრება და ვნახოთ, ვისი აჯობებს...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-3):** აბიატი - აბატე, მექსე, საპატა, დე შილიო - ფლამინი, მონტოლივო, მუნტარი - ბოატენგი, ელ შაარავი, პაცინი.
**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანკტისი - კამპანიარო, კანავარო, ბრიტოსი - მაჯო, ბერამი, ჯემაილი, ცუნიგა - ჰამშიკი - პანდევი, კავანი.

### მთავარია მშვიდობა

იტალიაში დერბი მეტად სახიფათო რამეა და გასულ უქმეებზე, უფრო სწორად კი ორშაბათს, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. რომაული გუნდების ჯახს წინ ტიფოზთა გარჩევა, შეხლა-შემოხლა და სისხლისღვრა მოჰყვა. გადაწყდა, რომ ამიერიდან, რომაული დერბი მხოლოდ დღისით ჩატარდება, როდესაც არეულობის საფრთხე გაცილებით ნაკლებია.

ამ უქმეებზე, ერთმანეთის პირისპირ „ჯენოა" და „სამპდორია" წარსდგებიან, ბრძოლა კი ისეთი იქნება, თქვენი მოწონებული. „სამპა" მე-14 ადგილზეა და წესით, ელიტაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს, აი „ჯენოას" კი გაცილებით რთულად აქვს საქმე. „როსობლუ" სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა და ბუნებრივია, ქულებიც უფრო მეტად სჭირდება. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველაზე აქტუალური თემა მშვიდობაა - მშვიდობა იყოს და დაე, ძლიერმა გაიმარჯვოს...

### შერცხვენილნი

მიუხედავად იმისა, რომ იტალიური გუნდებიდან ევროთასებს ყველაზე ბოლოს „იუვენტუსი" და „ლაციო" გამოეთიშნენ, დღეს სწორედ ეს გუნდები არიან შერცხვენილნი. ტურინულმა გრანდმა მიუნხენის „ბაიერნს" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, „ლაციომ" კი „ფენერბაჰჩესთან" მაქსიმუმ გაიბრძოლა. მოკლედ, ორივე გუნდი თავდახრილი გამოეთიშა ევროსარბიელს და ფეხბურთელებიც ხასიათის გამოკეთებას ეროვნულ პირველობაზე შეეცდებიან.

დიახ, „ლაციო" „იუვენტუსს" მიიღებს - აქეთ **მიროსლავ კლოზე** და მის უკან განლაგებული ტრადიციული ხუთეული, იქით კი **მირკო ვუჩინიჩისა** და **ფაბიო კვალიარელლას** ტანდემი, რომლებსაც ზურგს ასევე ნაცადი ხუთეული გაუმაგრებს. მოკლედ, ბევრი რამ შუა ხაზში გაირკვევა და ჩვენც ისლა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ ამ მეტად საინტერესო პაექრობას.

## 14 აპრილი

**ჯენოა-სამპდორია** 17.00

**ტრავმა:** როსი, ბოვო, კუჩკა, ფერონეტი - მაქსი ლოპესი.

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +9=5-7, (23-20)

**პარმა-უდინეზე** 17.00

**დისკვალიფიკაცია:** პაროლო - დი ნატალე, ბენეტია.
**ტრავმა:** მარიგა, კოდა, პალადინო, მაჩეაკენი - პინცი.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 35 თამაში: +15=9-11, (51-45)

**ტორინო-რომა** 17.00

**დისკვალიფიკაცია:** ბაშა - გუბერტი.
**ტრავმა:** ბრიგი, ბირსა - დე როსი.

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +13=6-2, (34-16)

**მილანი-ნაპოლი** 22.45

**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი (მილანი).
**ტრავმა:** დე იონგი (მილანი).

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +9=10-4, (28-20)

## 15 აპრილი

**ლაციო-იუვენტუსი** 22.45

**დისკვალიფიკაცია:** ბიავა, ლულიჩი, რადუ (ლაციო).
**ტრავმა:** კონკო, პერეირინია, ფლოკარი, დიასი, ბროკი - ანელკა, ჯოვინკო, ბენდტნერი, პეპე.

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +13=11-18, (53-60)

● ამბები

# განგაში კალჩოში



აურელიო დე ლაურენტისს მხარი სხვებმაც აუბეს

იტალიურმა გუნდებმა ევროსარბიელზე ასპარეზობა აპრილის შუა რიცხვებში დაასრულეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროტურნირების ნახევარფინალებში სერია A-ს არც ერთი ბინადარი არ იქნება. ეს ამბავი აპენინებზე მტკივნეულად მიიღეს, კომენტარებიც უხვად გაკეთდა და მოწოდებებიც გაისმა... მაგალითად, „ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** კიდევ ერთხელ აიმაღლა ხმა და ტურინული მატჩის დასრულებისთანავე „ტვიტერზე" შემდეგი შეტყობინება დატოვა: *„იტალიურ ფეხბურთს რევოლუცია სჭირდება"...*

აურელიო დე ლაურენტისი რომ რევოლუციური ცვლილებების მომხრეა, ადრეც გვეწერა, მაგრამ „პალერმოს" პრეზიდენტის, **მაურიციო ძამპარინის** პოზიცია სიახლე გახლდათ: *„მიუნხენელებმა ჩვენი ჩემპიონი უპრობლემოდ დაამარცხეს, რითაც კიდევ ერთხელ აგვიხილეს თვალი. თუ ასე გავაგრძელებთ, მალე ჩემპიონთა ლიგაში მესამე ადგილსაც დავკარგავთ. ცვლილებებია საჭირო და თანაც მყისიერი, ქმედითი. ჩემი აზრით, „ლეგა კალჩოს" საგანგებო სხდომა უნდა გაიმართოს და თანაც, რაც შეიძლება მალე".*

# ილიჩიჩი პალერმოს სიყვარულში გამოუტყდა

„პალერმოს" 25 წლის შემტევი **იოსიპ ილიჩიჩი** ზამთარში კიევის „დინამოში" გადასვლასთან იყო ახლოს, მაგრამ ბოლო მომენტში, სიცილიაზე დარჩენა ამჯობინა. თითქმის გაჩარხული ტრანსფერის ჩაშლას რაღაც მიზეზი ყოველთვის აქვს და აპენინელი ჟურნალისტები ფეხბურთელს სწორედ ამ მიზეზზე დაეკითხნენ:

*„კიეველებთან შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეული იყო, როდესაც მივხვდი, რომ „პალერმო" არ უნდა დამეტოვებინა. გუნდი რთულ ვითარებაშია და მისი ასეთ დროს მიტოვება არ იქნებოდა სწორი ნაბიჯი. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ „პალერმოს" უნდა დავხმარებოდი. დღეს, მხოლოდ სეზონის დასკვნით ნაწილზე ვარ კონცენტრირებული, დანარჩენი კი ზაფხულში გამოჩნდება".*

გვერდი მოამზადა **ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის 1/2 ფინალის წილისყრა.

# კლასიკო უემბლიზე?

**უეფამ, ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის და ევროპა ლიგის 1/2-ფინალური ეტაპის კენჭისყრა ცალკე ჩაატარა. ჯანი ინფანტინომ ტრადიცული შესავალი გააკეთა და დარბაზში რუუდ ვან ნისტელროი მოიწვია, რომელთანაც მცირე ინტერვიუს შემდეგ, ყველაზე საინტერესო დაიწყო...**




## არწივების ბრძოლა და ფავორიტი ჩელსი

პირველად ევროპა ლიგის 1/2-ფინალის კენჭისყრა გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ოთხი სხვადასხვა ქვეყნის გუნდი გავიდა და ისინი ასე დაწყვილდნენ:

### ფენერბაჰჩე (თურქეთი)-ბენფიკა (პორტუგალია)

### ბაზელი (შვეიცარია)-ჩელსი (ინგლისი)

პირველი მატჩები 25 აპრილს გაიმართება, საპასუხო შეხვედრები - 2 მაისს. აქვე გეტყვით, რომ ფინალს ამსტერდამი უმასპინძლებს - „ამსტერდამ არენაზე“ შეხვედრა 15 მაისს გაიმართება.

„ბენფიკამ“ ბოლო სამ წელიწადში ამ ეტაპზე მეორედ გაალწია. ის და „ფენერბაჰჩე“ აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1975/76 წლების ჩემპიონთა თასზე შეხვდნენ. მაშინ, ლისაბონურმა გუნდმა, ორი მატჩის ჯამში 7:1 მოიგო: შინ 7:0 იმარჯვა, სტამბულში კი 0:1 წააგო.

ინგლისური კლუბების რისხვად ქცეული „ბაზელი“, რომელმაც წინა ეტაპზე „ტოტენჰემი“ დაამარცხა, რამდენიმე წლის წინათ კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩატოვა, ამჯერად ლონდონის „ჩელსის“ შეხვდება, რომელთანაც აქამდე არასდროს უთამაშია. „ბაზელი“ ევროტურნირის 1/2-ფინალში ისტორიაში პირველად გავიდა, „ჩელსის“ კი უნიკალური შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ, მომდევნო წელს ევროპა ლიგაც მოიგოს. როგორც „ჩელსის“ წარმომადგენელმა **დევიდ ბერნარდმა** იხუმრა, თუ „ჩელსი“ ფინალში გავიდა და მოიგო, რამდენიმე დღის განმავლობაში, ლონდონური კლუბი ორივე ევროთასის მფლობელი იქნება.

## რეაქციები:

**მურატ იაკინი** („ბაზელის“ მთავარი მწვრთნელი): *„ჩემთვის, „ფენერბაჰჩესთან“ შეხვედრა ნამდვილად განსაკუთრებული შემთხვევა იქნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ფორტუნამ „ჩელსი“ გვარგუნა. ლონდონური კლუბი, შემორჩენილ ოთხეულში აშკარად ყველაზე ძლიერია, მაგრამ ჩვენ დალონების მიზეზი არ გვაქვს. „სტემფორდ ბრიჯზე“ არასდროს ვყოფილვარ და მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც კვლავ ჩავალთ ლონდონში“.*

**რაფაელ ბენიტესი** („ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი): *„ნახევარფინალში იოლი მეტოქე არ არსებობს. „ბაზელი“ კარგი გუნდია, რომლის საშინაო არენაზეც ყოველთვის საბრძოლო განწყობაა. მათ „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ კარგად ითამაშეს და იოლი გასეირნება არც ჩვენ გველის“.*

**რუი კოშტა** („ბენფიკას“ გენერალური დირექტორი): *„ბოლო სამ წელიწადში, ნახევარფინალში უკვე მეორედ გავედით და ამის გამო ძალიან გახარებულები ვართ, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ და რა თქმა უნდა, ფინალში გასვლაც გვსურს. „ბენფიკა“ ევროთასების ფინალში საკმაოდ დიდი ხანია არ ყოფილა და ეს „გაუგებრობა“ უნდა გამოვასწოროთ“.*

აქვე გეტყვით, რომ „ფენერი“, „ბაზელის“ მსგავსად, ევროტურნირის 1/2-ფინალში პირველად გავიდა, ჩემპიონთა თასის ორგზის გამარჯვებული „ბენფიკა“ კი ამ ეტაპზე მეცამეტედ მოხვდა და წინა 12 დაპირისპირებიდან 8-ში გამარჯვებული გამოვიდა.

## ესპანური ან გერმანული ფინალის მოლოდინში

ევროპალიგის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგის ჯერიც დადგა. იყო შანსი, ესპანური და გერმანული წყვილები გვეხილა, მაგრამ იღბალმა სხვანაირად ინება - ახლა, იმის შანსი არსებობს, რომ ფინალი მთლიანად გერმანული ან ესპანური აღმოჩნდეს. რაც არ უნდა მოხდეს, ფაქტია, რომ წინ ხუთი დიდი და დაუვიწყარი მატჩი გველის.

**გუნდები კი ასე დაწყვილდნენ:**

### ბაიერნი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი)

*მატჩები გაიმართება: 23 აპრილს და 1 მაისს.*

### ბორუსია (გერმანია)-რეალი (ესპანეთი)

*მატჩები გაიმართება: 24 აპრილს და 30 აპრილს.*

„ბაიერნი“ და „ბარსელონა“ აქამდე ერთმანეთს სულ 6-ჯერ შეხვდნენ და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას მიუნხელები ფლობენ: 3 მატჩი „ბაიერნმა“ მოიგო, 2 ფრედ დასრულდა, „ბარსელონამ“ კი მხოლოდ ერთხელ იმარჯვა, თუმცა ის ერთადერთი მატჩი ამ გუნდების უკანასკნელი შეხვედრა გამოდგა და თანაც, „ბარსამ“ „რეკორდმაისტერს“ 4:0 მოუგო.

15-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა 1/2-ფინალში „დორტმუნდი“ და ამ ეტაპზე ისევ „რეალს“ უნდა შეხვდეს - 1998 წელს, „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს შინ 2:0 მოუგო, სტუმრად კი უგოლოდ გაეყარა. გერმანულმა გუნდმა „სამეფო“ კლუბს სულ ერთხელ მოუგო (ისიც ამ სეზონში), 3 მატჩი ფრედ დაასრულდა, ორჯერ კი დამარცხდა.

ნახევარფინალებში მონაწილეობის და მოგება/წაგების შეფარდებას რაც შეეხება:

* „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის (თასის) 1/2 ფინალში მეთხუთმეტედ გავიდა. წინა 14 დუელიდან 9-ჯერ „ბაიერნმა“ იმარჯვა, 5-ჯერ კი მეტოქემ.

* „ბარსა“ ამ ეტაპზე მეცამეტედ არის და უარყოფითი ბალანსი აქვს: 6 მოგება, 7 წაგების წინააღმდეგ.

* მეოთხედ არის ნახევარფინალში „ბორუსია“, რომელმაც ამ ეტაპის გადალახვა მხოლოდ ერთხელ შეძლო, ორჯერ კი დამარცხდა.

* აბსოლუტური რეკორდსმენი კი „რეალია“ - ჩემპიონთა ლიგის (თასის) ნახევარფინალში 24-ედ ითამაშებს. 12 შემთხვევაში ფინალში „რეალი“ გავიდა, 11-ჯერ კი მისი მეტოქე.

## რეაქციები:

**კარლ-ჰაინც რუმენიგე** („ბაიერნის“ თავმჯდომარე): *„ბოლო წლებში, ყველაზე მეტი თასი სწორედ „ბარსელონამ“ მოიგო. „ბარსა“ მსოფლიოს საუკეთესო კლუბია, რომელსაც საოცარი შემტევი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენ მათ 2009 წელს ვეთამაშეთ და მაშინ სრული ფიასკო განვიცადეთ. იმ დაპირისპირების გახსენება ნამდვილად არ მინდა, რადგან ჩვენთვის ძალიან მტკივნეული საღამო იყო“.*

**იუპ ჰაინკესი** („ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი): *„ბარსელონა“ მხოლოდ მესი არ არის. მათ ძალიან ბევრი მსოფლიო დონის ფეხბურთელი ჰყავთ: ჩავი, ინიესტა, ბუსკეტსი, ფაბრეგასი, ვილია... ეს სია საკმაოდ გრძელია“.*

**ანდონი სუბისარეტა** („ბარსელონას“ ტექნიკური დირექტორი): *„ჩვენთვის ეს დიდი გამოწვევაა. მეტოქე საკმაოდ ძლიერია და წინ ორი ურთულესი მატჩი გველის. მათ დიდებული ფეხბურთელები და შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავთ. „ალიანს არენა“ საოცარი სტადიონია, რომელზეც ყოველთვის შესაშური ატმოსფეროა“.*

**ემილიო ბუტრაგენიო** („რეალის“ სპორტული დირექტორი): *„ჩვენ „დორტმუნდს“ დიდ პატივს ვცემთ. ამ სეზონში მათ ორჯერ ვეთამაშეთ, მაგრამ გამარჯვების მოპოვება ვერ შევძელით. იმედი მაქვს, რომ ამჯერად განსხვავებული სიტუაცია იქნება და ფინალში სწორედ ჩვენ გავალთ“.*

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXII ტურის წინ

# მარსელს მძიმე გამოცდა ელის

| | |
|---|---|
| ვალანსიენი-სტ. ეტიენი | 0:0 |
| **13 აპრილი** | |
| ტრუა-პსჟ | 19:00 |
| აიაჩო-ნანსი | 22:00 |
| ევიანი-რენი | 22:00 |
| ლორიანი-ბასტია | 22:00 |
| ბორდო-მონპელიე | 22:00 |
| ბრესტი-რეიმსი | 22:00 |
| **14 აპრილი** | |
| ნიცა-სოშო | 16:00 |
| ლიონი-ტულუზი | 19:00 |
| ლილი-მარსელი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 31 | 19 | 7 | 5 | 56-20 | 64 |
| 2. მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36-32 | 57 |
| 3. სტ. ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51-25 | 54 |
| 4. ლიონი | 31 | 15 | 8 | 8 | 49-33 | 53 |
| 5. ლილი | 31 | 14 | 10 | 7 | 48-31 | 52 |
| 6. ნიცა | 31 | 14 | 9 | 8 | 45-37 | 51 |
| 7. მონპელიე | 31 | 14 | 6 | 11 | 47-37 | 48 |
| 8. ლორიანი | 31 | 11 | 11 | 9 | 48-50 | 44 |
| 9. ბორდო | 31 | 10 | 13 | 8 | 29-26 | 43 |
| 10. რენი | 31 | 12 | 6 | 13 | 41-43 | 42 |
| 11. ტულუზი | 31 | 10 | 11 | 10 | 39-38 | 41 |
| 12. ბასტია | 31 | 11 | 6 | 14 | 42-56 | 39 |
| 13. ვალანსიენი | 32 | 9 | 10 | 13 | 41-48 | 37 |
| 14. აიაჩო | 31 | 8 | 12 | 11 | 32-40 | 34 |
| 15. რეიმსი | 31 | 8 | 10 | 13 | 29-37 | 34 |
| 16. სოშო | 31 | 8 | 8 | 15 | 32-47 | 32 |
| 17. ევიანი | 31 | 7 | 10 | 14 | 34-44 | 31 |
| 18. ნანსი | 31 | 7 | 9 | 15 | 29-47 | 30 |
| 19. ბრესტი | 31 | 8 | 5 | 18 | 29-48 | 29 |
| 20. ტრუა | 31 | 4 | 13 | 14 | 36-54 | 25 |

**შენიშვნა: „აიაჩოს“ - 2 ქულა**

**ბომბარდირები:** 26 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 13 - ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 12 - ალიადიერი (ლორიანი)



პირველ წრეში „მარსელმა“ ჟორდან აიუს (8) ერთადერთი გოლით მოიგო

32-ე ტურის ცენტრალური მატჩი ლილში გაიმართება, სადაც შესანიშნავ ფორმაში მყოფი **რუდი გარსიას** კრებული, მეორე ადგილზე გადასულ „მარსელს“ უმასპინძლებს. „ძაღლები“ მართლაც ბრწყინვალედ თამაშობენ - ბოლო 8 მატჩიდან 7 მოიგეს და უკვე მე-5 ადგილზე არიან. ამაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „ლილი“ უკვე რეალურად იბრძვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. აუგი არ ითქმის „მარსელზეც“, ვისაც უკვე ხუთი მატჩია არ წაუგია.

მასპინძლებს განსაკუთრებული დანაკლისი არ აქვთ. აი, სტუმართა რიგებში საეჭვოა **მატიო ვალბუენას** და **მოდუ სუგუს** თამაში. ასევე ტრავმა აწუხებდა **ჯოი ბარტონს**, თუმცა ინგლისელმა ვარჯიში უკვე განაახლა. ასევე მწყობრში არიან **ანდრე აიუ** და **ნიკოლას ნკულუ**, რომლებმაც წესით თამაში უნდა შეძლონ. როგორც წესი, ამ გუნდების მატჩები უხვგოლიანი გამოდის და თუ მხარეების სათამაშო ფორმას გავითვალისწინებთ, მოსაწყენად ვერც ამჯერად უნდა მოვიცალოთ.

ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილი და დამწუხრებული „პარი სენ ჟერმენი“ „ტრუას“ ხვდება და ხასიათის გამოკეთებას აუტსაიდერთან ეცდება. „ტრუა“ ბოლო ადგილზეა და მე-17 ადგილზე მყოფ „ევიანს“ უკვე 6 ქულით ჩამორჩება. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს დისკვალიფიცირებული **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** არ ეყოლებათ, ამ შეხვედრის ფავორიტი აშკარად **კარლო ანჩელოტის** გუნდია. პირველ წრეში პსჟ-მ 4:0 მოიგო და საერთოდ, პარიზელებს მომავალ მეტოქესთან ბოლო 8 თამაშია არ წაუგიათ (6 მოგება და 2 ფრე). თუ პსჟ-მ საკუთარ მატჩი მოიგო, ხოლო „მარსელი“ ლილში დამარცხდა, პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ინტრიგა საბოლოოდ მოკვდება.

საშინელ ფორმაში მყოფი „ლიონი“, რომელსაც უკვე ხუთი მატჩია არ მოუგია და ბოლო სამ შეხვედრაში საერთოდ დამარცხდა, ამ ტურში „ტულუზს“ მასპინძლობს, ვისთანაც ბოლო ორი მატჩი 0:3 აქვს წაგებული, თუმცა ორივე ეს მატჩი ტულუზში გაიმართა. აი, „სტად ჟერლანზე“ „ლიონს“ „ტულუზთან“ 47 წელია არ წაუგია! 1966 წლიდან მოყოლებული, ამ გუნდებმა ლიონში 19 მატჩი გამართეს, აქედან 14 „ლიონმა“ მოიგო, 5 მატჩი კი ფრედ დასრულდა.

სტუმრებს არ ეყოლებათ ძირითადი კიპერი **ალი აჰამადა**, რომელმაც წინა ტურში („ნიცასთან“) წითელი ბარათი მიიღო. ასევე საეჭვოა ერთ-ერთი ლიდერის, **ედენ ბენ ბასატის** თამაში, რომელიც ტრავმირებულია. „ლიონის“, დისკვალიფიკაციის გამო, **სტიდ მალბრანკი** და **მილან ბიშევაცი** დააკლდება.

ორი ე.წ. 6-ქულიანი მატჩი გაიმართება ცხრილის ქვედა ნაწილში: „აიაჩო“ „ნანსის“ უმასპინძლებს, ხოლო „ბრესტი“ „რეიმსს“ შეხვდება. „ნანსიმ“ ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო და თუ ასე გააგრძელა, **პატრიკ გაბრიელის** გუნდი მალე ადგილს ცხრილის შუაში დაიკავებს.

● ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

**II ჯგუფი. V ტური**

**პალმეირასი-ლიბერტადი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჩარლზი (52).
**გაძევება:** ვესლი (62. პალმეირასი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პალმეირასი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-4 | 9 |
| 2. ლიბერტადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 3. ტიგრე | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 4. სპ. კრისტალი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |

**VII ჯგუფი. VI ტური**

**დეპ. ლარა-უნივ. დე ჩილე 2:3**

**გოლები:** 0:1 ლ. სიველი (45), 1:1 ტორეალბა (45), 1:2 ი. დიასი (47), 1:3 კორტესი (79), 2:3 ვალოიესი (85).
**გაძევება:** ვალოიესი (90. დეპორტივო ლარა).

**ოლიმპია-ნიუელსი 4:1**

**გოლები:** 1:0 სალგეირო (32-პენ), 1:1 კასკო (47), 2:1 ხ. ფერეირა (55), 3:1 სალგეირო (75), 4:1 ხ. ფერეირა (78).
**გაძევება:** ნ. გუსმანი (28. ნიუელსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპია | 6 | 4 | 1 | 1 | 16-7 | 13 |
| 2. ნიუელსი | 6 | 3 | 0 | 3 | 11-10 | 9 |
| 3. უნივ. დე ჩილე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 4. დეპ. ლარა | 6 | 1 | 1 | 4 | 8-16 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 - ბ. როდრიგესი (უაჩიპატო); 4 - ბარეირო (ოლიმპია), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე), გერერო (კორინთიანსი).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძე**

ძალოსნობა

# ჩემპიონის ბრინჯაო


რაულ ცირეკიძე

შარშან ანტალიაში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა **რაულ ცირეკიძემ** 165 კილოგრამი აიტაცა, 201 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 366 კილოგრამით კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა და სპორტის ამ სახეობაში 10-წლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ოქროს მედალი მოუტანა. და აი, გუშინ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ცირეკიძე კვლავ გავიდა ევროპულ ფიცარნაგზე. ატაცში მხოლოდ პირველი ცდა გამოიყენა - 165-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, 3 კილოგრამით მეტ წონას კი ვერ მოერია (ორივე ცდა გაუცუდდა). აქ ჩვენებურს ხუთმა მეტოქემ გაუსწრო. მცირე მედლები აპტი აუხადოვმა (რუსეთი, 173 კგ), ივან მარკოვმა (ბულგარეთი, 170) და გაბრიელ სინკრაიანმა (რუმინეთი, 166) მოიპოვეს. აკვრაში ცირეკიძემ ორი ცდა გამოიყენა: ჯერ 200, შემდგ კი 205 კილოს მოერია და მცირე ბრინჯაოსთან ერთად ორჭიდში 370 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. 388 კილოგრამით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **აპტი აუხადოვი** (173+215), რომელმაც ბრიტანეთის დედაქალაქში ორჭიდში 385 კილოგრამი მოაგროვა და ოქრო მხოლოდ პირადი წონით (130 გრამით) დათმო. ტირანაში გამარჯვებულს 13 კილოგრამით ჩამორჩა **ივან მარკოვი** (170+205) და ორჭიდთან ერთად აკვრაშიც ვერცხლის მედალი ერგო, რადგან პირადი წონით ცირეკიძეზე მსუბუქი აღმოჩნდა.

დღეს ტირანის ფიცარნაგზე ქუთაისელი **ვაჟა ლონლაძე** (94), თბილისელი **ალბერტ კუზილოვი** და 23-წლამდელებში ზუგდიდელი ევროპის პირველობის მე-2 პრიზიორი **დავით გოგია** (ორივე-105 კგ) მოსინჯავენ ძალებს. ხვალ კი ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ირაკლი თურმანიძე** (+105) იასპარეზებს.

ვაჟა **დანელია**

ძიუდო. ნაკრები

# გადამწყვეტ ფაზაში

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ეროვნული გუნდი გუშინ ყვარლის ტბაზე გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით შეკრებას გაივლის. ფედერაციის თავდაპირველი გეგმით, ნაკრებს ამ ეტაპზე ბორჯომში უნდა ევარჯიშა, მაგრამ ბოლო მომენტში ყვარლის ვარიანტი გამოჩნდა - მოგეხსენებათ, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქევხიშვილი** ყვარლის გამგებელია და გუნდს ეს წინადადებაც მან შესთავაზა, არჩია, ნაკრები თვალწინ ჰყოლოდა.

მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული გუნდი ახალახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც ერთობლივ ვარჯიშებზე იმყოფებოდა ევროპული ფედერაციის მიერ მოწყობილ საწვრთნელ კემპზე. უფრო ადრე ნაკრების სათადარიგო შემადგენლობამ თურქულ სამსუნში იასპარეზა „დიდ პრიზზე", მაგრამ მხოლოდ ერთ ბრინჯაოს დასჯერდა. ცხადია, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** ტურნირის შედეგებით (მხოლოდ ერთი ბრინჯაო) კმაყოფილი არაა, მეტიც შეგვეძლოო, სამაგიეროდ, ერთობლივ შეკრებას არ უჩივის. *„გუნდი ბევრი არ იყო, მაგრამ მაინც საკმარისი სპარინგები გამოგვივიდა და მთელი 6 დღე სრული დატვირთვით ვივარჯიშეთ"* - განგვიცხადა მწვრთნელმა.

ყვარელში უზნაძის განკარგულებაში 36 სპორტსმენია. მათ შორის ის ცხრა ფალავანიცაა, რომლებიც გერმანიაში ჰყავდა ერთობლივ შეკრებაზე: **ამირან პაპინაშვილი** (60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (ორივე – 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ნიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **დავით ლორიაშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100). უზნაძეს ბუდაპეშტში, ევროპის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, მაგრამ სავარაუდოდ, ამ ცხრა ფალავანს დაეყრდნობა. თუმცა მწვრთნელი აცხადებს, რომ დასკვნით შეკრებას დაელოდება, ხოლო გერმანიაში ამათი წაყვანა არ ნიშნავს, რომ მათ განაღდებული აქვთ ადგილი საევროპო გუნდში.

ევროპის პირველობა 24-28 აპრილს ტარდება უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. ჩვენები უნგრეთში 23 აპრილს გაფრინდებიან, მეორე დღეს კი აწონვაა. 25 აპრილს ვაჟებიდან 60 და 66-ის ფალავნები იჭიდავებენ, ქალებიდან – 48, 52 და 57-ის წარმომადგენლები. 26-ში ორივე სქესიდან ორ-ორ წონით კატეგორიას ვიხილავთ ტატამზე – პირველთაგან 73-81-ს, მეორეთაგან 63-70-ს. დარჩენილი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები პირად პირველობას 27 აპრილს დაამთავრებენ, 28-ში კი გუნდურში იჭიდავებენ.

ირაკლი **თავაძე**



ქართული ჭიდაობა



# ზესტაფონში საჭიდაო აჟღერდა...

ჭიდაობის დიდი ტრადიციების მქონე ზესტაფონში, სადაც აღიზარდნენ ქართული ჭიდაობის მადლს ნაზიარები სახელგანთქმული ფალავნები **მიშიკო მაჩაბელი, დავით ციმაკურიძე, მიხეილ სალაძე** და სხვები, კვლავ აჟღერდა საჭიდაო ჰანგები, რომელმაც არენაზე უხმო საქართველოს ზონალური პირადი პირველობის 1998-1999 წლებში დაბადებულ მოზარდებს.

ზესტაფონის სპორტული სკოლის საჭიდაო დარბაზში მესტიის, ცაგერის, ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, საჩხერის ჭიათურის, ტყიბულის, თერჯოლისა და ზესტაფონის ჭაბუკების ფიცხელი და შეუპოვარი ორთაბრძოლები გაიმართა.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ქუთაისელ და ზესტაფონელ ნორჩ ფალავანთა გარდა მაყურებელი მოიხიბლა მესტიელი, ცაგერელი, სამტრედიელი და ფოთელი მოჭიდავეების გამოსვლებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ რაიონებში ჯეროვან ყურადღებას უთმობენ ჩვენი ეროვნული საგანძურის განვითარებას.

შეჯიბრება, რომელიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული (მთავარი მსაჯი — **ჯონდო ჯანიშვილი** — ზესტაფონი), ესწრებოდნენ ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გელა ბერუაშვილი**, პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ოთარ ყურაშვილი**, ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **ნანა ბარბაქაძე** და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის, სპორტის სამსახურისა და სპორტსკოლის წარმომადგენლები.

**კვარცხლბეკი**

**46. კგ.** 1. გაგა ბახტიძე (ზესტაფონი), 2. ვეფხია გირგვლიანი, 3. მურმან მჭედლიანი (ორივე — მცხეთა).

**50 კგ.** 1. ოთარ ოჩიგავა (ფოთი), 2. ილია სუდამანიძე (ტყიბული), 3. დემიკო შარვაშიძე (ქუთაისი).

**55 კგ.** 1. გოდერძი მახვილაძე (ქუთაისი), 2. გოგა გოგოლიძე (ზესტაფონი), 3. გიორგი ონიანი (ქუთაისი).

**60 კგ.** 1. გაგა კაკაურიძე (ქუთაისი), 2. ნიკა მერკვილიშვილი (ზესტაფონი), 3. დავით დონდუა (სამტრედია).

**66 კგ.** 1. გიორგი ბრეგვაძე (ქუთაისი), 2. ბეჟან სალაძე (ზესტაფონი), 3. ჯაბა ხაჭაპურიძე (ქუთაისი).

**73 კგ.** 1 ვლადიმერ ჩაქსელიანი (ცაგერი), 2. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი), 3. ბექა ციხელაძე (ცაგერი).

**81 კგ.** 1. დავით რუხაძე (სამტრედია), 2. გიორგი გოგოლიძე (საჩხერე), 3. ლუკა ჯაფარიძე (მესტია).

**+81 კგ.** 1. ნიკა დონღვანი (ქუთაისი), 2. საბა გაბრიჭიძე (მესტია), 3. ავთო ხუჯაძე (ზესტაფონი).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და მედლებით. I-IV ადგილზე გასული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება 25-27 აპრილს მცხეთაში.

იური **იმერლიშვილი**

ქალთა ძიუდო

# ზემო მაჩხაანიდან ევროპის სარბიელზე

ჩვენი ქალთა ძიუდოს ერთ-ერთი მთავარი იმედი 17 წლის **მარი ჯანაშვილია.**

ამას წინათ მან ზედიზედ ორ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იასპარეზა წარმატებით. ჯერ ანთალიაში აჯობა ყველას, შემდეგ კი კიევის ევროპის თასზე ფინალისტი გახდა. მარი ძიუდოს მსოფლიო ფედერაციის რეიტინგშიც სწრაფად პროგრესირებს. ევროპის ძიუდოს ფედერაციის რეიტინგში კი, ბოლო მონაცემებით, პირველი ნომერი გახდა 52 კგ-ში კადეტთა შორის. ეს, ცხადია, მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ძიუდოსთვის.

**— მარი, ანთალიის და კიევის ტურნირებზე გამოსვლით ალბათ კმაყოფილი იქნები.**

—რა თქმა უნდა კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჯობდა ფინალი უკრაინის დედაქალაქშიც მომეგო. მასპინძელ სპორტსმენ იულია ხრამოვასთან ეს მარცხი სამომავლოდ კარგი გაკვეთილი იქნება ჩემთვის. ვფიქრობ, რომ ყველაზე უკეთ ანთალიაში ბრაზილიელ ლაიან კოლმანთან, კიევში კი ბელარუს კატარინა დრაჰუნთან მოგებულ შეხვედრებში ვიჭიდავე. კარგად წამადგა წონის დაკლებაც. ადრე 57 კგ-ში გამოვდიოდი, ახლა 52-ში. ეს ნაბიჯი ნაკრების მწვრთნელ გია თენაძის და პირადი მწვრთნელის კახა მოცრაძის რჩევით გადავდგი, რამაც გაამართლა. დიდია ამ ადამიანების დამსახურება ჩემს წარმატებებში. მათ მითითებებს და რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ.

**— საზოგადოდ, ქალთა ძიუდოს პროგრესს თუ გრძნობ საქართველოში?**

— ვფიქრობ, წინსვლა აშკარაა. ნაკრებში არაერთი პერსპექტიული ძიუდოისტია, რომლებიც უთუოდ ასახელებენ ქვეყანას. ხელშეწყობაც არის, მოიმატა შეკრებების, შეჯიბრებების რაოდენობამ, რაც დადებითად აისახება შედეგზე. ქალთა ძიუდო საკმაოდ პოპულარულია სხვა ქვეყნებში. ამასვე ვისურვებდი საქართველოში, რათა იმრავლოს წარმატებებმა.

**— ჩვენში მშობლები გოგონების ჭიდაობას სკეპტიკურად ეკიდებიან, ესეც ხომ პრობლემაა...**

— ალბათ ასეცაა. ბავშვობიდან მეც ძალიან მიყვარდა სპორტი, მაგრამ მამაჩემი რომ ყოფილი სპორტსმენი (მოკრივე) არ ყოფილიყო და ხელი არ შეეწყო, ძნელი სათქმელია, შემოვრჩებოდი თუ არა ძიუდოს. თავად ზემო მაჩხაანიდან ვართ და პირველი ნაბიჯები ძიუდოში ვაჟა მოსულიშვილმა გადამადგმევინა.

**— ევროპის ჩემპიონატამდე დიდი დრო აღარაა დარჩენილი, შენ მათ შორის ხარ, ვისზეც ჩვენი ნაკრები იმედს ამყარებს.**

— ევროპისთვის მთელი ყურადღებით ვემზადები. წარმატებული ბოლო ორი ტურნირიც მოსამზადებელ გეგმაში შედიოდა. კონტინენტის ჩემპიონატამდე კიდევ მომიწევს საშეჯიბრო (პოლონეთის საერთაშორისო ტურნირი) და საშეკრებო ეტაპების გავლა, რაც დამეხმარება უკეთ გამოვიდე 20 ივნისს ტალინში (ესტონეთი) კადეტებს შორის ევროპის ჩემპიონატში.

ვასილ **ბალახაძე**





ანთალია. მარი ჯანაშვილი (მუქ კიმანოში) ასპარეზობის დროს და დაჯილდოებისას

● ფარიკაობა

# სანდრო ბაზაძე მსოფლიოს თასზე მეორეა

წლეულს ახალგაზრდა მოხმალავეთა მსოფლიოს თასზე რვა ეტაპი გაიმართა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპისა და მსოფლიოს პირველობები იყო. სწორედ ამ ორ შეჯიბრებას უნდა გამოევლინა ქართველ **სანდრო ბაზაძესა** და რუს **კამილ იბრაგიმოვს** შორის უძლიერესი. ევროპის პირველობის ფინალში მათი დაპირისპირება ბაზაძის გამარჯვებით დამთავრდა. ამჟამად ხორვატიულ პორეცში მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე ბაზაძე მეოთხედფინალში უნგრელ ანდრაშ სზატმართან დამარცხდა და მე-5 ადგილზე გავიდა, იბრაგიმოვმა კი გადამწყვეტ პაექრობაში სწორედ ამ უნგრელს აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა, მსოფლიოს თასზე 157 ქულა დააგროვა და მთავარი პრიზი დაისაკუთრა, ბაზაძე რუსეთელს 10 ქულით ჩამორჩა და მეორეზე გავიდა...


სანდრო ბაზაძე

გუშინ პორეცში ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე გუნდური შეჯიბრებებიც დაიწყო. სანდრომ და მისმა თანაგუნდელებმა ხმალში სამხრეთ აფრიკის ნაკრები დაჯაბნეს 45:14 და დღეს დიდი ბრიტანელების მძლეველ (45:36) უკრაინელებს დაუპირისპირდებიან.

— ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ სამხრეთაფრიკელებს იოლად მოვუგეთ, — გვითხრა საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ ბაზაძემ,** რომელსაც ხორვატიაში შევეხმიანეთ. — დღეს უკრაინელებს შევხვდებით. ეს გუნდი არაერთხელ დაგვიმარცხებია, მათ შორის შარშან თბილისში ევროპის თასის ეტაპზე. თუმცა უწინდელი დადებითი ბალანსი უნდა დავივიწყოთ. ეს მსოფლიოს პირველობაა და ფსიქოლოგიური წნეხი ორმაგადაა გაზრდილი. ბიჭები იმედიანად არიან, განწყობა კარგია, დანარჩენს პაექრობა გვიჩვენებს.

**— მსოფლიოს თასზე სანდროს მეორე ადგილს გილოცავთ...**

— გმადლობთ.

**— გვითხარით, პირად პირველობაში უნგრელთან შეხვედრისას რა მოხდა?**

— ალბათ, ნახეთ, რომ არბიტრებმა სანდროს უსამართლოდ ქულა წაართვეს და მეტოქეს მისცეს, რასაც სპორტსმენის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მსაჯებმაც არ დააყოვნეს — ორჯერ წითელი ბარათი უჩვენეს, რამაც მუქთად უნგრელის მარაგის ორი ქულით გაამდიდრა. მართალია, სანდროს საქციელს არ ვამართლებ, მაგრამ ზომიერების გრძნობა არბიტრებსაც მოეთხოვებათ, მით უმეტეს — მსოფლიოს ჩემპიონატზე...

აქვე გაცნობებთ, რომ გუშინ პაექრობები დაასრულეს რაპირით მოფარიკავეებმა. წინა დღით, როგორც გაუწყეთ, **ლუკა ლალანიძემ** ჯგუფში ხუთი ორთაბრძოლა მოიგო, მერე პლეი ოფის პირველ შეხვედრაში უკრაინელ ანდრეი პოდშივალოვს (15:10) აჯობა, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში ტეფიკ ბურაკ ბაბაოღლუს დანებდა 11:15 და 25-ე ადგილს დასჯერდა. არჩილ უგულავა 79-ე იყო.

კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ალექსანდრ მასიალასი (აშშ), 2. ლორენცო ნისტა (იტალია), 3. ალექსანდრ ჩოუპენიტჩი (ჩეხეთი), კირილ ლიჩაგინი (რუსეთი).

ხმალში ცდიდა ძალებს **ქრისტინე ნოზაძე.** მან ჯგუფში მხოლოდ ერთადერთ გამარჯვებას მიაღწია ბრაზილიელ გაბრიელა ალგაზართან (5:3), მაგრამ პლეი ოფში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

● ჩოგბურთი

# ერთი თურქეთში, ორი უზბეკეთში

ანთალიაში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც ქართველმა სპორტსმენმა **გიორგი ცივაძემ** ერთეულებში ძირითად ბადეს ვერ უწია, წყვილებში იაპორ იაციკთან (ბელარუსი) ერთად სასტარტო შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ შემდეგ პირველ ნომრად განთესილ ანდრეი გიუმაკისა (მოლდოვა) და ლუკა მარგაროლის (შვეიცარია) დუეტთან სამ სეტში დამარცხდა - 4:6, 6:2, 13:15.

გიორგი ცივაძე ისევ ანთალიაში რჩება და კვლავ 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპიდან აილებს სტარტს.

ორშაბათიდანვე უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) უმასპინძლებს. ძირითად ბადეში ითამაშებს საქართველოს ნაკრების წევრი **სოფიო შაფათავა,** ხოლო თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** მთავარი პრიზისთვის ბრძოლას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.


სოფიო შაფათავა

ლელოს სტუმარი

# მერაბ ჩიქობავა

# თბილისი ქართული სპორტის დედაქალაქია

**რამდენიმე წელიწადი სპორტულ ტანვარჯიშსა და კალათბურთში ცდიდა ძალებს. 1980 წლიდან აკადემიურ ნიჩბოსნობაში დაიწყო ვარჯიში ჯემალ ნანიკაშვილსა და ოთარ ბერელიძესთან. ორ, ოთხ და რვაადგილიანი გასაშლელი ნავებით საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, რუსეთისა და უკრაინის საერთაშორისო რეგატების არაერთგზის პრიზიორმა 1985 წლის საკავშირო ახალგაზრდული თამაშების (სარატოვი) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 1986 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-9 სპარტაკიადის ფინალისტია. სპორტსაზოგადოებების საკავშირო პირველობებზე სამივე სინჯის ჯილდოები აქვს მოხვეჭილი.**



1989 წელს მერაბ ჩიქობავამ აქტიურ სპორტს თავი დაანება, თუმცა მისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. 2004 წლიდან თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის სპორტულ ღონისძიებათა განყოფილების უფროსად დაინიშნა. 2009 წლიდან მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეა — თბილისის სპორტის სამსახურს ხელმძღვანელობს.

მერაბ ჩიქობავა გუშინ „ლელოს" სტუმარი გახლდათ.

**— ბატონო მერაბ, თბილისი ქართული სპორტის, ასე ვთქვათ, ადგილის დედაა — ყველა დროის უმნიშვნელოვანეს წარმატებებს უმთავრესად, სწორედ, დედაქალაქელმა ათლეტებმა მიაღწიეს...**

— გეთანხმებით, ეს მართლაც ასეა ლამის რვა ათეული წელიწადია, თუმცა დედაქალაქელ და პერიფერიელებად სპორტსმენების დაყოფა მთლად მართებულად არ მიმაჩნია, რადგან საბოლოო დასაოსტატებლად ყველა მაინც თბილისში იყრის თავს. ამიტომაც არის, რომ მაღალ წარმატებებს სპორტსმენები, ფაქტობრივად, დედაქალაქში გადმოსვლის შემდეგ აღწევენ. დაყოფა უფრო ეროვნული ჩემპიონატებისთვის არის პირობითად მისაღები. თბილისის მერიას, ცალკეული აუცილებლობების გარდა, არასდროს დაუცალკევებია თბილისსა თუ რეგიონებში დაბადებული სპორტსმენები. საჭიროების შემთხვევაში თბილისის მერია ყველას ეხმარებოდა და დღესაც ასეა. და ეს მარტო სპორტის სფეროს არ ეხება — ჩვენი სამსახური მხოლოდ თბილისელებისთვის არასდროს ყოფილა.

თუკი მაინც დაბადების ადგილის მიხედვით გინდათ გამოვყოთ სპორტსმენები, ოლიმპიურ ჩემპიონთა დიდი ნაწილი თბილისელია, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ათობით გამარჯვებული გვყავს, რომ არაფერი ვთქვათ პრიზიორებზე.

აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ თბილისის მერია ყოველთვის აჯილდოებდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. ამას წინათ სპორტის სასახლეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დედაქალაქელმა ფალავნებმა — ვლადიმერ გეგეშიძემ და ზურაბ დათუნაშვილმა მე-2 ადგილები დაიკავეს. კვირას ორივე სპორტსმენს 10-10 ათასი, ხოლო მათს პირად მწვრთნელებს 5-5 ათასი ლარით დავაჯილდოებთ. ასე რომ, წარჩინებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები უყურადღებოდ არასდროს დაგვიტოვებია და მომავალშიც ასე იქნება.

**— სპორტის მასობრიობასა და სოციალურად დაუცველთათვის გატარებულ ღონისძიებებზე რას იტყვით?**

— 2006-დან 2012 წლის ჩათვლით დედაქალაქში 600-მდე მარტივი ტიპის მოედანი აშენდა, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების ფერხულში დედაქალაქის მოსახლეობის მაქსიმალურად ჩაბმას. ამ ბაზებზე ვარჯიში მომავალ თაობას ფიზალზრდის უნარ-ჩვევებს ულვივებს. 2004 წლამდე დედაქალაქში ერთი საცურაო აუზი მოქმედებდა — „ლაგუნა ვერე", ბოლო რვა წლის განმავლობაში ჩვენთან 12-მდე საცურაო აუზი ამოქმედდა: ზოგის რეაბილიტაცია მოხდა, რამდენიმე კი ახალი აშენდა. მართალია, მათი უმეტესობა საბიუჯეტო დაფინანსებაზე არ არის, მაგრამ მოსახლეობისთვის მაინც ხელმისაწვდომია. სოციალურად დაუცველებს თბილისის მერია ეხმარება — აუზებში მომსახურების საფასურს უხდის. დღეისთვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში 2000-მდე სოციალურად დაუცველ მოზარდს ვეხმარებით.

დიდი ძალისხმევა გავწიეთ „მხიარული სტარტების" საწყის ეტაპზე ხელშეწყობისთვის, ამასთანავე, სათამაშო სახეობებში მასობრიობამ მოზარდებს შემდგომ ეტაპზე თავიანთი შესაძლებლობების გამოვლინების საშუალება მისცა. დედაქალაქის უბნებსა და რაიონებში სისტემატურად იმართება სხვადასხვა ასაკისა და სქესის წარმომადგენელთა პირველობები, რომლებსაც თბილისის მერიის ხელმძღვანელობით ფინალური პაექრობები აგვირგვინებს. დედაქალაქის ორგანიზაციებს შორის სპორტული ფესტივალების გამართვა, სწორედ, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს. ორი კვირაა, გრძელდება ტელეკომპანიების საქალაქო პირველობა სპორტის რვა სახეობაში. მათი ფინალური პაექრობები 14 აპრილს კუს ტბაზე გაიმართება. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოებთ.

**— დედაქალაქისთვის დიდი გამოწვევაა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც ჩვენთან 2015 წელს გაიმართება.**

— გეთანხმებით. ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლის სტატუსის მოპოვება თბილისის დიდი გამარჯვება იყო. ჩვენ ახლა გარდამტეხ ეტაპზე ვიმყოფებით. კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ ამ შეჯიბრების ღირსეულად დასახვედრად. კერძოდ, მთავრდება პროექტირება და წლეულსვე დაიწყება რეკონსტრუქცია-მშენებლობა იმ ობიექტებისა, რომლებიც 2015 წლის ფესტივალს მოემსახურება. ალმაშენებლის ხეივანში აშენდება ტანვარჯიშის სახეობათა სასახლე, თბილისის მერიის ძალისხმევით გარემონტდება ბელიაშვილის ქუჩაზე ოლიმპიური მზადების ცენტრი, „ოლიმპიკის" სპორტკომპლექსს შეემატება ცენტრალური კორტი, გარემონტდება ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი, ასევე — წერეთლის პროსპექტზე კეკელიძის სახელობის საკალათბურთო სპორტსკოლა. დარწმუნებული ვარ დედაქალაქთან ერთად მთელი ქვეყანა ამ დიდ კომპლექსურ ღონისძიებას ღირსეულად უმასპინძლებს.

**— ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობისას თქვენი ინიციატივით შარშან მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. „თბილისის თასს" წლეულს რა ბედი ეწევა?**

— მაშინ შეჯიბრების ინიციატორი ვიყავი, როგორც ფედერაციის პრეზიდენტი...

**— ყოფილი ნიჩბოსანი ბრძანდებით. ამ სახეობის პერსპექტივაზე რას ფიქრობთ?**

— გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემთვის ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ნიჩბოსნობის ინფრასტრუქტურა არ არსებობს, მისი სრული რეაბილიტირება საკმაოდ რთული იქნება, რადგან დიდ სახსრებთან არის დაკავშირებული. ამ ეტაპზე ერთადერთი გამოსავალი ცალკეული სპორტსმენების მოძიება და მომზადებაა. ნიჩბოსნობაში ისეთი მასობრიობა, როგორიც ჩემ დროს იყო, ახლო მომავალში წარმოუდგენელია. მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ხელები ჩამოვუშვათ და არაფერი გავაკეთოთ ამ სპორტის სახეობის სრულად აღსადგენად. მით უმეტეს, რომ როგორც აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ისე ბაიდარასა და კანოეში იმედისმომცემი ახალგაზრდები გვეზრდება. ნათელ მაგალითად ორიოდე დღის წინათ მინგეჩაურში დამთავრებული საერთაშორისო რეგატაც გამოდგება.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში გიორგი ჯიქია და მასთან ერთად ბაიდარასა და კანოეში რვაკაციანი გუნდი ფოთში გვყავდა მერიის დაფინანსებით საწვრთნელ შეკრებაზე. ჯიქია იტალიის საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება, რომელიც აპრილის მეორე ნახევარში გაიმართება.

**— სპორტული კარიერა ტანვარჯიშით დაიწყეთ. ნიჩბოსნობაში როგორ აღმოჩნდით?**

— ჩვენ დროს სკოლებში უდიდესი ყურადღება ექცეოდა სპორტულ ცხოვრებას. მძლეოსნობას და ტანვარჯიშს განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა, ამიტომ თბილისის მე-2 გახანგრძლივებულ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ტანვარჯიშის სექციაში უამრავი გოგო-ბიჭი მეცადინეობდა ტარიელ კეზელის ხელმძღვანელობით. შვიდი წლის ვიყავი, თანატოლთა შორის თბილისის პირველობაზე თავისუფალ ვარჯიშში ყველას რომ ვაჯობე. ბატონმა ტარიელმა ჩემი თავი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჰანს ბურჯანაძეს წარუდგინა. „ჩემო ტარიელ, ეს ბიჭი, ეტყობა, სიმაღლეში გაიზრდება და ტანვარჯიშში არ გამოგვადგებაო", — უთხრა. ის დღე იყო და მშობლებმა კალათბურთზე გადამიყვანეს. მოგვიანებით ნიჩბოსნობამ გამიტაცა.

**— სკოლებში სპორტის გაკვეთილების დანერგვაზეც გვინდა გკითხოთ. თქვენი აზრით, ამგვარმა რეფორმამ გაამართლა?**

— მსგავსი რეფორმის თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მიმაჩნია, რომ ფიზალზრდის და სპორტის გაკვეთილებს სხვადასხვა დატვირთვა და მიზანი აქვს. ფიზალზრდა მოზარდებს ზოგად უნარ-ჩვევებს ულვიძებს, სპორტის გაკვეთილები კი სპეციალიზაციისკენ არის მიმართული. მას უფრო სასწავლო პროცესის შემდეგ სექციური მუშაობის სახე უნდა ჰქონდეს. ეს უფრო მეტ მასობრიობასა და ეფექტს მოიტანდა, ვიდრე დღეს გვაქვს.

სასიამოვნოა, რომ თქვენი გაზეთი, რომლის მკითხველიც ბავშვობიდან ვარ, საქართველოს სპორტული ცხოვრების არც ერთ ნიუანსს უყურადღებოდ არ ტოვებს — როგორც წარმატებებს, ისე პრობლემებს, თანაც ყველაფერს ობიექტურად განიხილავს, ამიტომაც სარგებლობს დიდი სიყვარულით.

11 აპრილს „ლელოს" მე-14.000 ნომერი გამოვიდა, 13 აპრილს კი დაარსებიდან 79-ე წელი შეუსრულდებაა. გილოცავთ!

**— გმადლობთ!**

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

 სუპერლიგა 2012-13. 22-ე ტური

# ორი 22 და ერთი 11

12 აპრილი, რუსთავი

| | რუსთავი | ბათუმი |
|---|---|---|
| | 84 | 73 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 18 | 17 | 31 | 18 |
| ბათუმი | 20 | 16 | 16 | 21 |

| რუსთავი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გოუი | 21 | 4 | 4 | 2 | 3 | 0 | 16 |
| სტეფანოვი | 14 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ცაკაავა | 24 | 4 | 2 | 0 | 3 | 1 | 8 |
| აბაიშვილი | 19 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 | 9 |
| ჩაჩანიძე | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გუგავა | 19 | 5 | 3 | 1 | 0 | 0 | 8 |
| ნელსონი | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 2 | 22 |
| ტუჯანი | 17 | 1 | 2 | 1 | 4 | 2 | 3 |
| ათანელიშვილი | 9 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| მაჭავარიანი | 11 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 8 |
| არაბული | 11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ხმელიძე | 16 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 4 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 29 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 17 |
| რამიშვილი | 38 | 6 | 2 | 5 | 1 | 0 | 24 |
| ნანიტაშვილი | 27 | 4 | 3 | 5 | 1 | 0 | 0 |
| ელიაშვილი | 36 | 14 | 3 | 2 | 2 | 6 | 14 |
| სიგუა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 39 | 14 | 1 | 2 | 1 | 0 | 18 |
| კეშელავა | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნინუა | 24 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კოკოზინაძე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე

„რუსთავმა“ და „ბათუმმა“ რეგულარული ეტაპი გუშინ დაასრულეს. მიუხედავად ამისა, ქვემოქართლელები პლეი ოფში რომელი პოზიციიდან შევლენ, უცნობია. ეს 22-ე ტურის ცენტრალურ, „არმია“-“ოლიმპის“ შეხვედრაზე (13 აპრილი, 14:00) იქნება დამოკიდებული. არმიელთა გამარჯვების შემთხვევაში „რუსთავი“ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებს. რაც შეეხება „ბათუმს“, მან ზედიზედ მეორედ ვერ მოახერხა სუპერლიგის მეოთხედფინალში გასვლა - ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე ჩაამთავრა.

რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთაველებმა გაიმარჯვეს. მათი სწრაფი გარღვევების შეკავება ბათუმელებს ძალიან გაუჭირდათ და 11-ქულიანი სხაობით დათმეს.

სათაურში ნახსენებ 22-სა და 11-ს ტექსტში უკვე შეხვდით. ასევე 22 ქულა ჩააგდო რუსთაველთა ბომბარდირმა **კაელ ნელსონმა**. მატჩის სნაიპერი კი ახალგაზრდა ბათუმელი **ნიკა რამიშვილი** გახდა - 24 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ქუთაისი პლეი ოფს მოგებით ხვდება

12 აპრილი, ქუთაისი

| | ქუთაისი | სოხუმი |
|---|---|---|
| | 87 | 76 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 22 | 21 | 22 | 22 |
| სოხუმი | 17 | 24 | 12 | 23 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 40 | 6 | 4 | 3 | 5 | 0 | 23 |
| ბაბუნაშვილი | 19 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 8 |
| დიდია | 32 | 5 | 6 | 0 | 1 | 0 | 8 |
| გრძელიძე | 27 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ლომინაშვილი | 11 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 |
| გ. ბარბაქაძე | 33 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 19 |
| კოლუაშვილი | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| მათიაშვილი | 28 | 9 | 5 | 5 | 1 | 1 | 15 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულიავა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩლაიძე | 10 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კოპალიანი | 13 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 |
| შვანგირაძე | 27 | 3 | 1 | 0 | 2 | 0 | 11 |
| დეკანოიძე | 16 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 |
| გააკაშვილი | 22 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 9 |
| ქადარია | 32 | 7 | 1 | 4 | 1 | 0 | 15 |
| ათუაშვილი | 34 | 13 | 1 | 5 | 1 | 1 | 21 |
| ბუშქენაძე | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სტოიაკოვიჩი | 40 | 3 | 8 | 2 | 0 | 0 | 15 |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი

საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორმა „ქუთაისმა“ რეგულარული სეზონის ბოლო მატჩში „სოხუმს“ აჯობა და მეხუთე ადგილზე აინაცვლა, თუმცა ქუთაისელთა მდევარი „დინამო“ დღეს გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფ სტუ-ს ხვდება და დიდი შანსია, რომ დაკარგული პოზიცია დაიბრუნოს. ასე რომ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვის დაუპირისპირდება „ქუთაისი“ პლეი ოფში.

რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს, **გიგი ბარბაქაძისა** და **რიჩარდ მათიაშვილის** ზუსტი სროლების შედეგად ისინი დაწინაურდნენ, თუმცა **სერგო ათუაშვილის** კარგი თამაშის წყალობით სოხუმელებმა ანგარიში გაათანაბრეს. სხვათა შორის, ათუაშვილი ორივე გუნდიდან ყველაზე გამორჩეული იყო და ეს მის მონაგარზეც აისახა, სოხუმელთა გოლიათური აღნაგობის მძიმე ფორვარდმა 21 ქულთა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა...

პირველი მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, თუმცა დასკვნით მონაკვეთში **ზაურ ფაშაევმა** პირველ პერიოდში მასპინძელთა ხუთქულიანი უპირატესობა დააფიქსირა - 22:17. მეორე მეოთხედში სურათი არ შეცვლილა, სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს 38:38, მაგრამ **დიდიას**, ბარბაქაძისა და ფაშაევის აქტიურობის შედეგად მასპინძლებმა ტაიმის მოგება მაინც მოახერხეს - 43:41

დიდი შესვენების შემდეგ „სოხუმმა“ თამაში აგრესიულად განაახლა, ათუაშვილის, **სტოიაკოვიჩისა** და **შვანგირაძის** კარგი თამაშის გამოისობით ისინი დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ ქუთაისელებმა 12:0 გაქცევა მოახერხეს და მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა. ამ პერიოდში მასპინძელთაგან თავი ფაშაევმა, **გრძელიძემ**, მათიაშვილმა და **ლომინაშვილმა** გამოიჩინეს.

მესამე პერიოდის შემდეგ „ქუთაისი“ 65:53 იგებდა და **დავით უსტიაშვილის** გუნდს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია, მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე. ქუთაისელთა რიგებში 23 ქულით საუკეთესო აზერბაიჯანელი ლეგიონერი ზაურ ფაშაევი იყო. ნაყოფიერად გაისარჯა გიგი ბარბაქაძეც, რომელმაც 19 ქულა დააგროვა.

მატჩის შემდეგ

დავით უსტიაშვილი („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- დაძაბული მატჩი იყო, თუმცა, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და ვფიქრობ, დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ტრავმის გამო ბუბა კვიმსაძე და დავით ბარბაქაძე გვაკლდნენ. ისინი ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და უახლოეს დღეებში შემოგვიერთდებიან. პლეი ოფამდე მაქსიმალურად მოვემზადებით.

ვაჟა კვარაცხელია („სოხუმის“ მწვრთნელი):

- ქუთაისში მოსაგებად ჩამოვედით, მაგრამ დღევანდელ მატჩში მასპინძლებს უფრო მეტი მოტივაცია აღმოაჩნდათ, რევანშის აღება სწყუროდათ და სანადელს მიაღწიეს. მეტოქეს დღეს ყველაფერი გამოუვიდა, ჩვენ კი დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 19 | 16 | 3 | 1693/1362 | 35 |
| 2. შსს აკადემია | 19 | 16 | 3 | 1551/1268 | 35 |
| 3. რუსთავი | 20 | 14 | 6 | 1711/1481 | 34 |
| 4. არმია | 19 | 14 | 5 | 1688/1281 | 33 |
| 5. ქუთაისი | 20 | 12 | 8 | 1593/1451 | 32 |
| 6. დინამო | 19 | 12 | 7 | 1472/1410 | 31 |
| 7. სოხუმი | 20 | 9 | 11 | 1565/1611 | 29 |
| 8. თსუ | 20 | 6 | 14 | 1392/1601 | 26 |
| 9. ბათუმი-რსუ | 20 | 5 | 15 | 1391/1645 | 25 |
| 10. სამედიცინო | 19 | 2 | 17 | 1236/1725 | 21 |
| 11. სტუ | 19 | 1 | 18 | 1254/1711 | 20 |

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლეგიონერი

# «Markoishvili è insostituibile»

Cantù

## მარკოიშვილი შეუცვლელია



| მარკოიშვილით | | უმარკოიშვილოდ |
|---|---|---|
| 79.3 | რეალიზებული ტყორცნები | 71.7 |
| 69.8 | აცილებული ტყორცნები | 70.3 |
| 58.2 | 2-ქულიანი (%) | 52.8 |
| 39.2 | 3-ქულიანი (%) | 40 |
| 78 | საჯარიმო (%) | 64 |
| 26 | მოხსნა დაცვაში | 25.6 |
| 8.6 | მოხსნა შეტევაში | 8.3 |
| 15.9 | შეცდომა | 18 |
| 6 | ჩაჭრა | 5.2 |
| 15.1 | პასი | 13 |
| 94.4 | სარგებლიანობის კოეფიც. | 74.5 |



**მანუჩარ მარკოიშვილი** იტალიური „კანტუდან“ თურქეთის „გალათასარაიში“ იანვარში გადავიდა. იტალიური კლუბი ამის წინააღმდეგი არ იყო, პირიქით, მის ხელმძღვანელობას ხელს აძლევდა იმ კალათბურთელის შუა სეზონში გაშვება, რომელსაც კონტრაქტი ჩემპიონატის ბოლოს უმთავრდებოდა. რადგან ტრანსფერიდან გარკვეული თანხა ერგო „კანტუსაც“, რომელიც ფინანსურად დალხენილი ნამდვილად არ იყო.

მარკოიშვილის თურქეთში გადასვლიდან ორიოდე თვეში, გუშინ გაზეთ „ლა რეპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საინტერესო გამოკვლევა, რომლის ავტორი აცხადებს, რომ მანუს გაშვება არ შეიძლებოდა და ასკვნის: მარკოიშვილი შეუცვლელია. სწორედ ასეთი სათაური აქვს პუბლიკაციას.

აქ კი გთავაზობთ ფოტოს, რომლის მიხედვითაც ნათლად დაინახავთ, რამდენად დაიკლო „კანტუს“ გუნდურმა მაჩვენებლებმა ქართველის გამოკლების შემდეგ. ეს გუნდის სატურნირო მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახა - ლომბარდიელები მე-5 ადგილამდე დაქვეითდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ვეტერანთა დახმარების ფონდი

# კლიპის პრეზენტაცია

სპორტკომპლექს „არენაში“ გუშინ ძველი თაობის არაერთი კალათბურთელი შეიკრიბა. ისინი ვეტერანთა ფონდის დახმარების კლიპის პრეზენტაციას დაესწრნენ. კლიპი, რომელშიც მოკლედაა გახსენებული მსოფლიოს მასშტაბის ქართველი კალათბურთელები, „პირველ არხსა“ და „აფხაზეთის ხმაზე“ გავა. იგი მაყურებელს ვეტერანთა დახმარებისკენ მოუწოდებს.

ამასთან გამოქვეყნდა სატელეფონო ნომერი (0901200105), რომელზე დარეკვის შემთხვევაშიც თანხა ვეტერანთა დახმარების ფონდში ჩაირიცხება.

- კალათბურთის ფედერაცია აქამდეც ყოველთვიურად ეხმარებოდა წარსულში სახელოვან კალათბურთელებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ სუპერლიგის თამაშების ბილეთებიდან შესული თანხა მთლიანად ვეტერანთა დახმარების ფონდში ირიცხებოდა და როგორც ფონდის ხელმძღვანელობა ჩათვლიდა საჭიროდ, ისე განიკარგებოდა. თუმცა ეს საკმარისი არ არის და ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელი აქციისა და კლიპის ტელევიზიებში გაშვების შემდეგ მეტი ბიზნესმენი გამოიჩენს გულისხმიერებას, - აღნიშნა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა**.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, აფხაზეთის ომის მონაწილე
ზურაბ სულავა
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლეგიონერები

# რამდენი ქართველი ითამაშებს პლეი ოფში?




**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტური დარჩა. პლეი ოფში უკვე დაიბევეს ადგილი ქართველ მორაგბეთა გუნდებმა, „ტულონმა“, „კლერმონმა“ და „ტულუზმა“. ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი აქვს კიდევ ოთხ გუნდს, ამათგან ორი „ქართულია“. ესენია: „კასტრი“ და „მონპელიე“.**

პლეი ოფში გასვლისთვის ყველაზე მწვავე ბრძოლების გადატანა **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ მოუწევს, რომელიც ახლა 63 ქულით მე-6 ადგილზეა. ჩვენებურთა ეს გუნდი 24-ე ტურში შინ ეთამაშება **ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზს“. სტუმართა გუნდს, რომელიც საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონია, როგორც უკვე ვთქვით, პლეი ოფის საგზური მოპოვებული აქვს.

მონპელიელებს ამ მატჩში ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვება. სამწუხაროდ, გასულ უქმეებზე „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში დაშავდა და სამ კვირას იუქმებს მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი**. ჯერ კიდევ არ არის ოპტიმალურ ფორმაში შერკინების ქართველი ბურჯი გიორგი ჟღენტი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა.

რამდენიმე თამაშის გამოტოვების შემდეგ ისევ ძირითად შემადგენლობაშია საქართველოს ნაკრების პირველხაზელი მიხეილ ნარიაშვილი, მესამე ხაზიდან მეორეში გადაინაცვლა მამუკა გორგოძემ, ჟღენტი ამჯერად სათადარიგოთა შორისაა. ასევე თადარიგში იქნებიან „ტულუზის“ ქართველი მორკინალები კაკოვინი და ბრეგვაძე.

„მონპელიეს“ სამი ქულით უსწრებს და მე-4 ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელიც შინ მიიღებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოს“. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარ მოედანზე თითქმის დაუმარცხებელი კასტრელები მეტოქეს განზილებულს გაისტუმრებენ, რაც პლეი ოფთან კიდევ უფრო დააახლოებს. ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორისაა.

ტურის ცენტრალურ მატჩში მეორე ადგილზე მყოფი **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“ გათამაშების ლიდერს, **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“ ეთამაშება.

ფრანგული და, თამამად შეიძლება ითქვას, ევროპული რაგბის ორი გიგანტის დაპირისპირება მარსელში „ველოდრომზე“ გაიმართება. ტულონელები მეტოქეს ამჟამად მხოლოდ ორი ქულით უსწრებენ. ორივე ეს გუნდი იმავდროულად „ჰაინეკენის თასის“ ნახევარფინალისტებიც არიან. გამორიცხული არ არის, „ტულონის“ და „კლერმონის“ დავა წლეულს ორი ტურნირის ფინალში ვიხილოთ.

„კლერმონმა“ „ჰაინეკენის თასის“ მეოთხედფინალში „მონპელიე“ დაამარცხა, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა. იმ მატჩში დაშავდნენ და „ტულონთან“ ვერ ითამაშებენ **ჟულიენ ბონერი, ორელიან რუჟერი** და **ნაპოლიონი ნალაგა**. ტრავმირებულია საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილიც.

„ტულონს“ მეტოქესთან შედარებით ლაზარეთში უკეთესი მდგომარეობა აქვს. მწყობრშია ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**. მიმდინარე სეზონში „ტულონის“ მიერ მოპოვებული ქულების 45 პროცენტი სწორედ მისი გარჯის შედეგია.

ჩილაჩავა სათადარიგოთა შორისაა, ქუბრიაშვილი და მიქაუტაძე განაცხადში არ არიან.

პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვს **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“, რომელიც ახლა 46 ქულით მე-10 ადგილზეა. პარიზელები 24-ე ტურში სტუმრად ითამაშებენ ერთ-ერთ აუტსაიდერ „აჟენთან“, რომლისთვისაც ამ შეხვედრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჟვანია თადარიგშია.

ელიტური, პირველი დივიზიონის დატოვება მოუწევს **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანს“, რომელმაც მხოლოდ 15 ქულის დაგროვება შეძლო და ბოლო ადგილზეა. ჩვენებურის ეს გუნდი შინ მიიღებს „მეტრო რასინგს“, რომელიც პლეი ოფში თამაშისთვის იბრძვის. მჭედლიძე განაცხადში არ არის.

**I დივიზიონი**

**XXIV ტური**

**კასტრი-ბორდო, მონპელიე-ტულუზი, ბაიონი-გრენობლი, აჟენი-სტად ფრანსე, მონ დე მარსანი-მეტრო რასინგი, პერპინიანი-ბიარიცი, ტულონი-კლერმონი.**

**საპურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 82 ქულა, 2. კლერმონი - 80, 3. ტულუზი - 73, 4. კასტრი - 66, 5. მეტრო რასინგი - 63, 6. მონპელიე - 63, 7. პერპინიანი - 57, 8. ბიარიცი - 51, 9. გრენობლი - 49, 10. სტად ფრანსე - 46, 11. ბაიონი - 45, 12. ბორდო - 41, 13. აჟენი - 27, 14. მონ დე მარსანი - 15

საქართველოს ჩემპიონატი



ლელო-არმაზი

# ორი გამოცდილი, ორიც აღმოჩენა

**საქართველოს ჩემპიონატში ბოლო, გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. ქვეყნის პირველი გუნდის ტიტულისთვის ბრძოლას ექვსი კლუბი განაგრძობს. ესენია: „არმია“, „ლელო“, „აია“, „ჯიქები“, „არმაზი“ და „ლოკომოტივი“. ამათგან პირველი ორი პირდაპირ ნახევარფინალში გავიდა. დანარჩენები კი ერთმანეთთან შესარჩევ მატჩებში გაარკვევენ ურთიერთობას.**

რეგულარული გათამაშება მესამე ადგილზე დაასრულა შარშანდელმა ფინალისტმა ქუთაისის „აიამ“, რომელიც პლეი ოფში შინ მიიღებს მეექვსეადგილოსან თბილისის „ლოკომოტივს“. ეს ორი გუნდი ძველი მეტოქეები არიან. სამწუხაროდ, ერთ-ერთ მათგანს, ამ თამაშის შემდეგ, მედლების გარეშე მოუწევს დარჩენა.

ქუთაისის „აია“ მას შემდეგ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე** გახდა, ისევ მოწინავეთა შორის დაბრუნდა. ქუთათურებმა შარშანდელი სეზონი შესანიშნავად ჩაატარეს და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. წლეულს, სეზონის დაწყების წინ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა, რამაც, ცხადია, თამაშის ხარისხს დალი დაასვა.

მიუხედავდად ამისა, „აიამ“ მაინც მოახერხა ძალების მობილიზება. შემადგენლობა თავისივე აღზრდილებით შეავსო და პლეი ოფში გასვლისთვის ყველაფერი გააკეთა. ქუთათურთა თამაშის ძლიერი მხარე ყოველთვის მძლავრი და მოძრავი შერკინება იყო, თუმცა ბოლო წლებში უკანა ხაზიც ეფექტურად ამოქმედდა. შედეგად, ქუთაისელი უკანახაზელები საქართველოს ასაკობრივი და შვიდკაცა რაგბის ნაკრებების მოთამაშეები გახდნენ.

რეგულარულ გათამაშებაში „აიამ“ 18 მატჩი გამართა, აქედან 13 მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და სამი წააგო. გუნდის ანაგარიშზე 555 მოპოვებული ქულაა. ბალანსი კი - პლუს 310.

ქუთაისელთა მეტოქე თბილისის „ლოკომოტივი“ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. რკინიგზელები წლეულს საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობით თამაშობდნენ, რითაც მისთვის უჩვეულო მეექვსე ადგილზე გასვლა შეიძლება აიხსნას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - აქამდე „ლოკომოტივი“ ერთფეროვნად, მუდამ შერკინებით ასპარეზობდა, თუმცა წარმატებებსაც აღწევდა. წლეულს უხუცესმა ქართველმა მწვრთნელმა **თემურ ბენდიაშვილმა** უკანა ხაზის ათამაშებაც შეძლო. რკინიგზელები უფრო ლაღად და საინტერესოდ ირჯებოდნენ, თუმცა წინა წლებისგან განსხვავებით გუნდი ლიდერთა შორის ვერაფრით მოხვდა.

„ლოკომოტივმა“ რეგულარულ გათამაშებაში რვა თამაში მოიგო, ორი ფედ დაასრულა და რვა წააგო. საგულისხმოა, რომ რკინიგზელებმა ორივეჯერ ფრედ სწორედ ქუთაისის „აიასთან“ ითამაშეს. პირველ წრეში ქუთაისში მატჩი 25:25 დასრულა, თბილისში კი - 13:13. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერადაც თამაში უშელავათო გამოვა, რადგან წაგებული ჩემპიონობისთვის ბრძოლას წყვეტს.

პლეი ოფის მეორე წყვილში, მიმდინარე გათამაშების ორი აღმოჩენა, თბილისური გუნდები „ჯიქები“ და „არმაზი“ ითამაშებენ. „ჯიქები“ ახალგაზრდული გუნდია, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში წლეულს პირველად ასპარეზობს. **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსოს ყველასგან გამორჩეული ხელწერა აქვს. ამ გუნდის მოთამაშეები ბოლომდე თავდადებით იბრძვიან და მარცხს ძნელად ეგუებიან.

სწორედ ამიტომ შეძლო „ჯიქებმა“ დადებითი ბალანსის შექმნა. გუნდმა 18 მატჩში ათი მოიგო და რვა წააგო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონის „არმიას“ გარდა, „ჯიქებმა“ ყველა ფავორიტის დამარცხება შეძლო.

წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს თბილისის „არმაზი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი საუკეთესოა ამ გუნდის ისტორიაში. არმაზელებმა რეგულარულ გათამაშებაში მე-5 ადგილი დაიკავეს, თუმცა უფრო წინ წასვლაც რეალურად ძალუძთ. მათი მახასიათებელი ასევე ბოლომდე თავდადებით ბრძოლაა, რასაც გუნდის მოთამაშე-მწვრთნელის, მგეზავი **დავით კიკნაძის** ეფექტური თამაშიც აძლიერებს. საკამოდ დიდი როლი ითამაშა გუნდის წარმატებაში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ირაკლი მაჩხანელმა,** რომელმაც საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ „არმაზში“ კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა.

არმაზელებს „ჯიქების“ მსგავსად ათი მოგება და რვა წაგება დაუგროვდათ. პირველ წრეში „არმაზმა“ მეტოქე მინიმალური სხვაობით დაამარცხა - 20:19. საპასუხო მატჩში კი „ჯიქებმა“ სრული რევანში აიღეს - 31:20.

**პლეი ოფი**

**დღეს**

**ჯიქები-არმაზი**

**14 აპრილი**

**აია-ლოკომოტივი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ზერაგბი

# ბრამბიზი წინსვლას განაგრძობს

**ზე რაგბის გათამაშების მე-9 ტური ახალი ზელანდიის კონფერენციის აუტსაიდერის დანიდნის „ჰაილენდერზისა“ და ავსტრალიის კონფერენციის ლიდერის, კანბერას „ბრამბიზის“ დაპირისპირებით დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ავსტრალიურმა გუნდმა, რომელიც წლეულს შესანიშნავად ასპარეზობს, 30:19 გაიმარჯვა.**

სტუმართა გუნდის უპირატესობა დასაწყისშივე გამოიკვეთა და მატჩის ბოლომდე მათ წარმატებაში ეჭვი არავის შეპარვია. კანბერელებმა მასპინძლებს სამი ლელო გაუტანეს, საპასუხოდ კი მხოლოდ ერთი მიიღეს. „ბრამბიზის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი შუამარბი **კრისტიან ლეალიიფანი** იყო, მის ანგარიშზე 15 ქულაა (სამი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

ამავე კონფერენციაში, ლიდერი ჰემილტონის „ჩიფსი“ ავსტრალიურ ბრისბენის „რედსს“ უმასპინძლებს, რომელიც თავის კონფერენციაში „ბრამბიზს“ 11 ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა. ოქლენდის „ბლუზი“ კი, რომელსაც წლეულს დიდი ამბიციები აწუხებს, შინ მიიღებს ველინგტონის „ჰარიკენზს“.

ავსტრალიის კონფერენციაში მასპინძლობას აუტსაიდერები გასწევენ. „მელბურნ რებლზი“ დებიუტანტ სამხრეთაფრიკულ გუნდს „საუთერნ კინგზს“ მიიღებს. პერთის ფორსის მეტოქე კი ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ იქნება.

საინტერესო ორთაბრძოლებია მოსალოდნელი სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში. კეიპთაუნის „სტორმერზი“, რომელსაც წლეულს ძალზე ცუდი სტარტი ჰქონდა, შინ მიიღებს კონფერენციის ლიდერს დურბანის „ნატალ შარქსს“. თავისთვის უჩვეულო, მეოთხე ადგილზე მყოფი პრეტორიის „ბლუ ბულზი“ კი მოულოდნელად დაწინაურებულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“ უმასპინძლებს.

**ახალი ზელანდია**

**ჰაილენდერზი-ბრამბიზი 19:30, ჩიფსი-რედსი, ბლუზი-ჰარიკენზი**

**საპურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 25 ქულა, 2. ჰარიკენზი - 23, 3. ბლუზი - 22, 4. კრუსეიდერზი - 21, 5. ჰაილენდერზი - 6.

**ავსტრალია**

**მელბურნ რებლზი-საუთერნ კინგზი, ფორსი-კრუსეიდერზი**

**საპურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 33 ქულა, 2. რედსი - 22, 3. ვორათაზი - 17, 4. მელბურნ რებლზი - 14, 5. ფორსი - 11.

**სამხრეთ აფრიკა**

**სტორმერზი-ნატალ შარქსი, ბლუ ბულზი-ჩიტაზი**

**საპურნირო მდგომარეობა**

1. ნატალ შარქსი - 25 ქულა, 2. ჩიტაზი - 22, 3. სტორმერზი - 16, 4. ბლუ ბულზი - 15, 5. საუთერნ კინგზი - 11.



ფორმულა 1

# დიდი ცირკი შანხაიში

ჯერ არ შეწყვეტილა პოლემიკა წინა გრანპრისთან დაკავშირებით, პილოტები კი უკვე მზად არიან ახალი ბრძოლისთვის. „ფორმულა 1" ჩინეთში ჩავიდა, სადაც ერთი წლის წინ მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა ნიკო როსბერგმა. "მერსედესის" პილოტი არც ამჯერად მიიჩნევა აშკარა ფავორიტად, სებასტიან ფეტელს კი, რომელსაც ალარ უნდა ჰქონდეს მარკ უებერის დახმარების იმედი, ბუკმეიკერები პირველ ადგილზე აყენებენ. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ ფერნანდო ალონსო, რომელიც, ალბათ, არ ჩააგდებს ზედიზედ ორ რბოლას.



შანხაის ტრასა

## ტრასის შესახებ

ტრასა შანხაის გარეუბანში სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს მანქანებს, პილოტებსა და გუნდებს.

ეს გახლავთ თანამედროვე ავტოდრომი. აქ არის მოსახვევები, სადაც არსებობს ტექნიკური სექცია, რომელიც განსაკუთრებულ სიზუსტეს ითხოვს და სწრაფი ვირაჟები, აგრეთვე ორი გრძელი სწრაფი მონაკვეთი, რაც გასწრების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

განსაკუთრებით რთული მომენტია გრძელი სწორი მონაკვეთის შემდეგ მკვეთრი დამუხრუჭება. ეს არის ნამდვილად საპილოტაჟო ტრასა, სადაც მანქანის კარგი ბალანსი შესამჩნევ უპირატესობას იძლევა.

წრეზე სწრაფი დროის დასაფიქსირებლად საჭიროა მეტი აეროდინამიკური მოჭიდების ძალა, ვიდრე მექანიკური მოჭიდება, თუმცა ოპტიმალური შეხამების მიღწევა ძალიან რთულია.

ასეთ ტრასაზე საბურავებზე სერიოზული დატვირთები მოდის – ინტენსიური დამუხრუჭება, განსაკუთრებული გვერდითი დატვირთვები და აჩქარების დროს ასფალტთან მოჭიდებისადმი დიდი მოთხოვნა – ეს მხოლოდ რამდენიმე ფაქტორია, რაც გავლენას ახდენს საბურავების მუშაობაზე,

"პირელი" ჩინეთში Medium-ისა და Soft-ის საბურავებს ჩაიტანს.

შანხაის ტრასაზე DRS-ის გამოყენების ორი ზონა იქნება- სტარტი/ფინიშის სწორ მონაკვეთზე და მე-13 და მე-14 მოსახვევებს შორის მონაკვეთში.

პროგნოზის მიხედვით, სარბოლო უქმეების დროს წვიმა არ არის მოსალოდნელი.

## ტრასის ისტორია

ჩინეთის გრანპრი პირველად 2004 წელს გაიმართა შანხაის ახალ ავტოდრომზე (მანამდე, ჩინელები ცხრა წელი ცდილობდნენ ფორმულა 1-ში მოხვედრას).

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სარბოლო კომპლექსი მსოფლიოში, რომელიც **გერმან ტილკეს** პროექტითა და ხელმძღვანელობით არის აშენებული.

ბაჰრეინის ტრასის მსგავსად, შანხაის ავტოდრომიც ცარიელ ადგილზე შენდებოდა. ადრე აქ ჭაობი იყო, რომლის დასაშრობად მშენებლებს მიწაში დაახლოებით 400 ტონა პოლიესტერის ჩასხმა დასჭირდათ.

ავტოდრომის ტრიბუნები 200 ათას მაყურებელს იტევს.

### ტრასის პარამეტრები

56 წრე

**ტრასის სიგრძე:** 5 451 მ

**რბოლის დისტანცია:** 305,066 კმ

*ტრასაზე 7 მარცხენა და 7 მარჯვენა მოსახვევია. ყველაზე გრძელი სწორი მონაკვეთის სიგრძეა 1175 მეტრი.*

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ფეტელი (რედ ბული) | 40 |
| 2. რაიკონენი (ლოტუსი) | 31 |
| 3. უებერი (რედ ბული) | 26 |
| 4. ჰემილტონი (მერსედესი) | 25 |
| 5. მასა (ფერარი) | 22 |
| 6. ალონსო (ფერარი) | 18 |
| 7. როსბერგი (მერსედესი) | 12 |
| 8. გროსჟანი (ლოტუსი) | 9 |

### უქმეების განრიგი

12 აპრილი, 06:00 — I პრაქტიკა
12 აპრილი, 10:00 — II პრაქტიკა
13 აპრილი, 07:00 — III პრაქტიკა
13 აპრილი, 10:00 - კვალიფიკაცია
14 აპრილი, 11:00 - რბოლა

### შანხაის სტატისტიკა

| წელი | გამარჯვებული | პოული | საუკ წრე |
|---|---|---|---|
| 2012 | როსბერგი (მერსედესი) | როსბერგი | კობაიაში |
| 2011 | ჰემილტონი (მაკლარენი) | ფეტელი | უებერი |
| 2010 | ბატონი (მაკლარენი) | ფეტელი | ჰემილტონი |
| 2009 | ფეტელი (რედ ბული) | ფეტელი | ბარიკელო |
| 2008 | ჰემილტონი (მაკლარენი) | ჰემილტონი | ჰემილტონი |
| 2007 | რაიკონენირ (ფერარი) | ჰემილტონი | მასა |
| 2006 | შუმახერი (ფერარი) | ალონსო | ალონსო |
| 2005 | ალონსო (რენო) | ალონსო | რაიკონენი |
| 2004 | ბარიკელო (ფერარი) | ბარიკელო | შუმახერი |

# მერსედესის დუბლი და მასა

გუშინ ჩინეთის გრანპრი ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნა. პირველი ვარჯიშისას საუკეთესო დრო **ნიკო როსბერგმა** აჩვენა და დაამტკიცა, რომ შარშან შემთხვევით არ მოუგია შანხაის რბოლა. გერმანელმა ნახევარი წამით აჯობა „მერსედესში" თავის თანაგუნდელს **ლუის ჰემილტონს**. მესამე დროის ავტორმა **მარკ უებერმა** როსბერგთან თითქმის წამი წააგო.

სანყისი საინსტალაციო წრეების შემდეგ, საუკეთესო დრო **ჯენსონ ბატონმა** აჩვენა. მისი შედეგი კარგა ხანი ხელშეუხებელი იყო, სანამ ბრიტანელს არ აჯობა ჯერ **ადრიან სუტილმა**, შემდეგ კი **ფელიპე მასამ**. ამ მომენტისთვის, პირველ ექვს მანქანას შორის დროში სხვაობა 3 მეათედ წამზე ნაკლები იყო.

მალე პირველ ადგილზე გადავიდა მარკ უებერი, სესიის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კი თავიანთი ტემპი განავითარეს „მერსედესის" პილოტებმა და საბოლოოდ, ჩაუდგნენ სათავეში პირველი პრაქტიკის ოქმს. შემდეგ კი პილოტები დიდი რაოდენობით სანვავით მუშაობაზე გადავიდნენ.

პირველი პრაქტიკისას ერთადერთი სერიოზული ინციდენტი მოხდა. „მაკლარენის" პილოტი **სერხიო პერესი** ბოქსებში ბრუნდებოდა, როცა ბარიერს შეეჯახა და გზის გაგრძელება ფეხით მოუწია. თუმცა მანქანა გარეგნულად სერიოზულად არ დაზარალებულა.

■ ■ ■

სერხიო პერესმა ავარიით დაასრულა პირველი სესია და უსიამოვნებას ვერც მეორე სესიის სტარტზე გადაურჩა - მექსიკელმა ვერ დაიმორჩილა ბოლიდი მერვე მოსახვევში, ტრასიდან გადავარდა და მანქანის უკანა მხარით შეეჯახა საბურავების ბარიერს.

ისევე როგორც პირველ სესიაში, ამჯერადაც მაღალი იყო საბურავების ცვეთის ხარისხი - წრეების გრძელი სერიისას საბურავები მალე კარგავდნენ ეფექტურობას. მეორე ვარჯიშის საუკეთესო დრო ფელიპე მასას ეკუთვნის, რომელმაც წრე წუთსა და 35.340 წამში გაიარა.


ნიკო როსბერგი

კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი



მატჩის გმირი დიამანტიდისი

# ბარსამ უპირატესობა დაკარგა

ევროლიგაზე მეოთხედფინალური ეტაპის მეორე ნაწილი დაიწყო - სერიის მეორე მატჩი გაიმართა "ბარსელონასა" და "პანათინაიკოსის" დაპირისპირებაში. მასპინძელი კვლავ კატალონური გრანდი იყო. შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა "ბარსამ" ოვერტაიმში მოიგო.

ეს მატჩიც ძალიან დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. "ბარსელონა" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ კომფორტული უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო. ანგარიშში სხვაობა 3-5 ქულამდე მერყეობდა. სწორედ ხუთი ქულის სხვაობით მოიგო "ბარსელონამ" პირველი ტაიმი – 32:27.

თამაშის სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. "ბარსელონა" ისევ ინარჩუნებდა მინიმალურ უპირატესობას, მაგრამ "პანათინაიკოსს" ნებისმიერ მომენტში შეეძლო მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება. და ეს მომენტი სირენამდე 8 წამით ადრე დადგა, როცა "პანათინაიკოსის" ლიდერმა **დიმიტრის დიამანტიდისმა** "მინუს ორზე" სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი ერთი ქულით გაიყვანა წინ.

"ბარსელონას" საკმარისი დრო ჰქონდა ბოლო შეტევისთვის, მაგრამ ლიტველი ვეტერანის **შარუნას იასიკიავიჩუსის** სამქულიანმა მიზანს არ მიაღწია. "პანათინაიკოსმა" მოიგო მნიშვნელოვანი მატჩი და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. ახლა გუნდები ათენში გადავლენ და ორი მატჩი საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართება. ორივე საშინაო მატჩის მოგების შემთხვევაში, "პანათინაიკოსი" "ოთხთა ფინალში" თამაშის უფლებას მოიპოვებს.

**ბარსელონა-პანათინაიკოსი 65:66**

11:16, 21:11, 18:21, 15:18

**ბ:** ნავარო (20), აბრინესი (10).

**პ:** გისტი (14+7 მოხსნა), ბრამოსი (13), დიამანტიდისი (10+3 ჩაჭრა), ლასმე (9+7 მოხსნა+3 დაფარება).

**სერია:** 1-1

კრივი

# უორდს ტიტული წაართვეს

მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) გადაწყვიტა ტიტული ჩამოართვას 29 წლის ამერიკელ **ანდრე უორდს**, რომელიც მეორე საშუალო წონაში გამოდის, - იტყობინება ამ საკრივო ორგანიზაციის ოფიციალური გვერდი. უორდმა 2011 წელს ჩამოართვა WBC-ის საჩემპიონო ქამარი ბრიტანელ **კარლ ფროჩს**.

2012 წლის სექტემბერში, ამერიკელმა WBC-სა და WBA-ის ტიტულები დაიცვა **ჩად დოუსონთან** შეხვედრაში. ამა წლის დასაწყისში, უორდი უნდა შეხვედროდა **კელი პავლიკს**, მაგრამ გაიკვა, რომ ჩემპიონს მხარზე ოპერაცია სჭირდებოდა. იმის გამო, რომ ანდრემ ვერ შეძლო ვადაში საჩემპიონო ბრძოლის გამართვა, ის ოფიციალური ტიტულის გარეშე დარჩა.

თუმცა WBC-ის საბჭომ უორდს საპატიო ჩემპიონის ტიტული მიანიჭა. ეს უფლებას აძლევს ამერიკელს, შეხვდეს WBC-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელს და მიიღოს საერთო ჰონორარის 60 პროცენტი.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-აილენდერსი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბეილი-8 (შტრაიტი-17, ოკსოპო-14), 1:1 სეგუინი-14 (გ. კემპბელი-8, იაგრი-17), 1:2 ბეილი-9 (ნილსენი-20, შტრაიტი-18).

**ბაფალო-მონრეალი 1:5**

0:2, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 რ. ბურკი-6 (ჯონტა-12, პლეკანეცი-16), 0:2 გალჩენიუკი-6 (რაიდერი-17), 0:3 გალაჰერი-12 (დეშარნე-14, პასიორეტი-20), 0:4 მარკოვი-8 (საბენი-23, რაიდერი-18), 1:4 ფლინი-5 (პორტერი-4, სეკერა-10), 1:5 საბენი-11 (მარკოვი-18, პასიორეტი-21).

**ფილადელფია-ოტავა 1:3**

1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ზ. სმიტი-4 (მეტოტი-8), 1:1 ჟირუ-12 (საიმონ განიე-9), 1:2 გრინინგი-8 (ვირჩიოკი-13), 1:3 ალფრედსონი-10 (პაგო-1, გრიბა-4).

**ვაშინგტონი-კაროლინა 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სკინერი-11 (ე. სტაალი-27, კორვო-10), 1:1 ბროუერი-14 (რიბეირო-27, ბექსტრიომი-37), 2:1 მაიკ გრინი-9 (ბიგლი-4, ვოლსკი-5), 3:1 ბროუერი-15.

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 3:6**

1:2, 1:1, 1:3

**გოლები:** 0:1 ი. იოკინენი-8 (მოროუ-7, დუპუი-13), 0:2 დუპუი-20 (ტაილერ კენედი-5, ნისკანენი-7), 1:2 პურსელი-9 (სტემპოკი-25, სალო-14), 1:3 კუნიტცი-21 (იგინლა-15, ლეტანგი-26), 2:3 კონოლი-1 (პანიკი-3, კილორნი-11), 2:4 მალკინი-8, 2:5 ი. იოკინენი-9 (დ. მიურეი-5, დუპუი-14), 2:6 გლესი-1 (ი. იოკინენი-7, იგინლა-16), 3:6 პურსელი-10 (სან ლუი-41, მ. კარლი-15).

**დეტროიტი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მარლო-17 (პაველსკი-13), 1:1 აბდელკადერი-8 (ფრანცენი-16, ბ. სმიტი-6), 2:1 კინდლი-4 (ზეტერბერგი-28, დაციუკი-26), 2:2 კუტური-16 (ჯ. ტორნტონი-29, დ. ბოილი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), კუტური (სან ხოსე), მარლო (სან ხოსე).

**ვინიპეგი-ფლორიდა 7:2**

3:2, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 განონი-2 (ველერი-17, ლედი-22), 1:1 ბრენანი-3 (ფლიშმანი-19, გოკი-9), 2:1 ე. კეინი-15 (ო. იოკინენი-7, კლიტსომი-10), 2:2 ფლიშმანი-9 (ბრენანი-5), 3:2 ლედი-16 (ლიტლი-20, ბაფლინი-17), 452 კლიტსომი-4 (ლიტლი-21), 5:2 ბაფლინი-7, 6:2 ე. კეინი-16 (უელვუდი-9, ბოგოსიანი-5), 7:2 ტორნბურნი-2 (ჰეინსი-12, ბოგოსიანი-6).

**მინესოტა-სტ ლუისი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პოლაკი-1 (კ. სტიუარტი-15, პორტერი-4), 0:2 ენდი მაკდონალდი-5 (ტარასენკო-9, ბეკსი-18).

**ლოს ანჯელესი-კოლორადო 3:2 (ბ)**

2:0, 0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-24 (მ. რიჩარდსი-18), 2:0 მ. რიჩარდსი-10 (მუზინი-9, პენერი-10), 2:1 პ. შვასტნი-(დ. ჯონსი-5), 2:2 ბორდელო-1 (ელიოტი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), პარენტო (კოლორადო), კოპიტარი (ლოს ანჯელესი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA რეგულარული



ნეიტ რობინსონი

# ჩიკაგო
## წარმატებულებს ერჩის

„ჩიკაგო" თამამად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტად მეტოქეთა მოგებების სერიის შეწყვეტის განხრით. შეგახსენებთ, რომ მარტში „ხარებმა" შეაჩერეს „მაიამი", რომელსაც ზედიზედ 27 მატჩი ჰქონდა მოგებული, ახლა კი ჩიკაგოელთა სამიზნე გახდა „ნიუ იორკი", რომელიც 13-მატჩიანი მოგებათა სერიით ინონებდა თავს და მე-14 მოგებასთანაც ახლოს იყო, რადგან გუშინდელ მატჩში 17-ქულიანი უპირატესობა ჰქონდა.

„ნიუ იორკს" ტრავმირებული ჰყავს პრაქტიკულად მთელი წინა ხაზი - **ტაისონ ჩენდლერი, ამარე სტაუდმაიერი, რაშიდ უოლასი, მარკუს კემბი, კენიონ მარტინი**. ასეთი ლაზარეთის ფონზე, „ნიქსი" იძულებულია თავის სნაიპერებზე გააკეთოს აქცენტი, სხვათა შორის, „ნიუ იორკმა" ამ მატჩის შემდეგ NBA-ის ახალი რეკორდი დაამყარა სეზონში ჩაგდებული სამქულიანების რაოდენობით - 842. ეს რიცხვი გასაკვირი არ არის, რადგან ცენტრის მოვალეობების შემსრულებელი **კრის კოუპლენდიც** კი სტაბილურად აგდებს მატჩში სამ სამქულიანს. სწორედ მისი შორეული ტყორცნის შემდეგ დასრულდა სტუმრების 14:0 გაქცევა, სულ მალე კი "ნიქსის" უპირატესობა მაქსიმალური გახდა – 23:6.

**ტიბოდომ** ტაიმ-აუტი აიღო და როგორც ჩანს, აუხსნა თავის შეგირდებს, რომ მათი მთავარი იარალი დაცვაა, მაგრამ არც შეტევა უნდა დაივიწყონ. მასპინძლებმა მწვრთნელის შეგონება შეისმინეს და საპასუხო სპურტი მოაწყვეს – 13:2. ნიუიორკელებმა მეორე მეოთხედში სცადეს ძველი სხვაობის დაბრუნება, მაგრამ "ჩიკაგომ" ალლო აუღო სტუმრების თავდასხმას. "ნიქსის" უპირატესობა თანდათან ქრებოდა. გამოჩნდა ნიუიორკელთა პრობლემები დაცვაში.

მიუხედავად ამისა, დიდი შესვენების შემდეგ, ენტონიმ და კოუპლენდმა ისევ დაიწყეს სხვაობის გაზრდა. რაც არ უნდა იყოს, ისინი მოგებათა სერიის გაზრდაზე იყვნენ მომართულნი. მესამე მეოთხედის შუაში, როცა სტუმრების უპირატესობა 15 ქულას შეადგენდა, **ბატლერმა** ორი ჩაჭრა შეასრულა და "ჩიკაგომ" ზედიზედ 4 ქულა დააგროვა. ეს მომენტი ალმოჩნდა გარდამტეხი. "ბულზმა" კიდევ ერთი გაქცევა მოაწყო – 16:3 და ბოლო შესვენებაზე ორქულიანი ჩამორჩენით გავიდა.

ბოლო მეოთხედი "ჩიკაგოს" ზედიზედ ხუთი ქულით დაიწყო. საბოლოოდ, მასპინძლების სპურტი შთამბეჭდავი გამოვიდა – 24:5. ბატლერი **ნეიტ რობინსონმა** შეცვალა და მისმა სამქულიანებმა "ჩიკაგო" ცხრა ქულით გაიყვანა წინ. მხოლოდ ენტონისა და **სმიტის** ტიტანური მონდომების წყალობით მოახერხა "ნიქსმა" "ჩიკაგოს" დაწევა. თავიდან სმიტმა შეამცირა სხვაობა ორ ქულამდე, შემდეგ კარმელოზე დაჯარიმდნენ, რომელიც ფარქვეშ ხშირად შედიოდა. მან ორი საჯარიმო ჩააგდო და მასვე შეეძლო სირენამდე 1.5 წამით ადრე გამარჯვების მომტანი ტყორცნის გამოყენება, მაგრამ ააცილა.

დამატებითი დრო რობინსონის ბენეფისი გახდა - მცველმა რვა ქულა დააგროვა. მას კარგად ეხმარებოდა **დენგი**, "ნიქსმა" კი სერიოზულად შეასუსტა დაცვა, რითაც მეტოქეს რეგულარულად აძლევდა ფარქვეშ შესვლის საშუალებას. გარდა ამისა, სტუმრებმა შეტევაშიც დაკარგეს რიტმი, რისი შედეგიც იყო მხოლოდ ორი ზუსტი ტყორცნა ენტონისა და სმიტის შესრულებით. "ჩიკაგომ" კარგი გუნდური თამაშით შეძლო "ნიქსის" დუეტის შეჩერება, რომელიც მთელი თავისი გუნდის ნაცვლად თამაშობდა და ბოლოს ველარ გაძლო.

***

დღის მეორე მატჩში ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში იყო. "ოკლაჰომას" მოტივაცია ჯერ ისევ დარჩა – ის დასავლეთში პირველობისთვის ებრძვის "სან ანტონიოს", "გოლდენ სტეიტმა" კი გაინაღდა პლეი ოფში გამოსვლა და გაიხსენა, როგორია დაცვის გარეშე თამაში. პირველ ორ მეოთხედში სტუმრების არაზუსტი ტყორცნებით და **კარისა** და **ჯარეტ ჯეკის** შედეგიანობით, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა მაინც შეინიშნებოდა "ოკლაჰომას" მცირე უპირატესობა.

შესვენების შემდეგ, მასპინძლებმა უბრალოდ მიანებეს თავი დაცვას. "უორიორზის" სამწამიანი ზონა ღია დერეფანს დაემგვანა. ანალოგიურის თქმა შეიძლება პერიმეტრზე. შეტევაში კი ოკლენდელებს ბოლომდე არ გამოუვიდათ თამაში. კარიმ თავისი სტანდარტული სტატისტიკური მატჩი ჩაატარა, მისმა სნაიპერმა თანაგუნდელმა **კლეი ტომპსონმა** კი 10-დან მხოლოდ ორი ტყორცნა გამოიყენა.

"თანდერმა" ტყორცნების 50 პროცენტი გამოიყენა. **დურანტმა** 17-დან 10 ბურთი ჩააგდო. ძალიან პროდუქტიულად ითამაშა **კევინ მარტინმა**. "ოკლაჰომას" საუკეთესო მეექვსე მოთამაშეს არ უგრძნია განსაკუთრებული მეურვეობა და 10-დან რვა ბურთი ჩააგდო, მათ შორის, ხუთიდან ოთხი სამქულიანი. "ოკლაჰომა" პირველ ადგილზე გადავიდა დასავლეთში. შეგახსენებთ, რომ თუ "თანდერსა" და "სან ანტონიოს" რეგულარულ ჩემპიონატში მოგება-წაგების თანაბარი ბალანსი ექნებათ, მაშინ კონფერენციის ჩემპიონი "ოკლაჰომა" გახდება, რადგან უკეთესი მაჩვენებელი აქვს დასავლეთი კონფერენციების გუნდებთან შეხვედრებში.

**ჩიკაგო–ნიუ იორკი 118:111 (ო)**

23:30, 31:29, 26:23, 25:23, 13:6

**ჩ:** რობინსონი (35), ბატლერი (22+14 მოხსნა+3 დაფარება), დენგი (16+8 მოხსნა), ჰემილტონი (14+8 პასი), ბუზერი (13+15 მოხსნა), ჰაინრიხი (11+6 მოხსნა+5 პასი).

**ნ-ი:** ენტონი (36+19 მოხსნა), სმიტი (28+14 მოხსნა), ფელტონი (19+5 მოხსნა+6 პასი), კოუპლენდი (14+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ოკლაჰომა 97:116**

27:31, 27:29, 23:36, 20:20

**გ-ს:** კარი (22+7 პასი), ჯეკი (19+6 პასი+3 ჩაჭრა), ლი (13+11 მოხსნა), ლენდრი (10).

**ო:** დურანტი (31+10 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), მარტინი (23), უესტბრუკი (18+9 პასი), იბაკა (17+7 მოხსნა+3 დაფარება), სეფოლოშა (10+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლესტერი-ბირმინგემი | 2:2 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-მორეკამბი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ლუტონი-გრიმსბი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| გროსეტო-ემპოლი | 0:1 |
| ჩეზენა-ვერონა | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| ბეტისი-სევილია | 3:3 |
| **გერმანია** | |
| ფრაიბურგი-ჰანოვერი | 3:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ინგოლშტადტი-ჰერტა | 1:1 |
| ზანდჰაუზენი-ბრაუნშვაიგი | 1:3 |
| უნიონი-დინამო | 0:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-ჰანზა | 3:4 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ვიქტორია-ზიგენი | 2:5 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ელტერსდორფი-ბაიერნ ჰოფი | 5:2 |
| ბუხბახი-ვიქტორია | 1:0 |
| მემინგენი-აუგსბურგი II | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ვალანსი-სტ. ეტიენი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-ლანსი | 0:0 |
| კლერმონი-ჰავრი | 1:1 |
| ლავალი-არლი | 1:3 |
| ლე მანი-ისტრი | 1:2 |
| ნიმი-დიჟონი | 1:2 |
| ნიორი-ანჟერსი | 0:0 |
| სედანი-გფკო აიაჩო | 4:1 |
| ტური-გინგამი | 2:0 |
| **ნასიონალი** | |
| ბურჟი-კევილი | 0:1 |
| კა ბასტია-შერბური | 3:0 |
| კარკეფუ-კრეტეი | 4:0 |
| კოლმარი-ლუზენაკი | 1:1 |
| პარიზი-ბულონი | 1:1 |
| რედ სტარი-მეცი | 0:2 |
| რუანი-ვანი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ვენლო-ცვოლე | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ეინდჰოვენი-ემენი | 4:1 |
| ვოლენდამი-ჰელმონდი | 3:0 |
| მაასტრიხტი-დორდრეჰტი | 2:5 |
| სპარტა-ფორტუნა | 0:0 |
| ტოპ ოსი-ექსელსიორი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| ვარეგემი-სტანდარდი | 3:4 |
| **II დივიზიონი** | |
| მუსკრონი-ჰაისტი | 3:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატლეტიკო-ბრაგა B | 1:2 |
| ტროფენსე-პორტუ B | 4:2 |
| **დანია** | |
| სილკებორგი-აგფ ორჰუსი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰიორინგი-ვეილე | 1:0 |
| ჰობრო-ვიბორგი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორი-სტარტი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **ალსვენსკა** | |
| ბრომაპიოკარნა-ნორჩოპინგი | 1:0 |
| **სუპერეტანი** | |
| ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ჰორნი | 2:0 |
| ლუსტენაუ-გრიოდიგი | 0:5 |
| ჰარტბერგი-ბრაუ ვაისი | გადაიდო |
| კაპფენბერგი-აუსტრია (ლ) | 2:1 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 2:2 |
| **თურქეთი** | |
| შივასი-გენჩლერი | 1:1 |
| ტრაბზონი-ორდუ | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| დანდალკი-დერი | 1:3 |
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 0:1 |
| შემროკი-ბრეი | 7:0 |
| შელბურნი-დროგედა | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| სოლტჰილი-უოტერფორდი | 1:2 |
| უექსფორდი-ლონგფორდი | 0:1 |
| **უელსი** | |
| ტნს-ეირბასი | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სიგმა | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ჟლინი-სლოვანი | 3:0 |
| **რუსეთი** | |
| დინამო-ცსკა | 0:0 |
| **უკრაინა** | |
| ვოლინი-ილიჩივეცი | 0:2 |
| ჩერნომორეცი-დნეპრო | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-ვიძევი | 1:1 |
| ზაგლებე-კორონა | 2:1 |
| **ხორვატია** | |
| სპლიტი-რიეკა | 3:1 |
| **უნგრეთი** | |
| კაპოშვარი-ჰონვედი | 1:2 |
| პაკსი-დიოშდიორი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-ასტრა | 2:1 |
| კლუჟი-პანდური | 2:3 |
| **ლატვია** | |
| იურმალა-ილუკსტესი | 1:1 |
| სკონტო-მეტა | 4:0 |
| **მოლდოვა** | |
| დაჩია-ტირასპოლი | 0:0 |
| ნისტრუ-ცსკა | 0:2 |
| შერიფი-მილსამი | 1:2 |
| ზიმბრუ-ისკრა | 0:0 |
| **ავსტრალია** | |
| ვ. სიდნეი-ბრისბენი | 2:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ცსკა-კახა ლაბორალი | 90:68 |
| ოლიმპიაკოსი-ეფესი | 71:53 |
| რეალი-მაკაბი | 75:63 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-შალონი | 78:93 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ტრაქტორი-დინამო (მ) | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ზვოლენი | 6:2 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-ლუკო | 2:0 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. კასაბლანკა** | |
| რობრედო-პერი | 7:6, 2:6, 6:0 |
| ვავრინკა-გარსია ლოპესი | 6:1, 6:2 |
| ანდერსონი-ჟემლია | 6:4, 6:4 |
| კლიჟანი-ჰაასე | 7:5, 6:1 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| რამირეს იდალგო-უილიამსი | 6:7, 6:1, 4:6 |
| ალმაგრო-ლორენცი | 6:4, 6:4 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| პლიშკოვა-ვინჩი | 1:6, 0:6 |
| ბეკი-კამერინი | 7:6, 6:0 |
| კვიტოვა-მარტიჩი | 6:3, 6:2 |
| პეერი-კადანტუ | 7:5, 3:6, 3:6 |

## TV პროგრამა

### 13 აპრილი. შაბათი

**GMG–ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ფრაიბურგი-ჰანოვერი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVII ტურის მიმოხილვა.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.
16:00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. არსენალი-ნორვიჩი (LIVE).
20:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. შალკე-ლევერკუზენი (LIVE).
22:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. როდა-ვიტესი.
00:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ბაიერნი-ნიურნბერგი.

**GMG–სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი.
14:30 პროგამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. რეალი-მაკაბი. I მატჩი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ბაიერნი-ნიურბერგი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. როდა-ვიტესი (LIVE).
22:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი.
01:00 NBA ACTION.

**GMG–სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰიუსტონი. აშშ.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
17:35 საჩოგბურთო მიმოხილვა.
18:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-სან ანტონიო.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰიუსტონი. აშშ.

### 14 აპრილი. კვირა

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო (თბ) (LIVE).

**აჭარის ტელევიზია**

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო (ბთ)-მეტალურგი (LIVE).

**GMG–ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. როდა-ვიტესი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. ნიუკასლი-სანდერლენდი (LIVE).
17:05 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. სტოკი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აუგსბურგი-აინტრახტი (LIVE).
21:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVIII ტური. ლინენსე-კორინთიანსი (LIVE).
01:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ეინდჰოვენი-აიაქსი.

**GMG–სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. შალკე-ლევერკუზენი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-კლიპერსი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ვაალვაიკი-ფეიენოორდი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-კლიპერსი. მაიამი-ჩიკაგო (LIVE).
23:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-კლიპერსი.

**GMG–სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰიუსტონი. აშშ.
15:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. კახა ლაბორალი-მონტეპასკი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბორუსია (მ) (LIVE).
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ბოსტონი.
21:30 NBA ACTION.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰიუსტონი. აშშ (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 23 | (მზე) |
| ბათუმი | 10 | 21 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 8 | 22 | (მზე) |
| გორი | 5 | 20 | (მზე) |
| თელავი | 6 | 19 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 18 | (წვიმა) |
| გუდაური | -3 | 7 | (მზე) |
| ბაკურიანი | 1 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | 4 | 15 | (მზე) |
| მესტია | 2 | 12 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1682 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6518 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3489 |

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# მყესი განწყვეტილი არ აღმოჩნდა

## ევრობასკეტსა და NBA-ის პლეი ოფში თამაში ძალიან მსურდა...



### დოსიე

სახელი ზაზა
გვარი ფაჩულია
დაიბადა: 10.02.84
სიმაღლე 210 სმ
ამპლუა ცენტრი

**კარიერა**

თბილისის „ვითა" - 1997
თურქეთის „ულქერი" - 1998-2003
„ორლანდო მეჯიქი" - 2003-04 (NBA)
„მილუოკი ბაქსი" - 2004-05 (NBA)
„ატლანტა ჰოქსი" - 2005 წლიდან (NBA)

**მიღწევები**

თურქეთის ჩემპიონი - 2001
თურქეთის თასის მფლობელი - 2003
თურქეთის პრეზიდენტის თასის ორგზის მფლობელი - 2002 და 2003

« პირველი გვერდიდან

- ამ საკითხზე მეც მიფიქრია, მაგრამ ჩემი სიტყვებით არ მინდა წინასწარ იმედი ჩავსახო. სიამოვნებით მოვისმენდი მედიკოსებისგან, რომ რეაბილიტაციის პროცესი დაგეგმილზე უკეთესად, მოკლე დროში მიდის, მაგრამ რადგან მყესი განყვეტილი არ ამოჩნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იოლად წარიმართა. ექიმებმა მყესი ძვალთან შეაერთეს და აღდგენისთვის დიდი დროა საჭირო. თავად განსაჯეთ: თვე-ნახევრის განმავლობაში სიარულის უფლება არ მაქვს; სამი თვის შემდეგ აუზზე და ველოსიპედზე ვარჯიშს შევძლებ; 6 თვეში კი, როგორც აღვნიშნე, დატვირთვების მიღების უფლება მექნება. ასე რომ, ყველაფერი გაწერილია და მინდა, რომ ოქტომბერში, NBA-ის წინასასეზონო მატჩების წინ სრულყოფილად ვივარჯიშო. თუმცა ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში ვიქნები.

**- NBA-ს წლევანდელ სეზონში ბოლი შეხვედრა 3 მარტს „ლეიკერსის" წინააღმდეგ ჩაატარე, ოპერაცია კი 3 აპრილს გაიკეთე. რატომ დასჭირდა გამოკვლევას ესოდენ დიდი დრო?**

- არაერთ ექიმს შევხვდი, მოცდას ამჯობინებდნენ, იმ იმედით, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა და ქირურგიული ჩარევა არ დამჭირდებოდა. სხვათა შორის, ამ მიმართულებით გამოცდილება არ მქონდა, ეს ჩემთვის პირველი ოპერაციაა და ახლა ვხვდები, ექიმები რატომ ცდილობდნენ ოპერაცია უკიდურეს შემთხვევაში ჩაეტარებინათ. იმიტომ, რომ რეაბილიტაციის პროცესი დიდ დროსა და ნებისყოფას მოითხოვს. 3 აპრილის შემდეგ ჯერაც ვერ დავდივარ, ყავარჯნებით გადაადგილება კი იოლი არ არის, მით უმეტეს, ჩემი წონის ადამიანისთვის.

**- ამერიკულ გაზეთებშიც დაიწერა, რომ „ატლანტას" ხელმძღვანელობა ყოველმხრივ გვერდში ამოგიდგა. ამ გუნდთან კონტრაქტის ვადა ამ სეზონის დასრულების შემდეგ იწურება და ხომ არ იგრძნობა მათი ინტერესი შენი „ატლანტაში" დარჩენასთან დაკავშირებით?**

- ჯერ კითხვის პირველ ნაწილს ვუპასუხებ. ატლანტელები, ექიმებიან-ხელმძღვანელებიანად ჩემდამი მეტისმეტ ყურადღებას იჩენენ. მათგან დიდ სითბოს ვგრძნობ. სხვა სიტუაციას არც ველოდი, რადგან 8 წელია მათთან ვთანამშრომლობ და პირველივე დღიდან ცხადად გამოჩნდა რომ „ატლანტაში" პროფესიონალები არიან დასაქმებულები. განვლილი 8 წლის განმავლობაში არც მე დამიკლია მონდომება, თავი არ დამიზოგავს გუნდის წარმატებისთვის. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, აღვნიშნავ, რომ „ატლანტასთან" ხელშეკრულების ვადა 30 ივნისს მეწურება. მანამდე გუნდს პლეი ოფი აქვს სათამაშო და ვეცდები ბოლომდე მხარში დავუდგე კალათბურთელებს. დღეს ტრანსფერზე ლაპარაკი ნაადრევია. არც „ატლანტადანაა" რამე მინიშნება ახალ კონტრაქტზე. NBA-ის დრაფტის შემდეგ თავისუფალ აგენტთა ბაზარი 1 ივლისიდან გაიხსნება და მას მერე გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები კლუბების მხრიდან. ვიმედოვნებ, რომ შემოდგომიდან ახალი ენერგიით შევუდგები თამაშს, პლეი ოფშიც გავალ და ძალიან მინდა ეს საჩემპიონო გუნდში მოხდეს.

**- „ჰოქსის" მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ თქვა - ზაზა ფაჩულიას სტილის კალათბურთელი პლეი ოფში ძალიან დაგვაკლდებაო.**

- ჩემთან ერთად ვერც ლუ უილიამსი ითამაშებს. იგი ამ სეზონის წინ შემოგვიერთდა და იოლად შეეწყო გუნდს, მაგრამ მანაც სერიოზული ტრავმა მიიღო. პლეი ოფის გამოტოვება ტრავმის გამო მეორედ მიწევს. ეს ნებისმიერი სპორტსმენისთვის რთულია, რადგან რეგულარულ ეტაპზე სწორედ პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვი, ემზადები. თუნდაც NBA-ს გუნდებიდან, რამდენი ვერ გავიდა მომდევნო ეტაპზე და როცა სხვა კალათბურთელები მეოთხედფინალებს ტელევიზიით უყურებენ, შენ თამაშის საშუალება გაქვს... იქ კი არავინ იცის რა მოხდება, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულთან ყოველი საპლეიოფო მოგება გაახლოვებს. „ატლანტა" პლეი ოფში სავარაუდოდ „ინდიანას" დაუპირისპირდება. რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდთან 2:2 ვითამაშეთ, რაც მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ „ჰოქსს" საინტერესო მატჩები ელის.

**- სამწუხაროა, რომ ნაადრევად, მაგრამ დღეს უკვე შეიძლება 2012-13 წლების სეზონის შეფასება.**

- გამორჩეული სეზონი იყო, დროც საკმარისად მქონდა და თამაშიც მსიამოვნებდა, რადგან, წინა წლებისგან განსხვავებით ამჯერად ბურთი მეტად მოძრაობდა და შეტევათა უმეტესობაში ვმონაწილეობდი.



ეს სტატისტიკამაც ასახა, შედეგიანი გადაცემების მიხედვით „ატლანტაში" მესამე ვიყავი. ასეთი შედეგი კი ცენტრისთვის ბევრს ნიშნავს.

**- წლეულს კიდევ ერთი ნიუანსი იყო ხაზგასასმელი - გუნდს შორი დისტანციიდან ჩაგდებული ორქულიანებით ეხმარებოდი.**

- სეზონი რომ დაიწყო, ცოტა თავდაჯერება მაკლდა, მაგრამ ნოემბრის ბოლოდან ყველაფერი გამოსწორდა, შემეძლო თავისუფლადაც მესროლა, ფარქვეშ თამაში და მოხსნა ხომ ისედაც ჩემი საქმეა...

**- „ბრუკლინთან" შეხვედრისას სამმაგ დუბლამდე ორი პასი დაგაკლდა, თვლი რომ ეს იყო კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი?**

- ერთ-ერთი ნამდვილად იყო, მაგრამ არა საუკეთესო. მაგალითად, შარშან „ვაშინგტონთან" შეხვედრაში 10-10 ქულა-მოხსნა და 7 პასი მქონდა. იყო ასევე კარგი საპლეიოფო შეხვედრები, მათ შორის „მაიამისთან" (18 მოხსნა, 12 ქულა), თუმცა სამმაგ დუბლთან ყველაზე ახლოს სწორედ წლეულს, „ბრუკლინთან" მატჩისას ვიყავი. ეს შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დავიწყე (არ გვყავდა ჯოშ სმიტი) და თავიდანვე ყველაფერი კარგად წარიმართა...

**- „ბრუკლინი" ვახსენეთ და ამ გუნდის ქართველ ლეგიონერზე, თორნიკე შენგელიაზე გკითხავ.**

- იგი პროგრესირებს. „ბრუკლინში" დიდ გამოცდილებას მიიღებს და დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულს საქართველოს ნაკრებში გაცილებით მოძლიერებული ჩამოვა. ვისთანაც თორნიკეს შესახებ ლაპარაკმა მომიწია, ყველამ აღნიშნა, რომ დიდი პოტენციალი აქვს და რამდენიმე წელიწადში NBA-ში მაღალ დონეზე, თანაც სისტემატიურად ითამაშებს. წლეულს კი ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში პირველი სეზონი ჰქონდა და თავიდანვე ვუთხარი, რომ ფეხის მოკიდება იოლი არ იქნებოდა. შენგელიას შეიძლება ნაკლებად გაუმართლა, რომ „ბრუკლინის" დარ ძლიერ გუნდში მოხვდა. უფრო სუსტ კლუბში რომ აღმოჩენილიყო, მეტსაც ითამაშებდა. საერთოდ, ამერიკაში გადასვლის შემდეგ პირველი წელი ადაპტაციისა და სწავლისაა, ნაწილობრივ მეორე და მესამე წლებიც, თუმცა თორნიკე ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და გამოცდილების მიღების შემდეგ NBA-ში ადგილს ნამდვილად იპოვნის. ამის თქმის უფლებას მისი შრომისმოყვარეობა და პოტენციალი მაძლევს.

ვაჟა სიმონიშვილი







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608